

მტკიცებულბათა მოკოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები

სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

მტკიცებატა მოკოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები

სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის



სახელმძღვანელო შემუშავებულია ევროპის საბჭოს პროექტის „ადვოკატის პროფესიის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და აუცილებლად არ გამოხატავს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციასა და პოლიტიკას

**ალექსანდრ სურჟინი, ლია ჭაჭუაშვილი,
ამირან გიგუაშვილი, ქეთევან ჩომახაშვილი**

2021 წელი

*სახელმძღვანელო მომზადდა და
იბეჭდება პროექტის – „ადვოკატის
პროფესიის მხარდაჭერა საქართველოში“
– ფარგლებში. მასში წარმოთქმული
მოსაზრებები გამოთქმულია ავტორთა
პასუხისმგებლობით და არ არის
აუცილებელი, ასახავდეს რომელიმე
მხარის ოფიციალურ პოზიციას.*

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია
წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე
ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა,
ხელახალი პუბლიკაცია, ან გადაცემა
ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით:
ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი,
ა.შ.) ან მექანიკურად, მათ შორის, ასლის
გადაღებით, ჩაწერით, ან ინფორმაციის
შენახვისა თუ ამოღების ნებისმიერი
სისტემის მეშვეობით, კომუნიკაციის
დირექტორატის წინასწარი წერილობითი
ნებართვის გარეშე (F-67075 სტრასბურგი
Cedex ან publishing@coe.int).

სარჩევი

შესავალი	7
ნაწილი I ბრალდებულის ანდა მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, საპროცესო დამაგრებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები	9
თავი 1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ	9
1.1. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა	13
1.2. დუმის უფლების გამოყენება და თვითმამხილებელი ჩვენების მიცემისგან თავშეკავების პრივილეგია	19
1.3. დანაშულის პროვოცირება	21
1.4. უდანაშაულობის პრეზუმფცია	28
1.5. დაცვის უფლება	34
1.5.1. ბრალის შეტყობინება და განმარტება	34
1.5.2. დაცვის დრო და შესაძლებლობა	37
1.5.3. იურიდიული დახმარების უფლება	38
1.5.4. მონშეთა დაკითხვა	42
1.6. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა და სასამართლო კონტროლი	50
1.7. იძულებითი აღიარების აკრძალვა	57
თავი 2. ბრალდებულის ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების ზოგადი წესები	61
2.1. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში	61
2.2. მოსამართლის როლი სისხლის სამართლის პროცესში	63
2.3. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, შეთანხმება მტკიცებულების მოპოვებისა და დაცვის სტრატეგიის შემუშავებისას	65
თავი 3. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობები	69
3.1. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი წესი	69
3.2. სასამართლოს განჩინების მიღების წესი	73

3.3. მონმისა და მისი ადვოკატის უფლება-მოვალეობები	74
3.4. მონმის, ექსპერტისა და ბრალდებულის გამოკითხვა	79
3.5. მონმის დაკითხვა მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე	80
3.6. ამოცნობა	83
3.7. დათვალიერება	84
3.8. ჩხრეკა-ამოღება	86
3.9. საგამოძიებო ექსპერიმენტი	88
3.10. კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა	90
3.11. ნიმუშის აღება	93
3.12. ექსპერტიზა	93
3.13. მიყვანა სასამართლოში	97
3.14. ბრალდების მხარის მტკიცებულებათა მიღების, დაცვის მხარის მტკიცებულებათა ბრალდების მხარისთვის გაცვლისა და სასამართლოში წარდგენის წესი	99
თავი 4. სამართლებრივი წერის ძირითადი პრინციპები და საპროცესო დოკუმენტების დასაბუთების სტანდარტი	101
თავი 5. ბრალდებულის ანდა მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ შესადგენი დოკუმენტების დასაბუთების სტანდარტები	112
5.1. შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე	114
5.2. შუამდგომლობა გამომძიებლის/პროკურორის/ მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულის აცილებაზე	117
5.3. შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელებასა ან შემცირებაზე	120
5.4. დაცვის მხარის მოსაზრება წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელებაზე	122
5.5. ოქმი შესაძლო მტკიცებულებებზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ	124
5.6. სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა	126
5.7. საჩივარი მოსამართლის განჩინებაზე	127
5.8. შუამდგომლობა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე	129
5.9. შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე/გაუქმებაზე	132
5.10. შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე	135

5.11. საჩივარი მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის განჩინებაზე	137
5.12. შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას დამატებითი მტკიცებულების დასაშვებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ	143
5.13. შესავალი სიტყვა	145
5.14. დასკვნითი სიტყვა	148
5.15. სააპელაციო საჩივარი	151
5.16. საკასაციო საჩივარი	155
5.17. შუამდგომლობა ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვაზე	158
ნაწილი II. დაზარალებულის უფლებები და მისი რეალიზაციის მიზნით შესადგენი საპროცესო დოკუმენტების დასაბუთების სტანდარტები	161
თავი 1. დანაშაულის მსხვერპლის უფლებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად	161
თავი 2. დაზარალებულის ძირითადი უფლებები და მათი რეალიზების მექანიზმები გამოძიებისას	163
2.1. განცხადება დაზარალებულად ცნობის მოთხოვნის შესახებ	167
2.2. საჩივარი პროკურორის დადგენილებაზე - დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ	170
2.3. საჩივარი ბემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებაზე - დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ	173
2.4. საჩივარი დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმების შესახებ	175
2.5. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება	176
2.6. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის გადაწყვეტილების გასაჩივრება	177
2.7. საჩივარი პროკურორის გადაწყვეტილებაზე დაზარალებულისთვის გამოძიების მიმდინარეობაზე ინფორმაციის მიწოდებასა და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმის შესახებ	178
2.8. განცხადება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე	182

2.9. დაზარალებულის უფლება, ისარგებლოს მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის დახმარებით	183
2.10. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმებისას	185
2.11. დაზარალებულის უფლებები განრიდებისას	187
თავი 3. დაზარალებულის ძირითადი უფლებები და მათი რეალიზების მექანიზმები სასამართლო განხილვისას	188
დანართი	190
მონმის გამოკითხვის ოქმი	190
ბრალდებულის გამოკითხვის ოქმი	194
პირის/ობიექტის ამოცნობის ოქმი	199
დათვალიერების ოქმი	205
საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი	210
ოქმი ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ	216
ნიმუშის აღების ოქმი	220
ოქმი შესაძლო მტკიცებულებებზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ	225
სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხა	226
დაცვის ორდერის ნიმუში	228

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავებულია ევროპის საბჭოს პროექტის „ადვოკატის პროფესიის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში. იგი მიზნად ისახავს ისეთი საკითხების გაშუქებას, რომლებიც თავს იჩენს სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატთა ყოველდღიურ საქმიანობაში. არსებული გამოწვევების შეფასებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად, ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით, ამ სამიზნე აუდიტორიისათვის უნდა მომზადებულიყო მოკლე, მაგრამ მარტივი ენით განმარტებული, საჭიროებებზე მორგებული და ხელმისაწვდომი პრაქტიკული სახელმძღვანელო. მასში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებზე, როგორც ბრალდებულის, ასევე დაზარალებულის ადვოკატის მხრიდან მათი უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის გადანყვეტილებით, სახელმძღვანელოს მოსამზადებლად ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ადვოკატები: ლია ჭაჭუკაშვილი, ქეთევან ჩომახაშვილი და ამირან გიგუაშვილი, **ასევე**, საერთაშორისო ექსპერტი ალექსანდრ სურჟინი. ჯგუფი თავიდანვე შეთანხმდა, რომ წინამდებარე დოკუმენტი მომზადდებოდა ორ ნაწილად: პირველი ნაწილი დაეთმო ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, საპროცესო დამაგრებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესებს, ხოლო მეორე ნაწილი დაფარავდა დაზარალებულისა და მისი ადვოკატის უფლებათა რეალიზაციის მექანიზმებსა და მათ მიერ შესადგენი დოკუმენტების დასაბუთების სტანდარტებს.

შესაბამისად, ზემოთ მითითებულმა ექსპერტებმა სახელმძღვანელო მოამზადეს შემდეგი პრინციპით:

ღია ჭაჭუკაშვილი: თავი 2. ბრალდებულის ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების ზოგადი წესები (ნაწილი I); თავი 3. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობები (ნაწილი I); ასევე, დანართში მითითებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ოქმის ნიმუშები.

ქეთევან ჩომახაშვილი: თავი 5. ბრალდებულის ან/და მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ შესადგენი დოკუმენტების დასაბუთების სტანდარტები (ნაწილი I).

ამირან გიგუაშვილი: თავი 2. დაზარალებულის ძირითადი უფლებები და მათი რეალიზების მექანიზმები გამოძიებისას (ნაწილი II); და თავი 3. დაზარალებულის ძირითადი უფლებები და მათი რეალიზების მექანიზმები სასამართლო განხილვისას (ნაწილი II).

ალექსანდრ სურჯინი:

თავი 1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ (ნაწილი I);

თავი 1. დანაშაულის მსხვერპლის უფლებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (ნაწილი II);

თავი 4. სამართლებრივი წერის ძირითადი პრინციპები და პროცედურული დოკუმენტების დასაბუთების სტანდარტი (ნაწილი I).

იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიერ მომზადებული სახელმძღვანელო დაეხმარება ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატებს კიდევ უფრო ეფექტიანად საქმიანობაში.

ნაწილი I

ბრალდებულის ანდა მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, საპროცესო დამაგრებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები

თავი 1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, დაინტერესებულ მხარეებს მი-
აწოდოს ინფორმაცია მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამა-
გრების თაობაზე; თუმცა, ასევე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მათთვის მო-
კლედ გაგვეცნო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მექანიზმები
და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოქმედი პრაქტიკაც.

ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის
კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოები იურიდი-
ულად ვალდებული არიან, კონვენციით გათვალისწინებული უფლებები
უზრუნველყონ ყველასთვის, ვინც მათ იურისდიქციაში იმყოფება. ამასთან
მიმართებით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ცნობილი ქართველი
მკვლევარისა და ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენ-
ლის, პროფესორ კონსტანტინე კორკელიას მოსაზრებაც: „საქართველოს
სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ ევროპული კონვენციის
ტექსტი, არამედ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავი-
სუფლებების საფუძველზე ჩამოყალიბებული ევროპული სასამართლოს
პრეცედენტული სამართალიც. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამა-

როლო იღებს გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საქმეებზე, ასეთი გადაწყვეტილებები კონვენციის დებულებებს განმარტავენ. როგორც კონვენციისა და მისი ოქმების დებულებათა შინაარსის დადგენა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის გარეშე, რაც აისახება მის პრეცედენტულ სამართალში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ კონვენცია არის „ცოცხალი“ დოკუმენტი“.¹

საქართველოს კანონმდებლობაში დამკვიდრებულია ანალოგიური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს „ყველას“ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.² საქართველოს კონსტიტუცია მოიცავს შემდეგ ზოგად დებულებებს: „საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“³ ამ კონსტიტუციური დებულებიდან ცხადი ხდება, რომ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ვრცელდება არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, არამედ სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზეც.⁴

საქართველოს, ისევე, როგორც კონვენციის სხვა მხარე სახელმწიფოებს, აქვს ვალდებულება, რომ უზრუნველყოს მისი ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა კონვენციასთან. მხარე სახელმწიფოების, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა-აღსრულებაზე, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მიენიჭოთ „დისკრეციული უფლებამოსილება“, რაც მათ საშუალებას მისცემს, უზრუნველყონ ინტერპრეტაციის საკუთარ სამართლებრივ სისტემებთან შესაბამისობა.⁵

1 ვ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი. „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან.“ მეტის სანახავად იხ: ვ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში: „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, ვ. კორკელია, 2002. გვ. 13.

2 გვ. 4.

3 საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი.

4 საქართველოს კანონის შესაბამისობის კვლევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციისა და მისი ოქმების მოთხოვნებთან: საპილოტე პროექტი, მომზადებული ა. კახნიაშვილის, ა. ნალბანდოვისა და გ. წკრილაშვილის მიერ, HRCAD(2001)2, 2001, 65-66, 80-83, 129. ციტირებულია დოკუმენტიდან: ვ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან“, გვ. 4.

5 იხ: ევროპული სამართლის სახელმძღვანელო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ. FRA, 2016., გვ.18.

სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონვენციას აქცევს თანადროულ და ძლიერ ინსტრუმენტად და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ე.წ. „ცოცხალ დოკუმენტად“, რომლის მიზანია ახალი გამონკვევების გადაწყვეტა, შესაბამისი მეთოდების შემუშავება და, ზოგადად, მთელ ევროპაში კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის განმტკიცება. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სახელმძღვანელო როლი ეკისრება. აქედან გამომდინარე, მხარე სახელმწიფოები თავიანთ ვალდებულებებს ასრულებენ ფიზიკურ პირთა მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვით, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევას შეეხება.⁶ კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში საქმის წარდგენამდე ფიზიკურმა პირებმა უნდა აჩვენონ, რომ ამოწურულია დაცვის ყველა შიდასამართლებრივი საშუალება.⁷ სხვა მოთხოვნებთან ერთად, მოცემულია ექვსთვიანი ვადა საქმეზე შიდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან,⁸ რაც გათვალისწინებულია კონვენციის 35-ე მუხლით.⁹

ეროვნული სასამართლოები უპირველესად პასუხისმგებელი არიან, რომ უზრუნველყონ და დაიცვან ადამიანის უფლებები ეროვნულ დონეზე.¹⁰ წინამდებარე თავის თემას რომ დაუბრუნდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ორი სახის მტკიცებულება: (1) რომელიც წარედგინება ეროვნულ

6 ქვეყნებს შეუძლიათ ერთმანეთის წინააღმდეგ საქმის წარდგენა სასამართლოში. შესაბამისად, ამჟამად საქართველოს ორი მიმდინარე სახელმწიფოთაშორისი საჩივარი აქვს შეტანილი რუსეთის წინააღმდეგ, რომლებიც სასამართლოს განსახილველ საქმეთა ნუსხაში ირიცხება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2019 წლის 31 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება სამართლიან დაკმაყოფილებასთან მიმართებაში, დიდი პალატის განჩინებაზე *Georgia v. Russia (I)*, 13255/07, რომელიც 2014 წლის 3 ივლისს გამოიცა. ამ სახელმწიფოთაშორის საქმეზე სასამართლომ დაადგინა 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეთა კოლექტიური გაძევების, დაკავებისა და დაპატიმრების ადმინისტრაციული პრაქტიკის განხორციელება, რის შედეგადაც დაირღვა კონვენცია. https://www.echr.coe.int/Documents/Facts_Figures_Georgia_ENG.pdf

7 მაგ., იხ: *Saghinadze and Others v Georgia*, no.18768/05, 27 აგვისტო, 2010, §§ 83-84.

8 აღნიშნული ვადის ათვლა იწყება უმაღლესი ეროვნული კომპეტენტური ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვისას. ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება განჩინების გამოცხადებიდან (იხ. *Papachelas v. Greece*, 31423/96 § 30, ECHR 1999-II, *Sabri Güneş v. Turkey*, 29 ივნისი, 2012).

9 დასაშვებობის კრიტერიუმების სავითხი განხილულია შემდეგ ქვეთავებში, რომლებიც, იმავდროულად, შეეხება წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში გათვალისწინებულ სიტუაციებს. დეტალური ინფორმაციისთვის იხ: https://www.echr.coe.int/Documents/Admissibility_guide_ENG.pdf

10 *Scordino v. Italy* (No. 1) [GC], no. 36813/97, 29 მარტი, 2006, § 140.

სასამართლოს და (2) რომელიც გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სახელმწიფოს მხრიდან კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის დასადასტურებლად.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან იკვეთება, ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაში შედის საქმეზე ფაქტების დადგენა. ეს ნიშნავს, რომ თუ ფაქტი დადგინდა სამართლიანი სასამართლო პროცესის დროს და საგამოძიებო მოქმედებები შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ სათანადო პროცედურულ მოთხოვნებს, სასამართლო აღარ ჩაუღრმავდება საქმის ამ დეტალებს. შესაბამისად, სასამართლო არ იმოქმედებს, როგორც მეოთხე ინსტანცია. აქედან გამომდინარე, კონვენციის თანახმად, სასამართლოს მოვალეობაში შედის არა იმის გადაწყვეტა, თუ რამდენად სწორად მიიჩნიეს მონშეთა ჩვენებები, როგორც მტკიცებულებები, დასაშვებად, არამედ მან უნდა შეამოწმოს, იყო თუ არა მთლიანად სამართალწარმოება, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვების მეთოდი, სამართლიანი.¹¹

მაგალითად, ის ერთ-ერთ საკვანძო საქმეში აცხადებს: „სასამართლო იმეორებს, რომ მისი მოვალეობა, კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, არის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების დაცვა. კერძოდ, მის მოვალეობებში არ შედის ეროვნული სასამართლოს მიერ ჩადენილი სავარაუდო ფაქტობრივი ან იურიდიული შეცდომების შეფასება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დგინდება, დაირღვა თუ არა (და რა ზომით) კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, იგი არ ითვალისწინებს რაიმე წესს მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ, რაც, შესაბამისად, უპირატესი რეგულირების საგანია ეროვნული კანონმდებლობით“ (იხ: *Schenk v. Switzerland*, 1998 წლის 12 ივლისი, სერია A no. 140, გვ. 29, §§ 45-46; სხვადასხვა კონტექსტში უახლესი მაგალითებისთვის - საქმე *Teixeira de Castro v. Portugal*, 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-IV, გვ. 1462, § 34).

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოვალეობებში არ შედის იმის განსაზღვრა, რამდენად დასაშვებია კონკრეტული სახის (მაგ.: არამართლზომიერად მოპოვებული) მტკიცებულება, ან იყო თუ

11 *Doorson v. the Netherlands*, no. 20524/92, 1996 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, § 67.

არა მომჩივანი დამნაშავე. სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს ერთადერთ კითხვას: იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, მათ შორის, როგორ არის მოპოვებული მტკიცებულებები. ეს მოიცავს შესაბამისი საკითხის „არამართლზომიერების“ შემოწმებას და დადგენილი დარღვევის ტიპს, როდესაც საქმე ეხება კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებების დარღვევას.¹²

იმავდროულად, სასამართლოს წინაშე წარდგენილი მტკიცებულებების მეორე კატეგორია ადასტურებს ისეთი ძირითადი უფლებების დარღვევას, როგორც გათვალისწინებულია, მაგალითად, მე-5 მუხლით. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გააანალიზოს შიდასახელმწიფოებრივი ინსტანციების მიერ წარმოდგენილი და ეროვნული სასამართლოების მიერ დაშვებული მტკიცებულებების ხარისხი და დასაბუთებულობა (მაგ.: დაადგინოს, არსებობდა თუ არა სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი თავისუფლების აღკვეთის გასამართლებლად; რამდენად აუცილებელი იყო ის; დაცვის რომელი გარანტია იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი პირისთვის და ა.შ.).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული პროცესუალური და ძირითადი უფლებები და სასამართლოს მოქმედი პრაქტიკა მტკიცებულებათა მოპოვების მხრივ, ძირითადად, უკავშირდება კონვენციის მე-6 მუხლის დებულებებს. ისინი დეტალურად განიხილება სახელმძღვანელოს შემდეგ თავებში.

1.1. მხარეთა თანასწორობა და შეჭიბვებითობა

სამართალწარმოების პროცესში მხარეთა თანასწორობა და შეჭიბვებითობა სამართლიანი სასამართლოს ცნების განუყოფელი ნაწილია. მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოიცავს თითოეული მხარის უზრუნველყოფას გონივრული შესაძლებლობით, რომ თავისი საქმე წარმოაჩინოს ისეთ პირობებში, რომლებიც არც ერთ მათგანს არ ჩააყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში.¹³ ქვემოთ მოცემული გადაწყვეტილებებით შესაძლებელია ზოგადი წარმოდგენის შექმნა, თუ როდის და რა მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნევა სასამართლო მხარეთა თანასწორობის უფლებას დარღვეულად. კერძოდ:

12 *Khan v. the United Kingdom*, no. 35394/97, 2010 წლის 4 ოქტომბერი, § 34.

13 *Öcalan v. Turkey* [GC], § 140; *Foucher v. France*, § 34; *Bulut v. Austria*; *Faig, Mammadov v. Azerbaijan*, § 19.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა 6(1) მუხლის დარღვევა, 6(3) მუხლთან ერთობლიობაში, როდესაც დაცვის მხარის ადვოკატი იძულებული იყო, 15 საათი დალოდებოდა, შესაძლებლობას, რომ ბოლოსდაბოლოს სიტყვით გამოსულიყო საქმეზე ადრეული დილის საათებში.¹⁴ ანალოგიურად, სასამართლომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა დაადგინა იმ მომჩივანთან მიმართებით, რომელმაც გაასაჩივრა თავისი განაჩენი სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა საჩივრის განხილვაზე დასწრება, მაგრამ უარი ეთქვა, რომ დასწრებოდა დახურულ რეჟიმში ჩატარებულ წინასწარ მოსმენას.¹⁵ იგივე შეეხება შემთხვევებს, როდესაც მომჩივანს არ მისცეს სააპელაციო სასამართლოს წინაშე მოსმენაზე დასწრების უფლება, მაშინ, როცა ბრალდების მხარის წარმომადგენელი ესწრებოდა მას.¹⁶

ეს მიდგომა ვრცელდება, როდესაც წამოიჭრება მონმის საკითხი. შესაბამისად, აქ გარანტირებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, 6(3)(დ) მუხლით დადგენილი დაცვის კონკრეტული უფლებებით, კერძოდ: „თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მონმეები და გამოძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მონმეები ბრალდების მონმეების თანაბარ პირობებში“ (იხ. ქვემოთ). შესაბამისად, ბრალდებისა და დაცვის მხარის მონმეებს თანასწორად უნდა მოექცნენ, თუმცა, დარღვევის დადგენა დამოკიდებულია იმაზე, ნამდვილად ისარგებლა თუ არა მონმემ პრივილეგირებული როლით.¹⁷

კონვენციით გათვალისწინებული მხარეთა თანასწორობის უფლება შეიძლება დაირღვეს დაცვის მხარისთვის მტკიცებულებათა გაუმჟღავნებლობით.¹⁸ მხარეთა თანასწორობის პრინციპი შეიძლება დაირღვეს მაშინაც, თუ ბრალდებულს შეზღუდული აქვს წვდომა თავისი საქმის მასალებსა და სხვა დოკუმენტებზე, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.¹⁹

მხარეთა თანასწორობის პრინციპი ასევე აქტუალურია სამართალწარმოებაში ექსპერტთა დანიშვნის საკითხებთან მიმართებით.²⁰ მხოლოდ ის ფაქტი, რომ შესაბამისი ექსპერტები ინიშნებიან ერთი მხარის მიერ, არ კმა-

14 *Makhfi v. France.*

15 *Zhuk v. Ukraine*, § 35.

16 *Eftimov v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, § 41.

17 *Bonisch v. Austria*, § 32, აღნიშნულის საპირისპიროდ, იხ: *Brandstetter v. Austria*, § 45.

18 *Kuopila v. Finland*, § 38,

19 *Matyjek v. Poland*, § 65.

20 *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia (no.2)*, § 499.

რა იმისთვის, რომ სამართალწარმოება არასამართლიანად ჩაითვალოს. სასამართლოს განმარტებით, ამ ფაქტმა შეიძლება გარკვეული ეჭვი გამოიწვიოს ექსპერტთა ნეიტრალურობის მიმართ, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ არა გადამწყვეტი. აქ საგულისხმოა ექსპერტთა პოზიცია სამართალწარმოების მსვლელობისას: თუ როგორ ასრულებენ საკუთარ ფუნქციებს და როგორ აფასებენ მოსამართლეები ექსპერტის დასკვნას. ექსპერტთა პროცესუალური პოზიციის, ასევე, სამართალწარმოებაში მათი როლის განსაზღვრისას, სასამართლო ითვალისწინებს ფაქტს, რომ მის მიერ დანიშნული ექსპერტის დასკვნას, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი წონა ექნება ამ ექსპერტის კომპეტენციის სფეროში არსებული საკითხების შეფასებისას.²¹

გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ თუ საბრალდებო დასკვნა ეფუძნება პროკურორის მხრიდან წინასწარ გამოძიებაზე დანიშნული ექსპერტის დასკვნას, იმავე პირის დანიშვნა სასამართლოს მიერ შეიცავს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის რისკს, თუმცა ამის დაბალანსება შესაძლებელია სპეციალური პროცესუალური გარანტიებით.²²

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ განსაზღვრა შეუზღუდავი წვდომა საქმის მასალებზე და ნებისმიერი ჩანაწერის შეუზღუდავი გამოყენება (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტების ასლების მიღების შესაძლებლობა, რაც სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვანი გარანტია). ასეთი წვდომით სარგებლობის შეუძლებლობამ გავლენა მოახდინა იმ დასკვნის სასარგებლოდ, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი დაირღვა.²³ ამ კონტექსტში, მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარეგნულ მხარეს, ასევე გაზრდილ ყურადღებას სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიმართ. დაცვის მხარის უფლებათა პატივისცემა მოითხოვს, რომ ბრალდებულისთვის/მისი ადვოკატისთვის სასამართლო მასალებზე წვდომის შეზღუდვამ ხელი არ შეუშალოს ბრალდებულის მტკიცებულებაზე წვდომას სასამართლო პროცესამდე; ასევე, ბრალდებულს მიეცეს შესაძლებლობა, რომ ზეპირი არგუმენტების წარდგენისას მათზე კომენტარი გააკეთოს თავისი ადვოკატის მეშვეობით.²⁴ თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ბრალდებულმა უნდა დაასახელოს კონკრეტული მიზეზები საქმის მასალების კონკრეტული დოკუმენტის ხელმისაწვდომობასთან მიმართებით.²⁵

21 *Shulepova v. Russia*, § 62; *Poletan and Azirovik v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, § 94.

22 *J.M. and Others v. Austria*, § 121.

23 *Beraru v. Romania*, § 70.

24 *Öcalan v. Turkey* [GC], § 140.

25 *Matanović v. Croatia*, § 177.

სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია ის, რომ სისხლის სამართლის პროცესი ეფუძნებოდეს შეჯიბრებითობის პრინციპს და ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის თანასწორობას. შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო გულისხმობს, რომ როგორც პროკურორს, ასევე დაცვის მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, გაეცნონ წარდგენილ პოზიციებსა და მეორე მხარის მტკიცებულებებს და კომენტარი გააკეთონ მათზე.

მამასადამე, მხარეთა თანასწორობის პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ მოსმენის უფლებას და, რა თქმა უნდა, ზოგიერთ საქმეზე სასამართლო 6(1) მუხლის დარღვევას ადგენს ამ ორი კონცეფციის ერთად განხილვის საფუძველზე. შესაბამისად, როგორც ნათქვამია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ საკვანძო საქმეში: „...მხარეთა თანასწორობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი განიხილება მთლიანად 6(1) მუხლის ჭრილში, ვინაიდან მხარეთა თანასწორობის პრინციპი სამართლიანი სასამართლოს მრავლისმომცველი კონცეფციის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც ასევე მოიცავს უფლებას, რომ სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპსაც ეფუძნებოდეს.“²⁶

გარდა ამისა, როდესაც წამოიჭრება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო მოსმენის საკითხი, მხარეთა თანასწორობით 6(1) მუხლი, ჩვეულებრივ, თანხვედება 6(3)(დ) მუხლით გათვალისწინებულ დაცვის უფლებას, როგორცაა, მონშეთა დაკითხვის უფლება; ასევე, 6(3)(ბ) მუხლის დებულებებს, რომლებიც მომჩივანს აძლევს გარანტიას, „ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.“²⁷

ამასთანავე, კონვენციის 6(1) მუხლი მოითხოვს, რომ პროკურატურამ დაცვის მხარეს გააცნოს მის ხელთ არსებული ყველა ნივთიერი მტკიცებულება, რომლებიც შეიძლება სასარგებლო ან საწინააღმდეგო აღმოჩნდეს ამ მხარისთვის.²⁸ მტკიცებულების ხელმისაწვდომობის საკითხი შეიძლება წარმოიშვას მე-6 მუხლის შესაბამისად, რამდენადაც განსახილველი მტკიცებულება უკავშირდება მონაწილე პირის საქმეს, განსაკუთრებით, თუ იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ უკანასკნელისთვის წაყენებულ ბრალდებაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც მტკიცებულებები გამოიყენება და

26 *Ruiz-Mateos v. Spain*, no. 12952/87, 1993 წლის 23 ივნისი, § 63; ასევე, §§ 63-68.

27 *Leas v. Estonia*, § 80.

28 *Rowe and Davis v. the United Kingdom* [GC], § 60.

მათზე დაყრდნობით განისაზღვრება ასეთი პირის ბრალეულობა, ან თუ ეს მტკიცებულებები მოიცავდა ისეთ დეტალებს, რომლებიც აღნიშნულ პირს მისცემდა თავის გამართლების ან სასჯელის ზომის შემცირების შესაძლებლობას. ამ კონტექსტში, შესაბამისია არა მხოლოდ უშუალოდ საქმის ფაქტებთან დაკავშირებული, არამედ სხვა მტკიცებულებებიც, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს პირველის დასაშვებობას, სანდოობასა და სისრულეს.²⁹

ამავდროულად, ბრალდებულმა უნდა დაასახელოს კონკრეტული მიზეზები, თუ რატომ სჭირდება ნვდომა საქმის მასალებში არსებულ კონკრეტულ დოკუმენტზე, ხოლო ეროვნული სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, განიხილონ ასეთი მიზეზების საფუძვლიანობა.³⁰ ნებისმიერ საქმეზე, სისტემებში, სადაც პროკურატურის ორგანოები კანონით არიან ვალდებული, რომ გაითვალისწინონ როგორც ეჭვმიტანილისთვის სასარგებლო, ასევე მისი საწინააღმდეგო ფაქტები, პროცედურა, რომლითაც პროკურატურის ორგანოები თავად ცდილობენ შეფასებას, თუ რა უკავშირდება ან არ უკავშირდება საქმეს, დაცვის უფლებების დამატებითი პროცესუალური გარანტიების გარეშე, არ შეიძლება, შეესაბამებოდეს 6(1) მუხლის მოთხოვნებს.³¹

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შესაბამისი მტკიცებულების გამოქვავების უფლება აბსოლუტური არ არის. სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი, მაგალითად: სახელმწიფო უსაფრთხოება; იმ მოწმეთა დაცვის საჭიროება, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ; ან პოლიციის მიერ დანაშაულის გამოსაძიებლად გამოყენებული მეთოდების საიდუმლოდ შენახვა, რომლებიც ბრალდებულის უფლებებს უნდა შეუპირისპირდეს. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება აუცილებელი გახდეს გარკვეული მტკიცებულებების დაფარვა დაცვის მხარისგან, რათა დაცული იყოს სხვა პირთა ფუნდამენტური უფლებები, ან გარანტირებული იყოს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი. თუმცა, 6 (1) მუხლით დასაშვებია დაცვის უფლების შემზღუდველი მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ზომები.³² გარდა ამისა, ბრალდებულის მიერ სამართლიანი სასამართლო პროცესით სარგებლობისთვის, ნებისმიერი სირთულე, რომელიც გამონვეულია დაცვის მხარის უფლებების შემზღუდვით, საკმარისად უნდა დაბალანსდეს სასამართლო ორგანოების მიერ განხორციელებული პროცედურებით.³³

29 ივე, § 66; *Mirilashvili v. Russia*, § 200; *Leas v. Estonia*, § 81; *Matanović v. Croatia*, § 161.

30 *Janatuinen v. Finland*, § 45; *Leas v. Estonia*, § 81; *Matanović v. Croatia*, § 157.

31 *Natunen v. Finland*, §§ 47-49; *Matanović v. Croatia*, §§ 158, 181-182.

32 *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, § 58; *Paci v. Belgium*, § 85.

33 *Rowe and Davis v. the United Kingdom* [GC], § 61; *Doorson v. the Netherlands*, § 72.

შესაბამისი პროცესუალური გარანტიების შეფასებისას, სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს გამუქლავნებელი მასალებისა და მათი სასამართლო პროცესზე გამოყენების მნიშვნელობა (თუ გამუქლავნებელი ინფორმაცია დაცვის მხარეს თავისთავად ვერ გაუწევდა დახმარებას). კერძოდ, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ შიდა პროცედურა იძლეოდა საშუალებას, შესაბამისი მასალების გავლენა მსჯავრდების უსაფრთხოებაზე განხილულიყო დაცვის დეტალური და ინფორმირებული არგუმენტების გათვალისწინებით.³⁴

მაგალითად, საქმეში *Rowe and Davis v. the United Kingdom* [დიდი პალატა] სასამართლომ დაადგინა 6(1) მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ ბრალდების მხარემ ვერ შეძლო საქმის განხილველი მოსამართლის წინაშე შესაბამისი მტკიცებულების წარდგენა და სასამართლოს არ მიეცა შესაძლებლობა, გადაეწყვიტა მტკიცებულებათა გამუქლავნების საკითხი, რის გამოც მომჩივანმა ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით. თუმცა, საქმეში *Jasper v. the United Kingdom* [GC] (§ 58) სასამართლომ არ დაადგინა 6(1) მუხლის დარღვევა: მან იმსჯელა იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მასალები, რომლებიც არ გასაჯაროვდა, არ იყო ბრალდების მხარის ვერსიის ნაწილი და ისინი არ გადაუციათ ნაფიცო მსაჯულებისთვის. საქმეში *Edwards and Lewis v. the United Kingdom* [დიდი პალატა] მომჩივანს უარი ეთქვა მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობაზე. აქედან გამომდინარე, მისმა წარმომადგენლებმა სრულად ვერ შეძლეს, მოსამართლის წინაშე წარმოედგინათ არგუმენტები პროვოკაციის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა 6(1) მუხლის დარღვევა, ვინაიდან გამოყენებული პროცედურა მტკიცებულებების გამუქლავნებისა და პროვოკაციის საკითხების გადასაწყვეტად, წინა საქმისგან განსხვავებით, არ შეესაბამებოდა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლოსა და მხარეთა თანასწორობის მოთხოვნებს; ასევე, არ ითვალისწინებდა ბრალდებულის ინტერესთა დაცვის შესაბამის გარანტიებს.

არსებობს შედარებით ახალი საქმეები მტკიცებულებების გამუქლავნებაზე, რომლებშიც შეიძლება რთული საკითხები წამოიჭრას ელექტრონულ მონაცემთა გამუქლავნების მხრივ. ეს ნიშნავს, რომ ბრალდების მხარის ხელში შეიძლება მოცულობითი ინფორმაცია აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გარანტია ანალიზის პროცესში დაცვის მხარისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მონაწილეობდეს იმ კრიტერიუმთა დადგენის პროცესში, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა სახის ინფორმაციის გამუქლა-

34 *Rowe and Davis v. the United Kingdom* [GC], § 66.

ვნებაა მნიშვნელოვანი.³⁵ რაც შეეხება იდენტიფიცირებულ ან მონიშნულ მონაცემებს, დაცვის მხარისთვის ნებისმიერი უარი ამგვარი მონაცემების შემდგომ მოძიებაზე არსებითად ბადებს კითხვებს დაცვის მოსამზადებელი სათანადო საშუალებებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.³⁶

1.2. დუმილის უფლების გამოყენება და თვითმამხილებელი ჩვენების მიცემისგან თავშეკავების პრივილეგია

დუმილის უფლებით სარგებლობა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირთა ძირითადი უფლებაა.³⁷ მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლში სპეციალურად არ არის მითითებული, ამ უფლებით სარგებლობა და თვითმამხილებელი ჩვენების არმიცემის პრივილეგიები საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებია, რომლებიც მე-6 მუხლით განსაზღვრული სამართლიანი პროცესის ცნების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ეს იმუნიტეტები ბრალდებულ პირს იცავს ხელისუფლების მხრიდან არასათანადო იძულებისგან, რითაც ხელს უწყობს სასამართლოს შეცდომების აღმოფხვრას და მე-6 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.³⁸

მთლიანობაში, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდების მხარის მიზანია ბრალდებულის წინააღმდეგ საკუთარი ვერსიის დამტკიცება ისეთი მტკიცებულებების გამოყენების გარეშე, რომლებიც მოპოვებულია იძულებისა და ზეწოლის შედეგად, ბრალდებულის ნების წინააღმდეგ.³⁹

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავშეკავების უფლება ვრცელდება სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულთან მიმართებით, ყველაზე მსუბუქით დაწყებული და ყველაზე მძიმე დანაშაულით დამთავრებული.⁴⁰

ამგვარად, წინასწარი დაკავების პერიოდში მტკიცებულებათა მოპოვებისას წამოჭრილი საკითხების განხილვის დროს, მნიშვნელოვანია ხაზგას-

35 *Sigurður Einarsson and Others v. Iceland*, § 90; ასევე იხ: *Rook v. Germany*, §§ 67 და 72.

36 *Sigurður Einarsson and Others v. Iceland*, § 91.

37 *Funke v. France*, § 44; *Saunders v. the United Kingdom*, § 60.

38 *John Murray v. the United Kingdom* [GC], § 45.

39 *Saunders v. the United Kingdom*, § 68; ასევე იხ. *Bykov v. Russia* [GC], § 92.

40 *Saunders v. the United Kingdom*, § 74.

მა, რომ დუმილისა და თვითმამხილებელი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობა იცავს დაკავებულის/დაპატიმრებული პირის თავისუფლებას, საპოლიციო გამოკითხვისას საუბარს აირჩევს, თუ დუმილის უფლებას გამოიყენებს. ეს თავისუფლება მნიშვნელოვნად ილახება, როდესაც ეჭვმიტანილი გამოკითხვისას დუმილის უფლებას ირჩევს, ხოლო ხელისუფლება გარკვეულ ხერხს მიმართავს მისგან ისეთი თვითმამხილებელი მტკიცებულების ან სხვა სახის ჩვენების მისაღებად, რომლის მოპოვებაც გამოკითხვისას ვერ შეძლეს (ამ კონკრეტულ საქმეში - აღიარება პოლიციის ინფორმატორთან, რომელიც მომჩივანთან ერთად იჯდა საკანში), და ამ ხერხით მოპოვებული აღიარება ან განცხადება საქმის განხილვაზე წარმოდგენილია მტკიცებულების სახით.⁴¹

დუმილის უფლების გამოყენება იწყება პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის გამოკითხვის მომენტიდან.⁴² გარდა ამისა, პირს, რომელსაც „ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში“, მე-6 მუხლის მიზნებით, უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მის მიერ თვითმამხილებელი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების შესახებ.⁴³

თვითმამხილებელი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება სისხლის სამართლის წარმოებაში არ ვრცელდება ისეთ მასალებზე, რომლებიც შეიძლება მოპოვებული იყოს იძულებითი უფლებამოსილების გამოყენებით, ეჭვმიტანილის ნების მიუხედავად (მაგ.: დოკუმენტები, რომლებიც მოპოვებულია სასამართლოს ნებართვით; სისხლის, შარდის ან სხეულის სხვა ნიმუშები დნმ ტესტირების მიზნებისათვის).⁴⁴

აღსანიშნავია, რომ დუმილის უფლება აბსოლუტური არ არის.⁴⁵ ასეთი საქმეების განხილვისას სასამართლო აანალიზებს შემდეგ ელემენტებს:

- ამგვარი იძულების ბუნება და ხარისხი;
- პროცედურაში რომელიმე შესაბამისი გარანტიის არსებობა;
- ამგვარი მტკიცებულების შემდგომი გამოყენება და მისი მნიშვნელობა სამართალწარმოების შედეგისთვის.⁴⁶

41 *Allan v. the United Kingdom*, § 50.

42 *John Murray v. the United Kingdom* [GC], იქვე.

43 *Ibrahim and Others v. the United Kingdom* [GC], § 272.

44 *Saunders v. the United Kingdom*, § 69.

45 *John Murray v. the United Kingdom* [GC], § 47; *Ibrahim and Others v. the United Kingdom* [GC], § 269.

46 *Jalloh v. Germany* [GC], § 101; § 55; *Bykov v. Russia* [GC], § 104.

შესაბამისად, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის, სასჯელი არ უნდა ეფუძნებოდეს: მხოლოდ და მხოლოდ (ან უმთავრესად) ბრალდებულის დუმილს; უარს, პასუხი გასცეს კითხვებზე; ან თავად მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს; მეორე მხრივ კი, დუმილის უფლების გამოყენება ხელს ვერ შეუშლის, რომ ბრალდებულის დუმილი ისეთ სიტუაციებში, როდესაც აშკარად სავალდებულოა მისგან ახსნა-განმარტების გაკეთება, გათვალისწინებული იყოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დამაჯერებლობის შეფასებისას. ამგვარად, ვერ ვიტყვით, რომ ბრალდებულის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის წარმოებისას დუმილის უფლების გამოყენებაზე, არავითარ შემთხვევაში არ იქონიებს გავლენას სამართალწარმოების შედეგებზე.⁴⁷

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ საქმეებში 6(1) მუხლის თანახმად გამოქვეყნებული საკითხები საკმაოდ ხშირად უკავშირდება 6(3)(გ) მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს იურიდიულ დახმარებასთან მიმართებით. ამგვარად, ადვოკატის ხელმისაწვდომობა ადრეულ ეტაპზე პროცესუალური გარანტიაა. მას სასამართლო განსაკუთრებულად ითვალისწინებს, როდესაც განიხილავს საკითხს, დაარღვია თუ არა პროცედურამ თვითმხილების წინააღმდეგ არსებული პრივილეგიის მთელი არსი. საქმის სამართლიანი განხილვის უფლების საკმარისი „პრაქტიკულობისა და ეფექტიანობისთვის“, 6(1) მუხლის თანახმად, ადვოკატის ხელმისაწვდომობა, როგორც წესი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პოლიციაში ექვმიტანილის პირველივე დაკითხვისას. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც თითოეული საქმის გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, დასტურდება, რომ არსებობს ამ უფლების შეზღუდვის მნიშვნელოვანი მიზეზები.⁴⁸

1.3. დანაშაულის პროვოცირება

მტკიცებულებათა მოპოვების საშუალებებსა და სამართლიანი სასამართლო პროცესის მოთხოვნათა დარღვევასთან მიმართებით, ერთ-ერთი ყველაზე ფართო განხილვის საგანია ფარული და პროვოკაციული ტექნიკების გამოყენება საგამოძიებო ორგანოების მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს საჭიროებას, რომ ხელისუფლების ორგანოებმა მიმართონ სპეციალურ ფარულ საგამო-

47 *John Murray v. the United Kingdom* [GC], § 47.

48 *Salduz v. Turkey* [GC], §§ 54-55.

ძიებო მოქმედებებს, განსაკუთრებით, ნარკოტიკებით ვაჭრობის ან კორუფციის საქმეებზე. დადგინდა, რომ სპეციალური საგამოძიებო მეთოდების, კერძოდ, ამგვარი ფარული ტექნიკების გამოყენება, თავისთავად არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. თუმცა, ასეთ ტექნიკებთან დაკავშირებით არსებობს პოლიციის მხრიდან ნაქვებების რისკი, რის გამოც მათი გამოყენება მკაცრად უნდა შეიზღუდოს.⁴⁹ სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ პოლიციამ შეიძლება იმოქმედოს ფარულად, მაგრამ არა ნაქვებულურად.⁵⁰

სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გათვალისწინებით, კონვენცია სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე (იქ, სადაც ამას დანაშაულის ბუნება მოითხოვს) არ გამოორიცხავს ისეთი წყაროების გამოყენებას, როგორცაა ანონიმური ინფორმატორი. თუმცა, მათი ჩვენებების შემდგომი გამოყენება სასამართლო განხილვაზე ბრალის წარსადგენად, სხვა საკითხია.⁵¹

შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ საიდუმლო აგენტების გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს, თუმცა იმ პირობით, რომ მასზე გავრცელდება ამჟამად შეზღუდვა და გარანტიები; საზოგადოებრივი ინტერესი არ შეიძლება ამართლებდეს პოლიციის ნაქვებებით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას, ვინაიდან ეს ქმნის რისკს, რომ ბრალდებული დასაწყისიდანვე მოკლებული იქნება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.⁵²

იმის დასადგენად, დაცული იყო თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლება საიდუმლო აგენტების გამოყენების საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველ რიგში შეამოწმა, ხომ არ იყო დანაშაული პროვოცირებული (ე.ი. „აქვებების არსებითი კრიტერიუმები“) და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეეძლო თუ არა მომჩივანს პროვოკაციისგან დაცვა ეროვნული სასამართლოების წინაშე.⁵³ თუკი აგენტის ქმედებები მოიცავდა დანაშაულის პროვოცირებას (მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს ჰყავდა დაქირავებული, თუ კერძო პირს სახელისუფლებო ორგანოების დასახმარებლად) და ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები გამოყენებული

49 *Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 51.

50 *Khudobin v. Russia*, § 128.

51 *Teixeira de Castro v. Portugal*, § 35.

52 *Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 54; *Nosko and Nefedov v. Russia*, nos. 5753/09 და 11789/10, § 50, 2014 წლის 30 ოქტომბერი; *Tchokhoniidze v. Georgia*, no. 31536/07, § 44, 2018 წლის 28 ივნისი.

53 *Bannikova v. Russia*, §§ 37 and 51.

იყო მომჩივნის წინააღმდეგ, მის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში, სასამართლო დაადგენს კონვენციის 6(1) მუხლის დარღვევას.⁵⁴

ამგვარად, სასამართლოს მიდგომა პროვოკაციის გზით მტკიცებულებათა მოპოვებისადმი შემუშავდა ორი სახის კრიტერიუმის საფუძველზე: ნაქმეების არსებითი და პროცედურული შემოწმება.⁵⁵

ნაქმეების არსებითი ტესტი:

► იყო თუ არა გამოძიება „არსებითად პასიური“? ეს ნიშნავს, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისადმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომის გათვალისწინებით, შესწავლილი იქნება ფარული ოპერაციის მიზეზები და მისი განმახორციელებელი სახელისუფლებო ორგანოების ქცევა. კერძოდ, იგი განსაზღვრავს, არსებობდა თუ არა ობიექტური ეჭვი, რომ მომჩივანი მონაწილეობდა სისხლის სამართლის ქმედებაში, ან ჰქონდა თუ არა წინასწარი განწყობა დანაშაულის ჩასადენად.⁵⁶

ამასთანავე, სასამართლო შეისწავლის შემდეგ საკითხებს:

- მომჩივნის სისხლისსამართლებრივ დანაშაულში მონაწილეობის ნაქმეების ინიციატივა გამოჩენილი იყო რაიმე ობიექტური ეჭვის არარსებობისას, თუ მას წინასწარი განწყობა ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩასადენად;⁵⁷
- შეთავაზების დაჟინებით გამოვრება, მიუხედავად მომჩივნის თავდაპირველი უარისა;⁵⁸
- საშუალოზე მაღალი ფასის შეთავაზება;⁵⁹
- მომჩივნის თანაგრძნობაზე აპელირება, აბსტინენტური სიმპტომების ხსენებით.⁶⁰

ამგვარად, ასეთი ფაქტორები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ შეაფასა მომჩივანზე ზეწოლად, რომლის მიზანი იყო აღნიშნული

54 *Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 73.

55 *Matanović v. Croatia*, § 122; *Ramanauskas v. Lithuania* (no. 2), § 55.

56 *Bannikova v. Russia*, § 38.

57 *Burak Hun v. Turkey*, § 44; *Sepil v. Turkey*, § 34.

58 *Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 67, შეადარეთ, *Ramanauskas v. Lithuania* (no. 2), § 68, როდესაც მომჩივანმა თავად ითხოვა მასთან დაკავშირება.

59 *Malininas v. Lithuania*, § 37.

60 *Vanyan v. Russia*, §§ 11 და 49.

დანაშაულის ჩადენა, მიუხედავად იმისა, ეს აგენტი უშიშროების ძალების წევრი იყო, თუ მათი მითითებებით მოქმედი კერძო პირი.

- ▶ წარსული ნასამართლობა თავისთავად არ მიუთითებს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის განზრახვაზე.⁶¹ თუმცა, მომჩივნის საქმეში ჩახედულობა დანაშაულის ჩადენის მეთოდებთან მიმართებით⁶² და შეთავაზებისგან თავშეუკავებლობა (მიუხედავად არაერთი შესაძლებლობისა), ან დანაშაულის ხელისუფლებისთვის შეუტყობინებლობა, სასამართლომ მიიჩნია მითითებად წინასწარ არსებულ სისხლისსამართლებრივ ქმედებას ან განზრახვაზე.⁶³
- ▶ ღია იყო თუ არა წინასწარი გამოძიება ოპერაციამდე?
- ▶ შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ საიდუმლო აგენტები „შეუერთდნენ“ დანაშაულებრივ ქმედებას, ან „შეაღწიეს“ და არ ყოფილან მისი ინიციატორები. ამრიგად, საქმეში *Milinién v. Lithuania*, სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ზეგავლენა მოახდინა მიმდინარე მოვლენებზე, კონკრეტულად კი, კერძო პირს გადასცა ტექნიკური აღჭურვილობა საუბრების ჩასანერად და მხარი დაუჭირა წინადადებას მომჩივნის ფინანსური წახალისების შესახებ, მათი ქმედებები შეფასდა, როგორც სისხლისსამართლებრივ ქმედებაში «მონაწილეობა» და არა მათი ინიცირება, ვინაიდან საქმეში ინიციატივა საკუთარ თავზე კერძო პირმა აიღო.⁶⁴ აქედან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის 6(1) მუხლი არ დარღვეულა.
- ▶ სათანადოდ განხორციელდა თუ არა ოპერაციის ზედამხედველობა? აღნიშნული საგამოძიებო ღონისძიებების სანქციონების, განხორციელებისა და ზედამხედველობის მკაფიო და პროგნოზირებადი პროცედურების არარსებობით, წონასწორობის ბალანსი იხრება დასკვნისკენ, რომ აღნიშნული ქმედებები პროვოკაციაა:
 - როგორც აღინიშნა, შედარებით ახალ საქმეში *Tchokhonelidze v. Georgia* (§51), რომელიც მექრთამეობას შეეხებოდა და რომელშიც არ არსებობდა შესაბამისი ფარული ოპერაციის ოფიციალური ნებართვა და ზედამხედველობა. ამრიგად, ბ-ნი ელდარ ჭოხონელიძე, რეგონული ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირი,

61 Constantin and Stoian v. Romania, § 55.

62 Virgil Dan Vasile v. Romania, § 53.

63 Gorgievski v. the former Yugoslav Republic of Macedonia, § 53; Matanović v. Croatia, §§ 142-143.

64 Milinién v. Lithuania, §§ 37-38.

სხვა საკითხებთან ერთად, ასაჩივრებდა, რომ იგი პოლიციამ პროვოკაციაზე წამოაგო და ეს ფაქტი საქართველოს სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს. ის აცხადებდა, რომ საქმის სხვა მონშეები არ გამოუკითხავთ (იხ. ქვემოთ). კერძოდ, სასამართლომ მიუთითა საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობაზე, რომელიც არეგულირებს ფარულ ოპერაციებს, და დაადგინა, რომ სისხლის სამართალწარმოება არასამართლიანი იყო.

- საქმეში *Teixeira de Castro v. Portugal* (§38), სადაც სასამართლომ მიუთითა ფაქტზე, რომ საიდუმლო აგენტები არ ჩარეულან ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ბრძოლის ოფიციალურ ოპერაციაში, რომელსაც მოსამართლე ზედამხედველობდა.
- საქმეში *Ramanauskas v. Lithuania* [დიდი პალატა] (§64), სადაც არ იყო მითითებული, თუ რა მიზეზებმა ან პირადმა მოტივებმა აიძულა საიდუმლო აგენტი, საკუთარი ინიციატივით მიემართა მომჩივნისთვის, რასაც მისმა უფროსობამ ყურადღება არ მიაქცია.
- ფარული ოპერაციების განხორციელების სათანადო ნებართვის საკითხი ასევე აქტუალურია საქმეში *Vanyan v. Russia* (§§ 46-47), სადაც ასეთ ოპერაციაზე ნებართვა გაიცა უბრალო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის გამცემმა ორგანომაც მოგვიანებით განახორციელა აღნიშნული ოპერაცია. გარდა ამისა, ასეთი გადაწყვეტილება შეიცავდა ძალიან მცირე ინფორმაციას საკონტროლო შესყიდვის მიზეზებზე და ოპერაცია არ გამხდარა სასამართლო განხილვის ან სხვა სახის დამოუკიდებელი ზედამხედველობის საგანი.
- „საკონტროლო შესყიდვის“ ტექნიკა, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოდ იყენებენ საგამოძიებო ორგანოები, დეტალურად არის განხილული საქმეში *Veselov and Others v. Russia* (§ 127). მასში სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული პროცედურა არასრული იყო, რამაც მომჩივნები პოლიციის თვითნებური ქმედების ზემოქმედების ქვეშ მოაქცია და ჩრდილი მიაყენა მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სამართლიან წარმოებას. მან ასევე დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ ვერ განიხილეს მომჩივანთა შუამდგომლობა დანაშაულის პროვოცირებასთან დაკავშირებით (კერძოდ, საკონტროლო შესყიდვის მიზეზები და პოლიციისა თუ მათი ინფორმატორების ქცევა მომჩივანთა მიმართ).

ნაქეზების პროცესუალური ტესტი:

- ▶ დასაბუთებული საჩივარი ნაქეზების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესუალურ ნაწილთან მიმართებით. ამისათვის საჭიროა, იგი:
 - ეფექტიანად ჩამოყალიბდეს და წარედგინოს სასამართლოს. თავად ფაქტი, რომ ზოგადი გარანტიები (მაგ.: მხარეთა თანასწორობის ან თავდაცვის უფლება) დაცულია, საკმარისი არ არის.⁶⁵ ასეთ საქმეებში სასამართლომ მიუთითა, რომ ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს წამქეზებლობის არარსებობა, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის განცხადებები სრულად არ არის მოკლებული დამაჯერებლობას;
 - უზრუნველყოფდეს არსებით დაცვას ეროვნული კანონმდებლობით;
 - წარმოადგენდეს მტკიცებულებათა გამორიცხვის საფუძვლებს; ან
 - იწვევდეს ანალოგიურ შედეგებს.⁶⁶
- ▶ პროცესი უნდა ეფუძნებოდეს შეჯიბრებითობას, იყოს საფუძვლიანი, ყოვლისმომცველი და დამაჯერებელი დანაშაულის პროვოცირების საკითხთან მიმართებით.⁶⁷
- ▶ საიდუმლო აგენტებსა და სხვა მონშეებს, რომლებსაც ჩვენების მიცემა შეუძლიათ ნაქეზების საკითხზე, უნდა მოუსმინონ სასამართლოში. ისინი ჯვარედინად უნდა დაკითხოს დაცვის მხარემ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, წარმოდგენილი იყოს დეტალური დასაბუთება აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო. დანაშაულის პროვოცირების შედეგად მოპოვებული ყველა მტკიცებულება უნდა გამოირიცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ პოლიციის ოპერაცია ჩატარდა საკმარისი სამართლებრივი ჩარჩოს, ან ადეკვატური დაცვის გარანტიების გარეშე.⁶⁸ ასეთ სისტემაში, ფარული ოპერაციების კანონიერებისა და ამ ოპერაციისას ფარული აგენტების „არსებითი უმოქმედობის“ შემონშების ერთადერთი ეფექტიანი საშუალებაა დანაშაულის პროვოცირების შუამდგომლობის სასამართლო განხილვა.⁶⁹

65 *Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 69.

66 *Bannikova v. Russia* § 54.

67 იქვე, § 57.

68 *Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 60.

69 *Lagutin and Others v. Russia*, § 119.

- ▶ მემთ მოყვანილი ქართული (ბ-ნი ჭოხონელიძის) საქმის მსგავსად, ქრთამის აღების ბრალდებასთან მიმართებით იმპერატიულ მოთხოვნა ისიც, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებითაც აცილებულია მომჩივნის შუამდგომლობა დანაშაულის პროვოცირების შესახებ, ყოფილიყო სათანადოდ დასაბუთებული.⁷⁰

ამგვარად, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის პროვოცირების არსებით და პროცესუალურ ტესტზე მტკიცებულებათა მოპოვების შეფასებისას, სასამართლო განიხილავს „დანაშაულის პროვოცირების საქმის“ აღძვრისთვის საკმარისი მტკიცებულებების არსებობას. თუ იგი დარწმუნდება, რომ მომჩივნის საჩივარი აკმაყოფილებს „დანაშაულის პროვოცირების საქმეთა“ კატეგორიაში განხილვის მოთხოვნებს, პირველი ნაბიჯის სახით იგი შეფასებას განახორციელებს წამქეზებლობის არსებითი ტესტის მიხედვით. თუ ამ ტესტის თანახმად, ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე სასამართლო საკმარისი სიცხადით დაადგენს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა მომჩივნის ქმედებები არსებითად პასიურად გამოიძიეს და ის არ წაუქეზებიათ დანაშაულის ჩადენისკენ, ჩვეულებრივ, საკმარისი იქნება სასამართლოს დასკვნისთვის, რომ სისხლის სამართლის პროცესში ფარული მოქმედებებით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება მომჩივნის წინააღმდეგ არ არღვევს კონვენციის 6(1) მუხლს.

მეორე მხრივ, თუ სასამართლოს დასკვნა არსებით ტესტთან დაკავშირებით გადამწყვეტი არ არის ინფორმაციის სიმცირის, გაუმჯღუნებლობის, ან მხარეების მიერ მოვლენათა ურთიერთსაპირისპირო განმარტებების გამო, ან თუ სასამართლო ასეთი ტესტის საფუძველზე დაასკვნის, რომ მომჩივანი წააქეზეს 6(1) მუხლის დარღვევით, აუცილებელი იქნება, გადადგას მეორე ნაბიჯი და ჩაატაროს წამქეზებლობის პროცესუალური ტესტი. სასამართლოს განმარტებით, იგი აღნიშნულ ტესტს იყენებს შემდეგი საკითხების დასადგენად: გადადგეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა საჭირო ნაბიჯები წამქეზებლობის დასაბუთებული შუამდგომლობის გარემოებათა გამოსავლენად და, ასეთი დასკვნის შემთხვევაში, დადგინდა თუ არა წამქეზებლობის ფაქტი; ან, თუ ბრალდების მხარემ ვერ დაამტკიცა წამქეზებლობის არარსებობა, გაკეთდა თუ არა შესაბამისი დასკვნები კონვენციის თანახმად. სამართალწარმოება მომჩივნის წინააღმდეგ მოკლებული იქნებოდა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართლიანობას, თუკი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ქმედებებმა წააქეზა მომ-

70 *Tchokhonelidze v. Georgia*, § 52.

ჩივანი დანაშაულის ჩასადენად, რისთვისაც სასჯელი განესაზღვრა, ხოლო ეროვნულმა სასამართლოებმა წამქეზებლობის ბრალდებები სათანადოდ არ განიხილეს.⁷¹

1.4. უდანაშაულობის პრეზუმფცია

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა მოპოვების შეფასებისას, სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი ეფუძნება უდანაშაულობის პრეზუმფციას. ამ პრინციპის მიხედვით:

- (1) დაუშვებელია, საკუთარი მოვალეობების შესრულება სასამართლოს წევრებმა დაიწყონ წინასწარ შექმნილი აზრით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული;
- (2) მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს;
- (3) ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.⁷²

უნდა აღინიშნოს, რომ **6(2) მუხლი მოიცავს მთლიან სისხლის სამართლის პროცესს**, სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგების მიუხედავად, და არა მხოლოდ ბრალის არსებით განხილვას.⁷³ შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფცია ვრცელდება ბრალდებულის გამამართლებელი გადაწყვეტილების ძირითად ნაწილში წარმოდგენილ დასაბუთებაზე, რომლისგანაც მსჯელობის გამიჯვნა დაუშვებელია. იგი შეიძლება დაირღვეს, თუ მსჯელობა ასახავს მოსაზრებას, რომ ბრალდებული, ფაქტობრივად, დამნაშავეა.⁷⁴

და პირიქით, უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჩვეულებრივ, არ გამოიყენება პირის მიმართ სისხლის სამართლის ბრალის არარსებობის შემთხვევაში, მაგალითად, სისხლის სამართლის ბრალის წარდგენამდე მომჩივნის მიმართ ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორც საქმეზე *Gogitidze and Others v. Georgia*, §§125-126. შედარებისთვის იხილეთ *Batiashvili v. Georgia*, § 79. ამ საქმეში 6(2) მუხლი გამოიყენეს სახით გამოიყენეს მტკიცებულებით სავარაუდო მანიპულაციის შემთხვევაში, რომლის მიზანი იყო დანაშაულზე მინიშნება ბრალის ოფიციალურ წარდგენამდე. აღნიშნული მანიპულაციის შემდეგ, მომჩივანს ბრალი ძალიან მოკლე ვადაში წარედგინა.

71 *Matanović v. Croatia*, §§ 131-135; *Ramanauskas v. Lithuania* (no. 2), § 62.

72 *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, § 77.

73 *Minelli v. Switzerland*, § 30; *Garycki v. Poland*, § 68.

74 *Cleve v. Germany*, § 41.

ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანის უფლება, უდანაშაულოდ მიიჩნეოდეს და მოითხოვოს, რომ ბრალდების მხარეს დაეკისროს მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებების მტკიცების ტვირთი, კონვენციის 6(1) მუხლის შესაბამისად, აყალიბებს სამართლიანი სასამართლო მოსმენის ზოგად ცნებას, რომელიც სასჯელის დანიშვნის პროცედურაზე ვრცელდება.⁷⁵

6(2) მუხლის მოქმედების სფეროს გათვალისწინებით, ეს უკანასკნელი შეიძლება გავრცელდეს ისეთ სამართალწარმოებებში გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც არ იყო მიმართული მომჩივნის, როგორც „ბრალდებულის“ წინააღმდეგ; თუმცა ისინი შეეხებოდა და უკავშირდებოდა ამ პირის მიმართ თანადროულად მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესს, რომელიც მიზნად ისახავდა მისი ბრალეულობის წინასწარ შეფასებას⁷⁶(სხვა სიტყვებით, ე.წ. პარალელური სამართალწარმოებები). მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფცია მომჩივნის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ექსტრადიციის სამართალწარმოების ფარგლებში, თუკი კანონმდებლობაში, პრაქტიკაში, ან ფაქტობრივად, ახლო კავშირი არსებობდა ექსტრადიციის სამართალწარმოებისას გაკეთებულ სადავო ჩვენებებსა და თხოვნის წარმდგენ სახელმწიფოში მომჩივნის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის პროცესში გაკეთებულ სადავო განცხადებებს შორის.⁷⁷

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 6(2) მუხლის გამოყენება შესაძლებელია თანამონაწილეთა მიმართ პარალელურ სისხლის სამართლის პროცესში გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც სავალდებულო არ არის მომჩივანთან მიმართებით, რადგანაც პირდაპირი კავშირი არსებობდა მის წინააღმდეგ აღძრულ სამართალწარმოებასა და პარალელურ სამართალწარმოებას შორის.

ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა ასეთ პარალელურ სამართალწარმოებაში სასამართლოებს ეკისრებათ ვალდებულება, თავი შეიკავონ ნებისმიერი განცხადებისგან, რომელმაც შეიძლება წინასწარი განწყობა შექმნას განსახილველი საქმეების მიმართ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ არასავალდებულო ძალა აქვს.

გარდა ამისა, პირებს, რომლებიც სისხლის სამართლის ბრალისგან გათავისუფლდნენ, ან რომელთა მიმართაც გრძელდება სისხლის სამართლის

75 *Phillips v. the United Kingdom*, §§ 39-40.

76 *Diamantides v. Greece* (no. 2), § 35.

77 *Eshonkulov v. Russia*, §§ 74-75.

პროცესი, 6(2) მუხლი იცავს იმისგან, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირები და ხელისუფლება არ მოეპყრონ როგორც ფაქტობრივ დამნაშავეებს დანაშაულში, რომლისთვისაც ბრალი ჰქონდათ წაყენებული. შესაბამისად, ე.წ. შემდგომი სამართალწარმოება ასევე გათვალისწინებულია 6(2) მუხლის გარანტიებით.

ამგვარად, სასამართლომ განიხილა 6(2) მუხლის გამოყენება ისეთ სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულია სისხლის სამართლის საქმეების დასრულების შემდეგ. მათ შორისაა:

(ა) ყოფილი ბრალდებულის ვალდებულება სასამართლო ხარჯებისა და ბრალდების მხარის ხარჯების განვეის შესახებ;

(ბ) ყოფილი ბრალდებულის მიერ კომპენსაციის მოთხოვნა წინასწარი დაკავების ან არახელსაყრელ მდგომარეობაში სხვაგვარად ჩაყენების გამო, რაც გამოიწვია სისხლის სამართლის პროცესმა;

(გ) ყოფილი ბრალდებულის მიერ დაცვის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა;

(დ) ყოფილი ბრალდებულის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რაც გამოიწვია უკანონო ან არამართლზომიერმა გამოძიებამ ან სისხლისსამართლებრივმა დევნამ;

(ე) დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდის სამოქალაქო ვალდებულების დაცისრება;

(ვ) უარი მომჩივნის მიერ მზღვეველის წინააღმდეგ შეტანილ სამოქალაქო სარჩელებზე;

(ზ) ბავშვზე ზრუნვის ბრძანების ძალაში დატოვება, მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარე მიიღეს გადაწყვეტილებას, არ წარუდგინოს ბრალი მშობელს ბავშვზე ძალადობის გამო;

(თ) დისციპლინური ან თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხები;⁷⁸

(ი) სამართალწარმოება სისხლის სამართლის საქმის ხელახალ წარმოებაში მისაღებად, მას შემდეგ, რაც სასამართლომ კონვენციის

78 *Teodor v. Romania*, §§ 42-46, რომელიც შეეხება სამართალწარმოებას სამსახურიდან გათავისუფლებაზე.

დარღვევა დაადგინა უფრო ადრე განხილულ საქმეზე, რომელშიც მომჩივნებს მსჯავრდებულებივით ეპყრობოდნენ და ძალაში რჩებოდა თავდაპირველ მსჯავრთან დაკავშირებული ნასამართლობა;⁷⁹

(ვ) მომჩივნისთვის მიწის ჩამორთმევა, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გამო;⁸⁰

(ლ) მომჩივნის სოციალურ საცხოვრებელთან დაკავშირებული უფლებების გაუქმება⁸¹ და ა.შ.

(i) უარყოფითი წინასწარგანწყობის შემცველი მოსაზრებების გამოხატვა:

- ▶ 6(2) მუხლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, აიცილოს სამართლიანი სისხლის სამართლის პროცესის რეპუტაციის შელახვა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს უარყოფითი წინასწარგანწყობის გამოხატვით ამ სამართალწარმოების მიმართ; როდესაც ასეთი სამართალწარმოება არ მიმდინარეობს/მიმდინარეობდა, განცხადებები დანაშაულებრივი ან ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელი ქცევის შესახებ უფრო აქტუალურია ცილისწამებისგან დაცვის თვალსაზრისით, ასევე, სასამართლოს ხელმისაწვდომობისთვის, რომლის მიზანიც არის სამოქალაქო უფლებების განსაზღვრა, რაც, პოტენციურად, შეიძლება კონვენციის მე-8 და მე-6 მუხლების დარღვევაა.⁸²
- ▶ ამასთან, პრინციპულად უნდა განასხვავონ, ერთი მხრივ, განცხადება, რომ პირი უბრალოდ ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, და მეორე მხრივ, მკაფიო განცხადება გამამტყუნებელი განაჩენის არარსებობისას, რომ პირმა აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა.⁸³ ეს უკანასკნელი არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ხოლო პირველი მისაღებია სხვადასხვა სიტუაციაში, რომლებიც სასამართლომ განიხილა.⁸⁴
- ▶ მოსამართლეთა განცხადებები უფრო მკაცრ შესწავლას ექვემდებარება, ვიდრე საგამოძიებო ორგანოების განცხადებები.⁸⁵

79 *Dicle and Sadak v. Turkey*, §§ 61-66.

80 *G.I.E.M. S.R.L. and Others v. Italy* (არსებითი გარემოებები) [GC], §§ 314-318.

81 *Allen v. the United Kingdom* [GC], § 98, არაერთი შემდგომი მითითებით.

82 *Ismoilov and Others v. Russia*, § 160.

83 *Ismoilov and Others v. Russia*, § 166; *Neščák v. Slovakia*, § 89.

84 *Garycki v. Poland*, § 67.

85 *Pandy v. Belgium*, § 43.

- ▶ გარდა ამისა, თუ ასეთი განცხადებები საგამოძიებო ორგანოებმა გააკეთეს, მომჩივანს შესაძლებლობა აქვს, საჩივარი შეიტანოს სამართალწარმოების დროს, ან გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, თუკი დაწინაურებულია, რომ განცხადებამ სასამართლოს სამართლიანობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.⁸⁶

(ii) სასამართლო ორგანოების განცხადებები:

- ▶ ნ(2) მუხლი დაირღვევა, თუ სასამართლო გადაწყვეტილებაში იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაული, მის დამნაშავეობაზე მოსაზრება აისახება მანამდე, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონმდებლობის შესაბამისად. რაიმე კონკრეტული დასკვნის არარსებობის შემთხვევაშიც, საკმარისია გარკვეული დასაბუთების არსებობა, რომელიც იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ ბრალდებულ პირს სასამართლო დამნაშავედ აღიარებს.⁸⁷
- ▶ ამგვარი მოსაზრების ნაადრევი გამოხატვა თვით სასამართლოს მიერ, აუცილებლად გამოიწვევს აღნიშნული პრეზუმფციის დარღვევას.⁸⁸
- ▶ ფაქტმა, რომ მოსარჩელე საბოლოოდ ცნეს დამნაშავედ, ხელი არ უნდა შეუშალოს მას უდანაშაულობის პრეზუმფციის თავდაპირველი უფლებით სარგებლობაში, ვიდრე მისი ბრალეულობა კანონის თანახმად არ დამტკიცდება.⁸⁹

(iii) სახელმწიფო თანამდებობის პირთა განცხადებები:

- ▶ უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება დაირღვეს არა მხოლოდ მოსამართლის ან სასამართლოს, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდანაც.⁹⁰
 - ეს ვრცელდება, მაგალითად, შემდეგ პირებზე:
 - პოლიციის თანამშრომლები (*Allenet de Ribemont v. France*, §§ 37 და 41);
 - რესპუბლიკის პრეზიდენტი (*Peša v. Croatia*, § 149);

86 *Czajkowski v. Poland* (dec.)

87 იხ. როგორც წამყვანი ორგანო *Minelli v. Switzerland*, § 37; შედარებით ახალი, *Nerattini v. Greece*, § 23.

88 *Garycki v. Poland*, § 66.

89 *Matijašević v. Serbia*, § 49; *Nešťák v. Slovakia*, § 90, რომელიც შეეხება მომჩივნისთვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას.

90 *Daktaras v. Lithuania*, § 42; *Petyo Petkov v. Bulgaria*, § 91.

- პრემიერ-მინისტრი ან შინაგან საქმეთა მინისტრი (*Gutsanovi v. Bulgaria*, §§ 194-198);
 - იუსტიციის მინისტრი (*Konstas v. Greece*, §§ 43 და 45);
 - პარლამენტის თავმჯდომარე (*Butkevičius v. Lithuania*, § 53);
 - პროკურორი (*Daktaras v. Lithuania*, § 42);
 - პროკურატურის სხვა თანამშრომლები, მაგალითად, გამომძიებლები (*Khuzhin and Others v. Russia*, § 96).
- ▶ მეორე მხრივ, იმ პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარის განცხადებები, რომელიც სამართლებრივად და ფინანსურად დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან, მწვავე პოლიტიკური კლიმატის კონტექსტში, არ შეიძლება ჩაითვალოს საჯარო თანამდებობის პირის განცხადებად, რომელიც მოქმედებს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, 6(2) მუხლის შესაბამისად.⁹¹
 - ▶ მუხლი 6(2) კრძალავს სახელმწიფო თანამდებობის პირთა განცხადებებს მიმდინარე სისხლის სამართლის გამომძიებაზე, რომლებიც საზოგადოებაში აღძრავს რწმენას, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავეა, და მოიცავს ნაჩქარევ დასკვნას კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ ფაქტების შეფასებაზე.⁹²

(iv) უარყოფითი მედიაკამპანია:

- ▶ დემოკრატიულ საზოგადოებაში გარდაუვალია პრესის მწვავე კომენტარები ისეთ საქმეებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანია.⁹³
- ▶ თუმცა, მტრულმა მედიაკამპანიამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სასამართლოს სამართლიანობაზე, კერძოდ, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ ბრალდებულის ბრალეულობის დადგენის საკითხს.⁹⁴ გადამწყვეტია არა ეჭვმიტანილის სუბიექტური მოსაზრება წინასწარ შექმნილი აზრის არარსებობაზე, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოეთხოვება, არამედ შესაძლებელია თუ არა საქმის კონკრეტულ გარემოებებში მისი შიშის ობიექტურად გამართლება.⁹⁵

91 *Mulosmani v. Albania*, § 141.

92 *Ismoilov and Others v. Russia*, § 161; *Butkevičius v. Lithuania*, § 53.

93 *Akay v. Turkey* (dec.).

94 *Kuzmin v Russia*, § 62.

95 *Włoch v. Poland* (dec.), *Daktaras v. Lithuania* (dec.), *Mustafa Kamal Mustafa (Abu Hamza) (no. 1) v. the United Kingdom* (dec.), §§ 37-40, სასამართლოს მიუკერძოებლობაზე მედიაგამუქების ზეგავლენასთან მიმართებით.

- ▶ ეროვნული სასამართლოები, რომლებიც მთლიანად დაკომპლექტებულია პროფესიონალი მოსამართლეებით, ნაფიცი მსაჯულებისგან განსხვავებით, ფლობენ სათანადო გამოცდილებასა და ცოდნას. ეს მათ შესაძლებლობას აძლევს, შეენიანაღმდეგონ ნებისმიერ გარე ზემოქმედებას.⁹⁶
- ▶ ეჭვმიტანილთა ფოტოების გამოქვეყნება თავისთავად არ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას.⁹⁷ ტელევიზიით ეჭვმიტანილის ფოტოების ჩვენებამ შეიძლება ნამოჭრას საკითხი 6(2) მუხლის დარღვევაზე.⁹⁸

1.5. დაცვის უფლება

ვიდრე კონვენციის 6(3) მუხლის ზუსტი დებულებების ანალიზზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ზემოთ არის მითითებული, დაცვის მხარის უფლებათა სხვადასხვა ასპექტი უნდა განიხილებოდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების კონკრეტული ნაწილების სახით, რომლებიც გარანტირებულია კონვენციის 6(1) მუხლით.⁹⁹

ასევე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ 6(3) მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული გარანტიები სამართლიანი სასამართლოს ცნების მაგალითია ჩვეულებრივ პროცესუალურ სიტუაციებთან მიმართებით, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებში გვხვდება, მაგრამ მათი განუხრელი მიზანია, ყოველთვის უზრუნველყონ სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობა, ან ხელი შეუწყონ ამას. შესაბამისად, 6(3) მუხლით გათვალისწინებული გარანტიები თვითმიზანი არ არის და ისინი სათანადოდ უნდა განიმარტოს იმ ფუნქციებთან მიმართებით, რომლებიც აქვთ სამართალწარმოების მთლიან კონტექსტში.¹⁰⁰

1.5.1. ბრალის შეტყობინება და განმარტება

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 6(3) მუხლის თანახმად: „ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(ა) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დანვრილებით გააცნონ ნარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

96 *Craxi v. Italy* (no. 1), § 104; *Mircea v. Romania*, § 75.

97 *Y.B. and Others v. Turkey*, § 47.

98 *Rupa v. Romania* (no. 1), § 232.

99 *Sakhnovskiy v. Russia* [GC], § 94; *Gäfgen v. Germany* [GC], § 169.

100 *Ibrahim and Others v. the United Kingdom* [GC], § 251; *Mayzit v. Russia*, § 77.

(ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.“

შესაბამისად, ბრალდებულის შესაძლებლობა, ფლობდეს ინფორმაციას მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალის შესახებ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაცვის მოსამზადებლად. 6(3)(ა) მუხლი ბრალდებულს უზრუნველყოფს უფლებით, იყოს ინფორმირებული არა მხოლოდ ბრალდების „მიზემდეგობრიობაზე“ (ქმედებებზე, რომლებიც სავარაუდოდ ჩაიდინა და რომლებსაც ეფუძნება ბრალდება), არამედ ასევე ბრალდების „ბუნების“, ე.ი. აღნიშნული ქმედებების სამართლებრივი მახასიათებლების შესახებ.¹⁰¹ აუცილებელი არ არის, ინფორმაციაში მიეთითოს მტკიცებულება, რომელსაც ბრალი ეფუძნება.¹⁰² თუმცა, კონვენციის 6(3)(ა) მუხლი არ აწესებს რაიმე სპეციალურ ოფიციალურ მოთხოვნას, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ბრალდებულის ინფორმირება მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალის ბუნებასა და მიზემდეგობრიობაზე.¹⁰³ გარდა ამისა, ინფორმაცია ფაქტობრივად უნდა მიიღოს ბრალდებულმა: მხოლოდ სამართლებრივი ვარაუდი მიღების შესახებ არ კმარა.¹⁰⁴

ენა:

- ▶ თუ ცხადი გახდა მიზეზი ვარაუდისათვის, რომ ბრალდებულს არ აქვს იმ ენის საკმარისი ცოდნა, რომელზეც ინფორმაცია გადაეცა, ხელისუფლებამ ის უნდა უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით.¹⁰⁵
- ▶ ვინაიდან 6(3)(ა) მუხლში არ არის მითითებული, რომ შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს წერილობითი ფორმით - მათ შორის, წერილობითი თარგმანის სახით, თუკი უცხოელმა ბრალდებულმა არ იცის სასამართლოს მიერ გამოყენებული ენა - ის შეიძლება პრაქტიკულად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, თუ საბრალდებო დასკვნის წერილობითი თარგმანი არ მიეწოდება იმ ენაზე, რომელსაც ფლობს.¹⁰⁶

101 *Mattocchia v. Italy*, § 59; *Penev v. Bulgaria*, §§ 33 და 42, 2010 წლის 7 იანვარი.

102 *X. v. Belgium* (dec.).

103 *Pélissier and Sassi v. France* [GC], § 53; *Giosakis v. Greece* (no. 3), § 29.

104 *C. v. Italy* (dec.).

105 *Brozicek v. Italy*, § 41; *Tabai v. France* (dec.).

106 *Kamasinski v. Austria*, § 79; *Hermi v. Italy* [GC], § 68.

- ▶ ამის მიუხედავად, საკმარისი ინფორმაცია ბრალის შესახებ შეიძლება მიენოდოს საბრალდებო დასკვნის ზეპირი თარგმანის სახითაც, თუ ეს ბრალდებულს დაცვის მომზადების შესაძლებლობას მისცემს.¹⁰⁷
- ▶ 6(3)(ა) მუხლი არ ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო მასალების სრული თარგმანით.¹⁰⁸ თუმცა, ამისგან განსხვავებით, 6(3)(ე) მუხლით გარანტირებულია თარჯიმნის უფასო დახმარება სამართალწარმოებისას ყველა დოკუმენტისა და განცხადების ზეპირი/წერილობითი თარგმნის მიზნით, რათა ბრალდებულმა გაიგოს ან სასამართლოს ენაზე გადმოსცეს ის, რაც აუცილებელია მის მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისათვის.¹⁰⁹
- ▶ 6(3) მუხლი ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლო მოსმენაზე გაკეთებულ ზეპირ განცხადებებზე, არამედ დოკუმენტურ მასალებსა და წინასასამართლო სხდომებზეც.¹¹⁰
- ▶ თუმცა, საქმე არ მიდის წერილობით მტკიცებულებათა ყველა ნაწილის ან სამართალწარმოების ყველა წერილობითი დოკუმენტის წერილობითი თარგმანის მოთხოვნამდე.¹¹¹ მაგალითად, გადანაცვტილების წერილობითი თარგმანის არარსებობა თავისთავად არ გულისხმობს 6(3)(ე) მუხლის დარღვევას.¹¹² 6(3)(ე) მუხლის ტექსტში მითითებულია „თარჯიმანი“ და არა „მთარგმნელი“. ეს გულისხმობს, რომ ზეპირი ლინგვისტური დახმარება შეიძლება აკმაყოფილებდეს კონვენციის მოთხოვნებს.¹¹³
- ▶ თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება ეკისრება სახელმწიფოს, 6(3)(ე) მუხლის შესაბამისად, რომლითაც გარანტირებულია თარჯიმნის უფასო დახმარება.¹¹⁴

107 *Kamasinski v. Austria*, § 81; *Husain v. Italy* (dec.).

108 *X. v. Austria* (dec), გვ. 70.

109 *Luedicke, Belkacem and Koç v. Germany*, § 48; *Ucak v. the United Kingdom* (dec.).

110 *Kamasinski v. Austria*, § 74; *Hermi v. Italy* [GC], § 70.

111 *Kamasinski v. Austria*, § 74.

112 *Kamasinski v. Austria*, § 85.

113 *Husain v. Italy* (dec.); *Hermi v. Italy* [GC], § 70.

114 *Luedicke, Belkacem and Koç v. Germany*, § 45.

1.5.2. დაცვის დრო და შესაძლებლობა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 6(3) მუხლის თანახმად: „ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად“.

კონვენციის 6(3)(ბ) მუხლი მოიცავს ორ საკვანძო გარანტიას ყველასთვის, ვისაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში - ჰქონდეს (1) საკმარისი დრო და (2) საშუალება საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. ამგვარი დებულება გულისხმობს, რომ არსებითი დაცვის მოქმედება ბრალდებულის სახელით შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს, რაც „აუცილებელია“ სასამართლო განხილვის მოსამზადებლად. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სათანადოდ და შეუზღუდავად გაუწიოს ორგანიზება საკუთარ დაცვას, სასამართლოს წინაშე ყველა სათანადო არგუმენტის წარსადგენად და, ამგვარად, გავლენა მოახდინოს სამართალწარმოების შედეგზე.¹¹⁵

6(3)(ბ) მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მჭიდროდ უკავშირდება 6(3)(გ) მუხლის დებულებებს. ეს გულისხმობს უფლებას, სასამართლო პროცესზე თავი დაიკვას პირადად, ან ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, რაც განხილულია შემდეგ ქვეთავში. თუმცა, მტკიცებულებათა მოპოვების წესების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ინტერესი ჩნდება მტკიცებულების მისაწვდომობასთან დაკავშირებით:

- ▶ მუხლით გარანტირებულია ბრალდებულის წვდომა საქმის მასალებსა და მტკიცებულებათა გამჟღავნებაზე, რაც ამ კონტექსტში ემთხვევა მხარეთა თანასწორობის პრინციპებსა და შეჭიბველობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლოს, 6(1) მუხლის თანახმად.¹¹⁶
- ▶ ბრალდებულს არ უნდა მიეცეს პირდაპირი წვდომა საქმის მასალებზე: საკმარისია, ის ინფორმირებული იყოს საქმის მასალების შესახებ მისი წარმომადგენლის მეშვეობით.¹¹⁷ თუმცა, ბრალდებულის შეზღუდულმა წვდომამ სასამართლოს მასალებზე ხელი არ უნდა შეუშალოს მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობას სასამართლომდე; მას უნდა მიეცეს შე-

115 *Can v. Austria*, § 53; *Gregačević v. Croatia*, § 51.

116 *Rowe and Davis v. the United Kingdom* [GC], § 59; *Leas v. Estonia*, § 76.

117 *Kremzow v. Austria*, § 52.

საძლებლობა, რომ ზეპირ განხილვაზე კომენტარი გააკეთოს ამ მტკიცებულებებზე თავისი ადვოკატის მეშვეობით.¹¹⁸

- ▶ როდესაც ბრალდებულს ეძლევა ნებართვა, თვითონ დაიცვას თავი სასამართლოში, მისთვის საქმის მასალების წვდომაზე უარის თქმა დაარღვევს დაცვის უფლებას.¹¹⁹
- ▶ დაცვის ხელშესაწყობად, ბრალდებულს ხელი არ უნდა შეეშალოს საქმის მასალებიდან შესაბამისი დოკუმენტების ასლების მიღებასა და შეგროვებაში, ასევე, ნებისმიერი გაკეთებული შენიშვნის გამოყენებაში.¹²⁰
- ▶ საქმის მასალებზე წვდომა აბსოლუტური უფლება არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება აუცილებელი გახდეს დაცვის მხარისგან გარკვეული მტკიცებულებების დაფარვა, რათა დაცული იყოს სხვა პირთა ფუნდამენტური უფლებები, ან გარანტირებული იყოს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი, როგორცაა სახელმწიფო უსაფრთხოება, მოწმეების დაცვა და დანაშაულის გამოძიების საპოლიციო მეთოდების უსაფრთხოება. თუმცა, 6(1) მუხლის თანახმად, დასაშვებია დაცვის უფლების შემზღუდველი მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომენტები. სასამართლომ დეტალურად უნდა შეისწავლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რათა დარწმუნდეს, რომ იგი შეესაბამებოდა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო პროცესისა და მხარეთა თანასწორობის მოთხოვნებს, და უზრუნველყოს დაცვის სათანადო გარანტიები ბრალდებულის ინტერესების დასაცავად.¹²¹

1.5.3. იურიდიული დახმარების უფლება

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 6(3) მუხლის თანახმად: „ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.“

118 *Öcalan v. Turkey* [GC], § 140.

119 *Foucher v. France*, §§ 33-36.

120 *Moiseyev v. Russia*, §§ 213-218; *Matyjek v. Poland*, § 59; *Seleznev v. Russia*, §§ 64-69.

121 *Dowsett v. the United Kingdom*, §§ 42-43; *Mirilashvili v. Russia*, §§ 203-209.

წინამდებარე ქვეპუნქტით გარანტირებულია, რომ სამართალწარმოება ბრალდებული პირის მიმართ არ განხორციელდება საქმეში დაცვის სათანადო წარმომადგენლობის გარეშე.¹²²

იურიდიული დახმარების უფლება მოიცავს სამ სხვადასხვა უფლებას:

- თავის პირადად დაცვა სასამართლოში;
- თავის დაცვა საკუთარი არჩევანით, იურიდიული დახმარების საფუძველზე;
- გარკვეული პირობების შემთხვევაში, უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა.¹²³

(i) გამოყენების სფერო:

- ▶ აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პირი, რომელსაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, სამართალწარმოების ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს 6(3)(გ) მუხლის შესაბამისად.¹²⁴ ამგვარად, ასეთი დაცვა შეიძლება აქტუალური გახდეს საქმის სასამართლო განხილვაზე გაგზავნამდეც კი, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს სამართლიანობას შეიძლება სერიოზული ზიანი მიადგეს მე-6 მუხლის დებულებათა დარღვევის გამო.¹²⁵
- ▶ 6(3)(გ) მუხლის გამოყენება წინასასამართლო ეტაპზე (წინასწარი გამოძიების დროს) დამოკიდებულია სამართალწარმოების განსაკუთრებულ თავისებურებებსა და საქმის გარემოებებზე.¹²⁶
- ▶ გასათვალისწინებელია ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში გამართული ყველა სასამართლო განხილვა და სააპელაციო და საკასაციო სასამართლოთა როლი მათთან მიმართებით;¹²⁷ ასევე, ისეთი საკითხები, როგორცაა: აპელაციის უფლების ბუნება და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართლის წარმოების კონტექსტში; სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებათა სფერო; და როგორ იყო წარმოდგენილი და დაცული მომჩივნის ინტერესები სასამართლოს წინაშე.¹²⁸

122 *Pakelli v. Germany*, § 84.

123 იქვე, § 31.

124 *Imbrioscia v. Switzerland*, § 37.

125 *Öcalan v. Turkey* [GC], § 131; *Imbrioscia v. Switzerland*, § 36.

126 *Ibrahim and Others v. the United Kingdom* [GC], § 253; *Berliński v. Poland*, § 75

127 იქვე; *Monnell and Morris v. the United Kingdom*, § 56.

128 იქვე.

(ii) საკუთარი თავის პირადად დაცვის უფლება:

- ▶ მე-6 მუხლის მოთხოვნებს შეესაბამება ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის დაცვა მისი სურვილის შემთხვევაში, თუკი მართლმსაჯულების ინტერესები სხვა რამეს არ ითვალისწინებს.¹²⁹
- ▶ კონვენციის მე-6 მუხლის (1) და (3)(გ) პუნქტები ყოველთვის არ აძლევს ბრალდებულს უფლებას, გადაწყვიტოს, დაცვის რომელი საშუალება იქნება უმრუნველყოფილი.¹³⁰ 6(3)(გ) მუხლში მითითებულ ორ ალტერნატივას შორის არჩევანი - მომჩივნის უფლება, პირადად დაიცვას თავი სასამართლოში, ან წარმოდგენილი იყოს ადვოკატის მიერ - დამოკიდებულია პრინციპზე, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობაში გამოიყენება, ან სასამართლოს რეგლამენტზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, წევრი სახელმწიფოები სარგებლობენ დისკრეციული უფლებამოსილებით, თუმცა შემზღვევად.¹³¹
- ▶ უნდა აღინიშნოს, რომ თუ ბრალდებული ირჩევს საკუთარი თავის დაცვას, იგი ნებაყოფლობით ამბობს უარს ადვოკატის დაცვით სარგებლობაზე და მიიჩნევა, რომ მას ევალება გულმოდგინების გამოჩენა საკუთარი თავის დაცვისას.¹³²

(iii) იურიდიული დახმარება:

- ▶ როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველას უფლება, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ეფექტიანად დაცული ადვოკატის მიერ, სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა.¹³³ როგორც აღინიშნა, ეჭვმიტანილს უნდა მიეცეს იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება მისი საპოლიციო პატიმრობაში გადაყვანის, ან წინასწარი დაკავების მომენტიდან.¹³⁴
- ▶ ბრალდებულის უფლება, ეფექტიანად მონაწილეობდეს სისხლის სამართლის პროცესში, ზოგადად, მოიცავს არა მხოლოდ დასწრების, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, იურიდიული დახმარების უფლებასაც.¹³⁵ ანალოგიურად, მომჩივნის ადვოკატის დასწრება ვერ აანაზღაურებს ბრალდებულის არყოფნას.¹³⁶

129 *Galstyan v. Armenia*, § 91.

130 *Correia de Matos v. Portugal* (dec.).

131 *Correia de Matos v. Portugal* [GC], § 122.

132 *Melin v. France*, § 25.

133 *Salduz v. Turkey* [GC], § 51.

134 *Dayanan v. Turkey*, § 31.

135 *Lagerblom v. Sweden*, § 49; *Galstyan v. Armenia*, § 89.

136 *Zana v. Turkey* [GC], § 72.

- ▶ იურიდიული წარმომადგენლობის უფლება დამოკიდებული არ არის ბრალდებულის დასწრებაზე.¹³⁷ ფაქტი, რომ ბრალდებული, მიუხედავად სათანადო წესით გამოძახებისა, არ ცხადდება სასამართლოში, საპატიო მიზეზის არარსებობის შემთხვევაშიც კი, არ ამართლებს მისთვის უფლების ჩამორთმევას, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით.¹³⁸
- ▶ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ყველა პირის უფლება, დაიცვას ადვოკატმა საკუთარი არჩევნის საფუძველზე, აბსოლუტური არ არის.¹³⁹ მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, დაცული უნდა იყოს ბრალდებულის მიერ ადვოკატის შერჩევის უფლება¹⁴⁰, ეროვნულმა სასამართლოებმა შეიძლება უარი თქვან ამ არჩევანზე, როდესაც ეს, საკმარისი და რელევანტური საფუძვლით, აუცილებლად მიიჩნევა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.¹⁴¹ მაგალითად, მთლიანობაში განსახილველი სამართალწარმოების განსაკუთრებულმა ბუნებამ შეიძლება გაამართლოს ადვოკატის მონოპოლია ზეპირ მოსმენებზე წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.¹⁴²

(iv) უფასო იურიდიული დახმარება:

უფასო იურიდიული დახმარების უფლება განსაზღვრულია ნ(3)(გ) მუხლით. მასზე ვრცელდება ორი პირობა, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ერთობლიობაში:¹⁴³

- ▶ ამგვარი უფლების მოსაპოვებლად, მნიშვნელოვანია, ბრალდებულმა აჩვენოს, რომ მას არ აქვს საკმარისი საშუალებები იურიდიული დახმარების ხარჯების დასაფარად.¹⁴⁴ თუმცა, აუცილებელი არ არის ამის გაკეთება „ყოველგვარ ეჭვს მიღმა“: საკმარისია, არსებობდეს „რამდენიმე მითითება“ ამის შესახებ. სხვა სიტყვებით, აღნიშნულის დადგენა შეიძლება „საპირისპირო მითითებების არარსებობის“ საფუძველზე.¹⁴⁵ ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო ვერ ჩაანაცვლებს ეროვნულ სა-

137 *Van Geyseghem v. Belgium* [GC], § 34; *Campbell and Fell v. the United Kingdom*, § 99.

138 *Van Geyseghem v. Belgium* [GC], § 34; *Krombach v. France*, § 89; *Galstyan v. Armenia*, §89.

139 *Meftah and Others v. France* [GC], § 45; *Pakelli v. Germany*, § 31.

140 *Lagerblom v. Sweden*, § 54.

141 *Meftah and Others v. France* [GC], § 45; *Croissant v. Germany*, § 29.

142 *Meftah and Others v. France* [GC], § 47.

143 *Quaranta v. Switzerland*, § 27.

144 *Caresana v. the United Kingdom* (dec.).

145 *Tsonyo Tsonev v. Bulgaria* (no. 2), § 39.

სამართლოებს, რომ შეაფასოს მომჩივნის ფინანსური მდგომარეობა რეალურ დროში. ამის ნაცვლად, მან უნდა განიხილოს, მოქმედებდნენ თუ არა აღნიშნული სასამართლოები 6(1) მუხლის შესაბამისად, როდესაც საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებდნენ მტკიცებულებების შეფასების კუთხით.¹⁴⁶

- ▶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს მხოლოდ მაშინ ეკისრებათ უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფის ვალდებულება, „როდესაც ეს საჭიროა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე“.¹⁴⁷ ეს უნდა შეფასდეს მთლიანობაში საქმის ფაქტების გათვალისწინებით: მათ შორის იგულისხმება სიტუაცია არა მხოლოდ იურიდიული დახმარებით სარგებლობაზე გადანყვეტილების მიღებისას, არამედ მაშინაც, როდესაც ეროვნული სასამართლოები გადანყვეტილებას იღებენ საქმის არსებით გარემოებებზე.¹⁴⁸
- ▶ იმის დადგენისას, მოითხოვს თუ არა მართლმსაჯულების ინტერესები ბრალდებულის უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფას, სასამართლო ითვალისწინებს სხვადასხვა კრიტერიუმს, მათ შორის, დანაშაულის სიმძიმესა და შესაბამისი სასჯელის სიმკაცრეს.¹⁴⁹

1.5.4. მონშეთა დაკითხვა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 6(3) მუხლის თანახმად: „ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(დ) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მონშეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მონშეები ბრალდების მონშეთა თანაბარ პირობებში.“

i. მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი - მონშის დაკითხვის უფლება:

სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულების მოპოვების შეფასების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია დაცვის მიერ მონშეთა დაკითხვასთან დაკავშირებული უფლებები, რომლებიც მოცემულია 6(3)(დ) მუხლში. სამართლიანი სასამართლოს უფლების შეფასებისას, სასამართლო საქმისწარმოებას

146 *R.D. v. Poland*, § 45.

147 *Quaranta v. Switzerland*, § 27.

148 *Granger v. the United Kingdom*, § 46.

149 *Benham v. the United Kingdom* [GC], § 61; *Quaranta v. Switzerland*, § 33.

განიხილავს მთლიანობაში. მათ შორის იგულისხმება მტკიცებულების მოპოვების გზები, როგორც დაცვის, ასევე საზოგადოებისა და მსხვერპლის და, სადაც აუცილებელია, მოწმეთა ინტერესების გათვალისწინებით.¹⁵⁰

ამრიგად, ვინაიდან მტკიცებულების დასაშვებობა არის ეროვნული სამართლისა და სასამართლოების რეგულირების საკითხი, ევროპული სასამართლოს ერთადერთი ინტერესია იმის შემოწმება, იყო თუ არა წარმოებული სისხლის სამართლის საქმე სამართლიანად, კონვენციის მე-6 მუხლის (1) და (3)(დ) პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.¹⁵¹

ნ(3)(დ) მუხლი ადგენს პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, მსჯავრდება-მდე, ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული ყველა მტკიცებულება მისი თანდასწრებით უნდა წარადგინონ საჯარო სასამართლო განხილვის შეჯიბრებით პროცესზე, მტკიცებულებებთან დაკავშირებული არგუმენტების გასაზიარებლად. ამ პრინციპიდან გამონაკლისები დაშვებულია იმ პირობით, რომ დაცვის უფლებები არ შეიზღუდოს. როგორც წესი, ეს მოითხოვს, რომ ბრალდებულს საკმარისი შესაძლებლობები მიეცეს მონმის დასაკითხად, როდესაც იგი მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას სასამართლოს წინაშე,¹⁵² ან შემდგომ, სამართალწარმოების მოგვიანებით ეტაპზე. ამ პრინციპების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის მიერ დაკითხვისას, ასევე, სასამართლო გამოძიებისას, როდესაც მიიღება მონმის ჩვენება.¹⁵³

გარდა ამისა, კონვენციის მე-6 მუხლის (1) და (3)(დ) პუნქტები შეიცავს პრეზუმფციას, რომ სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულის წინააღმდეგ არ გამოიყენებოდეს ირიბ ჩვენებაზე დამყარებული მტკიცებულება. ასეთი მტკიცებულების საგამონაკლისო წესით გამოყენება გამართლებულია მაშინ, როდესაც მიიჩნევა, რომ ის ეხმარება დაცვის მხარეს.¹⁵⁴

ii. ტერმინი „მონმის“ ავტონომიური მნიშვნელობა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად ვხედავთ, რომ ტერმინს „მონმე“ ავტონომიური მნიშვნელობა აქვს საკონვენციო სისტემაში, ეროვ-

150 *Schatschaschwili v. Germany* [GC], §§ 100-101.

151 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC], § 118.

152 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC], § 118; *Hümmer v. Germany*, § 38; *Lucà v. Italy*, § 39; *Solakov v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, § 57.

153 *Schatschaschwili v. Germany* [GC], §§ 104-105.

154 *Thomas v. the United Kingdom* (dec.).

ნული კანონმდებლობით დადგენილი განმარტების მიუხედავად.¹⁵⁵ შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, ტერმინში „მონმე“ შეიძლება იგულისხმებოდეს:

- პირი, რომელმაც წარმოადგინა მტკიცებულება ეჭვმიტანილის პირისპირ ან პირთა ჯგუფს შორის ამოცნობის პროცესში (*Vanfuli v. Russia*, § 110);
- თანამესაკვე (*Kartvelishvili v. Georgia*, 17716/08, 7 ივნისი 2018 - საქმე ეხება სასამართლოთა უარს, მოესმინა პატიმრის თანამესაკვენებისთვის მის მიმართ ციხის წესების დარღვევის გამო აღძრული საქმისწარმოებისას, რაც დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი);
- თანაბრალდებული (*Trofimov v. Russia*, § 37);
- მსხვერპლი (*Vladimir Romanov v. Russia*, § 97);
- ექსპერტი მონმე (*Doorson v. the Netherlands*, §§ 81-82);
- პოლიციელი (*Ürek and Ürek v. Turkey*, § 50).

გარდა ამისა, 6(3)(დ) მუხლი შეიძლება გავრცელდეს დოკუმენტური ფორმატით არსებულ მტკიცებულებებზეც,¹⁵⁶ მათ შორის, იმ პოლიციელის მიერ მომზადებულ ანგარიშებზე, რომელმაც პირი დააკავა.¹⁵⁷

iii. სასამართლო პროცესებზე მონმეთა დაუსწრებლობა

- ▶ დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულება მოითხოვს, რომ დაცვის მხარის უფლებათა შემზღუდველი ნებისმიერი ზომა იყოს მკაცრად აუცილებელი.¹⁵⁸ ბრალდებულის უფლება, მოსამართლის წინაშე დაუპირისპირდეს მნიშვნელოვან მონმეს, სამართლიანი სასამართლოს არსებითი ელემენტია.¹⁵⁹
- ▶ ერთ-ერთ საკვანძო საქმეში *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC] (§§ 119-147) ბრალდების მხარის მონმეთა გამოუცხადებლობის შესახებ, სასამართლომ განსაზღვრა პრინციპები, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს მაშინ, როდესაც მონმე არ ესწრება

155 *Damir Sibgatullin v. Russia*, § 45; *S.N. v. Sweden*, § 45.

156 *Mirilashvili v. Russia*, §§ 158-159; *Chap Ltd v. Armenia*, § 48.

157 *Butkevich v. Russia*, §§ 98-99.

158 *Taräu v. Romania*, § 74; *Graviano v. Italy*, § 38.

159 *Taräu v. Romania*, § 74; *Graviano v. Italy*, § 38.

საჯარო სასამართლო პროცესს. ეს პრინციპები შეჯამებულია შემდეგნაირად:¹⁶⁰

ა) პირველ რიგში, სასამართლო განიხილავს საკითხს, არსებობდა თუ არა საკმარისი მიზეზი იმ მოწმის მტკიცებულების დასაშვებად ცნობისათვის, რომელიც არ დაესწრო სასამართლო სხდომას, იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც წესი, მოწმეები ჩვენებას აძლევენ სასამართლოზე და მათ დასასწრებად ყველა გონივრული ზომა უნდა იყოს მიღებული;

ბ) როდესაც საქმისწარმოების არცერთ წინარე ეტაპზე მოწმე არ გამოუკითხავთ, სასამართლო პროცესზე მისი ჩვენება ცოცხალ მტკიცებულებად დაიშვება უკიდურეს შემთხვევაში;

გ) იმ მოწმეთა ჩვენებების დასაშვებად მიჩნევა, რომლებიც არ ესწრებიან სასამართლო სხდომას, პოტენციურად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს განსასჯელს, რომელსაც არსებითად უნდა ჰქონდეს ეფექტიანი შესაძლებლობა მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულების უკუგდებისათვის. კერძოდ, მას უნდა შეეძლოს მოწმეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სისწორისა და სანდოობის შემოწმება მისი თანდასწრებით გამოკითხვით - ან როდესაც მოწმე ჩვენებას აძლევს, ან საქმისწარმოების მოგვიანებით ეტაპებზე;

დ) „ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულების წესის“ თანახმად, თუკი განსასჯელის მსჯავრდება დამოკიდებულია ძირითადად (ან მხოლოდ) იმ მოწმეთა ჩვენებებზე, რომელთა გამოკითხვასაც განსასჯელი საქმისწარმოების ვერცერთ ეტაპზე ვერ ახერხებს, მისი დაცვის უფლებები არასათანადოდ იზღუდება;

ე) თუმცა, ვინაიდან კონვენციის მე-6 მუხლი გულისხმობს სამართალწარმოების სამართლიანობის დადგენას მთლიანობაში, ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულების წესი არ უნდა გამოიყენებოდეს ხისტად;

ვ) მაშინაც კი, როდესაც ირიბი ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული ერთადერთი ან გადამწყვეტი ჩვენებაა, მისი დასაშვებად ცნობა ავტომატურად არ არღვევს მე-6 მუხლს.

160 *Seton v. the United Kingdom*, §§ 58-59; *Dimović v. Serbia*, §§ 36-40; *T.K. v. Lithuania*, §§ 95-96

- ▶ ამავდროულად, როდესაც მსჯავრდება ძირითადად ან უმეტესწილად ეყრდნობა იმ მონმის ჩვენებას, რომელიც სასამართლოში არ გამოცხადებულა, სასამართლომ საქმე განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეისწავლოს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, არსებობდა თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები, მათ შორის, სამართლიანი და სათანადო ზომები მტკიცებულებათა სანდოობისა და სარწმუნოობის შესაფასებლად.
- ▶ სასამართლომ ეს პრინციპები კიდევ უფრო დეტალურად ჩამოაყალიბა საქმეში *Schatschaschwili v. Germany* [GC] (§§ 111-131), სადაც დაადასტურა, რომ მონმის დაუსწრებლობის გონივრული მიზეზის არარსებობა, თავის მხრივ, არ მიუთითებს სასამართლო პროცესის უსამართლობაზე; თუმცა, ზოგადად სამართლიანობის შეფასებისას, ის ბალანსის დადგენის მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება და, შესაძლოა, სასამართლომ მიიჩნიოს, რომ ეს ბალანსი მე-6 მუხლის (1) და (3)(დ) პუნქტების დარღვევისკენ იხრება. გარდა ამისა, სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მისი მიზანია მთლიანობაში სასამართლო წარმოების სამართლიანობის დადგენა, უნდა განხილულიყო საკმარისი საპირწონე ფაქტორების არსებობა: ვერძოდ, არა მხოლოდ იმ საქმეებში, სადაც მონმის ჩვენება მომჩინის მსჯავრდების ერთადერთი და გადამწყვეტი საფუძველი იყო და ის სასამართლოში არ გამოცხადდა, არამედ იმ საქმეებშიც, სადაც გაურკვეველია, იყო თუ არა სადავო მტკიცებულება ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულება, მაგრამ მიიჩნეოდა, რომ ჰქონდა საკმარისი წონა და მისი დაშვება შესაძლოა დამაბიანებელი ყოფილიყო დაცვის მხარისათვის.
- ▶ არსებობს ვალდებულება, რომ როდესაც მონმე არ ესწრება სასამართლოში მტკიცებულების წარდგენას, ამას საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდეს.¹⁶¹ როგორც განმარტებულია საქმეში *Schatschaschwili v. Germany* [GC] (§113), მონმის დაუსწრებლობისთვის საფუძვლიანი მიზეზის არარსებობა თავისთავად არ მიუთითებს სასამართლოს უსამართლობაზე, თუმცა ზოგადად სამართლიანობის შეფასებისას ის ბალანსის გაზომვის მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება, რომელიც შეიძლება მე-6 მუხლის დარღვევისკენ გადაიხაროს.
- ▶ გარდა ამისა, ზემოხსენებულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ მონმის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი უნდა არსებობდეს საქ-

161 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC], § 120; *Gabrielyan v. Armenia*, §§ 78, 81-84.

მის განმხილველი სასამართლოს პერსპექტივიდან: კერძოდ, სასამართლოს უნდა ჰქონდეს სასამართლო სხდომაზე მოწმის დასწრების გამორიცხვის ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლები. თუკი მოწმის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არსებობდა ამის გათვალისწინებით, საქმის განმხილველ სასამართლოს საპატიო მიზეზი ან გასამართლებელი საფუძველი ჰქონდა დაუსწრებელი მოწმის გადაუმოწმებელი ჩვენებების დასაშვებად.¹⁶²

iv. მოწმის დაუსწრებლობის დამაბალანსებელი ფაქტორები:

- ▶ საქმეში *Schatschaschwili v. Germany* [GC] (§§ 126-131, დამატებითი რეფერენციებით) სასამართლომ ასევე განსაზღვრა გარკვეული ელემენტები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი დამაბალანსებელი ფაქტორები იყოს იმისთვის, რომ მოწმის დაუსწრებლობის შემთხვევაში სასამართლო სამართლიანად ჩაითვალოს. ესენია:
 - ეროვნული სასამართლოების ფრთხილი მიდგომა დაუსწრებელი მოწმის შეუმოწმებელი მტკიცებულებისადმი, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ასეთ მტკიცებულებას ჰქონდა ნაკლები წონა, და დეტალური არგუმენტაციის წარმოდგენა, თუ რატომ მიიჩნის ეს მტკიცებულება სანდოდ, მათ ხელთ არსებული სხვა მტკიცებულებების გათვალისწინებით.¹⁶³ დაუსწრებელ მოწმეთა მტკიცებულებებზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის მიცემული ნებისმიერი მითითება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი გარემოებაა;¹⁶⁴
 - გამოძიების ეტაპზე დაუსწრებელი მოწმის გამოკითხვის ვიდეოჩანაწერის არსებობა;
 - სასამართლო პროცესზე გამამყარებელი მტკიცებულების ხელმისაწვდომობა, რომელიც მხარს უჭერს გამოუკითხავი მოწმის ჩვენებას, ასეთია: სასამართლო პროცესზე იმ პირთა მიერ მიცემული ჩვენებები, რომლებსაც დაუსწრებელმა მოწმეებმა გაუზიარეს მათთვის ცნობილი გარემოებების შესახებ, ამ გარემოებების დადგომისთანავე; შემდგომი ფაქტობრივი მტკიცებულება, სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულება და ექსპერტის ანგარიშები; გარემოებების აღწერისას სხვა მოწმეთა მიერ მიცემულ ჩვენებებთან მსგავსება, კერძოდ, თუ ეს მოწმეები სასამართლო პროცესზე ჯვარედინად დაიკითხნენ.

162 *Schatschaschwili v. Germany* [GC], § 119.

163 *Przydział v. Poland*, § 53; *Daştan v. Turkey*, § 31.

164 *Simon Price v. the United Kingdom*, § 130.

- დაცვის მიერ მონმისთვის შეკითხვების ირიბად დასმის შესაძლებლობა, მაგალითად, წერილობითი ფორმით, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ან, როდესაც ეს შესაძლებელია, საქმისწარმოების წინასასამართლო ეტაპზე.¹⁶⁵ თუმცა, წინასასამართლო ეტაპზე მონმეთა დაპირისპირება გამომძიებლის წინაშე, რომელიც არ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს, ჰქონდა ფართო დისკრეცია შეკითხვების დასაბლოკად და, შესაბამისად, მომჩივანი არ იყო სათანადოდ წარმოდგენილი, ვერ ჩაანაცვლებს მონმეთა გამოკითხვას ღია სასამართლო პროცესზე.¹⁶⁶

v. ანონიმური მონმეები:

მიუხედავად იმისა, რომ ანონიმური და დაუსწრებელი მონმეების მიერ წარმოქმნილი პრობლემები იდენტური არ არის, თითოეული მათგანი განსასჯელს პოტენციურად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მთავარი პრინციპი ის არის, რომ სისხლის სამართლის საქმის განსასჯელს ჰქონდეს ეფექტიანი შესაძლებლობა მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულების გასაქარწყლებლად.¹⁶⁷

- ▶ უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ ანონიმური მონმის ჩვენების გამოყენება პირის მსჯავრდებისთვის ყველა გარემოებაში არ არის შეუთავსებელი კონვენციის მოთხოვნებთან.¹⁶⁸
- ▶ მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლი ცალსახად არ მოითხოვს მონმის ინტერესების გათვალისწინებას, სასწორზე შეიძლება აღმოჩნდეს მათი სიცოცხლე, თავისუფლება, ან უსაფრთხოება, ისევე, როგორც კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული ინტერესები. ამგვარად, სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპები მოითხოვს, რომ შესაბამის შემთხვევებში დაცვის ინტერესები დაბალანსდეს მონმის ან დაზარალებულის ინტერესებთან, რომლებიც ჩვენების მისაცემად არიან გამოძახებული.¹⁶⁹

165 *Paić v. Croatia*, § 47.

166 *Chernika v. Ukraine*, § 45.

167 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC], § 127.

168 *Doorson v. the Netherlands*, § 69; *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, § 52.

169 *Doorson v. the Netherlands*, § 70; *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, § 53.

- ▶ ხელისუფლებამ საკმარისი და საფუძვლიანი მიზეზები უნდა წარადგინოს გარკვეული მოწმეების ვინაობის გასაიდუმლოებასთან მიმართებით.¹⁷⁰
- ▶ მომჩივანს უნდა ჰქონდეს საშუალება, შეამოწმოს ანონიმური მოწმის სანდოობა.¹⁷¹

vi. მოწმეები სექსუალური ძალადობის საქმეებზე

- ▶ სექსუალურ დანაშაულთან დაკავშირებულ სისხლის სამართალწარმოების პროცესში გარკვეული ზომები უნდა გატარდეს დაზარალებულის დასაცავად, იმ პირობით, რომ ასეთი ზომების პარალელურად, დაცვის ექნება თავისი უფლებებით ეფექტიანი და ადეკვატური სარგებლობის შესაძლებლობა. დაცვის უფლებების გათვალისწინებისას, სასამართლო ხელისუფლება ვალდებულია, გაატაროს ზომები, რომლებიც დააბალანსებს დაცვისთვის შექმნილ დაბრკოლებებს.¹⁷²
- ▶ სექსუალურ დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოების სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით, 6(3)(დ) მუხლი ყველა შემთხვევაში ვერ განიმარტება ისე, რომ ბრალდებულს ან მის ადვოკატს ჰქონდეს ჯვარედინად დაკითხვის, ან სხვა გზით შეკითხვების პირდაპირ დასმის შესაძლებლობა.¹⁷³
- ▶ ბრალდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს, მოწმის დაკითხვისას დააკვირდეს მის ქცევას, გააპროტესტოს მისი ჩვენებები და ეჭვქვეშ დააყენოს მათი სანდოობა.¹⁷⁴

vii. ბრალდებულის დაცვის მიზნით მოწმის დაბარების უფლება:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უნივერსალური მიდგომით, ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაში შედის მათთვის წარდგენილი მტკიცებულებების შეფასება და დადგენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მტკიცებულებები, რომელთა წარდგენაც სურს მოპასუხეს. კონვენციის მე-6 მუხლი ასევე განსაზღვრავს ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვითაც სასამართლოების გადასაწყვეტია, მიზანშეწონილია თუ არა

170 *Doorson v. the Netherlands*, § 71; *Sapunarescu v. Germany* (dec.).

171 *Birutis and Others v. Lithuania*, § 29; *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, §§ 59, 62.

172 *Aigner v. Austria*, § 37; *Accardi and Others v. Italy* (dec.); *Vronchenko v. Estonia*, § 56.

173 *S.N. v. Sweden*, § 52; *W.S. v. Poland*, § 55.

174 *Accardi and Others v. Italy* (dec.); *S.N. v. Sweden*, § 52.

მონმის გამოძახება. ეს მუხლი არ ითხოვს ბრალდებულის ინტერესებში ყველა მონმის გამოძახებასა და დაკითხვას; როგორც მიუთითებს სიტყვები „თანაბარ პირობებში“, მუხლის ძირითადი მიზანია მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა.¹⁷⁵

როგორც ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კარგად დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალში, საქმეში *Perna v. Italy* [GC], § 29 (*Bacanu and SC R S.A. v. Romania*, § 75, etc) სასამართლოს განცხადებით, არ კმარა მხოლოდ მოპასუხის საჩივარი, რომ მას არ მიეცა გარკვეული მონმეების გამოკითხვის საშუალება: მან თავისი მოთხოვნა უნდა გაამყაროს განმარტებით, თუ რატომ იყო ამ მონმეების გამოკითხვა მნიშვნელოვანი, და რომ ეს მტკიცებულება აუცილებელი გახლდათ სიმართლის დასადგენად, ასევე, დაცვის უფლებების უზრუნველსაყოფად.

მე-6 მუხლი არ ანიჭებს მოპასუხეს შეუზღუდავ უფლებას, რომ მოითხოვოს მონმის დაბარება სასამართლოში. ზოგადად, ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაში შედის გადანყვეტილების მიღება, რამდენად აუცილებელი ან მიზანშეწონილია მონმის დაბარება მისგან ჩვენების ასაღებად.¹⁷⁶

როდესაც მოპასუხის თხოვნა მონმის გამოძახებაზე არ არის განპირობებული არაკეთილსინდისიერი მოტივით, საკმარისად დასაბუთებულია, უკავშირდება ბრალდების არსს და არსებობს ობიექტური ალბათობა, რომ ჩვენებამ შეიძლება გააძლიეროს დაცვის პოზიცია, ან გამოიწვიოს ბრალდებულის გამართლება კი, ეროვნულმა ხელისუფლებამ საფუძვლიანი მიზეზები უნდა დაასახელოს, თუ რატომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის თხოვნა.¹⁷⁷

1.6. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა და სასამართლო კონტროლი

როგორც ზემოთ აღინიშნა, მტკიცებულებათა მოპოვების წესების განხილვისას შედარებით ბუსტი წარმოდგენის შესაქმნელად, აუცილებელია მე-5 მუხლით განსაზღვრული რამდენიმე არსებითი უფლების განხილვა. პრო-

175 ბევრ სხვასთან ერთად, იხ: *Perna v. Italy* [GC], § 29; *Solakov v. the Former Yugoslav Republic of Macedonia*, § 57.

176 მაგ.: იხ: *S.N. v. Sweden*, § 44; *Accardi and Others v. Italy* (dec.)

177 *Topic v. Croatia*, § 42; *Polyakov v. Russia*, §§ 34, 35.

ცესუალური ასპექტები, რომლებიც ძირითადად მე-6 მუხლის სხვადასხვა ასპექტს მიეკუთვნება, შემდეგ ქვეთავებში განიხილება.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება „დემოკრატიული საზოგადოების“ უმაღლესი ღირებულებაა კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში.¹⁷⁸ თავისუფლების აღკვეთის სავარაუდოდ ფაქტს სასამართლო დამოუკიდებლად აფასებს, რაც არ უკავშირდება ამგვარი მდგომარეობის კლასიფიკაციას შიდასახელმწიფოებრივი ინსტანციების მიერ.¹⁷⁹

მუხლი 5 - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად...“

5(1) მუხლის, კერძოდ, მისი პირველი წინადადების გათვალისწინებით, რომელიც სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვან თავიანთ იურისდიქციაში მყოფი პირების თავისუფლება, სახელმწიფო ვალდებულია, გაატაროს ზომები შესაბამის პირთა ეფექტიანად დასაცავად.

წინამდებარე კვლევის მთავარი მიზნის გათვალისწინებით, ყურადღება დაეთმობა საკითხებს, რომლებიც ძირითადად გამომდინარეობს შემდეგი მუხლებიდან: 5(1)(გ) - წინასწარი დაკავება; და 5(3) - მოსამართლის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენის უფლება და საქმის გონივრულ ვადაში განხილვის, ან საქმის განხილვის განმავლობაში გათავისუფლების უფლება.¹⁸⁰

შესაბამისად, 5(1)(გ) მუხლით ნებადართულია „პირის კანონიერი დაკა-

178 *Medvedyev and Others v. France* [GC], § 76; *Ladent v. Poland*, no. 11036/03, § 45, 2008 წლის 18 მარტი.

179 *H.L. v. the United Kingdom*, § 90; *Creangă v. Romania* [GC], § 92.

180 5(1) მუხლის დანარჩენი დებულებები არეგულირებს თავისუფლების აღკვეთის სხვა მიზეზებს, მაგალითად: მუხლი 5(1)(ა) - დაპატიმრება მსჯავრდების შემდეგ; მუხლი 5(1)(ბ) - დაკავება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლო ბრძანების ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის; მუხლი 5(1)(დ) - არასრულწლოვნის დაკავება; მუხლი 5(1)(ე) - დაკავება სამედიცინო ან სოციალური მიზეზით; მუხლი 5(1)(ვ) - უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკავება. მე-5 მუხლის დანარჩენი დებულებები მოიცავს შემდეგ უფლებებს: ინფორმაციის მიღების უფლება დაკავების მიზეზების შესახებ - მუხლი 5(2); სასამართლოსადმი მიმართვის უფლება დაკავების მართლზომიერების გასაჩივრების მიზნით - მუხლი 5(4); და კომპენსაციის მიღების უფლება არამართლზომიერი დაპატიმრების ან დაკავებისათვის - მუხლი 5(5).

ვება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენისა თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.“

ვინაიდან შემდეგი თავები შეიცავს დოკუმენტების ნიმუშებს, რომლებიც მონაწილე მხარეებმა უნდა შეადგინონ სისხლის სამართლის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე, 5(1) მუხლის ანალიზის პრაქტიკული მიდგომა წარმოდგენილია ქვემოთ.

ვადები, 5(1) მუხლის სხვადასხვა დებულების პრაქტიკული გამოყენება:

- ▶ 5(1)(გ) მუხლით გათვალისწინებული გარანტიები, ძირითადად, წინასწარი დაკავების პერიოდს მოიცავს. სასამართლოს (პირველი ინსტანციის) მიერ განაჩენის გამოტანისთანავე, მუხლი 5(1)(გ) იცვლება მუხლით 5(1)(ა).
- ▶ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომჩივანი შემდგომში მიმართავს სააპელაციო სასამართლოს (რომელსაც, სავარაუდოდ, გამოაქვს „საბოლოო“ გადაწყვეტილება), სასამართლოსა და სააპელაციო გადაწყვეტილებებს შორის მისი დაკავება რეგულირდება 5(1)(ა) მუხლით, და არა 5(1)(გ) მუხლით.
- ▶ თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი იცვლება კასაციის ან საზედამხებველო განხილვის შედეგად, დაკავება კვლავ რეგულირდება 5(1)(გ) მუხლით.
- ▶ გარდა ამისა, დაპატიმრების პერიოდის გასვლისთანავე, პირი უნდა გაათავისუფლონ ან დააკავონ სასამართლოს ბრძანების შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ დაკავება შეიძლება იყოს ორი სახის: (ა) გამოძიების დროს, ე.ი. კომპეტენტური უწყების, პოლიციის ან პროკურატურის მიერ **„საქმის გამოძიების პერიოდში“** და (ბ) „სასამართლოს წინაშე“ (ანუ **„სასამართლო განხილვის“** პროცესში) სასამართლო მოსმენების ეტაპზე (თავის მხრივ შედგება ორი ნაწილისგან - წინასასამართლო მოსმენები და საქმის არსებითი განხილვა). კანონიერების კრიტერიუმები შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუ სასამართლო გადაწყვეტილება მოიცავს დაკავების მთელ პერიოდს. აქედან გამომდინარე:

- ▶ პოლიციელების მიერ დაკავების აღრიცხვის გაჭიანურებამ შეიძლება წარმოშვას 5(1)(გ) მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევა.

- ▶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, ერთდღიანი დაკავებაც კი, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით არ არის გათვალისწინებული, შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს.¹⁸¹
- ▶ თუ მომჩივნის მიყვანა დაკავების ცენტრში არ აღირიცხება დაკავებული პირის სარეგისტრაციო წიგნში, ან აღირიცხება დაგვიანებით, აღურიცხავი პერიოდი წარმოადგენს არაღიარებულ დაკავებას. პირის არაღიარებული დაკავება ნიშნავს კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი გარანტიების სრულ უარყოფას და ამ დებულების ყველაზე სერიოზულ დარღვევაზე მეტყველებს.¹⁸² არაღიარებული დაკავება, მისი ხანგრძლივობის მიუხედავად, მე-5 მუხლის დარღვევაა.

გარდა ამისა, 5(1) მუხლის მოთხოვნებისა და დებულებების გათვალისწინებით, იმისთვის, რომ ასეთი ჩარევა, როგორც დაპატიმრება ან დაკავება, კანონიერი იყოს, რამდენიმე საკვანძო მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ:

- ▶ დაკავება უნდა შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას. ამგვარად, როდესაც წამოიჭრება დაკავების „კანონიერების“ საკითხი, კონვენცია, ძირითადად,¹⁸³ ეროვნულ კანონმდებლობაზე მიუთითებს.¹⁸⁴ კანონიერებისთვის, „დაკავება უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ პროცედურას“. ამგვარად, სასამართლო განიხილავს, რამდენად შეესაბამება მოსარჩელის მდგომარეობა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, როგორც წესი, უნდა განმარტონ და გამოიყენონ ეროვნული კანონმდებლობა (იხ. ქვემოთ), აქ საპირისპირო მდგომარეობაა, რამდენადაც ეროვნული კანონმდებლობის შესაძლო დარღვევა იწვევს კონვენციის დარღვევას. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის დარღვევა, როდესაც ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში წარედგინა განცხადება დაკავების ვადის გაგრძელებაზე.¹⁸⁵ პირიქით, ცირკულარის სავარაუდო დარღვევამ, რომელიც შეეხებოდა გარკვეული სახის დანაშაულებზე მო-

181 *Sergey Solovyev v. Russia*, no. 22152/05, § 60.

182 *Menesheva v. Russia*, no. 59261/00, § 84, *Belevitskiy v. Russia*, § 83.

183 რამდენიმე საქმეში ეს შეიძლება ასევე იყოს მოქმედი საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დებულებები (მაგ.: *Medvedyev and Others v. France* [GC], § 79).

184 *Khudoyorov v. Russia*, no. 6847/02, § 149.

185 *G.K. v. Poland*, § 76

კვლევის ჩატარებას, არ გააუქმა დაპატიმრებისა და შემდგომი დაკავების შიდასახელმწიფოებრივი კანონიერი საფუძველი.¹⁸⁶

- ▶ დაკავება უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივი სიცხადის პრინციპს. ეს ნიშნავს იმასაც, რომ თავისუფლების აღკვეთის პირობები მკაფიოდ განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით და თავად კანონი გამოყენებისას იყოს განჭვრეტადი, რათა შეესაბამებოდეს კონვენციით დადგენილ „კანონიერების“ სტანდარტებს. აქედან გამომდინარეობს სტანდარტი, რომელიც მოითხოვს ყველა კანონის საკმარის სიზუსტეს, რათა პირს - საჭიროების შემთხვევაში, სათანადო კონსულტაციის შემდეგ - მიეცეს შესაძლებლობა, რამდენადაც გონივრულია აღნიშნულ ვითარებაში, განჭვრიტოს მოცემული ქმედების შესაძლო შედეგები.¹⁸⁷ ამგვარად, მაგალითად, პირის დაკავება საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, ეროვნული კანონმდებლობის ან პრეცედენტული სამართლის რომელიმე კონკრეტული საფუძვლის გარეშე, 5(1) მუხლის დარღვევაა.¹⁸⁸ ანალოგიურად, წინასწარი პატიმრობის ვადის ავტომატური გაგრძელების პრაქტიკა ზუსტი საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე, ეწინააღმდეგება 5(1) მუხლს.¹⁸⁹ და პირიქით, საბრალდებო პალატის ბრძანების საფუძველზე, დაკავების ოფიციალური ბრძანების გარეშე წინასწარი დაკავების ვადის გაგრძელება, რომლის მოთხოვნაც დამატებითი გამოძიების ჩატარება იყო, არ მიუთითებდა ამ მუხლის დარღვევაზე.¹⁹⁰
- ▶ თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა არ უნდა იყოს თვითნებური, კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში. ამრიგად, 5(1) მუხლის „**თვითნებობის**“ ცნება სცილდება ეროვნულ კანონმდებლობასთან შეესაბამების ფარგლებს: თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს კანონიერი ეროვნული კანონმდებლობით, მაგრამ მაინც თვითნებური და, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდეს კონვენციას.¹⁹¹ მაგალითად, გარკვეულ სიტუაციებში, როდესაც დაკავება ტექნიკურად კანონიერია ეროვნული კანონმდებლობით, მაგრამ განხორციელებულია თვითნებურად, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს 5(1) მუხლის დარღვევა¹⁹² (მაგ.: ეროვ-

186 *Talat Tepe v. Turkey*, § 62

187 *Creangă v. Romania*, § 120; და *Medvedyev and Others v. France* [GC], § 80.

188 *Baranowski v. Poland*, §§ 50-58.

189 *Svipsta v. Latvia*, § 86.

190 *Laumont v. France*, § 50.

191 *A. and Others v. the United Kingdom* [GC], § 164; „თვითნებობის“ ცნებასთან დაკავშირებული პრინციპების მიმოხილვისთვის, იხ: *Saadi v. the United Kingdom* [GC], §§ 68-74.

192 *Khudoyorov v. Russia*, no. 6847/02, § 124; *Fedotov v. Russia*, no. 5140/02, § 74.

ნული სასამართლოს გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შესახებ, თუ იგი შესრულებულია წინასწარ მომზადებული შაბლონის მიხედვით, და მითითებული არ არის საფუძვლები, რომლებიც პირადად მომჩივანს ეხება, თვითნებურია¹⁹³). ზოგადად, ისეთი საკითხების მიუთითებლობა, როგორცაა დაკავების თარიღი, დრო და ადგილმდებარეობა, დაკავებული პირის სახელი და გვარი, დაკავების მიზეზი და დაკავების განმახორციელებელი პირის სახელი და გვარი, უნდა ჩაითვალოს კანონიერების მოთხოვნებთან შეუსაბამოდ.¹⁹⁴ უკიდურესად მოკლე წინასწარი დაკავების ორდერი, სადაც არ არის მითითებული სამართლებრივ დებულებებზე, რომლებიც დაკავების უფლებას იძლევა, ასევე აღძრავს თვითნებობის პრობლემას.¹⁹⁵

- ▶ თავისუფლების აღკვეთა დასაბუთებული უნდა იყოს სათანადო სასამართლო ბრძანებით. ეს ნიშნავს, რომ დაკავების ვადა, ფაქტობრივად, „კანონიერია“, თუ სასამართლო ბრძანებას ემყარება. მაგალითად, დაკავების ბრძანებები ბათილად უნდა ეცნოთ საქმეებში, სადაც დაინტერესებულ მხარეს სათანადო წესით არ ეცნობა სასამართლო მოსმენის შესახებ¹⁹⁶, ეროვნულმა სასამართლოებმა არ მოიკვლიეს ეროვნული კანონმდებლობით სავალდებულო საშუალებები,¹⁹⁷ ან ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სათანადოდ ვერ განიხილეს თავისუფლების ალტერნატივა.¹⁹⁸ მეორე მხრივ, სადაც არ არსებობდა მტკიცებულება, რომ ეროვნული სასამართლოების ქმედებამ წარმოშვა „მძიმე ან აშკარა ხარვეზები“, სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავება კანონიერი იყო.¹⁹⁹
- ▶ გათავისუფლების ბრძანების აღსრულების გაჭიანურება დაუშვებელია. ფაქტობრივად, სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება საქართველოზე უკავშირდებოდა ამ ტიპის საქმეებს. შესაბამისად, თენგიზ ასანიძე, ბათუმის ყოფილი მერი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას მისი დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა შეიწყალა 1999 წელს,²⁰⁰ პირველი მსჯავრდების შემთხვევაში, და მართლდა მეორე მსჯავრდებასთან მიმართებით. სასამართლომ დაა-

193 *Belevitsky v. Russia*, § 92

194 *Menesheva v. Russia*, no. 59261/00, § 87

195 *Khudoyorov v. Russia*, § 157.

196 *Khudoyorov v. Russia*, § 129.

197 *Lloyd and Others v. the United Kingdom*, §§ 108 და 116.

198 *იქვე*, § 113.

199 *იქვე*, § 114.

200 *Assanidze v. Georgia* [GC], § 173.

დგინა, რომ მომჩივნის დაკავება იყო თვითნებური და დაასკვნა, რომ სახელმწიფომ უმოკლეს ვადებში უნდა უზრუნველყოს მომჩივნის გათავისუფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა შემდეგ საკითხს: კონვენციის დებულებებს მკაცრად ეწინააღმდეგება ფაქტი, რომ პირს უნდა გაუგრძელდეს თავისუფლების აღკვეთა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სასამართლო ბრძანება მისი გათავისუფლების შესახებ.²⁰¹ ამასთან, სასამართლო აღიარებს, რომ გარკვეული შეყოვნება დაკავებული პირის გათავისუფლების გადანყვეტილების აღსრულებასთან მიმართებით გასაგებია და, ხშირად, გარდაუვალიც. ამის მიუხედავად, ეროვნულმა ხელისუფლებამ ეს მინიმუმამდე უნდა შეამციროს.²⁰² მომჩივნის „დაუყოვნებლივი“ გათავისუფლების გადანყვეტილების აღსრულების 11-საათიანი გაჭიანურება სასამართლომ აღიარა, როგორც შეუსაბამო კონვენციის 5(1) მუხლთან.²⁰³

- ▶ ეროვნული ხელისუფლების ორგანოთა გადანყვეტილებები კარგად უნდა დასაბუთდეს, რათა შეესაბამებოდეს თვითნებობის დაუშვებლობის მოთხოვნებს. ამგვარად, დაუსაბუთებლობა ან დაკავების ორდერის არასაკმარისი დასაბუთება ერთ-ერთი ნაწილია, რომელსაც სასამართლო ითვალისწინებს 5(1) მუხლით განსაზღვრული დაკავების კანონიერების შეფასებისას. ამრიგად, სასამართლო ორგანოთა დადგენილებებში პატიმრობის გაგრძელების საფუძვლების არარსებობა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს 5(1) მუხლით გათვალისწინებულ თვითნებობისგან დაცვის პრინციპებს.²⁰⁴ მსგავსად, მეტისმეტად მოკლე დადგენილებები, სადაც არ არის მითითებული სამართლებრივი დებულებები, რომლებიც დაასაბუთებდა დაკავებას, ვერ უზრუნველყოფს საკმარის დაცვას თვითნებობისგან.²⁰⁵ თუმცა, დაკავების ორდერში დასაბუთების არარსებობის მიუხედავად, სასამართლომ მომჩივნის დაკავება შეიძლება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მიიჩნიოს, თუ ეროვნულმა სასამართლოებმა გააუქმეს დაკავების ორდერი დაუსაბუთებლობის გამო, მაგრამ თვლიან, რომ არსებობს გარკვეული საფუძვლები მომჩივნის დასაკავებლად. შესაბამისად, დაკავებულის გათავისუფლების ბრძანებაზე უარი და საქმის ქვედა ინსტანციის სასამართლოებისთვის გადაცემა დაკავების კანონიერების დასადგენად, არ არღვევდა 5(1) მუ-

201 იქვე.

202 *Giulia Manzoni v. Italy*, § 25.

203 იქვე.

204 *Stasaitis v. Lithuania*, §§ 66-67.

205 *Khudoyorov v. Russia*, § 157.

ხლს.²⁰⁶ გარდა ამისა, აუცილებელია, დაკავების ორდერი ეფუძნებოდეს კონკრეტულ საფუძვლებს და მასში განისაზღვროს კონკრეტული ვადე-ბი.²⁰⁷ ამასთან, დაკავების ნაცვლად, ხელისუფლებამ უნდა განიხილოს სხვა ნაკლებად მკაცრი ზომების გამოყენების შესაძლებლობა.²⁰⁸

განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი, რომ საფუძვლიანი ეჭვი ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია, რომელიც უშვებს თავისუფლების კანონიერ აღკვეთას, და სისხლის სამართლის წარმოებაში მტკიცებულების არსებით ნაწილს უკავშირდება. თავდაპირველად, დაკავება შეიძლება გამართლებული იყოს საფუძვლიანი ეჭვით, რომ პირი სისხლის სამართლის დანაშაულში მონაწილეობდა. ხანგრძლივი საფუძვლიანი ეჭვი, რომ დაპატიმრებულმა პირმა დანაშაული ჩაიდინა, უმთავრესი პირობაა დაკავების ვადის გაგრძელების კანონიერებისათვის.

შესაბამისად, „საფუძვლიანი ეჭვის“ კრიტერიუმები 5(1)(გ) მუხლის მიზნებისთვის საკმაოდ განუსაზღვრელია და სახელმწიფოს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას უტოვებს. თუმცა, ხელისუფლების მიერ საქმის ძირითადი ფაქტების გამოუძიებლობა - კერძოდ, იყო თუ არა საჩივარი სათანადოდ დასაბუთებული - 5(1)(გ) მუხლის დარღვევას მოწმობს.²⁰⁹ მეორე მხრივ, ზოგადი მიდგომა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „საფუძვლიანად“, დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე.²¹⁰

1.7. იძულებითი აღიარების აკრძალვა

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, საკითხების ღრმა ანალიზის გარეშე, მოკლედ, მაგრამ კარგი განმარტებით მიმოიხილოს მტკიცებულებათა მოპოვებისა და მათი პროცესუალური გაფორმების საკითხები; აქვე მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ აკრძალვას, რომელიც მიემართება იძულებით აღიარებას, ასევე, მასთან დაკავშირებულ წამებასა და არაადამიანური მოპყრობას.

ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადანწყვეტილებაში განმარტა, რომ სისხლის სამართლის პროცესში მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება მთლიან სამართალწარმოებას აცტომატურად აქცევს არასამართლიანად და იწვევს მე-6 მუხლის დარღვევას, მი-

206 *Minjat v. Switzerland*, § 47.

207 *Meloni v. Switzerland*, § 53.

208 *Ambruszkiewicz v. Poland*, § 32.

209 *Stepuleac v. Moldova*, § 73; *Elci and Others v. Turkey*, § 674

210 *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*, § 32

უხედავად იმისა, მოპყრობა კვალიფიცირებულია თუ არა როგორც „წამება ან არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა“.²¹¹ ისეთი მტკიცებულებების გამოყენება, რომლებიც მოპოვებულია კონვენციით გარანტირებული ერთ-ერთი ძირითადი და აბსოლუტური უფლების დარღვევით, ყოველთვის სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს სამართალწარმოების სამართლიანობასთან მიმართებით, მაშინაც კი, თუ ასეთი მტკიცებულებების მიღება გადაწყვეტი არ იყო მსჯავრის გამოსატანად.²¹² იგივე შეეხება წამების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულებების გამოყენებასაც.²¹³ ისეთი ქმედებით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობა, როგორცაა არაადამიანური მოპყრობა (კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა), მხოლოდ მაშინ გამოიწვევს მე-6 მუხლის დარღვევას, თუკი დამტკიცდება, რომ მე-3 მუხლის დარღვევამ გავლენა მოახდინა ბრალდებულის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შედეგზე, ე.ი. მის მსჯავრდებას ან განაჩენზე.²¹⁴

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი არ გულისხმობს იმის განსაზღვრას, იყო თუ არა კონკრეტული ტიპის, მაგალითად, არამართლზომიერად მოპოვებული მტკიცებულება დასაშვები ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში: პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, მათ შორის, როგორ არის მოპოვებული მტკიცებულებები. ეს მოიცავს შესაბამისი საკითხის სავარაუდო არამართლზომიერების შემოწმებას და, თუ საქმე ეხება კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებების დარღვევას, ასეთი დარღვევის ბუნების განსაზღვრას.²¹⁵

მაგალითად, სასამართლომ განაცხადა, რომ: „...სისხლის სამართლის წარმოებაში მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს ასეთი სამართალწარმოების სამართლიანობასთან მიმართებით“. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ მომჩივანი წამების ობიექტი გახდა. მისი აზრით, მამხილებელ მტკიცებულებას - იქნება ეს აღიარებითი თუ რეალური - არასოდეს უნდა ემყარებოდეს მსხვერპლის ბრალეულობის მტკიცება, თუკი მოპო-

211 *Ibrahim and Others v. the United Kingdom* [GC], § 254; *El Haski v. Belgium*, § 85; *Cēsniēks v. Latvia*, §§ 67-70.

212 *Jalloh v. Germany* [GC], §§ 99 და 105; *Harutyunyan v. Armenia*, § 63; შედარებისთვის იხ: *Mehmet Ali Eser v. Turkey*, § 41, სადაც მომჩივანის მსჯავრის წარდგენისას ფაქტობრივად არ გამოყენებულა იძულებით მოპოვებული ჩვენებები.

213 *Gäfgen v. Germany* [GC], § 167; *Jalloh v. Germany* [GC], § 105.

214 *Gäfgen v. Germany* [GC], § 178; *El Haski v. Belgium*, § 85.

215 *Khan v. the United Kingdom*; *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, § 76; *Allan v. the United Kingdom*, § 42.

ვებულის ძალადობის, სისასტიკის ან სხვა ამგვარი მოპყრობის შედეგად, რომელიც შეიძლება შეფასდეს წამებად, მიუხედავად მისი მამტიკიცებელი ღირებულებისა. ნებისმიერი სხვა დასკვნა შეიძლება ემსახურებოდეს მორალურად გაუმართლებელი ქმედების ირიბ ლეგიტიმაციას, რაც, კონვენციის მე-3 მუხლის ავტორთა აზრით, უნდა აიკრძალოს ან, როგორც შესანიშნავად აისახა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში *Rochin*-ის საქმეზე, „... სისასტიკე მართლმსაჯულების მანტიით შეიმოსოს“. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის თანახმად (მუხლი 15), წამების შედეგად მიცემული ჩვენებები სისხლის სამართლის პროცესზე არ უნდა გამოიყენონ.²¹⁶

ამრიგად, როდესაც მტკიცებულება აშკარად მოპოვებულია იძულების შედეგად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო შეაფასებს, ჰქონდა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა მტკიცებულების ნამდვილობა და გამოსულიყო მისი გამოყენების წინააღმდეგ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მიღებული მტკიცებულებების ხარისხი, გარემოებები, რომლებშიც ისინი მოიპოვეს, და დგას თუ არა ეჭვქვეშ მათი სანდოობა ან სიზუსტე. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოსთვის ასევე მნიშვნელოვანია, ჰქონდა თუ არა გადამწყვეტი შედეგი შესაბამის მტკიცებულებას სისხლის სამართლის პროცესისთვის.²¹⁷

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს პრინციპები გამოიყენება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის მსხვერპლი ფაქტობრივი ბრალდებულია, არამედ მესამე მხარეებთან მიმართებითაც.²¹⁸ კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო პროცესზე წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება მართლმსაჯულების აშკარა უარყოფის ტოლფასი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ის მოპოვებულია მესამე მხარისგან.²¹⁹

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ ასეთი ტიპის საქმეებში იძულებით, კერძოდ, წამებით ან არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობით მოპოვებულ მტკიცებულებებთან (ე.ი. მე-3 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებთან) დაკავშირებით, მტკიცების ტვირთი საწყის ეტაპზე მომჩი-

216 *Jalloh v. Germany*, 11 July 2006, § 105.

217 *Gäfgen v. Germany*, §164.

218 *El Haski v. Belgium*, § 85; *Urazbayev v. Russia*, § 73.

219 *Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom*, §§ 263 და 267; *Kormev v. Bulgaria*, §§ 89-90.

ვანს ეკისრება: მან უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს წამების ან არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ფაქტს. მაგალითად, მომჩივანმა უნდა გაამჟღავნოს მტკიცებულებები (მათ შორის, ჩვენებები), რომ თავდაპირველად, პატიმრობაში განთავსებამდე, მას სხეულზე არ აღენიშნებოდა ფიზიკური იძულების რაიმე ნიშანი. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ბრალეულობის ძლიერი პრეზუმფცია²²⁰ და, შესაბამისად, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ უნდა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამარწმუნებელი განმარტება დაკავებისას მიყენებულ დაზიანებებზე.²²¹

აღსანიშნავია, რომ მე-3 მუხლით საკითხის დასაყენებლად, ასეთი ქმედება სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა აღწევდეს. ეს პრინციპი უნივერსალურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში და გამოიყენება სხვადასხვა ტიპის საქმეებზე, რომლებიც ეხება მე-3 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს. აქედან გამომდინარე, მაგალითად, უბრალოდ ხელბორკილის დადება,²²² ან ეჭვმიტანილის შებორკვა ზურგსუკან ხელბორკილის დადებით,²²³ ასევე, პატიმრის ვიდეოთვალთვალი საკანში,²²⁴ არ შეიძლება აღწევდეს ზღვარს, რომელიც გახდება მე-3 მუხლით გათვალისწინებულ საკითხის წამოჭრის საფუძველი.

დუმილის უფლების გამოყენება და თვითმამხილებელი ჩვენების მიუცემლობის პრივილეგიით სარგებლობა მჭიდროდ უკავშირდება იძულების, წამებისა და არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა საკითხებს, რომლებიც განხილულია შემდეგ თავში.

220 *Salman c. Turquie* [GC], 2000 წლის 27 ივნისი, § 100.

221 *Selmouni v. France* [GC], 999 წლის 28 ივლისი, § 87; *Berktaş v. Turkey*, 2001 წლის 1 მარტი, § 167; *Gurgurov v. Moldova*, no.7045/08, 2009 წლის 16 ივნისი, § 56.

222 *Tarariyeva v Russia*, ECHR 2006-XV, § 109

223 *Rozhkov v Russia*, no 64140/00, 2007 წლის 19 ივლისი.

224 *Moiseev v Russia*, no 62936/00, 2004 წლის 9 სექტემბერი.

თავი 2. ბრალდებულის ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების ზოგადი წესები

2.1. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) მე-9, მე-14 და 25-ე მუხლები სისხლის სამართლის პროცესში გამოხატავს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის არსს. კერძოდ:

სსსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა გარანტირებულია, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი:

„1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

2. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“

აღნიშნული დებულების თანახმად, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა იწყება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, ანუ პირის დაკავებიდან, ან იმ მომენტიდან, როცა მის მიმართ გამოიტანენ ბრალდებულად ცნობის დადგენილებას (თუ არ დაუკავებიან).

სსსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხოლოდ მხარეს აქვს უფლება, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, გამოითხოვოს მტკიცებულება სასამართლოს დახმარებით, ასევე, მოიპოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს შესაბამისი მტკიცებულებები.

სსსკ-ის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობს, ერთი მხრივ, ბრალდების მხარე (პროკურორი და გამოძიებელი) და, მეორე მხრივ, დაცვის მხარე (ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული და მათი ადვოკატი).

მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა სსსკ-ის მე-14 მუხლი, რომლის თანახმადაც:

„1. სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. მხარეს უფლება აქვს, სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება.“

შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითადი ელემენტებია:

ა) მართლმსაჯულების, ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების გაცალკევება;

ბ) შეჯიბრებითობა, როგორც გამოძიების, ასევე სასამართლოს სტადიაზე;

გ) მხარეთა თანაბარი უფლება და შესაძლებლობა, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები;

დ) მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება.

სსსკ-ის 25-ე მუხლის თანახმად, მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხოლოდ მხარეთა კომპეტენციაა. დაცვისა და ბრალდების მხარეთა ფუნქციები სრულად გამოყოფილია სასამართლო ხელისუფლების ფუნქციებისგან, კერძოდ:

„1. სასამართლო ვალდებულია, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები, ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.

2. სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმების შედეგად, დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

3. განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მოსამართლეს უფლება არ აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე.

4. თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასა ან საჩივართან დაკავშირებით, სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.“

აღნიშნული ნორმის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები და არ მიანიჭოს უპირატესობა რომელიმე მათგანს.

2.2. მოსამართლის როლი სისხლის სამართლის პროცესში

სსსკ-ის 25-ე მუხლი ნათლად ასახავს სასამართლოს როლს სისხლის სამართლის პროცესში და მის ვალდებულებას შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით. მითითებული ნორმით, საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა სრულ შეჯიბრებითობას და სასამართლოს უტოვებს მხოლოდ ობიექტური არბიტრის როლს, რომელსაც მონმისთვის კითხვის დასმის უფლება არ აქვს, გარდა გამოწვევის შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად (ისიც - მხარეებთან შეთანხმებით). ამ შემთხვევაშიც, მას შეუძლია, დასვას მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვა. ეს დანაწესი გულისხმობს, რომ მოსამართლე ვერ დასვამს შეკითხვას ისეთ საკითხზე, რაც მანამდე არ გაჟღერებულა ბრალდების ან დაცვის მხარის კითხვებსა ან/და მონმის პასუხებში. ასევე, სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა.

სასამართლოს ვალდებულებაა, დაეხმაროს მხარეებს მტკიცებულებათა მოპოვებაში. სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად:

„2. თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.“

მართალია, სასამართლო არ მონაწილეობს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, მაგრამ ის წყვეტს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს; ასევე, აფასებს მტკიცებულებებს, მათი საკმარისობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის, პირის მსჯავრდებისა და სასჯელის სამართლიანობის მიზნებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ დაცვის მხარეს ანიჭებს პარალელური გამოძიების წარმოების უფლებას, ცალკეულ შემთხვევაში, აღნიშნული უფლების სრულყოფილად რეალიზაცია ვერ ხერხდება, რის გამოც საჭიროებს დახმარებას სასამართლოს მხრიდან. სწორედ სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს აღნიშნულ ვითარებას დაცვის მხარისათვის.

არსებობს სუბიექტური ფაქტორებიც, როდესაც დაცვის მხარე დამოუკიდებლად ვერ ახერხებს მტკიცებულებათა მოპოვებას და ამ დროს სასამართლოსგან უნდა მიიღოს დახმარება. მაგალითად, თუ მხარეს მოწინააღმდეგე მხარე ნებაყოფლობით არ აწვდის საექსპერტო კვლევის ობიექტს ექსპერტიზის ჩასატარებლად, სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, იგი უფლებამოსილია, ამ ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, გამოძიების ადგილის მიხედვით. სასამართლოს უნდა მიმართოს მხარემ ნიმუშის აღებისა (სსსკ-ის 147 მუხლი) და იძულებით მიყვანის საკითხების გადაწყვეტის დროსაც (სსსკ-ის 149 მუხლი).

მნიშვნელოვანია, ასევე შევეხოთ სასამართლოს შეზღუდულ უფლებას შეჭიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც, სასამართლო შეზღუდულია ბრალდების ფორმულირებით და, ამის გამო, ბრალდების ან ბრალდების ნაწილის მოხსნის შემთხვევაში, სამართალწარმოება შესაბამის ნაწილში წყდება. სასამართლო შეზღუდულია საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით, რის გამოც ის მოკლებულია შესაძლებლობას, გასცდეს საჩივრის ფარგლებს, მაშინაც კი, როდესაც საჩივრის მოთხოვნა არ არის სწორად დაყენებული (მაგ: თუ მხარე დავობს სასჯელის კანონიერებაზე, ხოლო სასამართლო სასჯელის სამართლიანობის შემოწმებისას აღმოაჩენს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის ისეთ შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომელთა გამოც პირი საერთოდ უნდა გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისგან).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4

ნაწილის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს პირი, როდესაც ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 - ვებგვერდი, 13.10.2015წ.). საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საჩივრის ფარგლებს, როდესაც სახეზეა განმეორებითი მსჯავრდება ერთი და იმავე დანაშაულისთვის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 - ვებგვერდი, 13.10.2015წ.).

2.3. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, შეთანხმება მტკიცებაულების მოპოვებისა და დაცვის სტრატეგიის შემუშავებისას

ადვოკატის მიერ დაცვის ეფექტიან განხორციელებასა და საქმის წარმატებით დასრულებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მისი ურთიერთობა კლიენტთან, ანუ კარგი ურთიერთობის დამყარება; კლიენტის ნდობის მოსაპოვებლად კი აუცილებელია მოთმინება, თანაგრძნობა და დადებითი განწყობა. უმნიშვნელოვანესია, დაუმტკიცოთ კლიენტს, რომ მის მხარეს ხართ, ასევე, გამოხატოთ მზაობა, რომ მის საქმეში ჩადებთ საჭირო დროს, ენერჯიასა და, რაც მთავარია, ცოდნას/გამოცდილებას.

სანამ უშუალოდ გადავალთ მტკიცებულებათა მოპოვებასა და დაცვის სტრატეგიის შემუშავებაზე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ის აუცილებელი პირობები, რომლებიც გასათვალისწინებელია კლიენტთან ურთიერთობისას, კერძოდ:

1. უნდა იცოდეთ საკუთარი საქმე და დაეხმაროთ კლიენტს, რომ გაერკვეს თქვენს საქმიანობაში. პირველი შეხვედრისას კომპეტენტური და მცოდნე ადვოკატის შთაბეჭდილების დატოვებით, გაგიადვილებათ მისი ნდობის მოპოვება;
2. აჩვენეთ კლიენტს, რომ გსურთ მისი დაცვა და ძალისხმევას არ დაიმურებთ საამისოდ;
3. დაარწმუნეთ კლიენტი, რომ თქვენი ნდობა შეიძლება;

4. გამოიჩინეთ მზრუნველობა თქვენი კლიენტის, როგორც ადამიანის მიმართ, რაც ასევე დაგეხმარებათ მისი ნდობის მოპოვებაში;
5. ნუარასდროს დადებთ პირობას, რომელსაც ვერ შეასრულებთ, ან დარწმუნებული არ ხართ, რომ ნამდვილად შეასრულებთ;
6. დეტალურად აუხსენით საქმის დასრულების ყველა შესაძლო შედეგი და მის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები;
7. მიანოდეთ ინფორმაცია საქმეში არსებულ სიახლეებზე და იქონიეთ რეგულარული კონტაქტი, რათა არაკომპეტენტურ ხალხთან არ ეძებოს პასუხები თავის საქმესთან დაკავშირებით;
8. კლიენტს ნუ მოსთხოვთ მისი ვერსიის მოყოლას მომხდარის შესახებ, სანამ არ დაამყარებთ სათანადო ურთიერთობას, ასეთი ქმედება სარისკოა. ხშირად კლიენტები ცრუ ინფორმაციით ცდილობენ ადვოკატის დარწმუნებას მათ უდანაშაულობაში, ვინაიდან თვლიან, რომ ასეთ შემთხვევაში ადვოკატი უფრო გულმოდგინედ დაიცავს მათ. არასწორმა ინფორმაციამ შეიძლება მცდარი ტაქტიკა აგარჩევინოთ, ამიტომ უჭიკბესია, ჯერ თქვენ მიანოდოთ ყველა საჭირო ინფორმაცია, მიიღოთ პასუხები დასმულ კითხვებზე, და მხოლოდ შემდეგ გადახვიდეთ თხრობით ნაწილზე.
9. სრულყოფილად შეისწავლეთ არამართო საქმე, არამედ კლიენტის ბიოგრაფიაც. მოიპოვეთ ინფორმაცია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ინტერესებსა და მიღწევებზე. მსგავსი ინფორმაცია შესაძლოა არანაკლებ დაგეხმაროთ დაცვისას.
10. დეტალურად შეისწავლეთ შემთხვევისა და დაკავების ადგილი (არსებობის შემთხვევაში). ეს დაგეხმარებათ როგორც დაცვის მტკიცებულებათა მოპოვებაში (მაგ: ვიდეოკამერების არსებობისას ჩანაწერების მოპოვება, რომლებზეც შეიძლება ასახული იყოს მომხდარი ფაქტი ან/და დაკავებისა და ჩხრეკის მიმდინარეობა; ფაქტის შემსწრე პირ(ებ)ი, რომლებიც მოწმის სახით გამოგადგებათ და ა.შ.), ასევე, მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა გაბათილებაში და მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვისას;
11. თქვენ მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია დეტალურად გააცანით კლიენტს, მოსალოდნელ შედეგთან ერთად. უარის მიღების შემთხვევაში, მოუსმინეთ მის ვერსიას და გაარკვიეთ აღნიშნულის შესაძლო შედეგები.

12. საბოლოოდ, კლიენტთან დეტალურად გაიარეთ მისი დაკითხვის საკითხი. კერძოდ, როგორი ჩვენება უნდა მისცეს გამოძიებას ან/და სასამართლოს; რა კითხვებს დაუსვამთ თქვენ და რა პასუხებს ელით მისგან; ასევე, იმ კითხვა-პასუხების ვერსიები, რომელთა დასმასაც მოწინააღმდეგე მხარისგან მოელოთ.

აქვე მნიშვნელოვანია, ჩამოვთვალოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ძირითადი მუხლები, რომლებიც ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობას ეხება. ესენია:

მუხლი 38. ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი

„5. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე, მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შემზღვევების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.“

მუხლი 41. ბრალდებულის მიერ ადვოკატის აყვანა

„ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე“.

მუხლი 43. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობის კონფიდენციალურობა

- „1. ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია.
2. კონფიდენციალურია ასევე პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან.
3. დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.“

მუხლი 60. სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები

„ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

- ა) ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მონმე ან ექსპერტი;
- ბ) იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს;
- გ) ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში;
- დ) არის ან იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებობდა დაკავშირებულ სხვა საქმეზე.“

რაც შეეხება ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობას მტკიცებულების მოპოვებისას, როგორც ცნობილია, ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება ჩაერთოს (დაცვის ორდერის წარდგენით) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე. ცხადია, ადვოკატმა კლიენტთან ერთად უნდა გაანალიზოს, დაგეგმოს და განახორციელოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ასპექტები.

ადვოკატი ვალდებულია, დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი გამოიყენოს თავის დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების დასაცავად (სსსკ-ის 44-ე მუხლი). ამასთან, მან უნდა იმოქმედოს კლიენტის მითითებების შესაბამისად. ამგვარად, ადვოკატი ვალდებულია, უარი თქვას კლიენტის უკანონო მითითების შესრულებაზე და, პირიქით, შეასრულოს ნებისმიერი კანონიერი მითითება, მიუხედავად საკუთარი პოზიციისა. თუ ადვოკატი არ ეთანხმება კლიენტის კანონიერ მითითებას მტკიცებულების მოპოვების შესახებ და ვერც დაარწმუნებს მას ამ პოზიციის მიზანშეუწონლობაში, შეუძლია, უარი თქვას დაცვის გაგრძელებაზე, იმ პირობით, რომ კლიენტს შეეძლება, დროულად მიმართოს სხვა ადვოკატს.

პოზიციათა შეუთანხმებლობის მიუხედავად, ადვოკატმა არ უნდა გამოიყენოს საქმეზე უარის თქმის უფლება ისეთ დროს, როდესაც კლიენტი დროუ-

ლად ვედარ ისარგებლებს სხვა ადვოკატის მომსახურებით, რათა თავიდან აიცილოს მისთვის ზიანის მიყენება. მაგალითად, თუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობებში პოზიციათა შეუთანხმებლობა წარმოიშობა რაიმე საკითხის გასაჩივრების ვადის მიწურულს, ადვოკატი ვალდებულია, ჯერ გაასაჩივროს საკითხი (თუ უკვე არ მონაწილეობს ახალი ადვოკატი, რომელიც გაასაჩივრებს) და მხოლოდ შემდეგ თქვას უარი მომსახურების გაგრძელებაზე. ამასთან, უნდა დარწმუნდეს, რომ კლიენტს საკმარისი დრო აქვს სხვა ადვოკატის მოსაწვევად.

ადვოკატი ვალდებულია, დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, მათ შორის, მტკიცებულებათა მოპოვების თაობაზე, და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

ადვოკატი ვალდებულია, კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები. ადვოკატის უხეში შეცდომა მტკიცებულების მოპოვების, დამაგრებისა და სასამართლოსთვის წარდგენისას, რომლის გამოც დაცვის მხარეს მოესპობა სასამართლოს წინაშე მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა, წარმოშობს ადვოკატის პასუხისმგებლობას პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე.

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა, ამ ინტერესების დასაცავად, ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობასა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

თავი 3. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობები

3.1. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი წესი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-16 თავები ეხება საგამოძიებო მოქმედებებს. მე-15 თავში (111-135 მუხლები) მოცემულია დებულებები ძირითადი საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, ხოლო მე-16 თავი (136-138 მუხლები) ეთმობა მხოლოდ კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებს.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი წესი აღწერილია სსსკ-ის 111-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად:

„1. მხარეებს ამ კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. მხარეები საგამოძიებო მოქმედებას ატარებენ ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში. დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. გამომძიებელი უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. ამ შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ბრალდებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლებითაც დადასტურდება მის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შეუძლებლობა. დაცვის მხარეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს თავისი მოთხოვნით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.“

ამავე მუხლით დადგენილია რამდენიმე წესი, რომლებიც მხარეების მიერ მტკიცებულებების მოპოვებას ეხება. კერძოდ:

- დაცვის მხარის უფლება, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, არ ვრცელდება ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე. ეს გულისხმობს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებაზე დაყრდნობით, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. აღნიშნული უფლებით მხოლოდ ბრალდების მხარე სარგებლობს (სსსკ-ის 111.2 მუხლი). დაცვის მხარეს ასევე არა აქვს უფლება, სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომლისთვისაც, ამ კოდექსის თანახმად, საჭიროა ასეთი ნებართვა (გამოძიების დროს მონაწილის დაკითხვა და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა);
- საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე, საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ პირს ევალება მონაწილე პირთათვის უფლება-მოვალეობების განმარტება. საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი

პირი ვალდებულია, უზრუნველყოს მონაწილეთა უფლებების განხორციელების შესაძლებლობა (სსსკ-ის 111.3 მუხლი). ასეთი განმარტების გარეშე მოქმედების ჩატარება და მტკიცებულების მოპოვება ჩაითვლება საპროცესო კოდექსის დარღვევად. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ დარღვევა არსებითია, ასეთი მტკიცებულება ან/და საპროცესო დოკუმენტი ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად, თუკი მხარე წინასასამართლო სხდომაზე შესაბამის შუამდგომლობას დააყენებს;

- დაცვის მხარემ სასამართლოს განჩინება უნდა გააცნოს პირს, რომლისთვისაც განჩინების შესრულება სავალდებულოა, რასაც იგი ადასტურებს ხელმოწერით (აღნიშნული წესი ეხება ორივე მხარეს. სსსკ-ის 111.4 მუხლი);
- დაუშვებელია საგამოძიებო მოქმედების დამით ჩატარება, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა. საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს გონივრულ ვადაში (სსსკ-ის 111.5 მუხლი);
- საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შეიძლება გამოყენებული იყოს დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები (სსსკ-ის 111.6 მუხლი);
- საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის განვვის შემთხვევაში, დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება (სსსკ-ის 111.7 მუხლი). ამ ნორმის გამოყენებისას საჭიროა სიფრთხილე პროპორციული ზომის შერჩევის კუთხით. ტერმინი „პროპორციული ზომა“ შეფასებითია: კონკრეტული გარემოებების შეფასებით უნდა განისაზღვროს, გამოყენებული ზომა ხომ არ აჭარბებს პროპორციულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ადგილი ჰქონდეს დაცვის მხარის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას;
- საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომლებიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ამ პირის თანხმობით. თუ ამ პირს 16 წელი არ შესრულებია, ან იგი ფსიქიკურად დაავადებულია, აუცილებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა, ან სასამართლოს განჩინება (სსსკ-ის 111.8 მუხლი);

- თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს, მხარემ მოქმედება უნდა ჩაატაროს ექსპერტის მონაწილეობით. თუ საგამოძიებო მოქმედება ითვალისწინებს გაშიშვლებას, შესამოწმებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ექსპერტი და მხარე უნდა იყვნენ იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის შესამოწმებელი პირი (სსსკ-ის 111.9); ნორმა იმპერატიულად მიუთითებს ექსპერტის მონაწილეობის აუცილებლობაზე, თუ საჭიროა განსაკუთრებული პროფესიული ცოდნა. ამ მოთხოვნის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება ჩაითვალოს კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებულად, რაც ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი გახდება.

ამასთან, ყოველი კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებისას, დაცვის მხარე ვალდებულია, დაიცვას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XV თავით (111-135 მუხლები) დადგენილი წესები, რათა სასამართლომ დასაშვებად ცნოს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება და ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები.

საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეებს მტკიცებულებების მოპოვება შეუძლიათ შემდეგი საგამოძიებო მოქმედებებით:

1. ჩხრეკა
2. ამოღება
3. დათვალიერება
4. გამოკითხვა
5. გამოძიების დროს მონმის დაკითხვა
6. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება
7. პირის ან ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა
8. საბანკო ანგარიშების მონიტორინგი
9. ექსპუმაცია
10. კომპიუტერულ სისტემასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები

ჩამოთვლილთაგან გამონაკლისია „საბანკო ანგარიშების მონიტორინგი“, რომელიც შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ბრალდების მხარის შუამდგომლობით (სსსკ-ის 124¹ მუხლი), ხოლო დანარჩენი საგამოძიებო მოქმედე-

ბების ჩატარების უფლება აქვს დაცვის მხარესაც. გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელია სასამართლოს ნებართვა ან დახმარება, რისთვისაც დაცვის მხარემ უნდა მიმართოს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაცვის მხარის უფლება, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე, არ ვრცელდება ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე. შესაბამისად, დაცვის მხარე ბრალდების მხარისგან განსხვავებით, მოკლებულია შესაძლებლობას, გადაუდებელი აუცილებლობით, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება.

3.2. სასამართლოს განჩინების მიღების წესი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად;“ ხოლო სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.“ ამავე კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად, „საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით.“ შესაბამისად, ადვოკატმა შუამდგომლობა, სასამართლოს განჩინების მიღების მიზნით, თანდართული მტკიცებულებებით (მასალებით) უნდა წარუდგინოს სასამართლოს, გამოძიების ადგილის მიხედვით.

მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისთვის საჭირო მტკიცებულებების (მასალების) შესვლიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. შუამდგომლობის დამყენებული მხარის მონაწილეობა სავალდებულო არ არის, თუმცა მოსამართლე

უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს შუამდგომლობის დამყენებული მხარის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში, შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენება ამ კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული წესი (სსსკ-ის 112.1 მუხლი).

მასალების განხილვის შემდეგ, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ; ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ (სსსკ-ის 112.6 მუხლი). ამ მუხლის საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განჩინება საჩივრდება კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. განჩინების გასაჩივრების ვადა აითვლება განჩინების აღსრულებიდან (სსსკ-ის 112.8 მუხლი). შესაბამისად, ადვოკატმა განჩინება უნდა გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საჩივარი შეიტანება განჩინების გამოტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით (სსსკ-ის 207.1 მუხლი). საჩივრის განხილვის დღე და დრო გონივრულ ვადაში უნდა ეცნობოს მხარეს (სსსკ-ის 207.3 მუხლი). სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, ამ კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, მაგრამ არაუგვიანეს შეტანიდან 72 საათისა (სსსკ-ის 207.4 მუხლი). საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი განჩინების ასლები გადაეცემა მხარეებს, ეგზავნება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს და განჩინების აღმასრულებელ ორგანოს (სსსკ-ის 207.6 მუხლი). სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება (სსსკ-ის 207.7 მუხლი).

3.3. მონმისა და მისი ადვოკატის უფლება-მოვალეობები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3.20, 47, 48, 49, 50, 58¹ და 58² მუხლებით დადგენილია მონმის სტატუსი და უფლება-მოვალეობები სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ:

სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, მონმე არის „პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირს მონმის სტატუსი ენიჭება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ.“ სსსკ-ის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

მონმემ სასამართლოში დაკითხვის წინ უნდა დადოს რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცი. ფიცის დადების ვალდებულებაში იგულისხმება, რომ მონმე ფიცის ქვეშ კეთილსინდისიერად მოიქცევა და სასამართლოს მიანჯდის მისთვის ცნობილ უტყუარ ინფორმაციას. ფიცის დადების წინ სასამართლო განუმარტავს მონმეს ფიცის დადების მნიშვნელობას და აფრთხილებს სისხლის სამართლის კოდექსის 370-371¹ მუხლებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

თუ ბრალდებული სასამართლოში იძლევა ჩვენებას მონმის სტატუსით, ფიცის დადების ვალდებულება ვრცელდება მასზეც, თუმცა ჩვენების მიცემა-მდე დადებული ფიცი არ ხელყოფს მის უფლებას, არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ (სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-7 ნაწილი).

სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანსაც.

ამავე კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, მონმეს უფლება აქვს:

- იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული;
- ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება ცვლილება, რომლის თანახმადაც, შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მონაწილეობით ისარგებლებენ პირები, რომლებთანაც საჭიროა შესტური ენით კომუნიკაცია);
- გაცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა;
- არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს;
- მონაწილეობა მიიღოს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებაში;
- მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

გარდა სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული მონმის უფლებებისა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცავს მონმის სხვა უფლებებსაც: მაგალითად, მონმის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას და, საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ითვალისწინებს რისკ-ქვეშ მყოფი მონმის ჩართვას ე.წ. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში (სსსკ-ის 67-68 მუხლები). მონმის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მონმის დისტანციური დაკითხვაც, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან, ანდა სხვა ადგილიდან (სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაცული უნდა იყოს მონმის პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია, მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვაზე, თუ არსებობს მონმის პირადი ცხოვრების სფეროს მიკუთვნებულ მონაცემთა გახმაურების საფრთხე.

მონმის ვალდებულებები განსაზღვრულია სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, მონმე ვალდებულია:

- გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით;
- უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;
- არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;
- დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;
- სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე, არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირი, მიუხედავად მოქალაქეობისა, ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში, თუკი სასამართლოს უწყებით გამოიძახებენ სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების მისაცემად. გამოცხადება სავალდებულოა მხოლოდ სასამართლოში. პროკურორსა ან გამომძიებელთან ჩვენების მისაცემად გამოცხადების ვალდებულება არ არსებობს. სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება მოქმედებს როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე.

სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოძიების სტადიაზე, მხარის შუამდგომლობით, მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოწმე შეიძლება იძულებით მიიყვანონ სასამართლოში (სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სასამართლოში მოწმის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს, მოწმეს განკარგულებით დააკისროს ჯარიმა 100-დან 500 ლარამდე, რაც მას არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისგან (სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი). საპატიო მიზეზთა ჩამონათვალს განმარტავს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი. წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობაზე შეტყობინება სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაძლებლობისთანავე, პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 48 საათისა, ხოლო საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი - გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

მოწმის სტატუსით სასამართლოში გამოძახებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეს, სასამართლოში გამოუცხადებლობა შეიძლება საპატიოდ ჩაეთვალოს ობიექტური გარემოების გამო, ვინაიდან არსებობს მათი დაკითხვის სამართლებრივი მექანიზმი, ე.წ. დისტანციური დაკითხვის სახით. ამ შემთხვევაში, სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მოწმე ვალდებულია, სასამართლოს მისცეს ჩვენება და უპასუხოს მხარეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა ან ცრუ ჩვენებისთვის (სსკ-ის 370-371 მუხლები). მოწმეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისთვისაც (სსკ-ის 371¹ მუხლი).

გარდა იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გამონაკლისებს, რა დროსაც მოწმე არ არის ვალდებული, მისცეს ჩვენება, ან არ გასცეს პასუხები გარკვეულ შეკითხვებს (49.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი და 115.1 მუხლი), მისი **50-ე მუხლი** განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ მოწმეები, ან შეიძლება სასამართლომ გაათავისუფლოს მოწმის მოვალეობისგან. ამ ნორმით დადგენილ შემთხვევებში, მოწმის ვალდებულებისგან თავისუფლდება: ადვოკატი, სასულიერო პირი,

ბრალდებულის ახლო ნათესავი, სახალხო დამცველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, სახელმწიფო ინსპექტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი, მოსამართლე, მედიაციის მონაწილე, ჟურნალისტი, ადამიანთ უფლებების (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი.

მონმედ არ შეიძლება გამოიკითხოს ან დაიკითხოს პირი, რომელსაც, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო, არ შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები და მიაწოდოს ინფორმაცია, ან მისცეს ჩვენება.

მონმის ვალდებულებებისაგან გათავისუფლებაში იგულისხმება, რომ პირს არ ეკისრება მონმედ დაკითხვისა და საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება.

საპროცესო კოდექსის მითითებული გამონაკლისიდან ნათელია, რომ კანონმდებელმა, ზოგიერთ შემთხვევაში, მართლმსაჯულების ინტერესებზე მაღლა დააყენა ზემოხსენებულ პირთა კანონიერი ინტერესები; ამასთან, ხელი შეუწყო მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, ვინაიდან არსებობს მაღალი ალბათობა, რომ პირმა, ახლო ნათესაური დამოკიდებულების გამო ან პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, არ მისცეს სასამართლოს ობიექტური ჩვენება. მხარეთათვის კი მნიშვნელოვანია, მონმე იყოს პირი, რომელსაც ახასიათებს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა და შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

თუ პირი ისარგებლებს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით და უარს იტყვის მონმის სახით დაკითხვაზე, არ შეიძლება აღნიშნული უარის გამოყენება ამ პირის ან ბრალდებულის წინააღმდეგ.

სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-3 ნაწილი დამატებით ადგენს იმ პირთა წრეს, რომლებიც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდნენ მონმის მოვალეობის შესრულებისგან. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო ანალიზებს პირის კანონიერ ინტერესს, მონმის ჩვენების მნიშვნელობას, დანაშაულის სიმძიმეს, როგორც მხარეთა ინტერესებს, ასევე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ საჯარო ინტერესსა და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს.

სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი დამატებით პირობას ადგენს სსკ-ის 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის, ან 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის საქმეზე ბრალდებულის ახლო ნათესავისთვის, რომელსაც უშუალოდ ამ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი. ასეთ შემთხვევაში, დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა, ახლო ნათესავს, სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უფლებით სარგებლობამდე, უნდა შესთავაზოს კონსულტაციის გავლა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან და 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა შესაბამისი გადანყვეტილების მიღებამდე.

3.4. მოწმის, ექსპერტისა და ბრალდებულის გამოკითხვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლით დადგენილია მოწმის გამოკითხვის წესი. ეს გულისხმობს: პირის უფლებას, ნებაყოფლობით მიაწოდოს მხარეებს ინფორმაცია მისთვის ცნობილ და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე, არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ, და გამოკითხვისას საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით; ასევე, მის ვალდებულებას, გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში, გამოკითხვის ჩამტარებელ პირს სწორი ინფორმაცია მიაწოდოს, მით უმეტეს, რომ გამოკითხვის დაწყებამდე პირს წერილობით აფრთხილებენ ცრუ დასმენისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის მოსალოდნელ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, გამომკითხველს სწორი ინფორმაცია მიაწოდოს თავისი პირადი მონაცემების შესახებ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირის იძულება, წარმოადგინოს მტკიცებულება, ან გასცეს ინფორმაცია.

გამოკითხვისას ადვოკატი ვალდებულია, ზედმინუვით დაიცავს სსსკ-ის 113-ე და 135-ე მუხლების მოთხოვნები, რათა მის მიერ პირის გამოკითხვით მოპოვებული მტკიცებულება დასაშვებად ცნოს სასამართლომ.

გამოკითხვის ოქმში უნდა აღინიშნოს: გამოსაკითხი პირის სახელი, გვარი, ასაკი, მოქალაქეობა, განათლება, სამუშაო ადგილი, საქმიანობა ან/და თანამდებობა, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, მისი ურთიერთობა ბრალდებულსა თუ დაზარალებულთან, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, დამოკიდებულება სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისადმი და ამ კოდექსის 113-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია (სსსკ-ის 135.1 მუხლი); ასევე, ინფორმაცია გამოსაკით-

თხი პირის უფლებათა განმარტებაზე, რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითია, და გაფრთხილება ცრუ დასმენისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

გამოკითხვისას შესაძლებელია ხმის ან/და გამოსახულების ჩამწერი ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რაც გამოსაკითხ პირს წინასწარ უნდა ეცნობოს.

გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია, განუმარტოს, რომ ის შეიძლება დაიბარონ მაგისტრატ მოსამართლესთან, ჩვენების მისაცემად; ჩვენების მიცემა სავალდებულოა და მისი შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასეთი გაფრთხილების თაობაზე ინფორმაცია უნდა აღინიშნოს ოქმში.²²⁵

სსსკ-ის 51-ე მუხლის თანახმად, ექსპერტს ენიჭება მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა; ექსპერტი ვალდებულია, მიუკერძოებელი იყოს, მიუხედავად იმისა, რომელმა მხარემ მიიწვია.

3.5. მოწმის დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლით დადგენილია გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის წესი. ამ ნორმის საფუძველზე, დაცვის (ისევე, როგორც ბრალდების) მხარის შუამდგომლობით, გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი კაბონით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

- არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს;
- იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს;
- არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისთვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს;
- ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

225 მოწმისა და ბრალდებულის გამოკითხვის ოქმის ნიმუში იხილეთ ამავე სახელმძღვანელოს დანართში.

დაცვის მხარის შუამდგომლობით, გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე მოწმის სახით შეიძლება დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს (სსსკ-ის 114.2¹ მუხლი).

დაცვის მხარის აღნიშნული უფლება არ ვრცელდება (სსსკ-ის 114.2² მუხლი):

- ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანოს თანამშრომელზე/მის ზემდგომ თანამდებობის პირზე, განხორციელებულ/განსახორციელებელ ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით;
- ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი ორგანოს თანამშრომელზე/მის ზემდგომ თანამდებობის პირზე/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელებაში ჩართულ პირზე, განხორციელებულ/განსახორციელებელ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასთან დაკავშირებით;
- პროკურორზე, გამოძიებელზე, მათ ზემდგომ თანამდებობის პირზე, ამ კოდექსით განხორციელებულ/განსახორციელებელ მოქმედებასთან დაკავშირებით.

სსსკ-ის 114-ე მუხლით დადგენილი წესით მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა. ჩვენების მიცემაზე უარს თქმა იწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, გარდა ამ მუხლის მე-15 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მაგისტრატ მოსამართლესთან პირის დასაკითხად, მხარე შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით. შუამდგომლობაში აღინიშნება მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და პირის იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია, აგრეთვე, მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე ამ პირის მოწმედ დაკითხვის საფუძველი. დაცვის მხარის შუამდგომლობა ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რომ გამოსაკითხი პირის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვა მნიშვნელოვანია.

შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მონმის დაკითხვა უნდა დაიწყოს გონივრულ ვადაში, მაგრამ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებით, თუ მონმე დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში. დაუშვებელია მონმის ღამით დაკითხვა. დაწყებული დაკითხვა დაღამებისთანავე უნდა შეწყდეს და მეორე დღისთვის გადაიდოს.

განჩინება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ერთ-ჯერადად, მისი გამოტანიდან 24 საათში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, შეტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინება დაუყოვნებლივ ეგზავნება საჩივრის ავტორს და გასაჩივრებელი განჩინების გამომტან მაგისტრატ მოსამართლეს. ამ შემთხვევაში, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მონმის დაკითხვა უნდა დაიწყოს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა მას შემდეგ, რაც მაგისტრატ მოსამართლეს გადაეცემა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინება. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებით, თუ მონმე დადგენილ დროში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში.

შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო მონმედ დასაკითხ პირს იძახებს უწყებით, ტელეფონით ან კომუნიკაციის სხვა ტექნიკური საშუალებით. დაკითხვის ინიციატორი მხარე უფლებამოსილია, მონმედ დასაკითხი პირის წერილობითი თანხმობით, თავად უზრუნველყოს მაგისტრატ მოსამართლესთან მისი წარდგენა.

დაკითხვის ინიციატორი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონმე არ დაიკითხება. მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხვის წარმოებას. მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ან/და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებისა და პირადი ცხოვრების დასაცავად, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, მონმის დაკითხვა ჩატარდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. ამ შემთხვევაში, მონმის მიერ მიცემული ჩვენება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს დაუშვებელი

მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა.

მაგისტრატ მოსამართლესთან მოწმის დაკითხვა მიმდინარეობს დახურულ სასამართლო სხდომაზე, ამ კოდექსის 115-ე მუხლით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში არ მოქმედებს მხოლოდ 115-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა.

მოწმის დაკითხვის დასრულებისთანავე, მაგისტრატი მოსამართლე დაკითხვის ინიციატორ მხარეს გადასცემს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებას, როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით.

სსსკ-ის 114-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები არ ვრცელდება ბრალდებულზე.

3.6. ამოცნობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით დადგენილია წესები, რომელთა დაცვითაც უნდა ჩატარდეს პირისა და ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა.

ამოცნობის ჩასატარებლად საჭიროა ამომცნობი პირის თანხმობა. მის ჩატარებამდე, ამომცნობი პირი უნდა გამოიკითხოს/დაიკითხოს ამოსაცნობი ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებებისა და იმ გარემოების შესახებ, რომელშიც ამოსაცნობი ობიექტთან ჰქონდა შეხება. ამომცნობმა უნდა განმარტოს, რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო შესაბამისი ობიექტი. ამომცნობს, პირის ამოცნობის შემთხვევაში, უნდა წარედგინოს იმავე სქესის არანაკლებ 2 პიროვნება, რომლებიც ამოსაცნობისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან ჩაცმულობითა და გარეგნობით; ამოსაცნობი ნივთი/ობიექტი უნდა წარედგინოს არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად. თუ შეუძლებელია ამოსაცნობი ობიექტის წარდგენა, ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ფოტოსურათითაც, რომელიც წარდგენილია არანაკლებ 2 სხვა ფოტოსურათთან ერთად. ფოტოზე აღბეჭდილი ობიექტები მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მათი ამოსაცნობად წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც.

ამოცნობის განმეორებით ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველადი ამოცნობა ჩატარდა ფოტოსურათით (სსსკ-ის 131.7 მუხლი).

ერთი ამოსაცნობი ობიექტის ამოცნობა ტარდება გვამის, მისი ნაწილის ან ისეთი ობიექტის ამოცნობისას, რომელსაც ანალოგი არ აქვს.

ამოცნობის ჩატარება არ არის საჭირო, თუ ამომცნობი ასახელებს ამოსაცნობი პირის პერსონალურ მონაცემებს, რომლებითაც შესაძლებელია პირის ზუსტი იდენტიფიცირება.

ამოცნობა არ უნდა ჩატარდეს, თუ ამომცნობი ვერ უთითებს საკმარის ნიშან-თვისებებს ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის; ასეთ შემთხვევაში, ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელ მტკიცებულებად იქნება ცნობილი.²²⁶

3.7. დათვალიერება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარეს უფლება აქვს, ჩაატაროს დათვალიერება, რომლის მიზანია: დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენა, ასევე, შემთხვევის ვითარების ან სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევა. ასეთ დროს შეიძლება დაათვალიერონ შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსი, გვამი, საგანი, დოკუმენტი, ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი - ყველაფერი, რისი ფიზიკურად დათვალიერებაც შესაძლებელია.

სისხლ. სამართლის საპროცესო კოდექსის 125-128 მუხლების საფუძველზე, შესაძლებელია გამოვეყნოთ დათვალიერების შემდეგი სახეები:

- შემთხვევის ადგილის დათვალიერება;
- სხვა ადგილის (საცავი, სადგომი, სათავსი) დათვალიერება;
- გვამის დათვალიერება;
- საგნის/დოკუმენტის/ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერება.

შემთხვევის ადგილად მიიჩნევა ტერიტორია, სადაც მოხდა დანაშაული, ან აღმოჩენილია მისი კვალი; დაცვის მხარისთვის შემთხვევის ადგილი არის მისი დაცვის ქვეშ მყოფის ჩხრევის ან/და დაკავების ადგილი და ა.შ

დაცვის მხარე დათვალიერებას ატარებს კანონით განსაზღვრული წესებით; ამასთან, აღნიშნული წესი განსხვავდება დასათვალიერებელი ადგილის, საგნის, დოკუმენტისა და ინფორმაციის შემცველი ობიექტის მიხედვით.

226 ამოცნობის ოქმის ნიმუში იხილეთ ამავე სახელმძღვანელოს დანართში.

თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება სასამართლოს განჩინებით. ადვოკატს კერძო საკუთრებაში დათვალიერება შეუძლია ჩაატაროს სასამართლოს განჩინების გარეშე, თუ მესაკუთრე/მფლობელი წერილობით თანხმობას განუცხადებს აღნიშნულზე (სსსკ-ის 125.2 მუხლი). როცა მესაკუთრე არ თანხმდება ამას, ადვოკატმა შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს, რომ გამოსცეს განჩინება დათვალიერებაზე თანხმობის მისაღებად.

დათვალიერება, რომელიც არ ზღუდავს კერძო საკუთრებას (მაგ.: ქუჩაში, ავტომანქანების სავალ გზაზე და ა.შ.), ადვოკატი ატარებს სასამართლოს განჩინების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ადგენს მხოლოდ დათვალიერების ოქმს.

სსსკ-ის 126-ე მუხლი განსაზღვრავს დათვალიერების ზოგად წესს, აგრეთვე, მისი მონაწილეების უფლებამოსილებას. დათვალიერების მიზანია იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი ობიექტის ამოღება, რომელსაც დაცვის მხარისთვის საჭირო მტკიცებულებითი მნიშვნელობა ექნება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში. საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი ობიექტის ამოღება და საპროცესო დამაგრება უნდა მოხდეს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოში შეიძლება დადგეს კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხი. ამასთან, აღნიშნული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობამ შეიძლება ჯაჭვური რეაქციით გამოიწვიოს მთელი რიგი მტკიცებულებების დაუშვებლობა (მაგ.: როგორცაა დათვალიერებულ და ამოღებულ საგანზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა).

საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლი განსაზღვრავს დათვალიერების ზოგად წესს და ქრონოლოგიურად აღწერს მხარეთა მოქმედებებს ამ პროცესში.

თუ შესაძლებელია, დათვალიერებისას აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, ამოღების შემდეგ კი დაწვრილებით აღინეროს, დაილუქოს და, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეიფუტოს.

ლუქის გარდა, შეფუთულ ნივთზე აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებაში. დათვა-

ლიერებაში მონაწილე პირს უფლება აქვს, მხარის ყურადღება მიაპყროს ყველაფერს, რამაც, მისი აზრით, შეიძლება ხელი შეუწყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოვლენას. დათვალიერების მონაწილეს შეუძლია შენიშვნის/მითითების გაკეთება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვნად მიაჩნია. დათვალიერების მწარმოებელი ამაში მას ვერ შეზღუდავს.

თუ ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დასათვალიერებლად საჭიროა დიდი დრო, ან დამატებითი ტექნიკური საშუალება, საგამოძიებო მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს გამოძიების ჩატარების ადგილზე.

დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს ტექნიკური საშუალებებით, თუ ეს არ დააზიანებს/გაანადგურებს კონკრეტულ საგანს, დოკუმენტს, ნივთიერებას ან ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტსა და მათზე არსებულ კვალს.

საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღების შემთხვევაში, ცალკე ოქმი არ დგება, და ეს საგამოძიებო მოქმედება აღინერება დათვალიერების ოქმში“. შესაბამისად, თუ დათვალიერების შემდგომ საჭიროა დათვალიერებული საგნის ან ნივთის ამოღება, ამაზე მიეთითება დათვალიერების ოქმში, თუმცა ამოღებული საგანი აუცილებლად უნდა დაილუქოს სათანადო წესით.

ადვოკატმა, მის მიერ მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თავიდან ასაცილებლად, მითითებული საგამოძიებო მოქმედებისას უნდა დაიცავს სსსკ-ის 77-ე, 111-112-ე, 125-128-ე, 135-ე მუხლები.²²⁷

3.8. ჩხრეკა-ამოღება

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის საფუძველზე. საგამოძიებო მოქმედებისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით. შესაბამისად, დაცვის მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩაატაროს ჩხრეკა და ამოღება მესაკუთრის, მფლობელის, ან კომუნიკაციის ერთი მხარის წერილობითი თანხმობით, ან მოსამართლის განჩინების საფუძველზე მოითხოვოს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება.

227 დათვალიერების ოქმის ნიმუში იხილეთ ამავე სახელმძღვანელოს დანართში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-120 მუხლები ადგენს ამოღებისა და ჩხრეკის მიზანს, საფუძველსა და წესს. სსსკ-ის 119-ე მუხლის თანახმად: „დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება, ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.“ ორივე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ერთი მიზანი აქვს, თუმცა განსხვავებულია მათი ჩატარების წესი. ასევე განსხვავებულად რეგულირდება კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის ამოღება, რასაც ცალკე შევსებით სახელმძღვანელოში.

სსსკ-ის 119-ე მუხლი ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარებისთვის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს აწესებს: კერძოდ, უნდა არსებობდეს ფაქტებისა ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომლებიც დასაბუთებულ ვარაუდს შექმნის კონკრეტულ ადგილზე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთის არსებობისა და მისი ნებაყოფლობით გაცემა-გაუცემლობის შესახებ.

ბრალდების მხარისაგან განსხვავებით, დაცვის მხარეს ეკრძალება საგამოძიებო მოქმედებათა გადაუდებლად ჩატარება. დაცვის მხარე ვალდებულია, დაიცვას საგამოძიებო მოქმედების წესები, რათა, კანონის არსებითი დარღვევის მოტივით, დაუშვებლად არ ცნონ ამ საგამოძიებო მოქმედების ოქმი და მის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება ან დოკუმენტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსსკ-ის 112-ე მუხლის თანახმად, საგამოძიებო მოქმედება ტარდება მესაკუთრის, მფლობელის, ან კომუნიკაციის ერთი მხარის წერილობითი თანხმობით, ან მოსამართლის განჩინების საფუძველზე. საგამოძიებო მოქმედების ეს წესი ვრცელდება ამოღებისა და ჩხრეკის დროს. ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე, საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა, პირველ რიგში უნდა გაარკვიოს, აცხადებს თუ არა მესაკუთრე, მფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე თანხმობას საგამოძიებო მოქმედებაზე. თანხმობის შემთხვევაში, ტარდება საგამოძიებო მოქმედება და დგება შესაბამისი ოქმი. უარის შემთხვევაში, მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, განჩინების მისაღებად, რომლის საფუძველზეც ატარებს ამოღებას ან ჩხრეკას. საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე, განჩინება გასაცნობად წარედგინება პირს, რომელთანაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება. ეს ხელმოწერით უნდა დაადასტუროს აღნიშნულმა პირმა, რის შემდეგაც მხარე უფლებამოსილია, დაიწყო საგამოძიებო მოქმედება.

იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ამოღება ან ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის და-სწრებით (სსსკ-ის 120.9 მუხლი).

იმისათვის, რომ დაცვის მხარის მიერ ჩატარებული ამოღება და ჩხრეკა იყოს კანონიერი და სასამართლოში მტკიცებულებად დაიშვას, მითითებული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად დაცვის მხარემ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 44-ე, 111-112-ე, 119-120-ე და 135-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნებით.

3.9. საგამოძიებო ექსპერიმენტი

საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანი და წესი რეგულირებულია სსსკ-ის 129-130 მუხლებით: 129-ე მუხლის თანახმად, „მიღებული ინფორმაციისა (ჩვენების) და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შესამოწმებლად, მხარეს უფლება აქვს, ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი;“ 130-ე მუხლი კი განსაზღვრავს საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობას და საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს. სსსკ-ის საგამოძიებო ექსპერიმენტის მარეგულირებელი ნორმები არ განსაზღვრავს, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება მოსამართლის განჩინებით უნდა ჩატარდეს, თუ მის გარეშე. შესაბამისად, უნდა ვიხელმძღვანელოთ სსსკ-ის 111-112 მუხლებით დადგენილი ზოგადი წესით.

ამგვარად, თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება კერძო საკუთრებაში, ან ზღუდავს სხვა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, დაცვის მხარემ უნდა მოიპოვოს იმ პირის თანხმობა, რომელსაც ეზღუდება ზემოაღნიშნული უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ასეთ დათქმას არ აწესებს, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე მიღებული თანხმობა უნდა იყოს წერილობითი და საკმარისია, ის აისახოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაზე უარის შემთხვევაში, საჭიროა, მივმართოთ სასამართლოს, განჩინების მიღების მიზნით.

საგამოძიებო ექსპერიმენტი, რომელიც არ ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას, ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მოსამართლის განჩინების გარეშე. ასეთ შემთხვევაში დგება მხოლოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, კანონით დადგენილი წესით.

საგამოძიებო ექსპერიმენტში, საჭიროების მიხედვით, შეიძლება მონაწილეობდეს:

- ექსპერტი (თუ მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ფიქსაციისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა);
- კანონიერი წარმომადგენელი (თუ ინფორმაციის მომწოდებელი არასრულწლოვანია);
- თარჯიმანი (თუ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე რომელიმე პირი არ ფლობს ან სათანადოდ არ ფლობს სამართალწარმოების ენას);
- სპეციალისტი (მაგ.: საგამოძიებო ექსპერიმენტის ფოტო ან/და ვიდეოგადაღებისთვის);
- დამხმარე პირები (თუ აუცილებელია მათი მონაწილეობა საცდელ მოქმედებებში);
- გარეშე პირი (თუ მონაწილე პირთაგან რომელიმეს აქვს ფიზიკური ნაკლი ან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ აწერს ხელს საგამოძიებო მოქმედების ოქმს);
- მხარეები (მოთხოვნის შემთხვევაში. მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, მისი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი).

სსსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად:

- საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეს უნდა გააცნონ ექსპერიმენტის მიზანი და ჩატარების წესი;
- თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღსადგენად, იგი უნდა შეესაბამებოდეს შესაბამშებელ ინფორმაციას (ჩვენებას) ან ვერსიას. პირს, რომლის მიერ მიცემული ინფორმაციაც (ჩვენებაც) მონმდება, სთავაზობენ, აღიდგინოს შემთხვევის ვითარება, რომლის მონაწილე ან თვითმხილველიც თავად იყო. საჭიროების შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება არაერთგზის;
- საგამოძიებო ექსპერიმენტი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული იმ ვითარებასთან, რომელშიც ხდებოდა აღსადგენი შემთხვევა;
- თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება ინფორმაციის (ჩვენების) ადგილზე შემოწმების მიზნით, მხარე საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილის თანდასწრებით კითხულობს შესაბამშებელ ინფორმაციას (ჩვენებას) და სთავაზობს ინფორმაციის (ჩვენების) მიმცემ

პირს, დაადასტუროს ან დააზუსტოს მიცემული ინფორმაცია (ჩვენება), რასაც თან ახლავს გარკვეულ მოქმედებათა დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ინფორმაციის (ჩვენების) დაზუსტება;

- რამდენიმე პირის ინფორმაციის (ჩვენების) ერთდროულად ადგილზე შემონგება დაუშვებელია;
- პირი, რომლის ინფორმაციაც (ჩვენებაც) ადგილზე მოწმდება, განმარტებას იძლევა სხვათა ჩაურევლად, კარნახისა და პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების გარეშე;
- საგამოძიებო მოქმედების მონაწილეს შეუძლია, დასვას კითხვები, მოითხოვოს მოქმედების გამეორება, მონაწილეთაგან ადმოჩენილი საგნის, დოკუმენტის, კვალისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერებაში, და მხარისა და სხვა მონაწილეთა ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს;
- საგამოძიებო ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, თითოეული მონაწილე ხელმოწერით ადასტურებს საგამოძიებო მოქმედების ოქმს.²²⁸

3.10. კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე: „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია, გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.“ თუმცა, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ადვოკატიც სარგებლობს ამავე უფლებით, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით (№1/1/650,699), ძალადაკარგულად არის ცნობილი 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამოირიცხავდა დაცვის მხარის მიერ სასამართლოსთვის მიმართვას შუამდგომლობით, რომ გამოეცა განჩინება კომპიუტერულ სისტემასა ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვაზე.

228 საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის ნიმუში იხილეთ ამავე სახელმძღვანელოს დანართში.

შესაბამისად, დაცვის მხარეს უკვე შეუძლია, შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და ითხოვოს კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა, ხოლო ხსენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თვითონ ჩაატაროს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, არა ამოღების ან დათვალიერების, არამედ კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, როგორც აკეთებს ბრალდების მხარე.

იმისათვის, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობა სასამართლომ დააკმაყოფილოს, ადვოკატმა უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის მე-9, 25-ე, 38-ე, 39-ე და 136-ე მუხლებით მინიჭებული უფლებებით. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით გარანტირებულია მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, რომლის თანახმად, „მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“. შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, პირველ რიგში, გულისხმობს მხარის უფლებას, „იყოს მოსმენილი“. შესაბამისად, შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას, მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები. ამდენად, შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად ელემენტებია:

- მართლმსაჯულების, ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის გამოცალკევება;
- შეჯიბრებითობა როგორც სასამართლო, ასევე გამოძიების სტადიაზე;
- მხარეთა თანაბარი უფლება მტკიცებულების მოპოვებაზე;
- მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მხარეებს შორის შეჯიბრებითობა უზრუნველყოფილია როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე საქმის სასამართლო განხილვისას. ეს ევალდება სასამართლოს, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „სასამართლო ვალდებულია, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები, ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.“ თანაბარი შესაძლებლობების შექმნა გულისხმობს მხარეებისთვის მტკიცებულებათა წარდგენის თანაბარი შესაძლებლობის

მიცემას და მათ თანაბარ პირობებში გამოკვლევას. საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს სასამართლოს პროაქტიულ დახმარებას დაცვის მხარისათვის, თუ მტკიცებულების მოსაპოვებლად საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედება, რომელსაც ბრალდებულის/ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, ან/და საჭიროებს სასამართლოს ნებართვას. საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი ბრალდებულს ანიჭებს უფლებას: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება, მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან, კომერციული თუ სხვა სახის კერძო დაწესებულებიდან, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.

რაც შეეხება თავად კომპიუტერულ სისტემასა და მონაცემს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე ნაწილის მიხედვით, კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც, პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორისაა: პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მონყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე, მობილური ტელეფონი).

კომპიუტერულ სისტემაში არსებული მონაცემების გამოთხოვის/მოპოვების წესი გათვალისწინებულია სსსკ-ის 136-ე და 143²-143¹⁰ მუხლების დებულებებით, ხოლო მხარის შუამდგომლობა ინფორმაციის გამოთხოვაზე უნდა იყოს მოტივირებული.

საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმპერატიულად განსაზღვრულია, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰ მუხლების დებულებები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. განჩინებას მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.²²⁹

229 ინფორმაციის გამოთხოვის ოქმის ნიმუში იხილეთ ამავე სახელმძღვანელოს დანართში.

3.11. ნიშუშის ალება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლი ადგენს ნიშუშის ალების - დაცვის მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედების - წესებს. ეს მოქმედება ეხმარება მხარეს ექსპერტიზის ჩატარებაში. მხარეს შეუძლია, სასამართლოს მიმართოს დახმარებისთვის, როცა ნებაყოფლობით ვერ ხერხდება ნიშუშის ალება. რიგ შემთხვევებში, ნიშუშის ალებისთვის აუცილებელია სასამართლოს ნებართვა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, ნიშუშის ალებას ატარებს მხარე. მას უფლება აქვს, აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თვისებების ამსახველი ნიშუში. ნიშუშის ალება, რომელიც არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ის უნდა აიღონ. თუ ნიშუშის ნებაყოფლობით ალებაზე პირი უარს აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იწვევს ძლიერ ტკივილს, მოქმედება ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.

თუ ნიშუშის ალებისათვის აუცილებელია ქირურგიული ან სამედიცინო საშუალებების გამოყენება, ნიშუშს იღებს ექსპერტი, ხოლო ნიშუშის ალება, რომელიც იწვევს ძლიერ ტკივილს, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ის უნდა აიღონ; აგრეთვე, მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით, თუ ამ პირს 16 წელი არ შესრულებია ან ის ფსიქიკურად დაავადებულია, ანდა სასამართლოს განჩინებით.²³⁰

3.12. ექსპერტიზა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 21-ე ნაწილი იძლევა ექსპერტის განმარტებას:

„ექსპერტი – სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად, მიწვეულია მხარის ან, მხარის შუამდგომლობით, სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევისა და დემონსტრირებაში.“

230 ნიშუშის ალების ოქმის ნიშუში იხილეთ ამავე სახელმძღვანელოს დანართში.

ზოგიერთი ტიპის ექსპერტიზის ჩატარებას სჭირდება ლიცენზია. მათი ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს კანონში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ.

ამდენად:

1. ექსპერტი არის ადამიანი, რომელიც ატარებს კვლევას; ან
2. ეხმარება მხარეს მტკიცებულების აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში (მაგ.: ფოტოგრაფი, კინოლოგი და ა.შ).

სსსკ-ის 52-ე მუხლი ადგენს ექსპერტის უფლება-მოვალეობებს:

„1. ექსპერტს უფლება აქვს:

- ა) გაეცნოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალას, ამოინეროს საჭირო ცნობა და გადაიღოს ასლი;
- ბ) მოითხოვოს დამატებითი მასალის წარდგენა; გამოკვლევის პროცესში აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა ობიექტის საცდელი ნიმუში; ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს მოსთხოვოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია;
- გ) უარი თქვას დასკვნის მიცემასა და ექსპერტიზის გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი ცოდნის ფარგლებს, ან თუ მისთვის წარდგენილი მასალა საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;
- დ) ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას;
- ე) მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანსა და საექსპერტო კვლევასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევაში;
- ვ) მტკიცებულების აღმოჩენის, გამოკვლევისა და დემონსტრირებისთვის გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.

2. ექსპერტი ვალდებულია:

- ა) თუ საექსპერტო კვლევით დადგინდა გარემოება, რომლის შესა-

ხეზაც ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს ან/და პროცესის სხვა უფლებამოსილ მონაწილეს კითხვა არ დაუსვამს, იგი ასახოს დასკვნაში;

ბ) დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი, თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ დახარჯულა;

გ) თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძველი, განაცხადოს თვითაცილება.“

სსსკ-ის 144-ე მუხლის თანახმად: თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე, თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ვვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა.

ექსპერტიზის ინიციატორი შეიძლება იყოს მხარე.

თუ საექსპერტო კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება, იგი ვალდებულია, გადასცეს ობიექტი ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტს. ექსპერტიზის ინიციატორი მხარე უფლებამოსილია, ჩაატაროს ექსპერტიზა. თუ მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს მას, იგი უფლებამოსილია, საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისთვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს არაუგვიანეს 48 საათისა. ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შუამდგომლობა არ განიხილება. სასამართლო უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება (სსსკ-ის 144.3 მუხლი). თუ მეორე მხარისგან მიღებული კვლევის ობიექტის დაცვა ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტმა ვერ ან არ უზრუნველყო, ექსპერტის დასკვნა დაუშვებელი მტკიცებულებაა, ხოლო მისი მოწმედ დაკითხვა დაუშვებელია.

პირველადი გამოკვლევის ფარგლებში, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგნის, დოკუმენტის, ნივთის, ნივთიერების, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ექსპერტისთვის გადაცემის შემდეგ, ექსპერტი ადგენს საექსპერტო კვლევის ობიექტზე ექსპერტიზის მრავალ-

ჯერადად ჩატარების შესაძლებლობას (სსსკ-ის 144.3² მუხლი). თუ იგი დაადგენს, რომ საექსპერტო კვლევის ობიექტი შეიძლება ვარგისი იყოს ექსპერტიზის მხოლოდ ერთჯერადად ჩასატარებლად (გამოლევადია, ან ექვემდებარება განადგურებას), აგრეთვე, თუ ამის დადგენა შეუძლებელია, ექსპერტმა ეს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ბრალდების მხარეს, ბრალდების მხარემ კი, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ – დაცვის მხარეს (სსსკ-ის 144.3³ მუხლი). ამ შემთხვევაში, დაცვის მხარეს უფლება აქვს, შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში წერილობითი შეკითხვები წარუდგინოს ბრალდების მხარეს. ბრალდების მხარე ამ შეკითხვებს დაუყოვნებლივ უგზავნის ექსპერტს (სსსკ-ის 144.3⁴ მუხლი).

პირველადი გამოკვლევის ფარგლებში შედგენილი ექსპერტიზის დასკვნა დაცვის მხარეს გადაეცემა ამ კოდექსის 146-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით (სსსკ-ის 144.3⁵ მუხლი), სადაც მითითებულია, რომ ექსპერტის დასკვნის მიღებისთანავე, ექსპერტიზის ინიციატორმა მხარემ ის დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მეორე მხარეს, ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამოძიებლის, პროკურორის დადგენილება და დაცვის მხარის მიმართვა სავალდებულოა საექსპერტო დაწესებულებისათვის, ექსპერტისთვის და იმ პირისთვის, რომელიც საექსპერტო კვლევის ობიექტია.“

სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: „ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებაში და დაცვის მხარის მიმართვაში აღინიშნება ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, საექსპერტო დაწესებულების დასახელება, ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება.“

სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: „დაცვის მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსის 46-ე მუხლის დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით მოითხოვოს მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურება“.

შესაბამისი გამოკვლევის ჩატარების შემდეგ, ექსპერტი იძლევა დასკვნას. სსსკ-ის 146-ე მუხლი ადგენს დასკვნის შედგენის საკითხებს – რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს დოკუმენტი.

ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვა-

რი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა), ის, რომ ექსპერტი გააფრთხილეს განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისთვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ვინ ესწრებოდა მას, რა მასალები გამოიყენა, რა საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან სხვა ობიექტი გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩაატარა და რა მეთოდები გამოიყენა ექსპერტმა, დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე, ექსპერტის ინიციატივით დადგენილი და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები (სსსკ 146.2 მუხლი).

საპროცესო კოდექსის თანახმად, ექსპერტი ვალდებულია, პასუხი გასცეს არა მხოლოდ დასმულ შეკითხვებს, არამედ საქმისთვის მნიშვნელოვან ისეთ გარემოებებსაც, რომლებიც დადგინდა ექსპერტიზის ჩატარებისას. შესაძლებელია, ეს გარემოება თავად ექსპერტიზის დამნიშნავ მხარეს არ აინტერესებდეს და მისთვის საზიანოც კი იყოს. თუმცა, ექსპერტი მიუკერძოებელი პირია და ვალდებულია, ყველა გამოვლენილი გარემოება ასახოს დასკვნაში.

სსსკ-ის 146.3 მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ნივთები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებს ამ დასკვნას.

სსსკ-ის 146.4 მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნის მიღებისთანავე, ექსპერტიზის ინიციატორმა მხარემ ის დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მეორე მხარეს, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში. თუ მოთხოვნა არ არსებობს, დასკვნა მეორე მხარეს გადაეცემა მტკიცებულებათა გაცვლის საერთო წესების შესაბამისად.

3.13. მიყვანა სასამართლოში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სხვა საპროცესო მოქმედებების თავში განსაზღვრავს მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრებისთვის ძალიან მნიშვნელოვან ინსტიტუტს – მიყვანას. დაცვის მხარეს ამ ინსტიტუტის გამოყენება შეუძლია მაშინ, როცა მის მიერ დასახელებული მონმე არ ცხადდება სასამართლოში დასაკითხად. ასევე, როდესაც, მონმე (დაზარალებული) უარს აცხადებს, მაგალითად, ნიმუშის აღებაში მონაწილეობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის

(„გამოცხადების სავალდებულობა, მიყვანა“) თანახმად:

„1. მხარე უფლებამოსილია, დააყენოს შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე თავისი მონმის გამოცხადების შესახებ.

2. პირი, რომელსაც კანონით დადგენილ შემთხვევებში იძახებს სასამართლო, ვალდებულია, გამოცხადდეს ზუსტად დანიშნულ დროსა და ადგილას. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ.

3. მიყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში მონმის მონაწილეობა, თუ იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოცხადებაზე.

4. ექსპერტიზის ინიციატორი მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს ბრალდებულის, დაზარალებულისა და მონმის ექსპერტთან მიყვანა, თუ აუცილებელი გახდა მათი სხეულის ან ფსიქიკის გამოკვლევა, ან თუ აუცილებლად იქნა მიჩნეული ექსპერტიზაზე აღნიშნულ პირთა დასწრება. იძულებით მიყვანა ხდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით, რომელიც გამოიტანება ამ კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით. გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის მიყვანა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს განჩინებით.

5. მიყვანის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს: მისაყვანი პირის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი; მისი მიყვანის საფუძველი; როდის და სად უნდა მიიყვანონ პირი; ვის ევალება მისი მიყვანა.“

მიყვანის შესახებ მხარე შუამდგომლობას აყენებს სასამართლოს წინაშე, გამოძიების ადგილის მიხედვით, ან მიმართავს საქმის განმხილველ სასამართლოს. შუამდგომლობა უნდა განიხილონ შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. ზეპირი მოსმენის დანიშვნის შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობა იწვევს შუამდგომლობის განუხილველობას.

მიყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება აღსასრულებლად გადაეცემა სამართალდამცველ ორგანოს. სსსკ-ის 150-ე მუხლი არეგულირებს სამართალდამცველი ორგანოების კომპეტენციას მიყვანის გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

როდესაც მისაყვან პირს აღმოაჩენენ, უფლებამოსილი თანამდებობის პირი მას ხელწერილით აცნობს გადაწყვეტილებას მიყვანის შესახებ და მიჰყავს ამ გადაწყვეტილებაში მითითებულ ორგანოში (პირთან). ამასთანავე, გადაწყვეტილებაზე უნდა გაკეთდეს ჩანაწერი პირის აღმოჩენის დროისა და ადგილის, მიყვანის დროის, აგრეთვე, მიყვანასთან მიმართებით მისი განცხადებებისა და საჩივრების შესახებ.

მიყვანის შესახებ გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს გონივრულ ვადაში. ეს ვადა შეფასებითია. მაგალითისთვის, თუ მოწმის მიყვანაზე გამოტანილია სასამართლოს განჩინება, გონივრული ვადა იქნება, რომ ეს მოხდეს მანამდე, სანამ მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა გრძელდება.

თუ უფლებამოსილი თანამდებობის პირი დაადგენს, რომ პირის მიყვანა შეუძლებელია, იგი მიყვანის შესახებ გადაწყვეტილებაზე წერილობით მიუთითებს ამის მიზეზებს და გადაწყვეტილებას აღსრულების გარეშე უბრუნებს მიყვანის ინიციატორს.

3.14. ბრალდების მხარის მტკიცებულებათა მიღების, დაცვის მხარის მტკიცებულებათა ბრალდების მხარისთვის გაცვლისა და სასამართლოში წარდგენის წესი

ამ წესს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი, რომლის თანახმად:

- „1. სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია, ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.
2. დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ბრალდების მხარე უფლებამოსილია, დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს.
3. ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ, იმ მომენტისთვის არსებული მასალის მხარისთვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე დგება ოქმი, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

5. დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში, და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე.

6. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მხარეებმა ერთმანეთსა და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

7. მხარეებმა საკუთარი ხარჯით უნდა გადასცენ ერთმანეთს ინფორმაცია დოკუმენტის ასლის სახით, სხვა მასალის შემთხვევაში კი – ცნობის სახით. დასაშვებია ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერებაც, თუ ეს არ იწვევს მის ან მასზე არსებული კვალის დაზიანებას ან განადგურებას.

8. ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე, მხარეები ვალდებული არიან, მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე, გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები“.

მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, რომ მოემზადონ სასამართლო განხილვისთვის, ხელს უწყობს სასამართლო განხილვის ეფექტიანობას და ქმნის სამართლიანი განხილვის მნიშვნელოვან წინაპირობას.

სსსკ-ის 83-ე მუხლი მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის ორ სახეს გვთავაზობს, კერძოდ: ინფორმაციის გაცვლას **მოთხოვნისამებრ** და **სავალდებულო წესით**. ეს უკანასკნელი სავალდებულოა ორივე მხარისთვის, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე, და ბრალდებულის პირველ წარდგენამდე სასამართლოში.

შესაძლო მტკიცებულებათა სავალდებულოდ გაცვლის ორივე შემთხვევაში, მხარეებს ევალებათ წერილობითი მტკიცებულების ასლების გადაცემა-სა და სხვა მასალების გაცნობის ვალდებულება. იგულისხმება, რომ წერილობითი მტკიცებულებები ასლის სახით უნდა გადაეცეს, ხოლო ნივთიერი მტკიცებულება - დათვალიერდეს.

აღნიშნული კანონის ნორმა იმპერატიულად ითხოვს, რომ ყველა ინფორმაცია, რომლის გამოყენებასაც მხარე აპირებს სასამართლოში, სავალდებულო წესით გადაეცეს მეორე მხარეს წინასასამართლო სხდომაში 5 დღით ადრე. აქვე მნიშვნელოვანია, სწორად დავიცვათ 5-დღიანი ინტერვალი (მაგ.: თუ წ/ს სხდომა ჩანიშნულია 20 რიცხვში, მასალების გაცვლა და სასამართლოში წარდგენა სავალდებულოა არაუგვიანეს 14 რიცხვისა), რათა სადავო არ გახდეს ბრალდების მხარის ან სასამართლოს მიერ მასალების მხარისთვის გაცვლისა და სასამართლოში წარდგენის ვადა და არ დადგეს დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხი.²³¹

თავი 4. სამართლებრივი წერის ძირითადი პრინციპები და საპროცესო დოკუმენტების დასაბუთების სტანდარტი

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი დასაბუთება და სამართლებრივი წერა იურისტის პროფესიული კომპეტენციის მთავარი საყრდენებია. იურისტის ცხოვრება მწერლის ცხოვრებაა. იურისტისათვის სიტყვები პროფესიული იარაღია. ის სიტყვებს მნიშვნელობის წარმოსაჩენად იყენებს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად იყენებს სიტყვებს იურისტი საუბრის, ფაქტების განმარტებისა და წერის დროს.²³²

სამართლებრივი წერის ცნობილი სპეციალისტის, ქალბატონ ჟაკინეტ ეს. კორგანის თანახმად: „სამართლებრივი წერა უფრო ხელობაა, ვიდრე ხელოვნება. შესაძლოა ფიქრობდეთ, რომ კარგად წერა არ არის მნიშვნელოვანი, როდესაც წერთ მოსამართლეებისთვის, ვინაიდან მათ აუცილებლად მოუწევთ ამის წაკითხვა. ასე ფიქრი საშიშია. როდესაც თქვენ აჯამებთ საა-

231 სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხისა და მტკიცებულებათა გაცვლის ოქმის ნიმუში იხილეთ ამავე სახელმძღვანელოს დანართში.

232 რიჩარდ ქეი ნიუმანი, უმცროსი, სამართლებრივი დასაბუთება და სამართლებრივი წერა: სტრუქტურა, სტრატეგია და სტილი 16 (2005), გვ. 3-4.

პელაციო საჩივარს, გიხდებათ ყველა პირველი ინსტანციის სასამართლოს ჩანაწერისა და სამართლებრივი არგუმენტის ლაკონიურ ტექსტში მოქცევა. იმისთვის, რომ საქმე კლიენტის საჭიროებისამებრ წარმოაჩინოთ, ნათლად და ლაკონიურად უნდა მოუთხროთ მოსამართლეებს, თუ რამ მიიყვანა თქვენი კლიენტი პირველი ინსტანციის სასამართლომდე, რა მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რატომ იყო ეს არასწორი და როგორ უნდა გამოასწოროს ეს სააპელაციო სასამართლომ. თუ არ მოუყვებით მოსამართლეებს თქვენი საქმის ისტორიას, მათ კარგად არ ეცოდინებათ, რა მოხდა; თუ მკაფიოდ არ წარმოადგენთ თქვენს არგუმენტებს, მოსამართლეები ვერ გაიგებენ მათ; თუ არ აჩვენებთ მოსამართლეებს, როგორ ესადაგება თქვენი არგუმენტი ფაქტებს, ნაკლებად შესაძლებელია, მათ ისე დაინახონ საქმე, როგორც თქვენ ხედავთ“.²³³

ამრიგად, სამართლებრივი წერა ძირითადად ეხება ფაქტების ანალიზს და არგუმენტების წარდგენას სხვადასხვა ტიპის სამართლებრივ დოკუმენტში. საქმის სტრუქტურისა და ფაქტების იერარქიის ჩამოყალიბებასთან ერთად, სამართლებრივი წერა მჭიდროდ უკავშირდება სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის ლოგიკასა და მეთოდოლოგიას.

გარდა ამისა, სამართლებრივი წერა უფრო ზოგადი ტერმინია, მაშინ, როდესაც სამართლებრივი დოკუმენტის შედგენა ნიშნავს სამართლებრივად სავალდებულო ტექსტის მომზადებას. ეს ტექსტი მოიცავს მოქმედ კანონებს (მაგ.: საკანონმდებლო აქტები, წესები და რეგულაციები), ხელშეკრულებებს (როგორც კერძო, ისე საჯარო), პირად იურიდიულ დოკუმენტებს (მაგ.: ანდერძები და მეურვეობები), და საჯარო სამართლებრივ დოკუმენტებს (მაგ.: შეტყობინებები და ინსტრუქციები). სამართლებრივი დოკუმენტის შედგენა არ საჭიროებს სამართლებრივი უფლებამოსილების ციტირებას და, ზოგადად, იწერება სტილიზებული ენის გარეშე. ცუდად შესრულებულმა სამართლებრივმა დოკუმენტმა შეიძლება გამოიწვიოს დავა და სხვა მხრივ დაამიანოს კლიენტის ინტერესები. პრობლემის წარმოქმნა შეუძლია ცუდ დასაბუთებასაც.²³⁴

233 ჟაკინეტ ეს. კორგანი, აკრონის საადვოკატო ასოციაციის და სააპელაციო სასამართლოს კომიტეტის თავმჯდომარე; სამიტის მოსამართლეთა საოლქო ასოციაციის *Amicus*-ის კომიტეტის რწმუნებული და წევრი და ოპიოს შტატის სასამართლოს წევრი, „სააპელაციო საჩივრების შედგენის სწავლება“, 14 ნოემბერი 2014, 1-ლი გვერდი.

234 სამართლებრივი წერა და ანალიზი (მეორე გამოცემა) ლინდა ედვარდსისგან; შტელმახი, ჯერმი, სამართლებრივი დასაბუთების მეთოდები. დორდრესტი: სფრინგერი, 2006.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ თავის მიზანი არ არის პროფესიონალი იურისტებისა და კვალიფიციური ადვოკატებისთვის სამართლებრივი დოკუმენტის შედგენის სწავლება: მისი ამოცანაა ყურადღების გამახვილება რამდენიმე პრინციპსა და მექანიზმზე, რომლებიც იძლევა სამართლებრივი წერისა და მსჯელობის ხელშეწყობის საშუალებას. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება. ეჭვგარეშეა, რომ ეს უკანასკნელი კარგად აწყობილი, თანმიმდევრული და განონასწორებული სამართლებრივი წერისა და დასაბუთების ნიმუშთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

სამართლებრივი დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, სამართლებრივი წერის სხვადასხვა ტიპი გამოიყენება. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მათგანი:

ობიექტური (განჭვრეტადი) წერა - ზოგადად, ეს ნიშნავს, რომ იურისტი გთავაზობს კონკრეტული სიტუაციისა ან სამართლებრივი საკითხის ობიექტურ და დაბალანსებულ ანალიზს. ამრიგად, ობიექტური (განჭვრეტადი) სამართლებრივი წერისა და ანალიზის ყველაზე გავრცელებული სახეებია სამართლებრივი მემორანდუმი და სამართლებრივი მოსაზრებები, პროფესიონალურ ელექტრონულ წერილებსა და კლიენტის წერილებთან ერთად. ეს დოკუმენტები, სხვადასხვა ფაქტორის ანალიზით, წინასწარ განსაზღვრავს მოცემული საკითხის მოსალოდნელ შედეგს (მაგ.: საკითხის რეგულირებაზე პასუხისმგებელ პირთა საქციელი და შესაბამისი ფაქტები, რომლებმაც განსახილველი სამართლებრივი საკითხი გამოიწვია). ასეთი ტიპის ანალიზის ფარგლებში შედეგის განსაჭვრეტად, შეფასდება ყველა ფაქტი და მიენოდება რეკომენდაციები კონკრეტულ სიტუაციაზე. ობიექტური (განჭვრეტადი) წერა გულისხმობს ნეიტრალურ და ობიექტურ წერას. თუკი კლიენტი წააგებს სასამართლოში, კარგად განჭვრეტად მსგავს დოკუმენტში მოცემული იქნება, რომ კლიენტი იმედგაცრუებულია. საუკეთესო პროგნოზები ზუსტი პროგნოზებია.²³⁵

დამარწმუნებელი წერა - იურისტი ისეთი სახით წარმოადგენს ფაქტებს, რომ შედეგი უკვე განსაზღვრულია და საკუთარ დამოკიდებულებას ახვევს თავს მკითხველს (მაგ.: მოსამართლეს ან საკითხის გადამწყვეტ პასუხისმგებელ პირს). გარდა ამისა, დამარწმუნებელი წერა არ არის ნეიტრალური. ეს საადვოკატო საქმიანობაა. კარგმა დამარწმუნებელმა წერამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოზე, რომ საკითხი ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.²³⁶

235 რიჩარდ ქეი ნიუმანი უმცროსი, გვ. 39.

236 იქვე.

აქედან გამოიმდინარე, ორივე, ობიექტური (განჭვრეტადი) წერაც და დამარწმუნებელი წერაც, გადაწყვეტილებებს უკავშირდება, მაგრამ სხვადასხვაგვარად: განჭვრეტადი წერისას იურისტი ეხმარება მკითხველს (ზემდგომ იურისტს ან კლიენტს) გადაწყვეტილების მიღებაში; დამარწმუნებელი წერისას კი იურისტი ცდილობს, დაარწმუნოს მოსამართლე, რომ გადაწყვეტილება კლიენტის სასარგებლოდ მიიღოს.²³⁷

აღსანიშნავია, რომ არსებობს სამართლებრივი წერის კიდევ ერთი სახე - ხელშეკრულებების, ანდერძებისა და სხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი სახელმძღვანელო, რომლებიც იურისტს დაეხმარება ამგვარი სახის დოკუმენტების მომზადებაში, უფრო ხშირად გამოიყენება ციფრული პლატფორმები და მომსახურებები.²³⁸ თავდაპირველად ამგვარი „შაბლონური ხელშეკრულებების“ ფორმა ძირითადად გავრცელებული იყო სამართლის ვინრო დარგებში, როგორცაა კერძო საერთაშორისო სამართალი და საზღვაო სამართალი. თუმცა, ბოლოდროინდელი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი მიდგომა სულ უფრო ხშირად გამოიყენება. ეს იურისტებს საშულებას აძლევს, რომ გაამარტივონ სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა და უზრუნველყოფს დამატებით უსაფრთხოებასა და გარანტიებს, არსებული სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით.

თუკი გავითვალისწინებთ უშუალო სახელმძღვანელოს სამიზნე აუდიტორიას, განსაკუთრებით, საქართველოში მოღვაწე ადვოკატებს, რომელთაც შეხება აქვთ სხვადასხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმესთან, დავინახავთ, რომ მათ ყოველდღიურ პრაქტიკაში ყველა სახის სამართლებრივი წერა გამოიყენება.

ქვემოთ წარმოდგენილია რიგი პრაქტიკული რეკომენდაციები სამართლებრივი წერის გასაუმჯობესებლად:

237 იქვე.

238 მაგ.: Adobe-ის ღია წყარო: „სამართლის დეპარტამენტის სტილის სახელმძღვანელო“ ყველასთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი კრეატიული თემის ლიცენზიით. Adobe-ის თანახმად, სახელმძღვანელო „საფუძველია იმისა, თუ როგორ ვქმნით და ვიმეორებთ ჩვენს სახელშეკრულებებს, პოლიტიკისა და სატრენინგო მასალებს, რათა ისინი შეძლებისდაგვარად ზუსტი და ცხადი იყოს და კომუნიკაცია საერთო ენაზე დავამყაროთ“. შინაარსი ასევე მოიცავს საკუთარი თავის ორგანიზებას წერის დაწყებამდე, დოკუმენტის დიზაინის პრინციპებს, ზოგად ჩარჩო კონვენციებს, სუფთა წერის სახელმძღვანელოებს, მოკლე ბიბლიოგრაფიას სამართლებრივი დოკუმენტის შედგენაზე და ა.შ. ხელმისაწვდომია: <https://documentcloud.adobe.com/link/track?uri=urn%3Aaaid%3Aascds%3AUS%3A049e2224-211f-4efa-b236-2a91ee9c1463#pageNum=1>; ან აქ: <https://lawexplores.com/>

1. წერეთ მოქმედებით გვარში: სამართლებრივი ქმედების გამომხატველი ზმნები უნდა იყოს მოქმედებით გვარში, რათა ნათელი გახდეს, თუ ვინ შეასრულა მოქმედება. ყურადღება მიაქციეთ სიზუსტეს წინადადებაში „[მან] გაგზავნა შეტყობინება“, განსხვავებით წინადადებისგან „გაგზავნილ იქნა შეტყობინება“ (ამ უკანასკნელიდან გაურკვეველია, თუ ვინ გაგზავნა შეტყობინება).²³⁹

მოქმედებითი გვარი აღმოფხვრის დაბნეულობას, რადგან გაიძულებთ, დაასახელოთ მოქმედი პირი წინადადებაში. ასეთი წყობა ნათელს ხდის მკითხველისთვის, თუ ვინ ასრულებს მოვალეობას. ამასთან, ვნებით გვარში წინადადება უფრო გრძელია და ირიბი.

მოქმედებით გვარში დანერგულ წინადადებებში მითითებული უნდა იყოს სუბიექტი, ხოლო ვნებით გვარში წინადადებები მისი მითითების გარეშე დასრულებულია.

მასალა მონოდებულ იქნა [ვის მიერ?]

საწყისი თარიღი გადაწყვეტილ იქნა [ვის მიერ?]

ციფრები დადასტურდა [ვის მიერ?]

მოქმედი პირის მითითება გაიძულებთ, რომ პასუხისმგებლობა მკაფიოდ გამოხატოთ:

მასალა მოგვანოდა „მაცნე“.

კონტრაქტორმა გადაწყვიტა საწყისი თარიღი.

ციფრები დადასტურა ადმინისტრატორმა.

თუ მოქმედი პირი უცნობია, უმნიშვნელოა, ან ისედაც ნათელია, მაშინ უპრიანია ვნებითი გვარის გამოყენება. ჩვეულებრივ, ეს არ გამოიყენება მარეგულირებელ ტექსტში.

პატარა ნივთებს ხშირად იპარავენ.

აპლიკაციები გადაგზავნილია.

2. გამოიყენეთ მოქმედების გამომხატველი (აქტიური) ზმნები:

არ თქვათ:

მოხდა გამოკვლევა

განახორციელებს შესწავლას

მიანიჭებს აღიარებას

უზრუნველყოფს დაცვას

თქვით:

გამოიკვლიეს

შეისწავლის

აღიარებს

დაიცავს

²³⁹ პიტერ ნემ სვიშერი, იქვე, გვ. 887.

მარცხენა სვეტში ჩამოთვლილი არსებითი სახელები საკუთარ თავში ისე-
დაც მოიცავს ზმნას. ამიტომ, ამ სახით მათი წაკითხვა რთულია და წინადა-
დებებს აგრძელებს, აქტიური ზმნები კი უფრო მოკლეა და პირდაპირი.

**3. დამარწმუნებელი წერის შემთხვევაში, იყავით პირდაპირი. პირდა-
პირ ესაუბრეთ თქვენს მკითხველებს. გამოიყენეთ ბრძანებითი კილო:**
ეს დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის რეგულაციისთვისაც, განსაკუთ-
რებით, რეგლამენტებისთვის, ინსტრუქციებისა და მოვალეობათა ჩამო-
ნათვალისთვის.

პირდაპირობა თავიდან ირიდებს ვნებით გვარს:

თქვით: *ხელი მოაწერეთ ყველა ასლს.*

თქვენს საპასუხო წერილს დაურთეთ თქვენი ანგარიშის ასლი.

ამ სტილის გამოყენების შედეგად, მიღებული პროცედურები უფრო მოკლე,
მკაფიო და ადვილად გასაგებია.

4. გამოიყენეთ ანმყო დრო: ანმყო დროის გამოყენების მიზანშეწონილ-
ობა ნათლად ჩანს წესდებებსა და კერძო სამართლებრივ დოკუმენტებში.
დოკუმენტების ანმყო დროში მომზადებისას, თქვენ აირიდებთ რთულ ზმნის
ფორმებს და გამოხატავთ ფაქტს.²⁴⁰

არ თქვათ: *წესის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა უნდა იყოს 100.00
ლარი.*

თქვით: *წესის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა 100.00 ლარია.*

5. წერეთ დადებითი ფორმით: როდესაც აზრის გამოხატვა შესაძლებე-
ლია წინადადების როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ფორმით, აირჩიეთ
დადებითი ფორმა. ამ სახით აზრი უფრო მარტივი აღსაქმელია.²⁴¹

არ თქვათ: *მმართველმა არ უნდა დანიშნოს თანამდებობაზე სხვა პირე-
ბი, გარდა პერსონალის მართვის სააგენტოს მიერ კვალი-
ფიციურად მიჩნეული პირებისა.*

თქვით: *მმართველმა თანამდებობაზე უნდა დანიშნოს პერსონალის
მართვის სააგენტოს მიერ კვალიფიციურად მიჩნეული პირი.*

უარყოფითი წინადადება გამოიყენეთ მაშინ, როდესაც აფრთხილებთ მკი-
თხველს:

არ იართო!

არ მონიო!

240 პიტერ ნემ სვიშერი, გვ. 887.

241 იქვე, გვ. 889.

მაგრამ არ გამოიყენოთ რამდენიმე უარყოფა ერთ წინადადებაში:

არ თქვათ: *სადემონსტრაციო პროექტი არ უნდა დადასტურდეს მანამ, სანამ განმცხადებელი ყველა სააპლიკაციო მოთხოვნას არ შეასრულებს.*

თქვით: *სადემონსტრაციო პროექტი დადასტურდება მაშინ, როცა განმცხადებელი ყველა სააპლიკაციო მოთხოვნას შეასრულებს.*

უარყოფითი ფორმის დადებითი ფორმით გამოხატვა უმჯობესია შემდეგ კონტექსტშიც:

არ თქვათ

არ ახსოვდა პირობა

არ გაუწია ანგარიში მითითებას

არ მოღის შესაბამისობაში კონვენციასთან

არ შეასრულა კანონი

თქვით

დაავიწყდა პირობა

უგულებელყო
მითითება

ენინალმდეგება კონ-
ვენციას

დაარღვია კანონი

6. არასდროს გამოიყენოთ დათქმები: საუკეთესო შემთხვევაში, დათქმები არქაული და ბუნდოვანი დებულებებია, ამიტომ თავი შეიკავეთ მათი გამოყენებისგან. მაგალითად, „*იმ პირობით“ უგულებელყოფს გრამატიკულ ანალიზს, შეიძლება მრავალი მნიშვნელობით განიმარტოს: „თუ“, „ან“, „მაგრამ“, „გარდა ამისა“... ბუნდოვანების ასარიდებლად, ეს ალტერნატიული სიტყვები უნდა გამოვიყენოთ, ნაცვლად ფრაზისა „იმ პირობით“.*²⁴²

7. მოერიდეთ გამონაკლისების გამოყენებას: თუ შესაძლებელია, პირდაპირ მიუთითეთ წესი ან კატეგორია, ნაცვლად იმისა, რომ ისინი აღწეროთ გამონაკლისების წარმოდგენით:

არ თქვათ: *ყველა პირმა, გარდა 18 წლის ან მეტი ასაკისა, უნდა...*

თქვით: *18 წლამდე ასაკის თითოეულმა პირმა უნდა...*

თუმცა, შეიძლება გამოიყენოთ გამონაკლისის სახითაც, თუკი მასში არ არის გრძელი სია, ან დეტალური აღწერილობა.

8. მრავლობითი არსებითი სახელის ნაცვლად, გამოიყენეთ მხოლობითი არსებითი სახელი: თუ თქვენი აზრის შინაარსი საშუალებას გაძლევთ, გამოიყენეთ მხოლობითი სახელი, მრავლობითის ნაცვლად. ამით

242 იქვე, გვ. 887.

აირიდებთ გაურკვეველობას, ეს წესი კატეგორიის კონკრეტულ წევრზე ვრცელდება, თუ მთლიანად კატეგორიაზე.

არ თქვათ: მცველი უსაფრთხოების ბეჭებს გასცემს იმ თანამშრომლებზე, რომლებიც მუშაობენ „დ“ და „ე“ შენობებში.

თქვით: მცველი უსაფრთხოების ბეჭს გასცემს თითოეულ თანამშრომელზე, რომელიც მუშაობს „დ“ ან „ე“ შენობაში.

თუ არ გულისხმობთ შემდეგს:

დაცვის თანამშრომელი უსაფრთხოების ბეჭს გასცემს თითოეულ თანამშრომელზე, რომლებიც მუშაობენ როგორც „დ“, ასევე „ე“ შენობებში (არსებობს სხვა შესაძლო მნიშვნელობებიც).

9. იყავით თანმიმდევრული: ერთი და იმავე საგნის აღსანიშნად არ გამოიყენოთ სხვადასხვა სიტყვა. რეგულაციებში სხვადასხვა სიტყვის გამოყენება მხოლოდ მრავალფეროვნების მიზნით, დაუშვებელია. ზუსტი ტერმინის გამოვლენის ნაცვლად, სინონიმის გამოყენება მხოლოდ დააბნევს მკითხველს.

არ თქვათ: მსუბუქი ავტომობილის თითოეულმა მფლობელმა თავისი მანქანა უნდა დაარეგისტრიროს პოლიციის დეპარტამენტის საავტომობილო სამმართველოში.

თქვით: ავტომობილის ყველა მფლობელმა თავისი ავტომობილი უნდა დაარეგისტრიროს პოლიციის დეპარტამენტის საავტომობილო სამმართველოში.

10. უპირატესობა მიანიჭეთ მარტივ სიტყვებს: სამართლებრივი წერა უნდა იყოს ღირსეული და გამართული, მაგრამ არა პომპეზური. წერა გამართულია, როდესაც ენა არის მარტივი, პირდაპირი და ძლიერი. იმისათვის, რომ თქვენი დოკუმენტი იყო ადვილად წასაკითხი/აღსაქმელი და, შესაბამისად, უფრო ეფექტიანი, უპირატესობა მიანიჭეთ მარტივ სიტყვებს.

არ თქვათ:

კონსტრუირება, ფაბრიკაცია

ინიცირება

უტილიზაცია

მნიშვნელოვანი პორცია

ინტერპრეტაცია

მხედველობაში მიღება

თქვით:

შექმნა

წამოწყება

გამოყენება

დიდი ნაწილი

განმარტება

გათვალისწინება

11. არ გამოიყენოთ არასაჭირო სიტყვები: მაგალითად, რთული წინდებულები და სხვა მრავალსიტყვიანი გამონათქვამები, როდესაც იმავე სათქმელის გადმოცემა შესაძლებელია ერთი-ორი სიტყვით. პროფესორი რაიან ეი. გარნერი თავის არაჩვეულებრივ წიგნში აღნიშნავს:

„სამი კარგი რამ ხდება სიტყვაუხვობასთან შებრძოლებისას: თქვენი მკითხველები უფრო სწრაფად კითხულობენ, იზრდება თქვენივე სიტყვების სიზუსტე და თქვენს ნაშრომს მეტი გავლენა აქვს. შესაბამისად, სარგებელს იღებთ თქვენც და მკითხველებიც.

ამ პროცესის შემოტრიალება იშვიათი ხელოვნებაა, განსაკუთრებით, როდესაც საკუთარ პროზაზე მუშაობთ: თქვენ ხედავთ, რომ თავდაპირველი დოკუმენტები საკმაოდ სიტყვაუხვია: თითოეული წინადადების სიგრძე, სავარაუდოდ, მეოთხედით ან ნახევრით მეტია იმაზე, რაც უნდა იყოს. თუკი ეს იცით და მოსალოდნელიც იყო, ნაკლებად მიეჯაჭვებით თქვენს თავდაპირველ დოკუმენტს და განივითარებთ კრიტიკულ აზროვნებას, რათა შეებრძოლოთ მრავალსიტყვიანობას“²⁴³

აქედან გამომდინარე:

არ თქვათ:

- იმ ფაქტის გამო, რომ*
- მიაპყრით ყურადღება ფაქტს, რომ*
- ბევრ შემთხვევაში*
- მთელ რიგ შემთხვევებში*
- ის, რომ მან ვერ მიაღწია წარმატებას*

თქვით:

- ვინაიდან (იმიტომ)*
- გახსოვდეთ*
- ხშირად*
- უმეტესწილად*
- მისი წარუმატებლობა*

12. თავი აარიდეთ ტავტოლოგიას (სიტყვების დუბლირებას): არ გამოიყენოთ სიტყვათშეთანხმება, თუკი ამ სიტყვებს აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა, ან ერთის მნიშვნელობა მოიცავს მეორესაც.

თავიდან ასარიდებელი სიტყვათა წყვილები:

- ნებისმიერი და ყველა*
- შეწყვეტა და თავის დანებება*
- თითოეული და ყოველი*
- სრული და მთლიანი*
- ნიშნავს და მოიცავს*

243 ბრაიან ეი. გარნერი, სამართლებრივი წერა მარტივი ინგლისურით, მეორე გამოცემა: ტექსტი სავარჯიშოებთან ერთად, 2001, §4, გვ. 7.

13. არ გამოიყენოთ სიტყვები, რომლებიც იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას (ანტაგონიზმს): სიტყვებს შეუძლიათ მკითხველის მოზიდვაც და დაფრთხობაც.

- აირჩიეთ სიტყვები, რომლებიც არ შექმნის მცდარ წარმოდგენას, ან არ დააფრთხობს მკითხველებს.
- აირჩიეთ სიტყვები, რომლებზეც ადამიანები რეაგირებენ დადებითად და მათ არ გაანაწყენებთ.

მაგალითად, გამოიყენეთ მსგავსი სიტყვები:

შესაძლებლობა, მიღწევა, სარგებელი, გარანტია, ვთხოვთ, გონივრული, სანდო, გამოსადეგი;

ნაცვლად სიტყვებისა:

შუქდლებელი, სამწუხარო, მიუღწეველი, დანაკარგი, მცდარი და ა.შ.

14. გამოიყენეთ მოკლე წინადადებები: ადვილად იკითხება მარტივი, მოქმედებითი გვარის, მტკიცებითი და თხრობითი წინადადებები. რაც მეტად გადაუხვევს წინადადება სტრუქტურიდან, მით უფრო რთულდება მისი გაგება. გრძელი, განუღილი წინადადებები სამართლებრივი დოკუმენტების მთავარი სისუსტეა. სამართლებრივი დოკუმენტები ხშირად შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებიც შედეგად გვაძლევს მრავალპუნქტიან, რთულ წინადადებებს. რაც უფრო რთულია წინადადება, მით უფრო ძნელია წინადადების ნაგულისხმევი მნიშვნელობის გაგება. პროფესორი ბი. გარნერი ამასთან დაკავშირებით თავის კოლეგას ციტირებს:

„ასობით წლის განმავლობაში კარგი იურისტები წერდნენ ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე, მარტივი და გასაგები ენით.“

ლინ ენ. ჰიუ, აშშ-ის საოლქო სასამართლო, ჰიუსტონი.²⁴⁴

პრობლემის გადანწყეტის გზები:

- თითოეულ წინადადებაში ისაუბრეთ მხოლოდ ერთ საგანზე;
- გრძელი წინადადებები დაყავით ორ ან სამ მოკლე წინადადებად;
- მოაშორეთ ყველა ზედმეტი სიტყვა. ეცადეთ, გამოიყენოთ ისეთი

244 „მოსამართლეები ეფექტიანი წერის შესახებ: მარტივი ენის მნიშვნელობა“, შედგენილია ბრაიან ეი. გარნერის მიერ, https://www.michbar.org/file/generalinfo/plainenglish/pdfs/05_feb.pdf

მარტივი წინადადებები, რომლებიც შეიცავს ქვემდებარესა და შემასმენელს. მოაცილეთ ყველა არასაჭირო გარემოება;

- თუკი წესის გამოყენებამდე საჭიროა ერთი ან ორი მარტივი პირობის შესრულება, ჯერ მიუთითეთ პირობები და მერე წესი;
- თუკი წესის გამოყენებამდე საჭიროა ერთი ან ორი რთული პირობის შესრულება, ჯერ მიუთითეთ წესი და მერე პირობები;
- თუკი წესის გამოყენებამდე საჭიროა რამდენიმე პირობის ან დებულების შესრულება, გამოიყენეთ ჩამონათვალი.

15. ჩამონათვალის სტრუქტურა უნდა იყოს ნათელი და ლოგიკური:

ჩამონათვალი საშუალებას გვაძლევს, გავაცალკევოთ და მკაფიოდ გამოვყოთ სხვადასხვა პირობა; ასევე, თავიდან აგვაცილებს ბუნდოვანებას, რომლებსაც იწვევს სიტყვები „და“ და „ან“. ჩამონათვალის გამოყოფისას დაიცავით შემდეგი წესები:

- ▶ თითოეული დებულება ჩამოაყალიბეთ ისე, რომ, შესავალ ტექსტთან ერთად, დასრულებული აზრი იკითხებოდეს;
- ▶ თუ ჩამონათვალის შესავალი ტექსტი დასრულებული წინადადებაა -
 - მის ბოლოს დასვით ორწერტილი; და
 - ჩამონათვალის თითოეული წინადადება ცალკე გამოყავით.
- ▶ თუ ჩამონათვალის შესავალი ტექსტი დაუსრულებელი წინადადებაა -
 - მის ბოლოს დასვით ტირე;
 - ჩამონათვალის თითოეული წინადადება, გარდა უკანასკნელისა, დაასრულეთ წერტილმძიმით;
 - ბოლოს წინა წინადადების შემდგომი წერტილმძიმის მერე, კონტექსტის მიხედვით და საჭიროებისამებრ, დაწერეთ „და“, „ან“, ან „ან/და“;
 - ჩამონათვალის ბოლო პუნქტი დაასრულეთ წერტილით.

16. გამოიყენეთ მოკლე აბზაცები.

კომპაქტური აბზაცების გამოყენებით, დამწერს შეუძლია რეგულაციის სიზუსტის გაუმჯობესება. თითოეული პუნქტი უნდა ეძღვნებოდეს ერთ თემას. გრძელი, რთული ან ტექნიკური მსჯელობები წარმოდგენილი უნდა იყოს დაკავშირებული პუნქტების მეშვეობით.

17. გამოიყენეთ სარეფერენციო ჩამონათვალი და შეაჯერეთ თქვენი დოკუმენტი ამ ჩამონათვალის თითოეულ პრინციპთან.

დასკვნა:

უამრავი სახელმძღვანელო და კვლევა ეძღვნება სამართლებრივი წერის თეორიას, მეთოდოლოგიასა და სხვადასხვა ტექნიკას. რა თქმა უნდა, ეს თავი არ გვთავაზობს ამ საკითხების დეტალურ და განმარტებით კვლევას. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი მიზანია, სამართალმცოდნეებისა და კვალიფიციური იურისტებისთვის ძალიან ზოგადად მიმოიხილოს სამართლებრივი წერის რამდენიმე ძირითადი პრინციპი და ტექნიკა.

ნებისმიერი თვალსაზრისით, საკვლევი საკითხის საფუძვლიან, ყოვლისმომცველ და დაბალანსებულ სამართლებრივ ანალიზს საკვანძო მნიშვნელობა აქვს. სამართლებრივი წერა არის სათანადო არგუმენტის წარმოდგენის პროცესი ან მეთოდი. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რამდენად ეფექტიანია ეს მეთოდი. მაშინაც კი, როდესაც იურისტის ან ადვოკატის როლი, თავისი განსაზღვრებით, გამორიცხავს ობიექტურობას და მას აკისრებს სუბიექტურობისა და მიკერძოებულობის ვალდებულებას, რომ კანონით დასაშვები ყველა მეთოდი გამოიყენოს თავისი კლიენტის ინტერესებში, იურისტის მიზანია დარწმუნება და, შეძლებისდაგვარად, ობიექტურობა.

თავი 5. ბრალდებულის ანდა მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ შესადგენი დოკუმენტების დასაბუთების სტანდარტები

ნებისმიერი საპროცესო დოკუმენტი, რომელსაც ადვოკატი გამოძიების ან/და სასამართლო განხილვის ეტაპზე ადგენს, უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ მოყვანილ ძირითად პრინციპებს. სხვადასხვა ტიპის საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტის შედგენას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. შესაბამისად, სახელმძღვანელოს ამ თავში განხილულია ის სტანდარტები და აუცილებელი კომპონენტები, რომლებიც უნდა ჰქონდეს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ შედგენილ საპროცესო დოკუმენტს, რათა ის დასაბუთებული და სარწმუნო იყოს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი უფლებამოსილია, გამოძიების, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის ეტაპზე შეადგინოს შემდეგი საპროცესო დოკუმენტები:

1. შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე;
2. შუამდგომლობა გამოძიებლის/პროკურორის/მოსამართლის/ნაფიცი მსაჯულის აცილებაზე;
3. შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელებასა ან შემცირებაზე;
4. დაცვის მხარის მოსაზრება წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელებაზე;
5. ოქმი შესაძლო მტკიცებულებებზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ;
6. სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა;
7. საჩივარი მოსამართლის განჩინებაზე;
8. შუამდგომლობა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე;
9. შუამდგომლობა ადვოკატის ღონისძიების შეცვლაზე/გაუქმებაზე;
10. შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე;
11. საჩივარი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის განჩინებაზე;
12. შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას დამატებითი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ;
13. შესავალი სიტყვა;
14. დასკვნითი სიტყვა;
15. სააპელაციო საჩივარი;
16. სავასაციო საჩივარი;
17. შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვაზე.

რა თქმა უნდა, ეს ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის და წლიდან წლამდე, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად,

შეიძლება შეიცვალოს, თუმცა, ამ სახელმძღვანელოს მიზანია, ადვოკატებს მისცეს ძირითადი მიმართულებები, თუ როგორ უნდა დაასაბუთონ მათ მიერ შედგენილი ესა თუ ის საპროცესო დოკუმენტი.

5.1. შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.“ ამავ კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად, „საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით“.

საგამოძიებო მოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო შუამდგომლობა, შინაარსისა და მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების სახის მიუხედავად, სტრუქტურულად და შინაარსობრივად უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისგან: შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილი.

მათი არსებობა შუამდგომლობაში გულისხმობს, რომ ამ საპროცესო დოკუმენტის შინაარსი აუცილებლად მოიცავს: საკითხს, რომლის გადაწყვეტასაც ადვოკატი ითხოვს დოკუმენტში; ფაქტებსა და მათ მტკიცებულებებს; მსჯელობასა და არგუმენტაციას ფაქტებსა და მტკიცებულებებზე; კანონს, რომელიც არგუმენტებსა და მსჯელობას ამყარებს; და დასკვნას, სადაც ადვოკატი ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედებისთვის ითხოვს ნებართვას, ან სასამართლოს მხრიდან რაიმე გადაწყვეტილების მიღებას.

იმისათვის, რომ შუამდგომლობა იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავდროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონს, უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები:

ა) შუამდგომლობის შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ შუამდგომლობით, შუამდგომლობის ავტორის ვინაობა, და შუამდგომლობის სათაური;

ბ) შუამდგომლობის აღწერილობითი ნაწილში უნდა მიეთითოს: შუამდგომლობის მოთხოვნა და შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია), შესაბამის

კანონმდებლობასთან ერთად (მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი), რომელიც ადასტურებს აღნიშნულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს;

გ) შუამდგომლობის დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა ამა თუ იმ საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის შესახებ; ასევე, სხვა საკითხები, რომლებიც ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს სასამართლოს განჩინებით.

შუამდგომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი, ვინაიდან ადვოკატი სწორედ აქ აფასებს ფაქტებსა და მტკიცებულებებს და, აქედან გამომდინარე, სასამართლოს სთხოვს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას.

ცნობილია, რომ ადვოკატთა შუამდგომლობების დაუკმაყოფილებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მათი დაუსაბუთებლობა. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო, გარდა იმისა, რომ ხელმძღვანელობს საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ყურადღებას აქცევს შუამდგომლობის დასაბუთებულობას. შესაბამისად, ადვოკატმა მისი შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს აღწერილობითი ნაწილის არგუმენტაციას, რაც შემდგომში მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია.

ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია შემდეგი წესების დაცვა:

- ▶ **ფაქტების მითითება** - ფაქტები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია შუამდგომლობით დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად. ადვოკატმა მისათითებელი ფაქტების მოცულობა უნდა განსაზღვროს სასამართლოში დასაყენებელი შუამდგომლობის ტიპის მიხედვით. ამა თუ იმ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების საჭიროების დასაბუთებლად, არ არის აუცილებელი, შუამდგომლობის აღწერილობით ნაწილში სრულად აისახოს გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: საკმარისია მხოლოდ იმ ნაწილის აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების აუცილებლობასა და ამ გადაწყვეტილების მიღებაზე.

მაგალითი: ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალად ედება 2016 წლის 20 აგვისტოს, 12:00 საათზე, ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე მაღაზიდან დიდი ოდენობით ფულადი თანხის ფარულად დაუფლება, მაშინ, როცა ეს უკანასკნელი შემთხვევის ადგილიდან საკმაოდ შორს იმყოფებოდა და შეუძლებელი იყო, ეს დანაშაული ჩაედინა.

- ▶ **მტკიცებულებების მითითება** - მტკიცებულებები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად და შუამდგომლობით დასმული საკითხების გადასაწყვეტად. შუამდგომლობაში არ არის საჭირო ყველა იმ მტკიცებულების მითითება, რომლებიც მოპოვებულია სისხლის სამართლის საქმეზე: მთავარია, ადვოკატმა ასახოს ის ნაწილი, რომელიც ადასტურებს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებს.

მაგალითი: ბრალდების მხარის მიერ გამოკითხულ მონმეთა ინფორმაციით დადგენილია, რომ მაღაზიის სალაროდან ფულად თანხას დაეუფლა საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი, მუქი ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა ბიჭი, ხოლო დაცვის მხარის მოპოვებული ინფორმაციით დგინდება, რომ შემთხვევის დღეს მაღაზიაში არსებული კამერები ჩართული იყო და შეეძლო, დაეფიქსირებინა ამ ქურდობის ფაქტი.

- ▶ **შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე** (შუამდგომლობის დასაბუთება) - შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. ეს ნიშნავს, რომ მის აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს არგუმენტები, რომლებიც ადასტურებს კონკრეტული სახის გადაწყვეტილების მიღებას მოსამართლის მხრიდან.

მაგალითი: იმის გათვალისწინებით, რომ გემოაღნიშნული კამერის ჩანაწერები და მასზე ასახული გარემოებები მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ლევან სამხარაძის სისხლის სამართლის საქმეზე (მათი მეშვეობით შეიძლება დადგინდეს, იმყოფებოდა თუ არა დანაშაულის ჩადენისას ლევან სამხარაძე შემთხვევის ადგილზე და დაეუფლა თუ არა დიდი ოდენობით ფულად თანხას, რაც ხელს შეუწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას), მნიშვნელოვანია, თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, მდებარე მაღაზიის კომპიუტერში არსებული ჩანაწერის გამოთხოვა.

- ▶ **კანონის მუხლის, მუხლის ნაწილის ანდა ქვეპუნქტის მითითება** - მიზანშეწონილია, ადვოკატმა ყოველი კონკრეტული არგუმენტი, ან კანონში არსებული ნორმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებზე, გამოიყენოს შუამდგომლობაში არგუმენტაციის მოყვანისა და დასაბუთებისას, და არა ბოლოში, როგორც ადრე იყო მიღებული.

მაგალითი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული

ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ინახება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მხარე უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

5.2. შუამდგომლობა გამოძიებლის/პროკურორის/ მოსამართლის/ნაფიცო მსაჯულის აცილებაზე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებულია გამოძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, ან სხდომის მდივნის აცილების შესაძლებლობა, თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირებიდან რომელიმე:

- „ა) კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული;
- ბ) ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;
- ბ¹) ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს;
- გ) არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;
- დ) ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;
- დ¹) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე;
- ე) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.“

ამასთან, სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე გამოძიებელი ვერ ჩაერთვება დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაში, თუ არ არსებობს დაცვის მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

გასათვალისწინებელია, რომ შუამდგომლობა გამოძიებლის აცილებაზე უნდა შეიტანონ პროკურორთან, პროკურორის აცილებაზე - ზემდგომ პროკურორთან, ხოლო მოსამართლის აცილებაზე - იმავე მოსამართლესთან.

იმისათვის, რომ შუამდგომლობა იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავდროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები:

ა) შუამდგომლობის **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: პროკურატურის ან სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ შუამდგომლობით, შუამდგომლობის ავტორის ვინაობა, და შუამდგომლობის სათაური;

ბ) შუამდგომლობის **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: შუამდგომლობის მოთხოვნა და შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია), შესაბამის კანონმდებლობასთან ერთად (მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი), რომელიც ადასტურებს აღნიშნულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს;

გ) შუამდგომლობის **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა გამომძიებლის/პროკურორის/მოსამართლის/სხდომის მდივნის აცილებაზე; ასევე, სხვა საკითხები, რომლებიც ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს ამ შუამდგომლობის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში.

როგორც აღინიშნა, შუამდგომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი, ვინაიდან ადვოკატი სწორედ აქ აფასებს ფაქტებსა და მტკიცებულებებს და, აქედან გამომდინარე, სასამართლოს, პროკურორს ან ზემდგომ პროკურორს სთხოვს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას.

შესაბამისად, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ან სხდომის მდივნის აცილების შუამდგომლობაში აუცილებელია:

- ▶ **ფაქტებზე მითითება, რომლებიც ადასტურებს აცილების საფუძველს** - ფაქტები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია შუამდგომლობით დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად. ადვოკატმა მისათითებელი ფაქტების მოცულობა უნდა განსაზღვროს სასამართლოში დასაყენებელი შუამდგომლობის ტიპის მიხედვით. ამა თუ იმ პირის საქმიდან აცილების დასაბუთებლად, არ არის აუცილებელი, შუამდგომლობის აღწერილობით ნაწილში სრულად აისახოს გამომძიებთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: საკმარისია მხოლოდ იმ ნაწილის მითითება, რომელიც უკავშირდება კონკრეტული პირის აცილების გარემოებებს.

მაგალითი: ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალად ედება 2016 წლის 20 აგვისტოს, 23:00 საათზე, ყაზბეგის გამზირზე მდებარე მაღაზი-იდან დიდი ოდენობით ფულადი თანხის დაუფლება - დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

- ▶ **მტკიცებულებების მითითება** - მტკიცებულებები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად და შუამდგომლობით დასმული საკითხების გადასაწყვეტად. შუამდგომლობაში არ არის აუცილებელი ყველა იმ მტკიცებულების მითითება, რომლებიც მოპოვებულია სისხლის სამართლის საქმეზე: მთავარია, ადვოკატმა ასახოს ის ნაწილი, რომელიც ადასტურებს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებს.

მაგალითი: დაცვის მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ პროკურორ ლელა აბრამიშვილის მეუღლე სწორედ ამ მაღაზიის დაცვის სამსახურის უფროსი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ იმ ღამით, როცა შემთხვევა მოხდა, ადგილზე არ იმყოფებოდა, მას ხელმძღვანელობამ ამ ფაქტის გამო საყვედური გამოუცხადა და მოსთხოვა დანაშაულის ჩამდენი პირის ყველა საშუალებით დადგენა.

- ▶ **შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე** (შუამდგომლობის დასაბუთება) – შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. ეს ნიშნავს, რომ მის აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს არგუმენტები, რომლებიც ადასტურებს კონკრეტული სახის გადაწყვეტილების მიღებას პროკურორის ან მოსამართლის მხრიდან.

მაგალითი: იმის გათვალისწინებით, რომ პროკურორი ლელა აბრამიშვილი დაინტერესებულია საქმის ბედით - კერძოდ, ცდილობს, მისი მეუღლე გადაარჩინოს სამსახურიდან გაშვებას - არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი არ არის ობიექტური და მიუკერძოებელი, რის გამოც უნდა ააცილონ საქმეს.

- ▶ **კანონის მუხლის, მუხლის ნაწილის ანდა ქვეპუნქტის მითითება** - მიზანშეწონილია, რომ ადვოკატმა ყოველი კონკრეტული არგუმენტი, ან კანონში არსებული ნორმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებზე, გამოიყენოს შუამდგომლობაში არგუმენტაციის მოყვანისა და დასაბუთებისას, და არა ბოლოში, როგორც ადრე იყო მიღებული.

მაგალითი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, პროკურორი ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ „არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას“. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ გემოთ დასახელებული გარემოება სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ამ საფუძველს და პროკურორის აცილების წინაპირობაა.

5.3. შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელებასა ან შემცირებაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით წინასასამართლო სხდომის ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელებასა ან შემცირებაზე, რის შესახებაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

ეს შუამდგომლობაც, სხვების მსგავსად, შედგება შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) და დასკვნითი ნაწილებისგან, კერძოდ:

ა) შუამდგომლობის **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ შუამდგომლობით, შუამდგომლობის ავტორის ვინაობა, და შუამდგომლობის სათაური;

ბ) შუამდგომლობის **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: შუამდგომლობის მოთხოვნა და შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია), შესაბამის კანონმდებლობასთან ერთად (მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი), რომელიც ადასტურებს აღნიშნულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს;

გ) შუამდგომლობის **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა წინასასამართლო სხდომის გადაწვევას ან შემცირებაზე და თარიღი, როცა ითხოვს ადვოკატის სხდომის ჩანიშნას.

მაგალითი: ვშუამდგომლობ, რომ 1 თვით გაგრძელდეს/შემცირდეს ბრალდებულ გიორგი ქემოკლიძის საქმეზე განსაზღვრული წინასასამართლო სხდომის ვადა და სხდომა დაინიშნოს 2020 წლის 5 სექტემბერს.

როგორც აღინიშნა, შუამდგომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი, ვინაიდან ადვოკატი სწორედ აქ აფასებს ფაქტებსა და მტკიცებულებებს და, აქედან გამომდინარე, სასამართლოს სთხოვს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას.

შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების ან შემცირების შუამდგომლობაში აუცილებელია:

- ▶ **მითითება ფაქტებზე, რომლებიც ადასტურებს ვადის გაგრძელების/შემცირების საფუძველს** - ფაქტები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია შუამდგომლობით დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად. ვადის გაგრძელების ან შემცირების დასასაბუთებლად, არ არის აუცილებელი, შუამდგომლობის აღწერილობით ნაწილში სრულად აისახოს გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: საკმარისია მხოლოდ იმ ნაწილის მითითება, რომელიც უკავშირდება ამ შუამდგომლობის მოთხოვნას.

მაგალითი: ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, სხვა ორ პირთან ერთად, ბრალად ედება 2020 წლის 20 აგვისტოს, 23:00 საათზე, ყაზბეგის გამზირზე მდებარე მაღაზიდან დიდი ოდენობით ფულადი თანხის დაუფლება - დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

- ▶ **მტკიცებულებების მითითება** - მტკიცებულებები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად და შუამდგომლობით დასმული საკითხების გადასაწყვეტად. შუამდგომლობაში არ არის აუცილებელი ყველა იმ მტკიცებულების მითითება, რომლებიც მოპოვებულია სისხლის სამართლის საქმეზე. მთავარია, ადვოკატმა აისახოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებს.

მაგალითი: საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ადასტურებს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მონაწილეობას ამ დანაშაულში. ბრალდების მხარეს მხოლოდ ერთი ბრალდებულის ჩვენება აქვს, რომელიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს თითქოსდა დანაშაულის ჩადენაში ამხელს, მაშინ, როცა ბრალდებული აცხადებს, რომ შემთხვევის დღეს სხვა ადგილას იმყოფებოდა და ამას უამრავი მონმე დაადასტურებს; ასევე, საქმეში არ არის ამოღებული მაღაზიის კამერის ჩანაწერი, რომელმაც უნდა გამორიცხოს მისი მონაწილეობა ამ დანაშაულში.

- ▶ **შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე** (შუამდგომლობის დასაბუთება) – შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. ეს ნიშნავს, რომ მის აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს არგუმენტები, რომლებიც ადასტურებს კონკრეტული სახის გადაწყვეტილების მიღებას მოსამართლის მხრიდან.

მაგალითი: იმის გათვალისწინებით, რომ პირველი წარდგენის სხდომაზე განსაზღვრული წინასასამართლო სხდომის ვადა არ აღმოჩნდა საკმარისი ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, დაცვის მხარეს მნიშვნელოვნად მიაჩნია მალაზიიდან კამერის ჩანაწერების გამოთხოვა; ამასთანავე, შვებულებების პერიოდის გამო ვერ მოხერხდა ბრალდებულის ალიბის მოწმეთა დიდი ნაწილის გამოკითხვა, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად კი, დაცვის მხარის აზრით, ამ მტკიცებულებათა მოპოვება აუცილებელია.

- ▶ **კანონის მუხლის, მუხლის ნაწილის ანდა ქვეპუნქტის მითითება** - მიზანშეწონილია, რომ ადვოკატმა ყოველი კონკრეტული არგუმენტი, ან კანონში არსებული ნორმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებზე, გამოიყენოს შუამდგომლობაში არგუმენტაციის მოყვანისა და დასაბუთებისას, და არა ბოლოში, როგორც ადრე იყო მიღებული.

მაგალითი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მოსამზადებლად; ამავე კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით წინასასამართლო სხდომის ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების შესახებ. ჩვენი აზრით, ამ შუამდგომლობაში ასახული გარემოებები ადასტურებს, რომ აუცილებელია, დაცვის მხარემ უარი თქვას სწრაფ მართლმსაჯულებაზე და წინასასამართლო სხდომის ვადა გადაინიოს.

5.4. დაცვის მხარის მოსაზრება წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელებაზე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „სასამართლოში საქმის განხილვისას დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გამოსახატავად, სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას“. აღნიშნული დანაწესის გარდა, საპროცესო კოდექსი დაცვის მხარეს აძლევს შესაძლებლობას, წერილობით წარადგინოს თავისი მოსაზრება ბრალდების მხარის შუამდგომლობაზე წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ. ორივე შემთხვევაში, დაცვის მხარე, გამოხატავს რა პოზიციას პროკურორის შუამდგომლობაზე, ეთანხმება ან არ ეთანხმება მის მოთხოვნას.

შუამდგომლობაზე დათანხმების შემთხვევაში, ადვოკატის მიერ პოზიციის გამოხატვა მარტივია და სათანადო დასაბუთებასაც არ მოითხოვს: საკმარისია, მან ზეპირად ან წერილობით, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ან პროკურორის მიერ მოყვანილ არგუმენტებზე დათანხმებით გამოხატოს თავისი პოზიცია განსახილველ შუამდგომლობასთან დაკავშირებით. განსხვავებული ვითარებაა, როცა ადვოკატი ეწინააღმდეგება პროკურორის შუამდგომლობას და საჭიროა, აღნიშნული მოსაზრება რაც შეიძლება დასაბუთებულად წარედგინოს სასამართლოს.

ასეთ ვითარებაში, დაცვის მხარის მოსაზრება შედგება სამი ნაწილისგან: შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი და დასკვნა.

ა) **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ მოსაზრებით, მოსაზრების ავტორის ვინაობა და სათაური.

ბ) **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: დაცვის მხარის არგუმენტაცია შუამდგომლობით გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია), შესაბამის კანონმდებლობასთან ერთად (მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი), რომელიც ადასტურებს აღნიშნულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს. თუ შუამდგომლობაში წარმოდგენილია ერთზე მეტი არგუმენტი კონკრეტული გადანვეტილების მისაღებად, სასურველია, თითოეული მათგანი გაბათილდეს ცალ-ცალკე, რათა მოსამართლისთვისაც ნათელი იყოს დაცვის მხარის პოზიცია ყველა განსახილველ საკითხზე;

გ) **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა ბრალდების მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან მისი ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, ასევე, სხვა საკითხები, რომლებიც უნდა გადანყდეს სასამართლოს ამ კონკრეტული განჩინებით.

ამ დოკუმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია სამოტივაციო ნაწილი, სადაც ადვოკატმა არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არის წინააღმდეგი, რომ სასამართლომ გააგრძელოს წინასასამართლო სხდომის ვადა და რას ეფუძნება მისი გადანყვეტილება.

მაგალითი: მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შუამდგომლობა დაუსაბუთებელია, მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საქმეზე გადანყვეტილების მიღების გაჭიანურებას და კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს ეჭვს მიკერძოებული გამოძიების ჩატარებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო: გიორგი ლომაშვილი დააკავეს 2020 წლის 29

მარტს და პირველი წარდგენის სხდომაზე მისი წინასასამართლო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 21 მაისი. ხსენებულ საქმეზე ძირითადი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა აპრილის პირველ ნახევარში და მას შემდეგ სისხლის სამართლის საქმეს, გარდა ექსპერტიზის დასკვნებისა, არაფერი შემატებია. მიუხედავად ამისა, 2020 წლის 10 მაისს ბრალდების მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება 55 დღით, 15 ივლისამდე, იმ მოტივით, რომ დასასრულებელი იყო დაზარალებულის მიმართ დანიშნული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, ასევე, დასადგენი და დასაკითხი იყვნენ დანაშაულის თვითმხილველი პირები. ბრალდების მხარის ეს შუამდგომლობაც დაკმაყოფილდა და წინასასამართლო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 15 ივლისი, თუმცა 10 მაისიდან 5 ივლისამდე საქმეზე არც ერთი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ სხდომის გადადება მიზნად ისახავს მხოლოდ უდანაშაულო, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულზე ზემოქმედებას, რომ მან აღიაროს დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს და სასამართლოს მიეცეს საშუალება, დროულად იმსჯელოს გიორგი ლომაშვილის საქმეზე.

5.5. ოქმი შესაძლო მტკიცებულებებზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე და მისი დასრულებისას, მხარეები ვალდებული არიან, ერთმანეთს მიაწოდონ მათ ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია/მტკიცებულება, რომელთა გამოყენებასაც სასამართლოში აპირებენ, და შეადგინონ ოქმი შესაძლო მტკიცებულებებზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ. მტკიცებულებათა გადაუცემლობა - ასევე, გადაცემის შემთხვევაში ოქმის შეუდგენლობა ან არასრულყოფილად შედგენა - მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძველია. შესაბამისად, მხარეები ვალდებული არიან, ყურადღებით მოევიდონ ასეთი ოქმის სრულყოფილად შედგენას.

დოკუმენტი შინაარსობრივად ძალიან მარტივია: შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის საქმის ნომერი, ბრალდებულის გვარი და სახელი, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლითაც ბრალი

ედება, და მის შედგენაში მონაწილე პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, სტატუსი). სავალდებულოა, ოქმში მიეთითოს ისიც, თუ რა ეტაპზე და რა მიზეზით გადაეცემა მტკიცებულებები მხარეს.

მაგალითი: ადვოკატმა ლელა ბარამიძემ (სიითი ნომერი 01001) სისხლის სამართლის საქმეზე გიორგი ხომასურიძის მიმართ - დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19-108 მუხლით - შევადგინე აღნიშნული ოქმი მასზედ, რომ საქართველოს სსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარეს გადაეციე მასალები, რომელთა მტკიცებულებად წარდგენას სასამართლოში დაცვის მხარე აპირებს.

ოქმის ძირითადი ნაწილი შედგება მტკიცებულებათა ქრონოლოგიური ჩამონათვალისგან, რომელშიც ადვოკატი ვალდებულია, აღნიშნოს საპროცესო დოკუმენტის დასახელება და მისი შედგენის თარიღი. ამასთან, თუ სისხლის სამართლის საქმეს ერთვის ისეთი მტკიცებულება, რომლის ასლის გადაღებაც, მისი თვისებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ოქმში ცნობის სახით მიეთითება ამ მტკიცებულების არსებობისა და ადგილმდებარეობის შესახებ.

მაგალითად:

1. მონწე ნათია ხომასურიძის გამოკითხვის ოქმი (20.08.2020)
2. წერილის პასუხი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან (21.08.2020)
3. წერილი საქართველოს ეროვნულ ბანკს და პასუხი (21.08.2020)
4. წერილი იუსტიციის სამინისტროს და პასუხი (21.08.2020)
5. წერილი საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორს და პასუხი (21.08.2020)
6. წერილი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და პასუხი (21.08.2020)
7. მონწე ქეთევან ქანთარიას გამოკითხვის ოქმი (24.08.2020)
8. მონწე მაია ლაფერაძის გამოკითხვის ოქმი (26.08.2020)
9. მონწე ნიკოლოზ ანთელაძის გამოკითხვის ოქმი (28.08.2020)
10. დოკუმენტების დათვალიერების ოქმი დანართით (29.08.2020)

11. მერაბ ლაშხის დახასიათებები 33 ფურცლად (30.08.2020)
12. ცნობა სამსახურიდან (30.08.2020)

სავალდებულოა, აღნიშულ ოქმს ხელს აწერდეს მასში მონაწილე ყველა პირი, განსაკუთრებით, ბრალდების მხარის წარმომადგენელი, რომელმაც ჩაიბარა მტკიცებულებები. საპროცესო კოდექსის თანახმად, ეს ოქმი ერთვის სისხლის სამართლის საქმეს და წარედგინება სასამართლოს, სხვა მასალებთან ერთად.

5.6. სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა

სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა, ძირითადად, გამომდინარეობს მტკიცებულებათა გაცვლის ოქმიდან. მისი შედგენის ვალდებულება და, მით უმეტეს, სავალდებულო რეკვიზიტები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული არ არის. თუმცა, საქმის მასალების სწორად ორგანიზებისა და წინასასამართლო სხდომის მუშაობის გასამართლებლად, რეკომენდებულია, ადვოკატმა ეს ნუსხა მოამზადოს და წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე გადასცეს მხარესაც და სასამართლოსაც.

დოკუმენტი შინაარსობრივად ძალიან მარტივია: შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის საქმის ნომერი, ბრალდებულის გვარი და სახელი, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლითაც ბრალი ედება, და მის შედგენაში მონაწილე პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, სტატუსი). სავალდებულოა, ოქმში მიეთითოს ისიც, თუ რა ეტაპზე და რა მიზეზით გადაეცემა მტკიცებულებები მხარეს.

მაგალითი: ადვოკატმა ლელა ბარამიძემ (სიითი ნომერი 01001) სისხლის სამართლის საქმეზე გიორგი ხომასურიძის მიმართ - დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19-108 მუხლით - შევადგინე სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა.

ნუსხის ძირითადი ნაწილი შედგება იმ მტკიცებულებებისგან, რომელთა წარდგენასაც ადვოკატი აპირებს წინასასამართლო სხდომაზე დასამტკიცებლად. სასურველია, განსაკუთრებით, თუ საქმე დიდი მოცულობისაა, ნუსხა დაიყოს რამდენიმე ნაწილად:

- ა) სასამართლოში დასაკითხ პირთა სია;
- ბ) გამოკითხვის ოქმები;

გ) სხვა წერილობითი მტკიცებულებები;

დ) ნივთიერი მტკიცებულებები.

სასამართლოში დასაკითხ პირთა სიაში მიეთითება იმ პირთა სახელები და გვარები, რომელთა დაკითხვაც დაცვის მხარეს სურს არსებითი განხილვისას.

გამოკითხვის ოქმებისა და სხვა წერილობითი მტკიცებულებების მითითებისას, რეკომენდებულია, ნუსხაში აღინიშნოს საპროცესო დოკუმენტის დასახელება და შედგენის თარიღი. ამასთან, თუ სისხლის სამართლის საქმეს ერთვის ისეთი ნივთიერი მტკიცებულება, რომლის წარდგენაც სასამართლოში შეუძლებელია მისი მოცულობის გამო, ნუსხაში მიეთითება ამ მტკიცებულების დასახელება და ინფორმაცია მის აღვილმდებარეობაზე.

სავალდებულოა, ნუსხას ხელს აწერდეს მისი შემდგენი პირი და ბრალდების მხარის წარმომადგენელი (გამომძიებელი ან პროკურორი), რომელიც ამ ხელმოწერით ადასტურებს, რომ ჩაიბარა მტკიცებულებათა ნუსხის ასლი.

მტკიცებულებათა ნუსხის ბრალდების მხარისთვის გადაცემის შემდგომ, ის დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს და წარედგინება სასამართლოს, მტკიცებულების გაცვლის ოქმსა და საქმის მასალებთან ერთად.

5.7. საჩივარი მოსამართლის განჩინებაზე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოსამართლის განჩინება ისეთ საკითხებზე, როგორცაა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა ან გაუქმება, საგამომძიებო მოქმედების ჩატარება, ქონებაზე ყადაღის დადება, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება და სხვა, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით.

ზემოთ ჩამოთვლილ განჩინებებზე შეტანილი საჩივრები, თავისი სტრუქტურითა და სავალდებულო კომპონენტებით, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, გარდა სამოტივაციო ნაწილისა, სადაც აღვოკატმა, თითოეული ამ მოქმედებისთვის სსკ-ით გათვალისწინებულ საფუძველზე, გარემოებებსა და მოტივებზე დაყრდნობით, უნდა ამტკიცოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მცდარობა და მის მიერ მოთხოვნილი მოქმედების/გადაწყვეტილების მართებულობა.

საჩივარი, სხვა საპროცესო დოკუმენტების მსგავსად, უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) და სარეზოლუციო ნაწილებისგან.

საჩივრის შესავალ ნაწილში ადვოკატმა უნდა მიუთითოს განჩინება, რომელსაც ასაჩივრებს (გადანწყვეტილების მიღების დრო, მიმღები სასამართლო/მოსამართლე); ასევე, მიზეზები, რომელთა გამოც სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა, ან დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა.

საჩივრის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია **აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი**, ვინაიდან მასში მოცემული არგუმენტაცია განსაზღვრავს საჩივრის დაკმაყოფილების ბედს. სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რაში გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მცდარობა. აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებულ საჩივარში ასევე უნდა მიუთითოს, რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ, რასაც შეეძლო, ზეგავლენა მოეხდინა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

საჩივრით შეიძლება მოთხოვნილი იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება. საჩივრის სამოტივაციო ნაწილში ზუსტად უნდა განისაზღვროს ადვოკატის მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები, რათა მოსამართლისთვის ნათელი გახდეს მისი მოთხოვნა.

საჩივრის აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი იწყება მოკლე ფრაზით მოსამართლის გადაწყვეტილების უსაფუძვლოდ/დაუსაბუთებლად მიჩნევის შესახებ, რის შემდეგაც მიუთითება არგუმენტაცია, თუ რატომ არის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უსაფუძვლო ან/და დაუსაბუთებელი. საჩივრის ამ ნაწილში ადვოკატი ვალდებულია, მიუთითოს მოსამართლის გადაწყვეტილების უსაფუძვლობა ან/და დაუსაბუთებლობა თითოეული მოთხოვნის ან/და გარემოების დაუკმაყოფილებლობის ნაწილში. კერძოდ: თუ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩხრევის ჩატარების მოთხოვნა, ვინაიდან, მოსამართლის დასკვნით, არ კმაყოფილდებოდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ გარკვეული ნივთი კონკრეტულ ადგილზე ინახება და ის მნიშვნელოვანია საქმისთვის, ადვოკატმა საჩივრის სამოტივაციო ნაწილში ცალ-ცალკე უნდა დაასაბუთოს:

- ა) დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ ჩხრევის შედეგად ამოღებული ნივთები მნიშვნელოვანია საქმისთვის;
- ბ) დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ ამოსაღები ნივთები ინახება გარკვეულ ადგილას.

გასათვალისწინებელია, რომ საჩივრის სამოტივაციო ნაწილში ადვოკატმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებზე მითითებით უნდა ამტკიცოს თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა: მან უნდა მოიყვანოს არგუმენტები, კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი ამა თუ იმ მოქმედებისათვის, ასევე, სახეზე იყო კონკრეტული მოქმედების ან გადანყვეტილების კანონით განსაზღვრული მიზანი და საფუძველი.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან მასზე უარის თქმის განჩინებაზე საჩივრის სამოტივაციო ნაწილის მომზადებისას, გასათვალისწინებელია სსსკ-ით დადგენილი აღკვეთის ღონისძიების მიზნები და საფუძვლები. თუ საჩივარი შეეხება მოსამართლის განჩინებას, რომლითაც დაკმაყოფილდა პროკურორის მოთხოვნა და ადვოკატს უარი ეთქვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე, ადვოკატმა სამოტივაციო ნაწილში უნდა იმსჯელოს, რომ სახეზე არ იყო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი.

სასამართლოს განჩინებაში მითითებული ყველა გარემოების გაბათილებისა და შესაბამისი არგუმენტაციის მოყვანის შემდგომ, საჩივრის სარეზოლუციო ნაწილში ადვოკატმა უნდა შეაჯამოს საჩივარში წარმოდგენილი მსჯელობა და, დასკვნის სახით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილზე დაყრდნობით, მოთხოვოს მოსამართლის განჩინების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებული გადანყვეტილების მიღება.

5.8. შუამდგომლობა ბრალდების მხარის მტკიცებაულებათა დაუშვებლად ცნობაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობაზე. ეს გულისხმობს დაცვის მხარის შესაძლებლობას, გარდა მისი მტკიცებულებების დასაშვებობისა, შუამდგომლობა დააყენოს ბრალდების მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლობაზეც, თუ ამის სამართლებრივი საფუძველი სახეზეა.

ვინაიდან მხარეებს ამ შუამდგომლობის მოსამზადებლად, სულ მცირე, 5 დღე აქვთ, ის წერილობით უნდა წარედგინოს და, როგორც ყველა სხვა შუამდგომლობა, შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

ა) შუამდგომლობის **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ შუამდგომლობით, შუამდგომლობის ავტორის ვინაობა, და შუამდგომლობის სათაური;

ბ) შუამდგომლობის **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: შუამდგომლობის მოთხოვნა და შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია), შესაბამის კანონმდებლობასთან ერთად (მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი), რომელიც ადასტურებს აღნიშნულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს;

გ) შუამდგომლობის **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა ამა თუ იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობაზე, ასევე, სხვა საკითხები, რომლებიც ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს სასამართლოს განჩინებით (მაგ.: დასაკითხ პირთა სიიდან კონკრეტული პირის ამორიცხვა).

შუამდგომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია აღწერილობითი (სამოტივაცო) ნაწილი, ვინაიდან ადვოკატი სწორედ აქ აფასებს ფაქტებსა და გარემოებებს და, აქედან გამომდინარე, სასამართლოს სთხოვს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, ადვოკატმა მისი შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აღწერილობითი ნაწილის არგუმენტაციას, რაც შემდგომში მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია.

ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია შემდეგი წესების დაცვა:

- ▶ **ფაქტების მითითება** - ფაქტები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია შუამდგომლობით დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად. ადვოკატმა მისათითებელი ფაქტების მოცულობა უნდა განსაზღვროს სასამართლოში დასაყენებელი შუამდგომლობის ტიპის მიხედვით. ამა თუ იმ მტკიცებულების დაუშვებლობის დასასაბუთებლად, არ არის აუცილებელი, გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სრულად აისახოს შუამდგომლობაში: საკმარისია მხოლოდ იმ ნაწილის მითითება, რომელიც უკავშირდება კანონის მოთხოვნათა დარღვევას კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებისას და მისი დაუშვებლად ცნობის გარემოებებს.

მაგალითი: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში დეტალურად არ არის აღწერილი ამ ადგილიდან ამოღებული ნივთები და საგნები, ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების

მითითებით, რაც შეუძლებელს ხდის მათ იდენტიფიცირებას, ასევე, დადგენას, რეალურად შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნივთზე ჩატარდა თუ არა ექსპერტიზა.

- ▶ **მტკიცებულებების მითითება** - თუ დაცვის მხარეს მოეპოვება მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, ისინი უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად და შუამდგომლობით დასმული საკითხების გადასაწყვეტად.

მაგალითი: ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წერილით, ირკვევა, რომ გამოძიებულ ლევან ბოჭორიშვილს არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმეზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას არ ჰქონდა გავლილი სავალდებულო კურსი.

- ▶ **შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე** (შუამდგომლობის დასაბუთება) – შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. ეს ნიშნავს, რომ მის აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს არგუმენტები, რომლებიც ადასტურებს კონკრეტული სახის გადაწყვეტილების მიღებას მოსამართლის მხრიდან.

მაგალითი: იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით სავალდებულოა, არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმეზე გამოძიება აწარმოოს გამოძიებელმა, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალიზებული კურსი, ლევან ბოჭორიშვილს კი ის გავლილი არ აქვს, მის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები და მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა ცნონ, ვინაიდან ისინი მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, არაუფლებამოსილი პირის მიერ.

- ▶ **კანონის მუხლის, მუხლის ნაწილის ანდა ქვეპუნქტის მითითება** - მიზანშეწონილია, რომ ადვოკატმა ყოველი კონკრეტული არგუმენტი, ან კანონში არსებული ნორმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებზე, გამოიყენოს შუამდგომლობაში არგუმენტაციის მოყვანისა და დასაბუთებისას, და არა ბოლოში, როგორც ადრე იყო მიღებული.

მაგალითი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ამოღების

ოქმში მიეთითოს, რა ადგილას და რა ვითარებაში აღმოაჩინეს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი; ასევე, ყველა ობიექტი აღინეროს რაოდენობის, წონის, ღირებულებისა და ინდივიდუალური თუ გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით კი დაუშვებელია მტკიცებულება, თუ მისი მოპოვებისას არსებითად დაირღვა კანონის მოთხოვნები.

5.9. შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე/გაუქმებაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარე უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლასა ან გაუქმებაზე, თუ არსებობს ახალი, არსებითი მნიშვნელობის გარემოება და მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობას.

ხსენებული შუამდგომლობა, ყველა სხვა შუამდგომლობის მსგავსად, უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

იმისათვის, რომ შუამდგომლობა იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავედროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონს, მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები:

ა) შუამდგომლობის **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ შუამდგომლობით, შუამდგომლობის ავტორის ვინაობა, და შუამდგომლობის სათაური, რომელიც უკავშირდება დოკუმენტის არსს. თუ შუამდგომლობით მოთხოვნილია უკვე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, სათაურში უნდა აღინიშნოს, რა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ითხოვს ადვოკატი;

ბ) შუამდგომლობის **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: შუამდგომლობის მოთხოვნა და შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია), შესაბამის კანონმდებლობასთან ერთად (მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი), რომელიც ადასტურებს აღნიშნულ გარემოებებსა და არგუმენტებს;

გ) შუამდგომლობის **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა მოსამართლის მხრიდან კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე; ასევე, სხვა საკითხები, რომლებიც ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა გადანედეს სასამართლოს განჩინებით.

შუამდგომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი, ვინაიდან სწორედ აქ აფასებს ადვოკატი ფაქტებსა და მტკიცებულებებს და, აქედან გამომდინარე, სასამართლოს სთხოვს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, ადვოკატმა მისი შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აღწერილობით ნაწილის არგუმენტაციას, რაც შემდგომში მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია.

ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია შემდეგი წესების დაცვა:

- ▶ **ფაქტების მითითება** - ადვოკატის ღონისძიების შეცვლის/გაუქმების შუამდგომლობის აღწერილობით ნაწილში ფაქტები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია შუამდგომლობით დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად. კონკრეტული სახის ადვოკატის ღონისძიების შეცვლისა ან გაუქმების დასასაბუთებლად, საკმარისია მიეთითოს, რაში ედება ბრალი პირს, ასევე, როდის და რა სახის ადვოკატის ღონისძიება გამოიყენეს მის მიმართ.

მაგალითი: ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალად ედება 2020 წლის 20 აგვისტოს, 12:00 საათზე, ყაზბეგის გამზირზე მდებარე მაღაზიიდან დიდი ოდენობით ფულადი თანხის ფარულად დაუფლება - დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2020 წლის 22 აგვისტოს განჩინებით, მას ადვოკატის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

- ▶ **მტკიცებულებების მითითება** - მტკიცებულებები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად და შუამდგომლობით დასმული საკითხების გადასაწყვეტად. შუამდგომლობაში არ არის აუცილებელი ყველა იმ მტკიცებულების მითითება, რომლებიც მოპოვებულია სისხლის სამართლის საქმეზე. მთავარია, ადვოკატმა ასახოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებს.

მაგალითი: ბრალდებულ გიორგი მელიქიძის მიმართ პატიმრობის გამოყენებისას, სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულებათა მოპოვების ხელშემშლის დასაბუთებული ვარაუდი; ამის დამადასტურებლად, მოსამართლე განჩინებაში უთითებს ბრალდებულის ახლო მეგობრის, ლევან მესხის მიერ გამოძიებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, რომ თითქოსდა გიორგი მელიქიძე აპირებდა მონმეებზე ზემოქმედებას.

- ▶ **შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (შუამდგომლობის დასაბუთება)** – შუამდგომლობის ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს ახალი გარემოება, რომელსაც აფუძნებს ადვოკატი თავის შუამდგომლობას, ასევე, უკვე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების არგუმენტაცია: კერძოდ, რატომ არის ეს ახალი გარემოება საფუძველი, რომ შეიცვალოს ან გაუქმდეს მოსამართლის მიერ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება.

მაგალითი: მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვისას, ლევან მესხმა კატეგორიულად უარყო მისი გამოკითხვის ოქმში ასახული ფაქტი გიორგი მელიქიძის მხრიდან მონმეებზე ზემოქმედების შესახებ და განაცხადა, რომ ასეთი რამ გამომძიებლისთვის არ უთქვამს. ასევე, საქმეზე ბოლო ერთი თვეა არ ჩატარებულა არც ერთი საგამოძიებო მოქმედება და ბრალდებულს მთელი გამოძიების მანძილზე ხელი არ შეუშლია მტკიცებულებათა მოპოვებისთვის. პირიქით, ის აქტიურად ეხმარებოდა გამოძიებას ჭეშმარიტების დადგენაში, რის გამოც სახეზეა მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

- ▶ **კანონის მუხლის, მუხლის ნაწილის ანდა ქვეპუნქტის მითითება** – მიზანშეწონილია, რომ ადვოკატმა ყოველი კონკრეტული არგუმენტი, ან კანონში არსებული ნორმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებზე, გამოიყენოს შუამდგომლობაში არგუმენტაციის მოყვანისა და დასაბუთებისას, და არა ბოლოში, როგორც ადრე იყო მიღებული.

მაგალითი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარე უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლას ან გაუქმებაზე, თუ არსებობს ახალი, არსებითი მნიშვნელობის გარემოება და მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებუ-

ლი ადვკეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობას. მიმაჩნია, რომ ჩემ მიერ დასახელებული ფაქტები სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც გიორგი მელიქიძის მიმართ გამოყენებული პატიმრობა უნდა გაუქმდეს.

5.10. შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძველი (განსაზღვრული სსსკ-ის 105-ე მუხლით), საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე, მხარის შუამდგომლობით, წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.

შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე შედგება შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) და სარეზოლუციო ნაწილებისგან.

ა) შუამდგომლობის **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ შუამდგომლობით, შუამდგომლობის ავტორის ვინაობა, და შუამდგომლობის სათაური, რომელიც უკავშირდება დოკუმენტის არსს;

ბ) შუამდგომლობის აღწერილობითი ნაწილში უნდა მიეთითოს: შუამდგომლობის მოთხოვნა და შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია), შესაბამის კანონმდებლობასთან ერთად (მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი), რომელიც ადასტურებს აღნიშნულ გარემოებებსა და არგუმენტებს.

გ) შუამდგომლობის **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა მოსამართლის მხრიდან კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების მითითებით; ასევე, სხვა საკითხები, რომლებიც ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს სასამართლოს განჩინებით (მაგ.: ადვკეთის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნა).

შუამდგომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი, ვინაიდან სწორედ აქ აფასებს ადვოკატი ფაქტებსა და მტკიცებულებებს და, აქედან გამომდინარე, სასამართლოს სთხოვს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, ადვოკატმა მისი შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აღწერილობითი ნაწილის არგუმენტაციას, რაც შემდგომში მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია.

შესაბამისად, შუამდგომლობის აღწერილობით (სამოტივაციო) ნაწილში ადვოკატმა უნდა მიუთითოს სასამართლო განხილვის შედეგად დადგენილი გარემოებები, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი და მისი არგუმენტაცია.

სასამართლო განხილვით დადგენილი გარემოებები უნდა აღიწეროს მოკლედ. არ არის საჭირო გამოძიების მიმდინარეობის სრულად აღწერა: საკმარისია საბოლოოდ დადგენილი გარემოებების მითითება. მტკიცებულებათა ანალიზისას გასათვალისწინებელია, რა საფუძველით წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა, რათა ეს ანალიზი შეესაბამებოდეს დევნის შეწყვეტის საფუძველს. თუ სახეზეა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის რამდენიმე საფუძველი, შუამდგომლობაში ყველა მათგანი ცალ-ცალკე უნდა დასაბუთდეს. ამასთან:

- თუ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოთხოვნილია იმის გამო, რომ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი, ადვოკატმა დევნის შეწყვეტის დადგენილების სამოტივაციო ნაწილში მსჯელობისას უნდა მოიშველიოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები, რათა დაადასტუროს აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისობა ამ კონკრეტულ საქმესთან. შუამდგომლობაში ასევე უნდა მიუთითოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი;
- თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება ამნისტიის აქტის საფუძველზე, ადვოკატმა დევნის შეწყვეტის შუამდგომლობის სამოტივაციო ნაწილში უნდა მიუთითოს კანონზე (დასახელება, მიღებისა და ძალაში შესვლის თარიღი, ნომერი), რომლითაც პირი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან;
- თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება იმის გამო, რომ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო, სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე, ან პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ანდა გამოძიების შეწყვეტაზე, ადვოკატმა დევნის შეწყვეტის დადგენილების სამოტივაციო ნაწილში მსჯელობისას უნდა მოიშველიოს არსებულ გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები, რათა დადგინდეს ორი საქმის იდენტურობა, ასევე, არსებული გადაწყვეტილების საიდენტიფიკაციო მონაცემები (გადაწყვეტილების მიმღები პირი, ორგანო, მიღების თარიღი);

- თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადების გამო, ადვოკატმა დევნის შეწყვეტის შუამდგომლობის სამოტივაციო ნაწილში უნდა იმსჯელოს, დანაშაულის განვითარების რომელ (მომზადების თუ მცდელობის) სტადიაზე აიღო ხელი ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენაზე და რით გამოიხატა ნებაყოფლობით ხელის ადება;
- თუ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოთხოვნილია შეურაცხაობის საფუძვლით, ადვოკატმა დევნის შეწყვეტის შუამდგომლობის სამოტივაციო ნაწილში უნდა მიუთითოს შეურაცხაობის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები.

აქვაც, როგორც სხვა შუამდგომლობაში, აუცილებელია:

- ▶ **ფაქტების მითითება** - ფაქტები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია შუამდგომლობით დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად;
- ▶ **მტკიცებულებების მითითება** - მტკიცებულებები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად და შუამდგომლობით დასმული საკითხების გადასაწყვეტად;
- ▶ **კანონის მუხლის, მუხლის ნაწილის ანდა ქვეპუნქტის მითითება** - მიზანშეწონილია, რომ ადვოკატმა ყოველი კონკრეტული არგუმენტი, ან კანონში არსებული ნორმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებზე, გამოიყენოს შუამდგომლობაში არგუმენტაციის მოყვანისა და დასაბუთებისას, და არა ბოლოში, როგორც ადრე იყო მიღებული.

5.11. საჩივარი მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის განჩინებაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად, 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში“.

ვინაიდან წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებლად თუ დაუშვებლად ცნობაზე მნიშვნელოვნად განაპირობებს სისხლის სამართლის საქმის

საბოლოო შედეგს, მისი გასაჩივრება კი დასაშვებია მხოლოდ ერთჯერადად, მნიშვნელოვანია, საჩივარი სასამართლოს წარედგინოს სრულყოფილი სახით, დასაბუთებული და არგუმენტირებული.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის მე-7 ნაწილი გთავაზობს იმ საკითხების მოკლე ჩამონათვალს, რომლებიც საჩივარში უნდა აღინიშნოს, კერძოდ:

- ა) რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას;
- ბ) რაში გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის რამდენიმე საფუძველს, კერძოდ, თუ:

- ა) მტკიცებულება მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით;
- ბ) მტკიცებულება მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით, მაგრამ არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე (ე.წ. „მონამლული ხის პრინციპი“);
- გ) არ არის უარყოფილი ეჭვი მტკიცებულების შესაძლო გამოცვლის, ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის, ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ;
- დ) დარღვეულია სსსკ-ის 83-ე მუხლით დადგენილი მტკიცებულებათა გადაცემის წესი.

მოსამართლის/სასამართლოს განჩინება მტკიცებულებ(ებ)ის დაუშვებლად ცნობაზე სწორედ ამ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. ადვოკატი თავის საჩივარში ვალდებულია, სათითაოდ უპასუხოს მოსამართლის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ.

როგორც ყველა საპროცესო დოკუმენტი, საჩივარიც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: შესავალი აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილი.

საჩივრის **შესავალ ნაწილში** ადვოკატმა უნდა მიუთითოს, თუ ვინ (სასამართლო, მოსამართლე), როდის (განჩინების მიღების თარიღი) და რა მტკიცებულება/მტკიცებულებები ცნო დაუშვებლად, რა საფუძველით და რომელ გარემოებებზე დაყრდნობით.

ა) თუ დაუშვებლად არის ცნობილი ერთი ან რამდენიმე მტკიცებულება, სხვადასხვა საფუძვლით, ადვოკატმა უნდა მიუთითოს თითოეული საფუძველი;

ბ) თუ დაუშვებლად არის ცნობილი ყველა მტკიცებულება, ერთი და იმავე საფუძვლით, არ არის საჭირო თითოეული მტკიცებულების ცალკე მითითება.

მნიშვნელოვანია, რომ საჩივრის შესავალ ნაწილში მოსამართლის გადაწყვეტილებებზე მსჯელობისას, არ იყოს გამოყენებული ისეთი ფრაზები/წინადადებები, რომლებიც, თავისი შინაარსით, მოსამართლის პოზიციის სისწორეს ადასტურებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, მკითხველს თავიდანვე შეექმნება შთაბეჭდილება, რომ ადვოკატი მოსამართლის მოსაზრებას იზიარებს და მხოლოდ ე.წ. ვალის მოხდის მიზნით ასაჩივრებს გადაწყვეტილებას.

მაგალითი: მოსამართლემ დაუშვებლად მიიჩნია მონმე ლელა მაისურაძის გამოკითხვისა და მის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული დათვალეერების ოქმები, ვინაიდან, მოსამართლის მოსაზრებით, დარღვეული იყო მტკიცებულებათა გაცვლისთვის დადგენილი წესი.

თუ ამ წინადადებიდან ამოვიღებთ სიტყვებს „მოსამართლის მოსაზრებით“, აღმოჩნდება, რომ საჩივრის ავტორი ეთანხმება სასამართლო გადაწყვეტილებას მტკიცებულებათა გაცვლის წესის დარღვევაზე, რის გამოც ადვოკატი არცთუ სასიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

შესაბამისად, სასამართლოს პოზიციის გადმოცემისას სასურველია შემდეგი ფრაზების გამოყენება: „სასამართლოს მოსაზრებით“, „მოსამართლის გადაწყვეტილებით“, „განჩინების თანახმად“, „მოსამართლის მტკიცებით“ და ა.შ.

მას შემდეგ, რაც ადვოკატი აღწერს მოსამართლის გადაწყვეტილებაში მითითებულ მტკიცებულებებსა და მათი დაუშვებლობის მიზეზებს, შესავალი ნაწილი უნდა დასრულდეს მოკლე ფრაზით მოსამართლის მოსაზრების უსაფუძვლოდ/დაუსაბუთებლად ან ნაწილობრივ უსაფუძვლოდ/დაუსაბუთებლად მიჩნევის შესახებ.

საჩივრის **აღწერილობით (სამოტივაციო) ნაწილში** სათითაოდ მიეთითება ადვოკატის არგუმენტაცია, თუ რატომ არის სასამართლოს გადაწყვე-

ტილება უსაფუძვლო ანდა დაუსაბუთებელი თითოეული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის ნაწილში. ამ დროს ძირითადად ყურადღება უნდა გამახვილდეს კანონში მითითებულ გარემოებებსა და მოსამართლის გადაწყვეტილების მცდარობაზე, კანონის განმარტების ან რომელიმე მტკიცებულების გათვალისწინების/გაუთვალისწინებლობის კუთხით.

- თუ მოსამართლის განჩინებით, ერთი და იმავე საფუძვლით დაუშვებლად არის ცნობილი ერთზე მეტი მტკიცებულება, მათი ერთად მოხსენიება და ამ მოსაზრების დაუსაბუთებლობის ერთი კონკრეტული გარემოებით ახსნა საკმარისია საჩივრის დასასაბუთებლად;
- თუ მტკიცებულება დაუშვებლად არის ცნობილი იმის გამო, რომ მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე), ადვოკატმა თავის არგუმენტაციაში უნდა ისაუბროს, თუ რატომ არ არის მტკიცებულება მოპოვებული დარღვევით, ან რატომ არ არის დარღვევა არსებითი. იმის გამო, რომ კანონში გამოყენებული სიტყვა „არსებითი“ შეფასებითი კატეგორიისაა და მის შესახებ არ არსებობს არც საკონსტიტუციო და არც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ადვოკატმა უნდა განიხილოს და სწორად განმარტოს საპროცესო კოდექსის მოთხოვნები დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების მოპოვებასთან მიმართებით, შესაბამის სასამართლო პრაქტიკასთან ერთად;
- თუ მტკიცებულება დაუშვებლად არის ცნობილი იმის გამო, რომ არ არის უარყოფილი ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, ნიშანთვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ, ადვოკატის არგუმენტაცია უნდა აბათილებდეს ამ ეჭვს, ასევე, თვისებების შეცვლისა ან კვალის გაქრობის არსებობას;
- ყველაზე რთულია, ამტკიცო მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის უსაფუძვლობა, როცა, სასამართლოს მოსაზრებით, დარღვეულია მტკიცებულებათა გაცვლის წესი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, მხარეები, მოთხოვნის მიუხედავად, ვალდებული არიან, სრული მოცულობით გადასცენ ერთმანეთს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები პირველი წარდგენის სხდომამდე, ასევე, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არავგვიანეს 5 დღისა. გარდა ამისა, ბრალდების მხარე ვალდებულია,

რომ დაცვის მხარეს, მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ და სრული მოცულობით გადასცეს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები. კანონის ამ მოთხოვნის უხემ დარღვევად და მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძვლად მიიჩნევა საქმის მასალების დაგვიანებით (წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა) წარდგენაც სასამართლოსთვის;

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მტკიცებულება/მტკიცებულებები შეიძლება დაუშვებლად მიიჩნიოს იმის გამო, რომ:

- ა) არ გადაცემულა;
 - ბ) დაუყოვნებლივ არ გადაცემულა;
 - გ) არ წარდგენილა სასამართლოსთვის კანონით დადგენილ ვადაში.
- თუ სასამართლომ მტკიცებულება დაუშვებლად ცნო იმ საფუძვლით, რომ ისინი არ გადასცემია ბრალდების მხარეს ან სასამართლოს, ადვოკატმა საჩივარში უნდა დაასაბუთოს და წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტაცია (მტკიცებულებები), რომ მტკიცებულებები ნამდვილად გადაეცა;
 - თუ სასამართლომ მტკიცებულება დაუშვებლად ცნო იმ საფუძვლით, რომ ისინი დროულად არ გადასცემია ბრალდების მხარეს, ადვოკატმა საჩივარში უნდა დაასაბუთოს, რომ კონკრეტული საქმისთვის დაკული იყო დროულად გადაცემის პრინციპი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, „გაუმართლებელია ირიბი ჩვენების ავტომატურად დაშვება და მისი გამოყენება განურჩევლად იმისა, თუ რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება თავისთავად არ გამოორიცხავს თეორიულ შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად“. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ გამოთქმის შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს ირიბი ჩვენების გამოყენებას, „თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე“. შესაბა-

5.12. შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას დაგაბიტი მტკიცებულების დასაშვებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, მხარეები უფლებამოსილნი არიან, საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეც კი, სასამართლოს წარუდგინონ შუამდგომლობა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობისა და მისი სასამართლო სხდომაზე გამოკვლევის შესახებ. სასამართლო ვალდებულია, განიხილოს ამ შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი და გაარკვიოს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზი, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულებათა დაშვება/არდაშვების შესახებ.

შესაბამისად, შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ სტრუქტურულად და შინაარსობრივად უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

იმისათვის, რომ შუამდგომლობა იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავდროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონს, მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები, კერძოდ:

- ა) შუამდგომლობის **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ შუამდგომლობით, შუამდგომლობის ავტორის ვინაობა, და შუამდგომლობის სათაური;
- ბ) შუამდგომლობის **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: შუამდგომლობის მოთხოვნა და შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია), შესაბამის კანონმდებლობასთან ერთად (მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი), რომელიც ადასტურებს აღნიშნულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს;
- გ) შუამდგომლობის **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა ამა თუ იმ მტკიცებულების დასაშვებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ; ასევე, სხვა საკითხები, რომლებიც ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს სასამართლოს განჩინებით (მაგ.: მტკიცებულებასთან დაკავშირებული მონმის დამატება დასაკითხ პირთა სიაში).

ნებისმიერი შუამდგომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი, სადაც შუამდგომლობის ავტორი ასაბუთებს თავის მოთხოვნას. შესაბამისად, ადვოკატმა ამ შუამდგომლობის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აღწერილობითი ნაწილის არგუმენტაციას, რაც შემდგომში მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია შემდეგი წესების დაცვა:

- ▶ **ფაქტების მითითება** - ფაქტები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია შუამდგომლობით დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად. ადვოკატმა მისათითებელი ფაქტების მოცულობა უნდა განსაზღვროს სასამართლოში დასაყენებელი შუამდგომლობის ტიპის მიხედვით. არ არის აუცილებელი, გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ან დამატებითი მტკიცებულების შინაარსი სრულად აისახოს შუამდგომლობაში: საკმარისია მხოლოდ იმ ნაწილის მითითება, რომელიც ადასტურებს კონკრეტული მტკიცებულების შემხებლობას საქმესთან და მანამდე მისი მოპოვების შეუძლებლობას.

მაგალითი: ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც წარმოდგენილია საქმეზე დასართავად, ადასტურებს, რომ ამოღებულ ტანსაცმელზე ბრალდებულის დნმ-ის კვალი არ არის. ეს დოკუმენტი დაცვის მხარემ მოიპოვა 2018 წლის 20 აგვისტოს, წინასასამართლო სხდომის ჩატარების შემდგომ, ამ სასამართლო სხდომამდე 3 დღით ადრე.

- ▶ **შუამდგომლობის ავტორის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე** (შუამდგომლობის დასაბუთება) – შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. ეს ნიშნავს, რომ მის აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს არგუმენტები, რომლებიც ადასტურებს კონკრეტული სახის გადაწყვეტილების მიღებას მოსამართლის მხრიდან.

მაგალითი: იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის დასადასტურებლად, ამასთან, მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას, რომ ის ბრალდების მხარისთვის გაეცვალა და სასამართლოში წარედგინა წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე, ვინაიდან საექსპერტო ბიუროდან გადმოგვეცა წინასასამართლო სხდომის ჩატარების შემდგომ, 30 აგვისტოს, მიმართა, რომ დაცულია საქართველოს სისხლის სამართლის საპ-

როცესო კოდექსის 239-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, იგი სასამართლომ დასაშვებად უნდა ცნოს და, შემდგომი გამოკვლევის მიზნით, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

- ▶ **კანონის მუხლის, მუხლის ნაწილის ანდა ქვეპუნქტის მითითება** - მიზანშეწონილია, რომ ადვოკატმა ყოველი კონკრეტული არგუმენტი, ან კანონში არსებული ნორმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებზე, გამოიყენოს შუამდგომლობაში არგუმენტაციის მოყვანისა და დასაბუთებისას, და არა ბოლოში, როგორც ადრე იყო მიღებული.

მაგალითი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულება და მოითხოვოს მისი დასაშვებად ცნობა, მიუხედავად იმისა, რომ ის მოპოვებულია წინასასამართლო სხდომის ჩატარების შემდგომ, თუკი დაასაბუთებს, რომ ამ მტკიცებულების მოპოვება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო, რაც ჩვენს შემთხვევაში სახეზეა.

5.13. შესავალი სიტყვა

საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე, მხარეთა შუამდგომლობის მოსმენის შემდგომ, მოსამართლე მხარეებს აძლევს შესავალი სიტყვების წარდგენის შესაძლებლობას. ადვოკატი შესავალ სიტყვას წარმოთქვამს როგორც მოსამართლის, ასევე ნაფიცი მსაჯულების წინაშე.

შესავალი სიტყვა არის ადვოკატის პირველი შესაძლებლობა, რომ სასამართლოს მოუთხროს საქმის შესახებ. სწორედ ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც შესავალი სიტყვის შინაარსს, ასევე ადვოკატის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებულ ვერსიას დანაშაულის ჩადენისას განვითარებული მოვლენების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს შესავალი სიტყვისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მისი მომზადებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე წესი:

- ✓ შესავალ სიტყვაში დაუშვებელია საქმესთან დაკავშირებული არგუმენტების წარმოდგენა: ამის საშუალება მხარეებს დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას ეძლევათ;

- ✓ მიზანშეწონილია, რომ ადვოკატმა ბრალდებული მოიხსენიოს არა ამ ტერმინით, არამედ სახელითა და გვარით;
- ✓ სასურველია, რაც შეიძლება ნაკლებად იყოს გამოყენებული რთული სამართლებრივი ტერმინოლოგია, ან, თუ მისი გამოყენება გარდაუვალია, გარკვევით და გასაგებად განიმარტოს მსმენელისთვის.

შესავალი სიტყვა სტრუქტურულად რამდენიმე ნაწილად იყოფა და თითოეულ მათგანს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. ესენია:

შესავალი – შესავალი სიტყვის მომზადებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც გამომსვლელი მოახდენს სასამართლოზე, ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო მომენტი საქმის არსებითი განხილვისას. შესაბამისად, პირველი სიტყვები, რომლებსაც მხარე წარმოთქვამს, უნდა იყოს გააზრებული და ძლიერი შინაარსის მატარებელი და მყისიერ წარმოდგენას უქმნიდეს სასამართლოს/ნაფიც მსაჯულებს საქმის არსის შესახებ.

შესავალი სიტყვის პირველი 1-2 ნუთის განმავლობაში გამომსვლელმა მხარემ:

- 1) უნდა წარადგინოს თავისი თემა ამ საქმეში;
- 2) საფუძველი ჩაუყაროს საქმის მისეულ თეორიას; და
- 3) სასამართლოს უჩვენოს თავისი პროფესიონალიზმი, საქმის მასალების ღრმა ცოდნა და თხრობის სტილი.

საქმის თემა – ეს არის სისხლის სამართლის საქმეში განვითარებული მოვლენების გადმოცემა მოკლედ, ლოგიკურად, ადვილად გასაგები და რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით. აღნიშნული ნაწილი მოკლედ პასუხობს კითხვას, თუ რას ეხება ეს საქმე, მთლიანად გადმოსცემს პროცესზე გამომსვლელი მხარის პოზიციას ამ საქმესთან დაკავშირებით და მუდმივად გასდევს სისხლის სამართლის საქმეს. ადვოკატმა სასამართლოს ხშირად უნდა შეახსენოს საქმის თემა და, სულ მცირე, 3-ჯერ გამოიყენოს შესავალ სიტყვაში. საქმის თემა გულისხმობს ნებისმიერ ორ-სამ სიტყვას, რომლებიც სიღრმეს, რეალურობასა და ადამიანურ განზომილებას სძენს საქმეს და მსმენელებს მარტივად ამახსოვრდებათ.

საქმის თეორია – საქმის თეორია არის ადვოკატის მიერ საქმის საკუთარი ვერსიის მიწოდება სასამართლოსათვის.

მაგალითი: მკვლელობის საქმეში ბრალდების მხარე დავობს, რომ პირმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, ხოლო დაცვის მხარე აცხადებს, რომ სახეზე არ არის განზრახვა, არამედ ადგილი ჰქონდა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას ან სულაც უბედურ შემთხვევას.

შესაბამისად, საქმის თეორია იმგვარად უნდა აიგოს, რომ პირველ რიგში, მთლიანად პასუხობდეს საქმის თემას და გადმოსცემდეს ადვოკატის ვერსიას ამ სასამართლო განხილვისას.

საქმის თეორია ორი ნაწილისაგან შედგება:

- ✓ **დანაშაულის ადგილის აღწერა** – ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ჩვეულებრივმა ადამიანმა ყოველგვარი შეფერხებისა თუ დაძაბულობის გარეშე შეძლოს დანაშაულის ადგილისა და იქ განვითარებული მოვლენების წარმოდგენა. ამ შემთხვევაში სასურველია აღწერილობითი ფრაზების გამოყენება, რომლებიც გარკვეულ სურათებს ქმნის მსმენელის გონებაში, ამისთვის კი გასაგებობა და სიზუსტე უკიდურესად მნიშვნელოვანია. ამ დროს, ისევე, როგორც, ზოგადად, ნებისმიერი შესავალი სიტყვისას, გამოსადეგია დანაშაულის ადგილის სურათები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს საქმეში, ან მოგვიანებით შეადგინოს ადვოკატმა.
- ✓ **დანაშაულის გარემოებების აღწერა** – დანაშაულის დინამიკური სურათის წარდგენისას, რეკომენდებულია, გამომსვლელმა ლოგიკურად აღწეროს ქმედება, თუმცა სასურველი არ არის ზედმეტი დეტალიზება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადმოცემის ტემპს: დანაშაულის დეტალების ზედმეტად შენელებული წარმოდგენა სასამართლოს დაუკარგავს დანაშაულის სურათის დინამიკას და ისინი აღარ მოისმენენ საქმის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. რაც მთავარია, ეს არის გამომსვლელის ძირითადი შესაძლებლობა, სასამართლოს წარუდგინოს დანაშაულის მისეული თეორია (მოკლედ ნახსენები შესავალი სიტყვის დასაწყისში), განავრცოს და გაამდიდროს ის დეტალებით, საბოლოოდ კი სასამართლოს დააჭეროს მომხდარი დანაშაულის მისეული ვერსია.

მტკიცებულებები, რომლებსაც წარადგენს მხარე სასამართლო განხილვისას – საქმეზე საკუთარი თეორიის წარმოდგენის შემდგომ, ადვოკატმა სასამართლოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ მტკიცებულებებ-

ბე, რომლებსაც წარადგენს სასამართლო განხილვისას და რომლებიც დაადასტურებს მის თეორიას. ზოგჯერ ადვოკატებს უხდებათ მონმედ ისეთი პირის გამოძახება და დაკითხვა, რომელიც წარსულში ნასამართლევა, მსჯავრდებულია სხვა საქმეში და ა.შ. (ანუ საქმეში არის მონმე, რომელიც სასამართლოს ნდობასა და მოწონებას ყველაზე ნაკლებად იმსახურებს). ასეთ დროს, უმჯობესია, არ დაიმალოს მონმის ე.წ. სისუსტეები, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამომსვლელს ეძლევა საშუალება, აუხსნას სასამართლოს, რომ ამგვარი პირების წარსული თუ აწმყო საქმიანობის მიუხედავად, მათ აქვთ სასამართლოში მხოლოდ სიმართლის თქმის ვალდებულება.

მონინააღმდეგე მხარის სავარაუდო პოზიცია – საკუთარი მტკიცებულებების ჩამოთვლის შემდგომ, სასურველია, ადვოკატმა მოკლედ ისაუბროს მონინააღმდეგე მხარის მიერ გაჟღერებულ საქმის თეორიაზე, რათა მოსამართლე (განსაკუთრებით, ნაფიცი მსაჯულები) წინასწარ იცოს ინფორმირებული დაცვის მხარის მოსაზრებაზე მონინააღმდეგე მხარის პოზიციასთან მიმართებით.

დასკვნა – შესავალი სიტყვის დასკვნითი ნაწილი ისეთივე ძლიერი უნდა იცოს, როგორც შესავალი ნაწილი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ შესავალი სიტყვის პირველი წუთები ეთმობა თვით გამომსვლელისა და მისი თხრობის სტილის გაცნობას სასამართლოსთვის, ასევე, დამსწრეთა ნდობის მოპოვებას, შესავალი სიტყვის ბოლო წუთებში ადვოკატმა ლაკონიური ფორმით უნდა დაარწმუნოს სასამართლო, რომ წარმოდგენილი ფაქტები მთლიანად მის მხარეზეა და, რაც მთავარია, ერთადერთი გადანწყვეტილება, რომლის გამოტანაც შეუძლია სასამართლოს ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სწორედ ადვოკატის სასარგებლო იქნება.

5.14. დასკვნითი სიტყვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არ არის გათვალისწინებული, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს დასკვნითი სიტყვა და კონკრეტულად რა მიზანი აქვს მის წარმოდგენას სასამართლოს/ნაფიცი მსაჯულების წინაშე. თუმცა, დასკვნითი სიტყვა არის ადვოკატის ბოლო შესაძლებლობა, სათანადო ანალიზის საფუძველზე შეაჯამოს და შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და სათანადო არგუმენტების მოშველიებით დაარწმუნოს სასამართლო/ნაფიცი მსაჯულები, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა, ან ამ პირმა უფრო მსუბუქი დანაშაული ჩაიდინა.

დასკვნითი სიტყვა რამდენიმე ნაწილისგან შედგება და თითოეულს თავისი დატვირთვა აქვს. ესენია:

შესავალი ნაწილი – ეს ნაწილი ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ წარადგინოს საკუთარი თავი და მოკლედ შეახსენოს სასამართლოს საქმის დეტალები (ბრალდებულ(ებ)ის სახელ(ებ)ი და გვარ(ებ)ი, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი, რომლითაც მათ ბრალი ედებათ და ა. შ.);

საქმის თემა – საქმის თემა მოკლედ პასუხობს კითხვას, თუ რას შეეხება ეს საქმე, და მთლიანად გადმოსცემს ადვოკატის პოზიციას მასთან დაკავშირებით. იგი მუდმივად უნდა გასდევდეს დასკვნით სიტყვას და, სულ მცირე, 3-ჯერ იყოს მოხსენიებული მასში, რათა, განსაკუთრებით ნაფიც მსაჯულებს, მუდმივად ახსოვდეთ, თუ რა საქმე მოისმინეს და რა საკითხზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება;

საქმის თეორია – დასკვნითი სიტყვის ეს ნაწილი მოკლედ აღწერს ბრალდებულ(ებ)ის ქმედებასა და დანაშაულის ჩადენისას განვითარებულ მოვლენებს. სავალდებულოა, რომ საქმის თეორიაში აღწერილი ფაქტები და გარემოებები შეესაბამებოდეს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს, თუ ადვოკატი სასამართლო სხდომაზე ამტკიცებს პირის მიერ უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას; თუკი საუბარია პირის უდანაშაულობაზე დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშნის არარსებობის გამო, მაშინ დასკვნითი სიტყვის ამ ნაწილში უნდა გაჟღერდეს ის გარემოება, რომელიც გამორიცხავს შემადგენლობას.

მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს დაცვის მხარის პოზიციას – დასკვნითი სიტყვის ყველაზე რთული ნაწილია სწორედ მტკიცებულებათა ანალიზი. მისი მომზადებისას ადვოკატს ევალება რამდენიმე მნიშვნელოვანი წესის დაცვა. კერძოდ:

- ✓ დასკვნით სიტყვაში არ შეიძლება იმ მტკიცებულებ(ებ)ის მოხსენიება, რომლებიც დაუშვებლად ცნო სასამართლომ;
- ✓ მტკიცებულებები უნდა შეფასდეს დეტალურად. არ არის საკმარისი მხოლოდ ჩამოთვლა და მერე დასკვნების გაკეთება: მტკიცებულებებზე მსჯელობისას მსმენელს/მკითხველს სათანადო წარმოდგენა უნდა შეექმნას მათ უტყუარობასა და სანდოობაზე;
- ✓ დასკვნითი სიტყვის ეს ნაწილი უნდა შეიცავდეს მტკიცებულებათა არა მხოლოდ ჩამონათვალსა და მოკლე ან ვრცელ შინაარსს,

არამედ მათ სისტემურ ანალიზს, ურთიერთქმედებასა და კავშირს განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან;

- ✓ მტკიცებულებათა ანალიზისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მოწმეთა ჩვენებების ანდა სხვა სახის მტკიცებულებების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც ადასტურებს დანაშაულის ჩადენის ფაქტს და მასში კონკრეტული პირის ბრალეულობას;
- ✓ მტკიცებულებათა ანალიზისას მაქსიმალურად უნდა ავარიდოთ თავი ისეთი ინფორმაციის მითითებას, რომელიც არ უკავშირდება არც სისხლის სამართლის საქმეს და არც მისაღებ გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით კი უნდა მოვერიდოთ მოწმეთა ჩვენებების ან ექსპერტების დასკვნების შინაარსის მთლიანად გადმოტანას;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი მტკიცებულებების ანალიზს, რომლებიც, თავისი შინაარსით, ეწინააღმდეგება ერთმანეთს ან სხვა მტკიცებულებას, და შესაბამისი ანალიზის გარეშე შეუძლებელს ხდის სწორი დასკვნის გამოტანას.

დასკვნითი სიტყვის ამ ნაწილის ჩამოყალიბებისას, ცალკეული მტკიცებულების ანალიზისა და დასკვნით სიტყვაში მითითების კონტექსტში, ადვოკატს შეიძლება მნიშვნელოვნად დაეხმაროს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე“, კერძოდ, მასში მოყვანილი წესები განაჩენის დასასაბუთებლად (საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2015 წელი). სახელმძღვანელოში განხილული სხვადასხვა სახის მტკიცებულების ანალიზისა და განაჩენში მითითების წესები ადვოკატებს დაეხმარება, რომ სწორად ჩამოაყალიბონ ბრალდებულთა უდანაშაულობისა თუ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებები/არგუმენტები.

კვალიფიკაცია და ბრალის საფუძვლები – საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის შემდგომ, ადვოკატმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეაჯამოს და სასამართლოს წარუდგინოს თავისი მოსაზრება ბრალდებულ(ებ)ის ქმედების კვალიფიცირებაზე სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, თუ საუბარია ბრალად შერაცხულ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენის შესახებ; ხოლო თუ ვამტკიცებთ, რომ ბრალდებული უდანაშაულოა დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშნის არარსებობის გამო, მაშინ ადვოკატმა გასაგებად უნდა ახსნას დანაშაულის შემადგენლობა, დანაშაულის ადგილი სისხლის სამართლის კოდექსის სისტემაში და ბრალისა და განზრახვის საფუძვლები.

მონინალმდევე მხარის პოზიციის გაბათილება – დასკვნითი სიტყვის ბოლოს ადვოკატი ვალდებულია, შეეხოს მონინალმდევე მხარის ვერსიას და გააბათილოს ის საქმეში არსებული ფაქტებისა და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე. სავალდებულოა, რომ დასკვნით სიტყვაში პასუხი გაეცეს ბრალდების მხარის ყველა არგუმენტს, რაც უნდა მწვავე ან, პირიქით, უტოპიური იყოს ისინი, რათა მსმენელს არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ადვოკატმა მათი საიმედოობის ან სისწორის გამო აარიდა თავი ამ მტკიცებულებებზე მსჯელობას.

ასეთ დროს, ადვოკატმა, სათანადო არგუმენტების წარმოდგენით, ეჭვქვეშ უნდა დააყენოს დაცვის მხარის მტკიცებულებათა უტყუარობა და სანდოობა და გადანყვეტილების მიმღებ პირს ნათლად დაანახოს, რამდენად უტყუარი იყო ამ მხარის მტკიცებულებები და შეიძლება თუ არა მათი გაზიარება საბოლოო გადანყვეტილების მიღების პროცესში.

მტკიცებულებათა უტყუარობის ნაწილში მონმის ჩვენება შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს რამდენიმე მიზეზით. მათ შორისაა: მონმის არაგულწრფელობა; მონმის მიკერძოება; მონმის მიერ ერთმანეთთან შეუსაბამო განცხადებების გაკეთება; მონმის მიერ ფაქტების აღქმისა და დამახსოვრების უნარი; მონმის ჩვენების შეუსაბამობა სხვა ფაქტებთან.

განსხვავებული ვითარებაა წერილობითი მტკიცებულებების, განსაკუთრებით, ექსპერტიზის დასკვნის შემთხვევაში, რადგან აღნიშნული მტკიცებულების უტყუარობა და სანდოობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მისი სხვა მტკიცებულებებთან შესაბამისობის გამო.

დასკვნა – ეს ნაწილი ადვოკატის მსჯელობის ერთგვარი შეჯამებაა, სადაც დაცვის მხარე სასამართლოსგან/ნაფიცი მსაჯულებისგან ითხოვს მისთვის სასურველი გადანყვეტილების მიღებას, ზემოთ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებებისა და არგუმენტების საფუძველზე.

5.15. სააპელაციო საჩივარი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია“.

პირველი ინსტანციის სასამართლოს როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი განაჩენი საჩივრდება სააპელაციო საჩივრის წარდგენის

გზით. სხვა საპროცესო დოკუმენტებისაგან განსხვავებით, საპროცესო კოდექსი მკაცრად განსაზღვრავს იმ მინიმუმს, რასაც უნდა შეიცავდეს სააპელაციო საჩივარი. ესენია:

- „ა) იმ სასამართლოს დასახელება, სადაც იგზავნება საჩივარი;
- ბ) საჩივრის შემტანი პირის სახელი და გვარი, საპროცესო მდგომარეობა;
- გ) გასაჩივრებული განაჩენის გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი;
- დ) განაჩენის გასაჩივრებული დებულებანი;
- ე) გასაჩივრებულ დებულებათა უკანონობის ან/და დაუსაბუთებლობის არსი;
- ვ) პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- ზ) მტკიცებულებები, რომლებიც უნდა გამოიკვლიოს სასამართლომ;
- თ) დამატებით წარმოდგენილი მასალები.“

ამასთან, კანონის თანახმად, სააპელაციო საჩივარში სავალდებულოა იმის მითითება, თუ რა ნაწილში საჩივრდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

ადვოკატის სააპელაციო საჩივარი, ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი სავალდებულო კომპონენტით, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილი.

სააპელაციო საჩივრის **შესავალ ნაწილში** მოკლედ აღიწერება ინფორმაცია პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ: ვინ (სასამართლო, მოსამართლე), როდის (განაჩენის თარიღი) და რა გადაწყვეტილება მიიღო, რა ნაწილში ცნო დამნაშავედ და რა ნაწილში გაამართლა ბრალდებული, რომელი ბრალდებული გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში და (მოკლედ) რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

თუ ერთი განაჩენით ერთი და იმავე საფუძვლით გამტყუნდა ერთზე მეტი პირი და ორივე ბრალდებულის ინტერესებს იცავს ერთი ადვოკატი (საჩივრის ავტორი), მაშინ საჩივრის შესავალ ნაწილში ისინი მოიხსენიება ერთად, ხოლო თუ ეს მოხდა სხვადასხვა საფუძვლით, ისინი მოიხსენიება ცალ-ცალკე.

საჩივრის აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილის ჩამოყალიბებამდე, ადვოკატმა უნდა გადანყვიტოს, რა საფუძვლით ასაჩივრებს განაჩენს – უკანონობის, თუ დაუსაბუთებლობის. განაჩენის დაუსაბუთებლობის კრიტერიუმები საპროცესო კოდექსში ჩამოთვლილი არ არის, თუმცა განაჩენის უკანონობაზე საუბარია ამავე კოდექსის მე-300 მუხლში, რომლის თანახმადაც, განაჩენი უკანონოდ მიიჩნევა, თუ:

- ა) არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- ბ) მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია;
- გ) გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

გასათვალისწინებელია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს როგორც ერთ-ერთი, ასევე ყველა ჩამოთვლილი საფუძვლით.

სააპელაციო საჩივრის **აღწერილობით (სამოტივაციო) ნაწილში** ადვოკატმა პირველ რიგში უნდა აღნიშნოს: უკანონოდ მიაჩნია მოსამართლის განაჩენი, თუ დაუსაბუთებლად; რატომ არის განაჩენი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი; რა გარემოებებს ეყრდნობა აპელანტი ამ მოსაზრების ჩამოყალიბებისას; და რა მტკიცებულებები ადასტურებს ამ გარემოებებს.

ადვოკატმა სააპელაციო საჩივარში დეტალურად და ცალ-ცალკე უნდა განიხილოს მოსამართლის მოსაზრებები ბრალდებული პირ(ებ)ის მიმართ შესაბამისი გადანყვიტების მიღებაზე, გააბათილოს თითოეული მათგანი და მოიყვანოს საწინააღმდეგო არგუმენტაცია.

- თუ მოსამართლის გადანყვიტებით, კონკრეტული პირი გამტყუნდა მტკიცებულებათა საკმარისობის მოტივით, ადვოკატი სააპელაციო საჩივრის სამოტივაციო ნაწილში განიხილავს, თუ რატომ არის მოსამართლის მიერ გამოყენებული მტკიცებულებები არასაკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად;
- თუ ადვოკატს მიაჩნია, რომ პირი უნდა გამართლებულიყო დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშნის არარსებობის გამო, იგი სააპელაციო საჩივარში მსჯელობს არა მხოლოდ იმაზე, თუ რომელი მტკიცებულება ადასტურებს ან არ ადასტურებს ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტს, არამედ იმაზეც, თუ რომელი

ფაქტი, გარემოება ან მტკიცებულება მიუთითებს, რომ დანაშაულის ეს კონკრეტული ნიშანი არ არსებობს და საქმის მასალებში აღწერილი და ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედება არ არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული;

- თუ მოსამართლემ პირის ქმედება გადააკვალიფიცირა უფრო მსუბუქ მუხლზე (მაგ.: სსკ-ის 19-109-ე მუხლიდან 19-108-ე მუხლზე) და მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს ადვოკატი, იგი ვალდებულია, სააპელაციო საჩივარში, სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით, ასაბუთოს არა დამამძიმებელი გარემოებების არსებობა/არარსებობა, არამედ ის, რომ პირი არ მონაწილეობდა ჩადენილ დანაშაულში, ან მან უფრო მსუბუქი დანაშაული ჩაიდინა.
- პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მხოლოდ სასჯელის ნაწილში გასაჩივრებისას, ადვოკატმა სააპელაციო საჩივარში ვრცლად უნდა იმსჯელოს, თუ რატომ არის დანიშნული სასჯელი დაუსაბუთებელი და შეუსაბამო მსჯავრდებულის პიროვნებასთან, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. ადვოკატის მსჯელობის ძირითადი ნაწილი უნდა დაეყრდნოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმადაც, სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ესენია: დანაშაულის მოტივი და მიზანი; ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება; მოვალეობათა დარღვევის ბუნება და ზომა; ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი; დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაცქევა, და მისწრაფება, აანაზღაუროს ზიანი.

საჩივრის **სარეზოლუციო ნაწილი** გულისხმობს ადვოკატის მოთხოვნის ჩამოყალიბებას გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას ან გაუქმებასთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამომწურავად არის ჩამოთვლილი, თუ რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე. ესენია:

- ა) პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა;

- ბ) პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა;
- გ) პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილებების შეტანა;
- დ) პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

სწორედ ამ პოზიციებიდან გამომდინარე უნდა ჩამოყალიბდეს ადვოკატმა სააპელაციო მოთხოვნა. თუ იგი ითხოვს მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირებას უფრო მსუბუქი მუხლის მიხედვით, ვიდრე მოცემულია პირველი ინსტანციის განაჩენში, სავალდებულოა, რომ საჩივარში მითითოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი, ნაწილი ან/და ქვეპუნქტი, რომლითაც დამნაშავედ უნდა ცნონ მსჯავრდებული.

სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბების შემდეგ, სააპელაციო საჩივარს ხელს აწერს ადვოკატი. სასამართლოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, ეგზავნება სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა მხარეებისთვის გადასაგზავნად.

5.16. საკასაციო საჩივარი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლის თანახმად, „საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა“.

განაჩენი უკანონოდ მიიჩნევა, თუ:

- ა) არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- ბ) მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია;
- გ) გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

საკასაციო საჩივრის მომზადებისას გასათვალისწინებელია საჩივრის დასაშვებობის წესი. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ:

- „ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია“.

აქედან გამომდინარე, საკასაციო საჩივარში ადვოკატმა უნდა ასაბუთოს არა მხოლოდ განაჩენის უკანონობა, არამედ ისიც, რომ, გემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი სასამართლომ დასაშვებად უნდა ცნოს.

საკასაციო საჩივრის ფორმა სრულად შესაბამეა სააპელაციო საჩივრისთვის დადგენილ ფორმას და მისი კომპონენტები ჩამოთვლილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლში. თუმცა, როგორც ყველა სხვა საპროცესო დოკუმენტი, საკასაციო საჩივარიც სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილი.

საკასაციო საჩივრის **შესავალ ნაწილში** მოკლედ აღიწერება პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება: ვერძოდ, ვინ, როდის და რა გადაწყვეტილება მიიღო, რა ნაწილში ცნო ბრალდებულ(ებ)ი დამნაშავედ ან/და უდანაშაულოდ.

საკასაციო საჩივრის **აღწერილობით (სამოტივაციო) ნაწილში** ადვოკატმა პირველ რიგში უნდა ასაბუთოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა, ხოლო შემდგომ – განაჩენის უკანონობა.

განაჩენის უკანონობის დასაბუთების ნაწილში, ადვოკატმა უნდა მოიშველიოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლში ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმი. საქმის გარემოებებზე და ქვედა ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებსა ან გამოვლენილ დარღვევებზე დაყრდნობით, ასევე, სათანადო არგუმენტების მოშველიებით, მან უნდა ამტკიცოს, რომ: არსებითად დაირღვა კანონი; ან/და მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია; ან/და გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და მის პიროვნებას.

კანონის არსებითი დარღვევის მტკიცებისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ დარღვევა იყო არსებითი (მაგ.: განაჩენში მოშველიებულია დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება; სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა რომელიმე მხარის მტკიცებულებას, ისე, რომ შესაბამისი არგუმენტაცია განაჩენში მითითებული არ არის; სააპელაციო სასამართლოში დამატებითი მტკიცებულებები წარმოდგენილი და გამოკვლეულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით და ა.შ.) და ეს დარღვევა არ გამოუვლენია ქვედა ინსტანციების სასამართლოს.

ქმედებისთვის არასწორი კვალიფიკაციის მინიჭების მტკიცებისას, ადვოკატს ევალება, საკასაციო საჩივარში აღწეროს სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურებული ფაქტები და გარემოებები, შეუსაბამოს ისინი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ელემენტებს და სათანადო სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე ასაბუთოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული კვალიფიკაცია (მათ შორის, დანაშაულის ელემენტების არარსებობის გამო) არასწორია.

სასჯელის სახისა და ზომის აშკარა შეუსაბამობასთან მიმართებით, ადვოკატმა განაჩენის უკანონობა უნდა ასაბუთოს საქმეში არსებულ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე დაყრდნობით. ასეთ დროს შეიძლება არგუმენტად მოიშველიოს გარემოებები, რომლებიც მოყვანილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე“.

ასევე საჩივრის აღწერილობით (სამოტივაციო) ნაწილში მიეთითება ადვოკატის მსჯელობა, თუ რატომ არის საკასაციო საჩივარი დასაშვები. ეს მსჯელობაც საქმის მასალებში არსებულ გარემოებებსა და კანონში მითითებულ ნორმებს უნდა დაეფუძნოს.

გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება არსებობდეს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ერთზე მეტი საფუძველი. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია, არა მხოლოდ მიუთითოს ყველა საფუძველი, არამედ, სათანადო არგუმენტების წარმოდგენით, ცალ-ცალკე დაასაბუთოს თითოეული მათგანი.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის დასაბუთების შემდგომ, ადვოკატი **სარეზოლუციო ნაწილში** აცალიბებს საჩივრის მოთხოვნას, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობას, შემდეგ კი – კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში განაჩენის გამოტანას.

საკასაციო საჩივრის სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბების შემდეგ, დოკუმენტს ხელს აწერს ადვოკატი. სასამართლოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, ეგზავნება საკასაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა მხარეებისათვის გადასაგზავნად.

5.17. შუამდგომლობა ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვაზე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის თანახმად, განაჩენი ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო შეიძლება გადასინჯოს თუ:

„ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას, ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც და-

ადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე¹) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ბ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და, თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად, ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას, ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მსჯავრი დაედო, აგრეთვე, ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ბ¹) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.“

ასეთი შუამდგომლობის შეტანა ადვოკატს სააპელაციო სასამართლოში დამოუკიდებლად შეუძლია; იგი ვალდებულია, შუამდგომლობაში აღნიშნოს როგორც განაჩენის გადასინჯვის საფუძველი, ასევე მტკიცებულებები.

როგორც ყველა სხვა საპროცესო დოკუმენტი, აღნიშნული შუამდგომლობაც შედგება შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

შესავალ ნაწილში მოკლედ აღიწერება პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კერძოდ, თუ ვინ, როდის და რა გადაწყვეტილება მიიღო, რა ნაწილში ცნო მსჯავრდებელი დამნაშავედ ან/და უდანაშაულოდ.

შუამდგომლობის **აღწერილობით (სამოტივაციო) ნაწილში** ადვოკატმა პირველ რიგში უნდა ასაბუთოს შუამდგომლობის დასაშვებობა, ხოლო შემდგომ – განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები, შესაბამისი მტკიცებულებების მითითებით.

შუამდგომლობის დასაშვებობის დასაბუთებისას, საჭიროა მიეთითოს გემოაღწერილი გარემოების არსებობა, შესაბამისი მტკიცებულებით, ხოლო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლების დასაბუთებისას ადვოკატი ვალდებულია, მის მიერ მოპოვებულ ახლად გამოვლენილ გარემოებებსა და შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ასაბუთოს განაჩენის გადასინჯვის აუცილებლობა.

გასათვალისწინებელია, რომ თუ სახეზეა საპროცესო კოდექსით განსაზღვრული განაჩენის გადასინჯვის ერთზე მეტი გარემოება, ადვოკატი შუამდგომლობაში ცალ-ცალკე მიუთითებს მათზე და თითოეულს ასაბუთებს დამოუკიდებლად, შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

და ბოლოს, შუამდგომლობის დასკვნით ნაწილში ადვოკატი უთითებს მის მოთხოვნას შუამდგომლობის დასაშვებობაზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა და საქმის ხელახალი განხილვის შესახებ.

ნანილი II

დაზარალებულის უფლებები და მისი რეალიზაციის მიზნით შესაძგენი საკროცესო დოკუმენტების დასაბუთების სტანდარტები

თავი 1. დანაშაულის მსხვერპლის უფლებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის უნივერსალური მიდგომის, კერძოდ, მისი პირველი მუხლის გათვალისწინებით, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაიცვან მათ იურისდიქციაში მყოფი ყველა ადამიანის უფლებები. კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) და მე-3-მუხლი („წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა“) ხელმომწერი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, შეასრულონ თავიანთი პოზიტიური ვალდებულება და დაიცვან საკუთარი მოქალაქეები მათი უფლებების დარღვევისაგან შესამე პირთა და სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან.²⁴⁵

თუმცა, მსხვერპლთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვის²⁴⁶ მექანიზმებისა და ზომების განვითარების გათვალისწინებით, სახელმწიფო-

245 *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], Nos. 43577/98 და 43579/98, 2005 წლის 6 ივლისი, §§ 93-97.

246 მაგ., იხ: მსხვერპლთა უფლებები, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტები - მართლმსაჯულება ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთათვის, ნანილი I, 2019 წლის 24 აპრილი, ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო.

ების მთავარი მოვალეობაა ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების კრიმინალიზაცია.²⁴⁷ ამის მიზეზია ის, რომ ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, აღმოფხვრან ამგვარი დანაშაულების დაუსჯელობა.²⁴⁸ ამასთანავე, ამ უფლებების დასაცავად, სახელმწიფოებმა ეფექტიანად უნდა გამოიძიონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების ნებისმიერი დარღვევა.²⁴⁹ სახელმწიფომ საკუთარი ინიციატივით უნდა წამოიწიოს გამოძიება და არ უნდა დაელოდოს მსხვერპლის მიერ საჩივრის წარდგენას.²⁵⁰ ამასთან, თუ გამოძიების მიმდინარეობისას შევითხვები დასახული მიმართულებით თანმიმდევრულად არ დაისმება, ამან შეიძლება ასევე გამოიწვიოს მე-2 მუხლის დარღვევა.²⁵¹

სახელმწიფოებზე დაკისრებული ზემოაღნიშნული პოზიტიური ვალდებულებების გარდა, მსხვერპლთა უფლებებთან დაკავშირებული პროცესუალური ასპექტები გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლშიც.

აქედან გამომდინარე, დანაშაულის მსხვერპლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლებებით სარგებლობას ვერ მოითხოვს მანამ, სანამ არ ჩაერთვება სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში. დანაშაულის მსხვერპლს უფლება აქვს, ჰქონდეს წვდომა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე, სისხლის სამართალწარმოების ფორმით, და ამგვარი პროცედურების არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა.²⁵²

მტკიცებულების მოპოვებასთან მიმართებით, ეს ძირითადად უკავშირდება პროცედურულ გარანტიებს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. თუმცა, მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა არ კმარა და სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს სისტემის ეფექტიანობაც.²⁵³ მიუხედავად

247 *X and Y v. the Netherlands*, No. 8978/80, 1985 წლის 26 მარტი.

248 მაგ., იხ: ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტი, სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების აღმოფხვრის შესახებ, 2011 წლის 30 მარტი

249 *Gäfgen v. Germany* [GC], No. 22978/05, 2010 წლის 1 ივნისი, § 117.

250 *Cadiroğlu v. Turkey*, No. 15762/10, 2013 წლის 3 სექტემბერი, § 30.

251 *Kolevi v. Bulgaria*, No. 1108/02, 2009 წლის 5 ნოემბერი, § 201.

252 *A v. Croatia*, No. 55164/08, 2010 14 ოქტომბერი, §§ 78 და 87.

253 *M.C. v. Bulgaria*, No. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბერი, §§ 150-151.

იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი დიად არ ეხება მსხვერპლს, სამართლიანი სასამართლოს პრინციპები მოითხოვს, რომ შესაბამის საქმეებში მსხვერპლთა უფლებები აღიარებული და დაბალანსებული იყოს დაცვის უფლებებთან მიმართებით.²⁵⁴

თავი 2. დაზარალებულის ძირითადი უფლებები და მათი რეალიზების მექანიზმები გამოძიებისას

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებული არის „სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღდა უშუალოდ დანაშაულის შედეგად“.

2010 წლის 01 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი რედაქცია (**აქ და ქვემოთ: ახალი კოდექსი**), რომელმაც, სხვა რიგ ფუნდამენტურ საკითხებთან ერთად, ახლებურად დაარეგულირა დაზარალებულის უფლებები და საპროცესო მდგომარეობა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანი არ არის დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის შედარებითი ანალიზი 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა (**აქ და ქვემოთ: ძველი კოდექსი**) ან სხვა კონტინენტური თუ საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობასთან, თუმცა, აუცილებლად მიგვაჩნია, ხაზი გავუსვათ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს, კერძოდ: რა ტენდენციებით ხასიათდება კანონმდებლის მიდგომა დაზარალებულის უფლებათა საპროცესო გარანტიების უზრუნველყოფის კუთხით, რაც უდავოდ სასარგებლო იქნება ადვოკატებისთვის დაზარალებულის დაცვის სტრატეგიის დაგეგმვა-განხორციელებისას.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები შეიძლება მიენიჭოს სამი სუბიექტიდან ერთ-ერთს:

254 Doorson v. the Netherlands, No. 20524/92, 1996 წლის 26 მარტი, § 70; Y. v. Slovenia, No. 41107/10, 2015 წლის 28 მაისი.

1. ფიზიკურ პირს
2. კერძო/საჯარო სამართლის იურიდიულ პირს
3. სახელმწიფოს

ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლის განსაზღვრებით, დაზარალებულად ცნობისთვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობიდან ერთ-ერთის არსებობა. ესენი გახლავთ კონკრეტული დელიქტები (ზიანი), როგორც მატერიალური შედეგი. ზიანი შეიძლება იყოს:

1. მორალური
2. ფიზიკური
3. ქონებრივი

კანონმდებელი პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუმცა ცხადია, რომ სამართლის უზოგადესი პრინციპების გათვალისწინებით, ზიანის მითითებული სახეები შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე კუმულაციურად (ზიანის სიმრავლე დანაშაულში). შესაბამისად, ყოველი დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს როგორც სუბიექტი, რომელიც შეიძლება დაზარალებულად იყოს ცნობილი პროკურატურის მიერ, ისე ზიანის კონკრეტული სახე/სახეები, რაც დადგა დანაშაულის შედეგად.

მას შემდეგ, რაც ახალი კოდექსით მნიშვნელოვნად შეიკვეცა დაზარალებულის უფლებები (ძველი კოდექსისგან განსხვავებით, იგი არა მხოლოდ აღარ აწარმოებს საჯარო სისხლისსამართლებრივ, სუბსიდიურ, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას, არამედ საერთოდ აღარ განიხილება მხარედ სისხლის სამართლის პროცესში), ცხადია, არაერთი პრობლემა წარმოიშვა დაზარალებულის ინტერესთა დაცვის ჯეროვნად რეალიზების კუთხით.

სხვადასხვა საქმეზე არსებულმა პრაქტიკამ და ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს მინიმალისტური მიდგომა დაზარალებულის სამართალწარმოების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით, ხშირად არაეფექტიანი და კონფლიქტური აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ დაზარალებულს წაერთვა შესაძლებლობა, უშუალოდ ჩართულიყო მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისა და ბრალდების დამტკიცების პროცესში, იგი ასევე ხშირად იმყოფებოდა ინფორმაციულ ვაკუუმში, ვინაიდან არ მიუწვდებოდა ხელი სისხლის სამართლის მასალებზე. ამის გამო მას უჩ-

ნდებოდა პროტესტი და უნდობლობა პროკურატურის, როგორც სისხლის-სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ექსკლუზიური ინსტიტუციის მიმართ. ასევე არსებით პრობლემად იქცა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რადგან სისხლის სამართლის მასალების, როგორც მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობის სირთულე, დავების ხანგრძლივობა და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა გადაუღახავ წინააღმდეგობებად გადაიქცა დაზარალებულისთვის დარღვეული მატერიალური თუ მორალური უფლებების აღდგენისა და კომპენსაციის მიღების პროცესში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცული სამართლიანის სასამართლოს უფლების კონტექსტში, სასამართლო პროცესი სამართლიანი უნდა იყოს არა მხოლოდ ბრალდებულის, არამედ დაზარალებულისა და მონშემების მიმართაც: როდესაც საკითხი უკავშირდება, ერთი მხრივ, დაცვის მხარის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალებულის მიმართ კონვენციის სხვა მუხლით გარანტირებული უფლების (სიცოცხლე, თავისუფლება, უსაფრთხოება) დაცვას, სამართლიანი სასამართლოს პრინციპი სახელმწიფოებს ავალდებულებს დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინებას, ასევე, სისხლის სამართლის პროცედურების ორგანიზებას იმგვარად, რომ გაუმართლებლად არ შეიზღუდოს დაზარალებულებისა და მონშემების უფლებები (იხ. საქმე: *Doorsron v. The Netherlands*, Application no. 20524/92 26 March 1996).

სახელმწიფოს პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი დაზარალებულის უფლებათა გაფართოების კუთხით, უკავშირდება 2013 წლის 19 ნოემბრის კანონპროექტს. ცვლილებების შედეგად, დაზარალებული აღიჭურვა მეტი სამართლებრივი გარანტიითა და უფლებამოსილებით, კერძოდ: მას მიეცა შესაძლებლობა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს (განსაკუთრებით, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში), და გაასაჩივროს პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებები სასამართლოში. ამასთან, პირს, რომელსაც დანაშაულის შედეგად გარკვეული ზიანი მიაღდა, შეუძლია, მიმართოს პროკურორს დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. დაზარალებულს მიენიჭა უფლება, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს. გარდა ამისა, მოსამართლის თანხმობით, დაზარალებულს შეუძლია, დაესწროს პროცესის მიმდინარეობას სასამართლო სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვის შემთხვევაში. აღნიშნული რეგულირება დაზარალებულს შესაძლებ-

ლობას აძლევს, ინფორმირებული იყოს სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ, სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის მიუხედავად. აუცილებელია, რომ ზემოხსენებულ უფლება-მოვალეობებზე დაზარალებულს დეტალურად მიენოდოს ინფორმაცია. ეს საკითხი 2014 წელს ამოქმედებულმა ახალმა რეგულაციებმა მოაწესრიგა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უფლებების განმარტებას უკავშირებს დაზარალებულად ცნობის დადგენილების გამოტანას. სსსკ-ის 56-ე მუხლის 5¹ ნაწილის მიხედვით, პროკურორი ან, მისი დავალებით, გამომძიებელი, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას გააცნობს დაზარალებულს და განუმარტავს მას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს, მათი განხორციელების პროცედურებთან ერთად, რის შესახებაც ადგენს ოქმს. ამ ოქმს ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

დაზარალებულის უფლებათა გაფართოების გზაზე უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც სხვადასხვა კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას არაერთი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა დაზარალებულის როლზე სისხლის სამართლის პროცესში, ასევე, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანზე დაზარალებულის ინტერესებთან მიმართებით.

უმნიშვნელოვანესი ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 20 სექტემბრის კანონპროექტითაც, რომლითაც დაზარალებულს უკვე ყველა კატეგორიის საქმეზე გაუჩნდა შესაძლებლობა, სასამართლოში გაასაჩივროს პროკურატურის უარი დაზარალებულად ცნობის დადგენილების გამოტანაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელმაც, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავს დაზარალებულის შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობაზე და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ასლის სახით.²⁵⁵

255 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, 18.12.2020.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ დაზარალებული მხარის სრულფასოვანი წვდომა საქმის მასალებზე მნიშვნელოვანია გამოძიების პროცესში მისი, როგორც დაინტერესებული მხარის ჩართულობისათვის, და აღნიშნული დაუკავშირა გამოძიების ხარისხზე კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესებას: „ამდენად, დაზარალებულის აღჭურვა სათანადო ინფორმაციით ემსახურება, ერთი მხრივ, მისი (დაზარალებულის) ინტერესების ეფექტიან დაცვას, მაგალითად, შესაძლებლობას, გაასაჩივროს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება; ხოლო, მეორე მხრივ - სასამართლოსთვის ან ზემდგომი პროკურორისათვის მიმართვის შემწვეობით, საგამოძიებო საქმიანობის კონტროლს. იმავდროულად, ინფორმირებული დაზარალებული უნარიანია, საგამოძიებო საქმიანობის ხარვეზიანობის შემთხვევაში მიიპყროს საზოგადოების ყურადღება და ამ გზით გაზარდოს გამოძიებაზე საზოგადოების კონტროლი. ამდენად, ინფორმაცია დაზარალებულის ხელთ არსებულ ყველაზე მძლავრ იარაღს წარმოადგენს გამოძიების თვითნებობის შესაზღუდად, საკუთარი უფლებების სწორად რეალიზებისთვის.“²⁵⁶

მართალია, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე საკანონმდებლო ორგანოს მოუწევს გარკვეული ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის სულისკვეთება ნათლად მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაზარალებულის როლი გამოძიების მიმდინარეობისას. ამ პროცესში კი უდავოდ უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება სასამართლო პრაქტიკას და დაზარალებულების ადვოკატთა ეფექტიან ჩართულობას ამ პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

სახელმძღვანელოს ამ თავში მოცემულია დაზარალებულის ძირითადი უფლებები, გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, და მათი რეალიზაციის მექანიზმები, სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტის დასაბუთების სტანდარტთა ჩათვლით.

2.1. განცხადება დაზარალებულად ცნობის მოთხოვნის შესახებ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, „პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას, პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით, ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში“.

256 იქვე, 44.

თუ პროკურორის საკუთარი ინიციატივით არ გამოაქვს დადგენილება პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული დანაწესი ადვოკატმა უნდა გააანალიზოს ამ კოდექსის 47-ე მუხლსა და 56-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთობლიობაში, რომლის თანახმადაც, დაზარალებული იმავდროულად არის მოწმე, მას ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

შესაბამისად, იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ პროკურორის სახელზე შედგენილი განცხადება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავდროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონს, იგი უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილებისგან და აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს:

ა) განცხადების **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: უფლებამოსილი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ განცხადებით; ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის (დაზარალებულის) ვინაობა; ადვოკატის ვინაობა და სიითი ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია და განცხადების დასახელება;

ბ) განცხადების **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: ფაქტები, რომლებითაც დასტურდება პირის მიმართ ჩადენილი დანაშაული; აღიწეროს მიყენებული ან მოსალოდნელი ზიანი, მათ შორის, მატერიალური სახის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); და ადვოკატის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია);

გ) განცხადების **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა პირის დაზარალებულად ცნობაზე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამის ნორმასთან/ნორმებთან ერთად.

განცხადების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი, ვინაიდან ადვოკატი სწორედ აქ აფასებს ფაქტებსა და მტკიცებულებებს და, აქედან გამომდინარე, ითხოვს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას პროკურორის მიერ.

იმისათვის, რომ ადვოკატის განცხადების დაუკმაყოფილებლობის ერთ-ერთი მიზეზი არ იყოს მისი დაუსაბუთებლობა და ზოგადი ხასიათი, მნიშვნელოვანია, აღწერილობით ნაწილში მიეთითოს კონკრეტული ფაქტები და დამდგარი ან შესაძლო ზიანი.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია შემდეგი წესების დაცვა:

ფაქტების მითითება - ფაქტები უნდა მიეთითოს იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია განცხადებაში დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად. მნიშვნელოვანია, რომ განცხადება დაზარალებულად ცნობის შესახებ არ დაემსგავსოს მოწმის ჩვენებას, სადაც ყველა ფაქტი დეტალურად აღინერება. არ არის საჭირო ისეთივე ვრცელი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც მიეწოდება დაზარალებულის მოწმის სახით დაკითხვისას. საკმარისია კონკრეტული ფაქტების ასახვა, იმ ინფორმაციაზე მითითება, რომლის მიწოდებაც შეუძლია დაზარალებულს მოწმის სახით დაკითხვის შემთხვევაში, და ძირითად საკითხებზე აქცენტის გაკეთება.

მაგალითი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოვადგენ ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე მაღაზიის მესაკუთრის, ნ.ე.-ს ინტერესებს. როგორც თქვენთვის არის ცნობილი, 2020 წლის 20 აგვისტოს, 12 საათზე, აღნიშნული მაღაზიიდან დიდი ოდენობით ფულად თანხას ფარულად დაეუფლნენ, რაზეც მიმდინარეობს გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ჩადენილი დანაშაული და, ასევე, დამდგარი ზიანი, დანაშაულის ჩადენიდან კი გასულია თვეზე მეტი, დღემდე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი, ნ.ე., დაზარალებულად არ უცვნიათ, თანახმად სსსკ-ის 56 მუხლის მე-5 ნაწილისა. ეს არღვევს მის საპროცესო უფლებებს, გაეცნოს გამოძიების მიმდინარეობას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს დანაშაულის გამოვლენაში, ასევე, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ მაღაზიის მესაკუთრეს, ნ.ე.-ს, აღნიშნული ქმედების შედეგად მიაღდა დიდი ოდენობით ზიანი, რამაც შეადგინა, დაახლოებით, 20 000 ლარი, გთხოვთ, სსსკ-ის 56 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, იგი ცნოთ დაზარალებულად წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე. **ასევე** გაცნობებთ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას მომხდარ დანაშაულზე, რის თაობაზეც, მზად ვართ, მოწმის სახით დაკითხვისას მოგაწოდოთ დეტალური ინფორმაცია.

*პატივისცემით,
დაზარალებულის ადვოკატი დ.გ.*

მნიშვნელოვანია, რომ სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი მიუთითებს განცხადებით მიმართვაზე უშუალოდ იმ პირის მიერ, ვისაც დანაშაულის შე-

დეგად მიადგა ზიანი და ითხოვს დაზარალებულად ცნობას. არსებული პრაქტიკით, პროკურატურა არ ითხოვს კანონის სიტყვისა და სიტყვის განმარტებას და დაზარალებულად ცნობის მსურველი პირის ხელმოწერას წარდგენილ განცხადებაზე, მაგრამ ფორმალური წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, განცხადებას ხელი მოაწეროს ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა და გამოხატოს თანხმობა დაზარალებულად ცნობაზე. ეს ასევე მნიშვნელოვანია კლიენტისა და ადვოკატის პოზიციითა თანხვედრის (შეთანხმების) მიზნებისთვის.

2.2. საჩივარი პროკურორის დადგენილებაზე - დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის იმავე მე-5 ნაწილის თანახმად, „თუ პროკურორმა განცხადება მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით, ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს“.

სსსკ-ის 56 მუხლის მე-5 ნაწილის მეორე დებულება განსაზღვრავს პირის უფლებას, დაზარალებულად ცნობაზე უარი გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. მიუხედავად იმისა, რომ, არსებული პრაქტიკით, ამგვარი საჩივრების უდიდეს ნაწილზე ზემდგომი პროკურორი სათანადოდ არ რეაგირებს - ხშირად საჩივარს მხოლოდ ფორმალურად განიხილავს და განმარტებულად უცვლელად ტოვებს - მნიშვნელოვანია, ადვოკატმა აქტიურად გამოიყენოს კანონით მინიჭებული ყველა შესაძლებლობა, დასაცავი პირის ინტერესებიდან გამომდინარე (მით უფრო იმ შემთხვევისათვის, როდესაც ადვოკატს სურს, პროკურატურის შესაბამისი ინსტანციების გავლით მიმართოს სასამართლოს პირის დაზარალებულად ცნობაზე).

სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საჩივარი დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ ზემდგომ პროკურორთან შეიძლება შეიტანონ იმ შემთხვევაში, თუ განცხადება დაზარალებულად ცნობაზე არ დააკმაყოფილება შეტანიდან 48 საათში.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც საქმის განმხილველი პროკურორი არ იცავს მითითებულ ვადებს და, არათუ 48 საათში, რამდენიმე დღისა და, ზოგჯერ, კვირის განმავლობაშიც არ აცნობებს განმცხადებელს

მიღებულ გადაწყვეტილებას დაზარალებულად ცნობის თაობაზე. ცხადია, ეს მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის ადვოკატებს, რომ დროულად და ოპერატიულად შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ კანონში პირდაპირ არ არის მითითებული ეს საკითხი, 48-საათიანი ვადის გასვლის შემდგომ, ადვოკატს ფორმალურად ეძლევა შესაძლებლობა, რომ საჩივრით მიმართოს ზემდგომ პროკურორს და მოითხოვოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ ზემდგომი პროკურორის სახელზე შედგენილი საჩივარი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავდროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონს, იგი უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილებისგან, კერძოდ:

ა) საჩივრის **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: უფლებამოსილი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ განცხადებით; ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის (დაზარალებულის) ვინაობა; ადვოკატის ვინაობა და სიითი ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია და საჩივრის დასახელება.

ბ) საჩივრის **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: ფაქტები, რომლებითაც დასტურდება პირის მიმართ ჩადენილი დანაშაული; აღიწეროს მიყენებული ან მოსალოდნელი ზიანი, მათ შორის, მატერიალური სახის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); და ადვოკატის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია).

გ) საჩივრის **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა პირის დაზარალებულად ცნობაზე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის (როგორც მატერიალური, ისე საპროცესო) შესაბამის ნორმასთან/ნორმებთან ერთად.

მნიშვნელოვანია, რომ განცხადებისგან განსხვავებით, ზემდგომი პროკურორისთვის წარდგენილი საჩივრის აღწერილობით (სამოტივაციო) ნაწილში უფრო ვრცლად, შინაარსობრივი სახით იყოს წარმოდგენილი ის სამართლებრივი ნორმები, რომლებზეც აქცენტს აკეთებს ადვოკატი. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, ადვოკატმა გამოიყენოს არა მხოლოდ შიდასამართლებრივი, არამედ საერთაშორისო და კონვენციური დებულებები. აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა

პრეცედენტული ბუნებიდან და ნორმათა ავტორიტეტული განმარტების თეორიიდან გამომდინარე, სასურველია კონკრეტული პრეცედენტის გამოყენება და მითითება საჩივარში. ფაქტობრივად, ზემდგომ პროკურორთან წარსადგენი საჩივარი დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ, სასამართლოში წარსადგენი საჩივრის პროექტია და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყველა საჭირო სამართლებრივი არგუმენტაციის გამოყენება.

მაგალითი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოვადგენ ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე მაღაზიის მესაკუთრის, ნ.ე.-ს ინტერესებს. როგორც თქვენთვის არის ცნობილი, 2020 წლის 20 აგვისტოს, 12 საათზე, აღნიშნული მაღაზიიდან დიდი ოდენობით ფულად თანხას ფარულად დაეუფლნენ, რაზეც მიმდინარეობს გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ სახეგვა ჩადენილი დანაშაული და, ასევე, დამდგარი ზიანი, დანაშაულის ჩადენიდან კი გასულია თვეზე მეტი, დღემდე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი, ნ.ე., დაზარალებულად არ უცვნიათ, თანახმად სსსკ-ის 56 მუხლის მე-5 ნაწილისა. ეს არღვევს მის საპროცესო უფლებებს, გაეცნოს გამოძიების მიმდინარეობას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს დამნაშავის გამოვლენაში, ასევე, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ მაღაზიის მესაკუთრეს, ნ.ე.-ს, აღნიშნული ქმედების შედეგად მიაღდა დიდი ოდენობით ზიანი, რამაც შეადგინა, დაახლოებით, 20 000 ლარი, სსსკ-ის 56 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მივმართეთ საქმის პროკურორს მისი დაზარალებულად ცნობის თაობაზე. ასევე ვაცნობეთ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას მომხდარ დანაშაულზე, რის თაობაზეც, მზად ვართ, გამოძიებას მონაწილეობით დაკითხვისას მივანოდოთ დეტალური ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საქმის მწარმოებელ პროკურორს, ლ.ი.-ს, შესაბამისი განცხადებით მივმართეთ 2020 წლის -- ----, დღემდე პასუხი არ მიგვიღია, რითიც დაირღვა სსსკ-ის 56-ე მუხლით დადგენილი ვადა.

საჩივრის განხილვის პროცესში თქვენს ყურადღებას მივაქცევთ დაზარალებულის უფლებრივ გარანტიებზე სისხლის სამართლის

პროცესში, რაც გამყარებულია არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით (შემდგომ - პრეცედენტი და ნორმათა განმარტება).

შესაბამისად, მოგმართავთ საჩივრით და მოვითხოვთ ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე მაღაზიის მესაკუთრის, ნ.ე.-ს დაზარალებულად ცნობას, თანახმად სსსკ-ის 56 მუხლის მე-5 ნაწილისა.

*პატივისცემით,
დაზარალებულის ადვოკატი დ.გ.*

2.3. საჩივარი ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებაზე - დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის იმავე მე-5 ნაწილის თანახმად, „თუ ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.“

სსსკ-ის 56 მუხლის მე-5 ნაწილის მესამე დებულება განსაზღვრავს პირის უფლებას, ზემდგომი პროკურორის მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების რთულ გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა სწორედ ის არის, რომ დაზარალებულად ცნობის მოთხოვნა შესაძლებელია ყველა კატეგორიის დანაშაულზე.

მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა გამოიყენოს ოპერატიულად და კვალიფიციურად; ასევე, დაცული იყოს განცხადებისა და საჩივრის წარდგენის საპროცესო ვადები.

საჩივარი წარედგინება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

იმისათვის, რომ საჩივარი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავდროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, იგი უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილებისგან, კერძოდ:

ა) საჩივრის **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: უფლებამოსილი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ განცხადებით; ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის (დაზარალებულის) ვინაობა; ადვოკატის ვინაობა და სიითი ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია და საჩივრის დასახელება;

ბ) საჩივრის **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: ფაქტები, რომლებითაც დასტურდება პირის მიმართ ჩადენილი დანაშაული; აღიწეროს მიყენებული ან მოსალოდნელი ზიანი, მათ შორის, მატერიალური სახის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); და ადვოკატის არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (მოთხოვნის არგუმენტაცია);

გ) საჩივრის **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა პირის დაზარალებულად ცნობაზე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის (როგორც მატერიალური, ისე საპროცესო) შესაბამის ნორმასთან/ნორმებთან ერთად.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოსთვის წარდგენილ საჩივარში აღიწეროს დეტალური ინფორმაცია როგორც პროკურატურის პოზიციის, ისე დანაშაულის შესახებ. სასურველია, სასამართლომ მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია, რომელსაც ფლობს პირი მის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე და ამ კონტექსტში შეფასდეს პროკურატურის მხრიდან გამოვლენილი უკანონობა. აქვე მიზანშეწონილია, ადვოკატმა გამოიყენოს არა მხოლოდ შიდასამართლებრივი, არამედ საერთაშორისო და კონვენციური დებულებები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა პრეცედენტული ბუნებიდან და ნორმათა ავტორიტეტული განმარტების თეორიიდან გამომდინარე, სასურველია კონკრეტული შემთხვევის ანალოგიის გამოყენება და მითითება საჩივარში.

სასამართლოსათვის წარსადგენი საჩივრის სტრუქტურა და ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ზემდგომი პროკურორისთვის წარდგენილი საჩივრის სტრუქტურას და ფორმას. ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. შესაბამისად, ვინაიდან ეს არის ბოლო სამართლებრივი მექანიზმი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ, იგი უნდა გამოიყენონ მაქსიმალურად ეფექტიანად, დასაცავი პირის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

2.4. საჩივარი დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც დაზარალებულს წერილობით ეცნობება. დაზარალებულს უფლება აქვს, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. თუ ზემდგომი პროკურორი საჩივარს არ დააკმაყოფილებს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.“

თუკი პროკურორი მიიჩნევს, რომ სათანადო საფუძვლები არ არსებობს, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მას შეუძლია, გააუქმოს დაზარალებულად ცნობის დადგენილება. სამწუხაროდ, კოდექსი არ ავალდებულებს პროკურორს დაზარალებულის წინასწარ ინფორმირებას და მისი მოსაზრებების გათვალისწინებას. ცხადია, ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, როგორცაა დაზარალებულად ცნობის შესახებ მოქმედი დადგენილების გაუქმება, თავისთავად საჭიროებს სათანადო არგუმენტაციას; თუმცა, არსებული პრაქტიკა ამ შემთხვევაშიც ხშირად ავლენს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც დაზარალებულების უკმაყოფილებისა და უნდობლობის საფუძველი ხდება.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია, ადვოკატმა მაქსიმალურად გამოიყენოს სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაზარალებულისთვის მინიჭებული უფლება და გაასაჩივროს გადაწყვეტილება ზემდგომ პროკურორთან, ან, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

როგორც ზემდგომი პროკურორისთვის, ისე რაიონული (საქალაქო) სასამართლოსთვის წარსადგენი საჩივრის სტრუქტურა და ფორმა უნდა იყოს იმავე სტანდარტის, რაც შემოთავაზებულია დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ წარსადგენი საჩივრების შემთხვევაში.

2.5. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, იღებს პროკურორი (დადგენილებით). ამ დადგენილების ასლს პროკურორი უგზავნის დაზარალებულს, გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში. ვიდრე დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით მიიღებს დადგენილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე, პროკურორი ვალდებულია, დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ და შეადგინოს ოქმი კოდექსის 56-ე მუხლის 51-ე ნაწილით დადგენილი წესით.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პროკურორს, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლია არა მხოლოდ არ დაიწყოს გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა, არამედ შეწყვიტოს უკვე დაწყებული გამოძიება ან/და მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა, თუკი სახეგა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საფუძვლები/შემთხვევები.

ასეთ დროს პროკურორის ვალდებულება შემოიფარგლება დაზარალებულისთვის შეტყობინებითა და შესაბამისი ოქმის შედგენით, იმ ფორმითა და წესით, რასაც ადგენს სსსკ-ის 56-ე მუხლის 5¹ ნაწილი.

ვინაიდან ზემოაღნიშნული წესი დაზარალებულს აძლევს ოქმზე შენიშვნის გაკეთების შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია, შესაბამისი პრეტენზია გაცხადდეს ოქმის შედგენისთანავე და ეს შესაძლებლობა ადვოკატმა სრულფასოვნად გამოიყენოს, რათა გასაჩივრების მექანიზმების გამოყენებისას, როგორც ზემდგომ პროკურორთან, ისე კანონით დაშვებულ შემთხვევებში - სასამართლოში, საჩივრის განმხილველი ორგანოს ყურადღება მიაპყროს ყველა არსებით დეტალზე.

საჩივრის სტრუქტურა და ფორმა უნდა იყოს იმავე სტანდარტის, როგორც შემოთავაზებულია საჩივარში დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ.

2.6. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დავის დაწყებაზე უარის გადაწყვეტილების გასაჩივრება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „დაზარალებულს უფლება აქვს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება“.

დისკრეციული უფლებამოსილებების ფარგლებში, პროკურორს შეუძლია, უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე. კოდექსი არ ავალდებულებს პროკურორს დაზარალებულის წინასწარ ინფორმირებას მოცემულ საკითხზე და მისი მოსაზრებების გათვალისწინებას. დაზარალებული ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ადვოკატმა გამოიყენოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილით მინიჭებული გასაჩივრების მექანიზმები: მართოს ზემდგომ პროკურორს საჩივრით და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი, კანონით დაშვებულ შემთხვევებში (მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები), გაასაჩივროს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გამოძიების ადგილის მიხედვით.

ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემდგომი პროკურორისთვის, ისე რაიონული (საქალაქო) სასამართლოსთვის წარსადგენი საჩივრის სტრუქტურა და ფორმა უნდა იყოს იმავე სტანდარტის, როგორც შემოთავაზებულია საჩივარში დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ.

2.7. საჩივარი პროკურორის გადაწყვეტილებაზე დაზარალებულისთვის გამოძიების მიმდინარეობაზე ინფორმაციის მიწოდებასა და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმის შესახებ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობაზე და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.

ამ უფლებით სარგებლობის შედეგად, დაზარალებულს შეუძლია, გააკონტროლოს, რამდენად ეფექტიანად მიდის გამოძიება, სათანადოდ არის თუ არა გათვალისწინებული მისი ინტერესები და თავად შესთავაზოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს მოწმის სტატუსით დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს გამოძიებას.

როგორც წესი, პროკურორი დაზარალებულს აძლევს უფლებას, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს და აწვდის ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობაზე; თუმცა, როგორც არსებული პრაქტიკა ადასტურებს, ხშირად ეს ხდება ფორმალისტულად, შეზღუდულ დროში, და საქმის მწარმოებელი პირის თანდასწრებით. აღნიშნული, თავისთავად, უარყოფითად აისახება დაზარალებულის ინფორმირებულობის ხარისხზე, ასევე, სამუშაო გარემოზე საქმის მასალების გაცნობისას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ადვოკატი მაქსიმალურად ყურადღებით გაეცნოს სისხლის სამართლის მასალებს და გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერები, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევს შექმნილი გარემო, საქმის სირთულე და მოცულობა.

ამავე დროს, როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებამ, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავს დაზარალებულის შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობაზე და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ასლის სახით. ამ გადაწყვეტილების შედეგად, დაზარალებულსა და მის ადვოკატს შეუძლიათ,

არა მხოლოდ გამოძიების ადგილის მიხედვით გაცნონ საქმის მასალებს და მიიღონ ინფორმაცია, არამედ სრული მოცულობით გადაიღონ საქმის მასალების ასლები და მშვიდ, საქმიან გარემოში შეისწავლონ ისინი, რაც გააუმჯობესებს მათ ინფორმირებულობასა და გამოძიებაში ჩართულობას.

ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც პროკურორი უარს ეუბნება დაზარალებულს ინფორმაციის მიწოდებასა და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე, გამოძიების ინტერსებზე აპელირებით. ასეთ დროს დაზარალებულის ადვოკატს შეუძლია, ისარგებლოს სსსკ-ის 57-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესით და ზემდგომ პროკურორს მიმართოს საჩივრით.

იმისათვის, რომ საჩივარი იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავედროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონს, ის უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილებისგან, კერძოდ:

ა) საჩივრის **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: უფლებამოსილი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ განცხადებით; ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის (დაზარალებულის) ვინაობა; ადვოკატის ვინაობა და სიითი ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია და საჩივრის დასახელება;

ბ) საჩივრის **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: გასაჩივრებული დადგენილების რეკვიზიტები და გამომცემი უფლებამოსილი პირი; ასევე, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი დაზარალებულისთვის გამოძიებაზე ინფორმაციის მიღება და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა;

გ) საჩივრის **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: ადვოკატის მოთხოვნა გასაჩივრებული დადგენილების გაუქმებაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამის ნორმასთან/ნორმებთან ერთად.

მაგალითი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოვადგენ ქ. თბილისში ყაზბეგის გამზირზე მდებარე მაღაზიის მესაკუთრის, ნ.ე-ს ინტერესებს. 2020 წლის 20 აგვისტოს, 12 საათზე, აღნიშნული მაღაზიიდან დიდი ოდენობით ფულად თანხას ფარუ-

ლად დაეუფლნენ, რაზეც მიმდინარეობს გამოძიება. 2020 წლის 15 სექტემბერს საქმის მწარმოებელ პროკურორს მივმართე განცხადებით, რომ სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოეწოდებინა ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და მოეცა უფლება, როგორც დაზარალებულის ადვოკატი, გავცნობოდი სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ასევე მოვითხოვე საქმის მასალების ასლების გადმოცემა, საჭიროების შემთხვევაში.

საქმის მწარმოებელმა პროკურორმა 2020 წლის 16 სექტემბერს გამოიტანა დადგენილება, რომლითაც უარი მეთქვა მოთხოვნაზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.

მიმაჩნია, რომ პროკურორის დადგენილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულის უფლებები განმარტებულია სსსკ-ის 57-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, მას, მოთხოვნის შემთხვევაში, ხელი უნდა მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, ასევე, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა.

აღნიშნული დანაწესი დაზარალებულის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და მისი შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საგამონაკლისო წესით, რაც გულისხმობს გამოძიების ინტერესებს.

ამ შემთხვევაში, საქმის მწარმოებელი პროკურორი შემოიფარგლა მხოლოდ სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტზე მითითებით; თუმცა, დადგენილებაში არ არის დასაბუთებული, რატომ შეიძლება დაზარალებულისთვის საქმის მასალების გაცნობამ უარყოფითი გავლენა მოახდინოს გამოძიებაზე.

სსსკ-ის 57-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ: ამ მუხლში მითითებულ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება. დაზარალებულს უფლება აქვს, ეს დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

შესაბამისად, ნათელია, რომ საქმის მწარმოებელი პროკურორი, ისეთი საგამონაკლისო შემთხვევისას, როგორცაა დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და გამოძიების მასალების გაცნობაზე უარის თქმა, ვალდებულია, არა მხოლოდ ზოგადად მიუთითოს კანონის შესაბამისი ნორმა, არამედ არგუმენტირებულად დაასაბუთოს უარის თქმის მიზეზები, ასევე, ის გარემოებები, რომლებიც აძლევს საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დაზარალებულის ინფორმირება ხელს შეუშლის გამოძიებას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოძიების დაწყებიდან დღემდე, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არათუ ხელს არ უშლის გამოძიებას, არამედ, როგორც პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიაღდა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი, ცდილობს, აქტიურად ითანამშრომლოს პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან, მიაწოდოს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები გამოძიების მიმდინარეობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 57-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოგმართავთ საჩივრით, რომ გააუქმეთ საქმის მწარმოებელი პროკურორის 2020 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება, დაზარალებულ ი.ვ-ს მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობაზე და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

*პატივისცემით,
დაზარალებულის ადვოკატი*

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საჭიროების შემთხვევაში, დასაბუთებისას ადვოკატმა საჩივარში გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და არსებული სასამართლო პრაქტიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატმა, გონივრულობის ფარგლებში, ხშირად უნდა გამოიყენოს დაზარალებულის უფლება გამოძიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამოძიების მასალების გაცნობაზე, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, თავად პროკურატურას ასეთი ვალდებულება (გარდა ცალკეული შემთხვევებისა) არ აქვს, რამაც შესაძლოა, დაზარალებულს შეუქმნას ინფორმაციული ვაკუუმი და შელახოს მისი ინტერესები.

2.8. განცხადება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე

დაზარალებულის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა. როგორც არსებული პრაქტიკა ადასტურებს, ეს უფლებაც უმეტესად არ არის რეალიზებული, ან ასევე ფორმალიზებული სახე აქვს. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეებს (გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა) არ აძლევს შესაძლებლობას, რომ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე გაცვლილი მტკიცებულებების გარდა, ახალი მტკიცებულებებიც წარადგინონ. კანონის ამ შეზღუდვიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულმა ეფექტიანად გამოიყენოს სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლება, გაეცნოს საქმის მასალებს და, თუ აღმოაჩენს, რომ რომელიმე მტკიცებულების წარდგენა ჯერ კიდევ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს გამოძიებას, ისინი წარადგინოს საქმეში. საქმის მასალების გაცნობა გამოძიების დასრულების ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია დაზარალებულის პოზიციის საბოლოოდ ჩამოყალიბებისთვის, არსებითი განხილვისას სასამართლოზე წარსადგენად, რაზეც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

განცხადება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე უნდა იყოს კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული.

მაგალითი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოვადგენ ქ. თბილისში ყაზბეგის გამზირზე მდებარე მაღაზიის მესაკუთრის ინტერესებს. 2020 წლის 20 აგვისტოს, 12 საათზე, აღნიშნული მაღაზიიდან დიდი ოდენობით ფულად თანხას ფარულად დაეუფლნენ, რაზეც მიმდინარეობს გამოძიება.

გამოძიების მიმდინარეობისას ორჯერ გავეცანით საქმის მასალებს და წარმოვადგინეთ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, მტკიცებულებები და მოსაზრებები, თუ რა უნდა გაკეთებულიყო დამნაშავეთა მიმართ წარდგენილი ბრალის დასამტკიცებლად.

ვსარგებლობთ რა სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებით, გამოძიების დასრულების ეტაპზე გვსურს, გავეცნოთ საქმის მასალებს და, საჭიროების შემთხვევაში, წარმოგიდგინოთ დამატებითი ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

*პატივისცემით
დაზარალებულის ადვოკატი დ.გ.*

კანონში მითითებული „არაუგვიანეს 10 დღისა“ არ ნიშნავს ამ ვადის ბუსტად დაცვას: უმჯობესია, ადვოკატმა რამდენიმე დღით ადრე გამოიყენოს ეს უფლება, რათა ბრალდების მხარეს საშუალება მიეცეს, რომ სათანადო რეაგირება იქონიოს გამოძიების დასრულების ეტაპზე დაზარალებულის მიერ წარდგენილ დამატებით ინფორმაციასა და მტკიცებულებებზე.

2.9. დაზარალებულის უფლება, ისარგებლოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის დახმარებით

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაზარალებულის, როგორც პროცესის აქტიური მონაწილის როლის შეზღუდვის კომპენსირებისთვის, საქართველოს პროკურატურის სისტემაში 2011 წლიდან ფუნქციონირებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური. 2018 წლის მაისიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შედეგადაც მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორმა საპროცესო კანონმდებლობის დონეზე შეიძინა გარკვეული უფლებები და მოვალეობები.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის უფლება-მოვალეობები რეგულირდება სსსკ-ის 58¹ და 58² მუხლებით, რომლებიც ორიენტირებულია მოწმისა და დაზარალებულის ინფორმირებულობისა და საქმეში ჩართულობის გაზრდაზე, ასევე, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებაზე.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი საქმეში შეიძლება ჩაერთოს პროკურორის გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს მოწმისა და დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით. პროკურორი უფლებამოსილია, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის მიზანშეწონილობა განიხილოს საქმის

სასამართლოში გაგზავნამდე. საქმეში ჩართვაზე გადაწყვეტილების მიღება პროკურორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორს და მთანოდოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და მონმის/დაზარალებულის საკონტაქტო მონაცემებზე. როდესაც მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორისთვის ცნობილი გახდება მისი ჩართვა სისხლის სამართლის საქმეში, იგი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს მონმეს/დაზარალებულს. მონმეს/დაზარალებულს უფლება აქვს, უარი განაცხადოს მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან თანამშრომლობაზე.

მართალია, მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს დაზარალებულის ინიციატივით საქმეში კოორდინატორის ჩართვას, მაგრამ, კანონის ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე, არც ადგენს ასეთ აკრძალვას. შესაბამისად, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, საქმის სირთულიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, დაზარალებულის ადვოკატს შეუძლია, მიმართოს პროკურორს და მოითხოვოს საქმეში კოორდინატორის ჩართვა, ინფორმირებულობის ხარისხის გასაზრდელად და დაზარალებულის ხელახალი თუ მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად, ასევე, დაზარალებულის საგამოძიებო მოქმედებებზე დასწრებისა და სასამართლო განხილვებში მონაწილეობის მხარდაჭერისათვის.

კანონის მნიშვნელოვანი დათქმის მიხედვით, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორს უფლება არ აქვს, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებისა მონმესა და დაზარალებულს დაუსვას კითხვები, ან სხვაგვარად ჩაერიოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში. მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორმა არ უნდა გაახმაუროს მისთვის ცნობილი გარემოებები საქმესთან დაკავშირებით.

ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ მონმესა და დაზარალებულს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ კოორდინატორთან თანამშრომლობაზე. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც თავად მონმე და დაზარალებული იღებენ, რაც შესაძლოა ადვოკატის სამოქმედო სტრატეგიის ნაწილი იყოს.

2.10. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმებისას

მუხლი 217. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას:

„1. პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს.

1.¹ სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს გეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა.

2. დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება.

3. საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი“.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულის უფლებებს უკიდურესად ზღუდავს პროკურორის მიერ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, როგორცაა საპროცესო შეთანხმების დადება ბრალდებულთან. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში კანონმდებლის ტენდენცია დაზარალებულის უფლებების გაზრდის კუთხით კანონის ამ ნაწილშიც აისახა და პროკურორს დაევალა, არა მხოლოდ წინასწარ შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადებაზე, არამედ შესაბამისი ოქმიც შეადგინოს სათანადო კონსულტაციის გავლის თაობაზე.

გარდა ამისა, 2014 წლის 24 ივლისის კანონით, სსსკ-ის 217-ე მუხლს დაემატა ჩანაწერი დაზარალებულის უფლების შესახებ, რომლითაც, „სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს გეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც დანაშაულის შედეგად მიადგა“.

საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის შეზღუდული უფლებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ადვოკატმა ეფექტიანად გამო-

იყენოს არსებული სამართლებრივი მექანიზმები და, როგორც პროკურორს კონსულტაციისას, ისე სასამართლოს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, მიანოდოს სრული ინფორმაცია იმ ზიანზე, რომელიც დაზარალებულს მიადგა დანაშაულის შედეგად; ასევე გამოხატოს დაზარალებულის პოზიცია საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით.

სასამართლოსთვის წარსადგენი ინფორმაცია სტრუქტურულად უნდა იყოს ისეთივე, როგორც არის პროცესის მწარმოებელი ორგანოსთვის წარსადგენი სხვა დოკუმენტები:

წერილობითი ინფორმაცია უნდა იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავდროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონს; ის უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილებისგან, კერძოდ:

ა) **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ; ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის (დაზარალებულის) ვინაობა; ადვოკატის ვინაობა და სიითი ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია და დოკუმენტის დასახელება.

ბ) **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: დანაშაულის მოკლე მიმოხილვა, ძირითად ფაქტებზე აქცენტებით (წარდგენილი ბრალის კონტექსტში). მნიშვნელოვანია, რომ აღწერილობითი ნაწილი ემთხვეოდეს დაზარალებულის ჩვენებასა და ფაქტობრივ გარემოებებს. თუ დაზარალებული არ ეთანხმება ბრალდებას, მან უნდა მიუთითოს კონკრეტული არგუმენტები და მტკიცებულებები, ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია და მოიყვანოს შესაბამისი არგუმენტები/მტკიცებულებები. ამავე დროს, აღწერილობითი ნაწილი ორიენტირებული უნდა იყოს ზიანზე, რომელიც მიადგა დაზარალებულს დანაშაულის შედეგად.

გ) **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: მოთხოვნა სასამართლოს მიმართ, დამნაშავეთა ბრალეულობასა და სასჯელთან დაკავშირებით. ასევე არსებითია, რომ დაზარალებულმა საკუთარი პოზიცია ჩამოაყალიბოს ადეკვატური და კანონიერი სასჯელის მნიშვნელობაზე, მორალური და მატერიალური კომპენსაციის თვალსაზრისით.

მართალია, სსსკ პირდაპირ არ განსაზღვრავს დაზარალებულის პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობას საპროცესო შეთანხმების დადებაზე და აქცე-

ნტს აკეთებს მხოლოდ დანაშაულის შედეგად მიყენებულ ზიანზე, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, დაზარალებულის ადვოკატს შეუძლია, მოიშველიოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ნორმათა არა სიტყვასიტყვითი (გრამატიკული), არამედ შინაარსობრივი (მიზნობრივი) განმარტების თეორიაზე, ასევე, დაზარალებულის უფლებაზე სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობასთან მიმართებით.

2.11. დაზარალებულის უფლებები განრიდებისას

მუხლი 168². განრიდების გამოყენების წესი

განრიდებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, პროკურორს საგამონაკლისო წესით შეუძლია ბრალდებულის მიმართ განრიდების გამოყენება.

ამ უფლებით სარგებლობა პროკურორს შეუძლია როგორც გამოძიების პროცესში, ისე წინასასამართლო სხდომის გამართვის შემდეგ. განრიდებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი ხელმძღვანელობს ამ კოდექსითა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით.

ერთ-ერთი ძირითადი პირობა განრიდების გამოყენებისას, სსსკ-ის 168¹-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის ბრალდებულის მიერ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება.

განრიდების გამოყენება მთლიანად პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაა და დაზარალებულის როლი ნომინალურია, მაგრამ მნიშვნელოვანია, პროკურორთან კონსულტაციის გავლისას, ადვოკატმა ყურადღება მიაქციოს კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ პირობებს, რომელთა არსებობაც სავალდებულოა ბრალდებულის მიმართ განრიდების გამოყენებისას.

თავი 3. დაზარალებულის ძირითადი უფლებები და მათი რეალიზების მექანიზმები სასამართლო განხილვისას

მართლმსაჯულების მთავარი მიზანია სამართლიანობის აღდგენა და კანონიერების დამკვიდრება. აღნიშნული ღირებულებები, სხვა ფუნდამენტურ საკითხებთან ერთად, მოიაზრებს დაზარალებულის მორალური კომპენსაციის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორცაა დამნაშავესთვის სამართლიანი და კანონიერი სასჯელის განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის მიერ არა მხოლოდ გამოძიებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, არამედ სასამართლო განხილვისას მიცემულ ჩვენებას იმ ზიანზე, რომელიც დანაშაულის შედეგად მიადგა.

სსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს დაზარალებულის უფლებას, როგორც უშუალოდ და ზეპირად მისცეს ჩვენება სასამართლოს დანაშაულის შედეგად მიყენებულ ზიანზე, ისე წერილობით წარუდგინოს ეს ინფორმაცია, რაც მისი ხელახალი/მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების საშუალებაა.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია, ადვოკატმა წინასწარი კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და მოამზადოს იგი (როგორც ფსიქოლოგიურად, ისე შინაარსობრივად) სასამართლოსთვის ჩვენების მისაცემად, ხოლო, თუ არსებობს ვიქტიმიზაციის საფრთხე, ისარგებლოს კანონით მინიჭებული შესაძლებლობით და სასამართლოს წერილობით წარუდგინოს აღნიშნული ინფორმაცია.

სასამართლოსთვის წარსადგინი ინფორმაცია სტრუქტურულად უნდა იყოს ისეთივე, როგორც არის პროცესის მწარმოებელი ორგანოსთვის წარსადგენი სხვა დოკუმენტები:

წერილობითი ინფორმაცია უნდა იყოს დასაბუთებული, ადვილად წასაკითხი და, ამავდროულად, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონს; ის უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილებისგან, კერძოდ:

ა) **შესავალ ნაწილში** უნდა მიეთითოს: სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართავთ; ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის (დაზარალებულის) ვინაობა; ადვოკატის ვინაობა და სიითი ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია და დოკუმენტის დასახელება;

ბ) **აღწერილობითი ნაწილში** უნდა მიეთითოს: დანაშაულის მოკლე მიმოხილვა, ძირითად ფაქტებზე აქცენტებით (წარდგენილი ბრალის კონტექსტში). მნიშვნელოვანია, რომ აღწერილობითი ნაწილი ემთხვეოდეს დაზარალებულის ჩვენებას და ფაქტობრივ გარემოებებს. თუ დაზარალებული არ ეთანხმება ბრალდებას, მან უნდა მიუთითოს კონკრეტული არგუმენტები და მტკიცებულებები, ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია და მოიყვანოს შესაბამისი არგუმენტები/მტკიცებულებები. ამავე დროს, აღწერილობითი ნაწილი ორიენტირებული უნდა იყოს ზიანზე, რომელიც მიაღდა დაზარალებულს დანაშაულის შედეგად;

გ) **დასკვნით ნაწილში** უნდა მიეთითოს: მოთხოვნა სასამართლოს მიმართ, დამნაშავეთა ბრალეულობასა და სასჯელთან დაკავშირებით. ასევე არსებითია, დაზარალებულმა საკუთარი პოზიცია ჩამოაყალიბოს ადეკვატური და კანონიერი სასჯელის მნიშვნელობაზე, მორალური და მატერიალური კომპენსაციის თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია ის, რომ სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ფაქტობრივად, ბოლო შესაძლებლობაა დაზარალებულისთვის, რომ პოზიცია წარუდგინოს სასამართლოს და დაასაბუთოს საკუთარი მოთხოვნა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ადვოკატმა ამ უფლების რეალიზება შეძლოს კვალიფიციურად და ობიექტური მოცემულობის გათვალისწინებით.

მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ განსაზღვრავს დაზარალებულის პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობას სასჯელთან დაკავშირებით და აქცენტს აკეთებს მხოლოდ დანაშაულის შედეგად მიყენებულ ზიანზე, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, დაზარალებულის ადვოკატს შეუძლია, მოიშველიოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ნორმათა არა სიტყვასიტყვითი (გრამატიკული), არამედ შინაარსობრივი (მიზნობრივი) განმარტების თეორიაზე, ასევე, დაზარალებულის უფლებაზე სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობასთან მიმართებით.

დანართი

მონის გამოკითხვის ოქმი

„ „ „ „2020 წ. ქ. თბილისი

ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი _____

საქმის N

გამოკითხვის დაწყების დრო: საათი, წუთი

გამოკითხვის დასრულების დრო: საათი, წუთი

გამოკითხვის ბუსტი ადგილი:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრმა - ადვოკატმა _____ (სიითი ნომერი _____) ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი _____ მიმართ არსებულ სისხლის სამართლის N საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მუხლით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე, 113-ე და 135-ე მუხლებით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში

გამოვკითხე:

სახელი:

გვარი:

მამის სახელი:

პირადი ნომერი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

განათლება:

ოჯახური მდგომარეობა:

რეგისტრაციის მისამართი:

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი:

მობილური ტელეფონი:

სამუშაო ადგილი, საქმიანობა ან/და თანამდებობა:

ნასამართლობა:

გამოსაკითხი პირის დამოკიდებულება

ბრალდებულთან/დაზარალებულთან:

რა ენაზე სურს ჩვენების მიცემა:

საქართველოს სსსკ-ის 113-ე მუხლის თანახმად, გამოსაკითხ პირს გამოკითხვის დაწყებამდე განემარტა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, კერძოდ:

1. გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი და გამოსაკითხი პირი უფლებამოსილია, მხარეებს მიაწოდოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც იგი ფლობს;
2. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ;
3. გამოსაკითხი პირი, გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის შემთხვევაში, ვალდებულია, გამომკითხველს სწორი ინფორმაცია მიაწოდოს თავისი პირადი მონაცემების შესახებ;
4. დაუშვებელია გამოსაკითხი პირის იძულება, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია;
5. გამოსაკითხი პირი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა გამომძიებელმა ან პროკურორმა;
6. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს: იცოდეს, რა საქმის გამო ხდება მისი გამოკითხვა; ინფორმაცია მიაწოდოს მისთვის მშობლიურ ენაზე; თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით; აცილება მისცეს თარჯიმანს; საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია; გაეცნოს გამოკი-

თხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმს; მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა; გაეცნოს ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც აისახება ოქმში;

7. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, წინასწარ იცოდეს ხმის ან/და გამოსახულების ჩამწერი ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ;
8. გამოსაკითხი პირი, გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში, ვალდებულია, გამოკითხვის ჩამტარებელ მხარეს სწორი ინფორმაცია მიანოდოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული);
9. გამოსაკითხ პირს განემარტა, რომ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, იგი შეიძლება დაიბარონ მაგისტრატ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად. ამ შემთხვევაში ჩვენების მიცემა სავალდებულოა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, რა დროსაც პირს არ ეკისრება მონმედ დაკითხვისა და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გაცემის ვალდებულება.

გამოსაკითხი პირი _____ გაფრთხილებულია ცრუ დასმენისა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ამასთან, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილისა, გავარკვიე მისი პოზიცია სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემის თაობაზე, რაზეც გამოსაკითხმა პირმა განაცხადა: **ჩემი უფლებები გასაგებია და თანახმა ვარ, ნებაყოფლობით მოგანოდოთ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია. ასევე თანახმა ვარ, გამოვცხად-**

ბრალდებულის გამოკითხვის ოქმი

„ „ „

„2020 წ.

ქ. თბილისი

ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი _____ სითითი ნომერი _____

საქმის N

გამოკითხვის დაწყების დრო:

გამოკითხვის დასრულების დრო:

გამოკითხვის ადგილი:

გამოსაკითხი პირის მონაცემები:

სახელი:

გვარი:

მამის სახელი:

დაბადების თარიღი, ადგილი:

მოქალაქეობა:

განათლება:

ოჯახური მდგომარეობა:

პირადი ნომერი:

რეგისტრაციის მისამართი:

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი:

მობილური ტელეფონი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

რა ენაზე სურს ჩვენების მიცემა:

მისი დამოკიდებულება სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისადმი:

გამოსაკითხ ბრალდებულს განემართა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, კერძოდ:

1. გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი და გამოსაკითხი პირი უფლებამოსილია, მხარეებს მიანოდოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც იგი ფლობს;
2. გამოსაკითხი პირი, გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის შემთხვევაში, ვალდებულია, გამოკითხველს სწორი ინფორმაცია მიანოდოს თავისი პირადი მონაცემების შესახებ;
3. დაუშვებელია გამოსაკითხი პირის იძულება, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია;
4. გამოსაკითხი პირი უფლებამოსილია, თავისი ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია;
5. გამოსაკითხი პირი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა გამომძიებელმა ან პროკურორმა;
6. გამოსაკითხ ბრალდებულს უფლება აქვს: იცოდეს, რა საქმის გამო ხდება მისი გამოკითხვა; ინფორმაცია მიანოდოს მისთვის მშობლიურ ენაზე; თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით; აცილება მისცეს თარჯიმანს; საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია; გაეცნოს გამოკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმს; მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა; გააკეთოს განცხადება გამოძიების უკანონო მეთოდების შესახებ; გაეცნოს ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც აისახება ოქმში;
7. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, წინასწარ იცოდეს ხმის ან/და გამოსახულების ჩამწერი ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ;
8. ნებისმიერი გამოკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი;
9. ნებისმიერი გამოკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს: უფლება ადვოკატზე; დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისა-

გან თავშეკავების უფლება; უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული; და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული;

10. ბრალდებულს შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად;
11. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე, მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია - უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე; ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას, აკრძალულია;
12. ბრალდებულს უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება; კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება; მიიღოს მონაწილეობა მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;
13. ბრალდებულსა და მის ადვოკატს უფლება აქვთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნონ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღონ მტკიცებულები-სა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები;
14. ბრალდებულს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ხდება ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და გამოთქვას მასზე მოსაზრება;
15. ბრალდებულს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გაასაჩივროს: გამომძიებლის მოქმედება - პროკურორთან, პროკურორის მოქმედება და გადანყვეტილება - ზემდგომ პროკურორთან, ხოლო

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სასამართლოში. ბრალდებულს უფლება აქვს, გაასაჩივროს განაჩენი და სხვა სასამართლო გადაწყვეტილება, ასევე, მიიღოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი;

16. თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისთვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.

გამოსაკითხი ბრალდებულის ხელმოწერა

გამოსაკითხი პირი _____ გაფრთხილებულია ცრუდასმენისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

გამოსაკითხი ბრალდებულის ხელმოწერა

გამოსაკითხი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია:

პირის/ობიექტის ამოცნობის ოქმი

„ „ „

„2020 წ.

ქ. თბილისი

ოქმის შემდგენი პირი:

სისხლის სამართლის საქმის N

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების

კონკრეტული ადგილი: _____

საგამოძიებო მოქმედების

დაწყების დრო: _____ საათი _____ წუთი; „_____“ „_____“ 20__ წელი;

საგამოძიებო მოქმედების

დასრულების დრო: _____ საათი _____ წუთი; „_____“ „_____“ 20__ წელი;

ამოცნობა ჩატარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე, 131-ე და 134-135-ე მუხლების შესაბამისად.

მონაწილე პირები:

ამომცნობი პირი: _____

(საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონი)

ამოცნობის დაწყების წინ ამომცნობს განემარტა, რომ იგი სარგებლობს მონმის უფლება-მოვალეობებით და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელი ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება

(ამომცნობი პირის ხელმოწერა)

ამოცნობაში მონაწილე სხვა პირები:

1. _____

(საპროცესო სტატუსი)

2. _____
(საპროცესო სტატუსი)

3. _____
(საპროცესო სტატუსი)

4. _____
(საპროცესო სტატუსი)

5. _____
(საპროცესო სტატუსი)

ამოსაცნობად წარდგენილი პირები/ობიექტები:

ამოსაცნობი პირი/ობიექტი:

(ამოსაცნობი პირის/ობიექტის მონაცემები)

(ამოსაცნობი პირის/ობიექტის აღწერა)

ამოსაცნობ პირთან/ობიექტთან ერთად წარდგენილი პირები/ობიექტები:

1. _____
(მონაცემები, აღწერილობა)

2. _____
(მონაცემები, აღწერილობა)

3.

(მონაცემები, აღწერილობა)

საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე განემარტათ მათთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი, მათ შორის, უფლება საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობაზე გამოთქვან შენიშვნა, დამატება ან შესწორება, რომლებიც აისახება ოქმში.

საგამოძიებო მოქმედებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები:

(გამოყენებული ტექნიკური საშუალებების მახასიათებლები და გამოყენების პირობები)

რომელთა გამოყენების შესახებ წინასწარ უცნობათ საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობები _____

(უნდა მიეთითოს ამოცნობის ჩატარების პირობები და გარემოებები, დღე-ღამის დრო, განათების წყარო და ა.შ.)

2. _____

(მონაცემები, მდებარეობა ამოსაცნობ პირებს/ობიექტებს შორის (განლაგების მიხედვით - მარჯვნიდან მერამდენე))

3. _____

(მონაცემები, მდებარეობა ამოსაცნობ პირებს/ობიექტებს შორის (განლაგების მიხედვით - მარჯვნიდან მერამდენე))

და წინადადება მიეცა, ყურადღებით დააკვირდეს ამოსაცნობად წარდგენილ პირებს/ობიექტებს.

ამოსაცნობი პირების/ობიექტების წარდგენის შემდეგ, ამომცნობმა განაცხადა:

ამომცნობმა პირმა ამოსაცნობი პირი/ობიექტი ამოიცნო შემდეგი ნიშნებით:

საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირის შენიშვნა, შესწორება, დამატება ან განცხადება:

(შენიშვნის შემტანი პირის სახელი, გვარი)

/ _____ /
(ხელმოწერა)

(შენიშვნის შემტანი პირის სახელი, გვარი)

/ _____ /
(ხელმოწერა)

ამოცნობის ოქმს გავეცანით, იგი შედგენილია სრულად და სწორად.

ამომცნობი პირი:

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირები:

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი პირი:

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

(შპს-ს ადგილის, საგნის, დოკუმენტის ან სხვა ობიექტის)

დათვალიერების ოქმი

(ოქმი შედგენის თარიღი)

(ოქმის შედგენის ადგილი)

ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი _____

სიითი ნომერი _____

სისხლის სამართლის საქმის N -----

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების

კონკრეტული ადგილი: -----

დათვალიერების

დანყების დრო:----- საათი ----- წუთი/რიცხვი:-----თვე:----- წელი: ----

დათვალიერების

დასრულების დრო: ---- საათი----წუთი /რიცხვი:-----თვე: -----წელი:-----

დათვალიერება განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9, 38-39-ე, 77-ე, 111-112-ე, 125-128-ე მუხლების შესაბამისად.

საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირები:

- | | |
|-----------------------|-------------------------|
| 1. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |
| 2. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |
| 3. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |
| 4. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |
| 5. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |

დათვალიერების მონაწილე პირებს საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე განემარტათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები; მათ შორის, უფლება, დათვალიერებაში მონაწილეობისას გამოთქვან მოსაზრებები საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობაზე, რომლებიც აისახება ოქმში.

დათვალიერების საფუძველი:

- 1. სასამართლოს განჩინება _____;
- 2. მესაკუთრის/მფლობელის წერილობითი თანხმობა _____.

საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე _____
(პირს, ვისთანაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება)

_____ (ვის მიერ, სამუშაო ადგილი, თანამდებობა, სახელი, გვარი)

წარედგინა 20__ წლის „___“ „_____“ განჩინება დათვალიერების ჩატარების შესახებ; მასვე განემარტა უფლება, დაესწროს გამოძიებლის ყველა მოქმედებას, გამოთქვას შენიშვნა, დამატება ან შესწორება, რომლებიც აისახება ოქმში.

_____ / _____/
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დათვალიერება ჩატარდა სასამართლოს განჩინების გარეშე, ვინაიდან:

_____ / _____/
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დასათვალიერებელი ობიექტის მესაკუთრემ/მფლობელმა წერილობით განაცხადა თანხმობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე:

მესაკუთრის/მფლობელის ხელმოწერა:

საგამოძიებო მოქმედებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები:

_____ (გამოყენებული ტექნიკური საშუალებების დასახელება, მახასიათებლები და გამოყენების პირობები)

დათვალიერების შედეგად ამოღებულია:

(უნდა მიეთითოს: ამოსაღები საგანი, დოკუმენტი,
ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი

შესაძლებლობის შემთხვევაში, წარედგინათ თუ არა საგამოძიებო
მოქმედებაში მონაწილე პირებს,

ამოღებული საგნის დასახელება, აღწერა)

დათვალიერების შემდგომ განხორციელებული მოქმედებები:

(უნდა მიეთითოს: ამოღებული საგნის დასახელება;
დაილუქა და შეიფუთა თუ არა ამოღებული საგანი, დოკუმენტი,

ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი;
ლუქის ინდივიდუალური ნიშნები)

მონაწილე პირთა შენიშვნა, შესწორება, დამატება ან განცხადება:

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

დათვალიერების ოქმს გავეცანით, იგი ადვოკატის მიერ შედგენილია სრულად და სწორად.

დათვალიერების მონაწილე პირთა ხელმოწერა:

- | | |
|-----------------------|-------------------------|
| 1. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |
| 2. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |
| 3. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |
| 4. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |
| 5. -----
(სტატუსი) | -----
(სახელი გვარი) |

ოქმის შემდგენი პირი:

----- (სახელი, გვარი)	/-----/ (ხელმოწერა)
--------------------------	------------------------

ოქმის ასლი მივიღე:

----- (სახელი, გვარი)	/-----/ (ხელმოწერა)
--------------------------	------------------------

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი

(ოქმი შედგენის თარიღი)

(ოქმის შედგენის ადგილი)

ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი _____

სიითი ნომერი _____

სისხლის სამართლის საქმის N -----

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კონკრეტული ადგილი: -----

საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყების დრო:----- საათი ----- წუთი/რიცხვი:-----თვე:----- წელი: ----

საგამოძიებო ექსპერიმენტის დასრულების დრო: ---- საათი----წუთი /რიცხვი:-----თვე: -----წელი:-----

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9, 38-ე, 39-ე, 111-112-ე, 129-130-ე და 135-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით

_____ მიღებული ჩვენების/გამოძიების (პირის სახელი, გვარი და საპროცესო სტატუსი)

პროცესში წარმომოხილი ვერსიის შესამოწმებლად, ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტში ვერსიის/ჩვენების ავტორის _____
_____ გარდა

მონაწილე პირები:

- 1. -----
(სტატუსი) (სახელი გვარი)

- | | |
|-----------|----------------|
| 2. ----- | ----- |
| (სტატუსი) | (სახელი გვარი) |
| 3. ----- | ----- |
| (სტატუსი) | (სახელი გვარი) |
| 4. ----- | ----- |
| (სტატუსი) | (სახელი გვარი) |
| 5. ----- | ----- |
| (სტატუსი) | (სახელი გვარი) |

საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირებს განემარტათ ექსპერიმენტის ჩატარების მიზანი და წესი, მათი უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, შესაძლებლობა, რომ დასვან კითხვა; მოითხოვონ მოქმედების გამეორება; მონაწილეობა მიიღონ აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტისა თუ კვალის დათვალიერებაში; ექსპერიმენტის ჩამტარებელი პირის ყურადღება მიაპყრონ საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებზე; გამოთქვან შენიშვნები ან გააკეთონ განცხადება, რომელიც აისახება ოქმში).

საგამოძიებო მოქმედებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები:

(გამოყენებული ტექნიკური საშუალებების მახასიათებლები და გამოყენების პირობები)

რომელთა გამოყენების შესახებაც წინასწარ ეცნობათ მონაწილეებს.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობები: -----

(დღე-ღამის დრო, განათების წყარო, მეტეოროლოგიური პირობები და ა.შ.)

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს გავეცანით, იგი შედგენილია სრულად და სწორად.

პირი ვისთანაც ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეები:

1. -----
(სტატუსი) (სახელი გვარი)
2. -----
(სტატუსი) (სახელი გვარი)
3. -----
(სტატუსი) (სახელი გვარი)
4. -----
(სტატუსი) (სახელი გვარი)
5. -----
(სტატუსი) (სახელი გვარი)

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩამტარებელი

და ოქმის შემდგენი პირი:

_____ / _____ /
(სტატუსი, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ოქმი ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ

_____ 20 წელი

(ოქმის შედგენის თარიღი)

_____ (ოქმის შედგენის ადგილი)

ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი _____ სიითი N

სისხლის სამართლის საქმის N

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების

კონკრეტული ადგილი: _____

საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი: _____

საგამოძიებო მოქმედების

დანწყების დრო: ___ საათი ___ წუთი; _____ 20__ წელი

საგამოძიებო მოქმედების

დასრულების დრო: ___ საათი ___ წუთი; _____ 20__ წელი

საგამოძიებო მოქმედება განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9, 38-ე, 39-ე, 111-112-ე და 136-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

მონაწილე პირები (მაგ.: ექსპერტი, კრიმინალისტი, ბრალდებული, მონაწილე პირი და ა.შ.):

- | | |
|---------------------------------|-------------------------|
| 1. _____
(საპროცესო სტატუსი) | _____
(სახელი გვარი) |
| 2. _____
(საპროცესო სტატუსი) | _____
(სახელი გვარი) |
| 3. _____
(საპროცესო სტატუსი) | _____
(სახელი გვარი) |

4. -----
(საპროცესო სტატუსი)

(სახელი გვარი)

საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე მონაწილე პირებს განემართათ მათთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, უფლება, საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობაზე გამოთქვან შენიშვნა, დამატება, ან შესწორება, რომლებიც აისახება ოქმში.

საგამოძიებო მოქმედების დროს გამოყენებული ტექნიკური საშუალებები:

(გამოყენებული ტექნიკური საშუალებების მახასიათებლები და გამოყენების პირობები)

რომელთა გამოყენების შესახებ წინასწარ ეცნობათ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეებს.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი:

სასამართლოს განჩინება;

მესაკუთრის/მფლობელის წერილობითი თანხმობა;

1. საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე _____ ადვოკატ
_____ მიერ _____
(პირს, ვისთანაც ტარდება მოქმედება)

(სამუშაო ადგილი, თანამდებობა, სახელი გვარი)

ნარედგინა 20__ წლის „__“ „_____“ _____
_____ განჩინება ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. მასვე განემართა უფლება, დაესწროს ყველა მოქმედებას, გამოთქვას შენიშვნა, დამატება ან შესწორება, რომლებიც აისახება ოქმში.

(სახელი, გვარი)

/ _____ /
(ხელმოწერა)

საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირის შენიშვნა, შესწორება, დამატება ან განცხადება:

1. _____ (შენიშვნის შემტანი პირის სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)
2. _____ (შენიშვნის შემტანი პირის სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)
3. _____ (შენიშვნის შემტანი პირის სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

საგამოძიებო მოქმედების ოქმს გავეცანი, იგი ადვოკატის მიერ შედგენილია სრულად და სწორად.

საგამოძიებო მოქმედების მონაწილე პირები:

_____ (სახელი, გვარი)	/ _____ / (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	/ _____ / (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	/ _____ / (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	/ _____ / (ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი პირი

_____ (სახელი, გვარი)	/ _____ / (ხელმოწერა)
-----------------------	-----------------------

ოქმის ასლის მიმღები პირი

_____ (სახელი, გვარი)	/ _____ / (ხელმოწერა)
-----------------------	-----------------------

ნიმუშის აღების ოქმი

_____ 20 წელი

(ოქმის შედგენის თარიღი)

_____ (ოქმის შედგენის ადგილი)

ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი _____ სიითი N

სისხლის სამართლის საქმის N

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების

კონკრეტული ადგილი: _____

საპროცესო მოქმედების

დანების დრო: ___ საათი ___ წუთი; _____ 20__ წელი

საპროცესო მოქმედების

დასრულების დრო: ___ საათი ___ წუთი; _____ 20__ წელი

ნიმუშის აღება ჩატარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე, 134-ე, 147-148-ე მუხლების საფუძველზე.

მონაწილე პირები:

ნიმუშის ამღები პირი:

_____ (სახელი, გვარი)

_____ (საპროცესო სტატუსი)

_____ (თანამდებობა)

პირი, რომლისგანაც აღებულია ნიმუში:

_____ (სახელი, გვარი)

_____ (საპროცესო სტატუსი)

_____ (პირადი N)

საპროცესო მოქმედებაში მონაწილე სხვა პირები:

- 1. ----- (საპროცესო სტატუსი) ----- (სახელი გვარი)
- 2. ----- (საპროცესო სტატუსი) ----- (სახელი გვარი)
- 3. ----- (საპროცესო სტატუსი) ----- (სახელი გვარი)
- 4. ----- (საპროცესო სტატუსი) ----- (სახელი გვარი)
- 5. ----- (საპროცესო სტატუსი) ----- (სახელი გვარი)

საპროცესო მოქმედების დაწყებამდე, მონაწილე პირებს განემარტათ მათთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, საპროცესო მოქმედების ჩატარების წესი, მათ შორის, უფლება, საპროცესო მოქმედების მიმდინარეობაზე გამოთქვან შენიშვნა, დამატება ან შესწორება, რომლებიც აისახება ოქმში.

საპროცესო მოქმედებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები:

(გამოყენებული ტექნიკური საშუალების მახასიათებლები და გამოყენების პირობები)

რომელთა გამოყენების შესახებ წინასწარ ეცნობათ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეებს.

საპროცესო მოქმედების დაწყებამდე _____ გაცნო 20__ წლის (პირი, ვისგანაც იღებენ ნიმუშს, სახელი, გვარი)

“___” “_____” N _____ განჩინებას ნიმუშის აღების შესახებ.

_____/ _____ (სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

საპროცესო მოქმედების მიმდინარეობა: _____

(უნდა აღინეროს, როგორ, რა საშუალებით და რა სახის ნიმუში აიღეს,
და დაილუქა ის თუ არა)

**საპროცესო მოქმედებაში მონაწილე პირის შენიშვნა, დამატება ან გან-
ცხადება:**

1. _____ (შენიშვნის შემტანი პირის სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)
2. _____ (შენიშვნის შემტანი პირის სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)
3. _____ (შენიშვნის შემტანი პირის სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

საპროცესო მოქმედების ოქმს გავეცანი, იგი ადვოკატის მიერ შედგენილია სრულად და სწორად.

პირი, ვისგანაც აიღეს ნიმუში:

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

მონაწილე პირები:

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ნიმუშის ამღები:

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი პირი:

_____ / _____ /
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ოქმი შესაძლო მტკიცებულებაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ

„___“ _____ 2020 წელი

_____ (გაცვლის ადგილი)

ჩამონათვალის შემდგენი პირი: _____ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი _____ სიითი N

სისხლის სამართლის საქმის N

მონაწილე პირი: _____

(სახელი, გვარი, სტატუსი)

შევადგინე აღნიშნული ოქმი მასზედ, რომ სისხლის სამართლის N _____ საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, ჩავატარე შესაძლო მტკიცებულებებზე ინფორმაციის გაცვლა: კერძოდ, პროკურორს/გამომძიებელს _____ მიეცა შესაძლებლობა, გასცნობოდა საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას, რომელთა წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს სასამართლოში, და გადაეცა ოქმში მითითებული მასალების სრული ასლები, კერძოდ:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.
- 7.
- 8.
- 9.
- 10.

ასევე გაეცნო ინფორმაციას საქმეზე არსებული შემდეგი სახის ნივთი-
ერი მტკიცებულებების შესახებ:

- 1.
- 2.
- 3.

მონაწილე პირის ხელმოწერა:

ჩამონათვალის შემდგენი პირის ხელმოწერა:

სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხა

_____ 20 წ. _____
(თარიღი) (ადგილი)

ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი
ადვოკატი _____ სიითი N

სისხლის სამართლის საქმის N

მონაწილე პირ(ებ)ი:

1. მონმ(ეებ)ის, დაზარალებულ(ებ)ის და ბრალდებულ(ებ)ის
ჩვენებები:

- 1.1
- 1.2
- 1.3
- 1.4
- 1.5

2. სასამართლოში დასაკითხ პირთა სია:

- 2.1
- 2.2
- 2.3
- 2.4
- 2.5

3. საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ოქმები, მასთან დაკავშირებული საპროცესო დოკუმენტები:

3.1

3.2

3.3

3.4

3.5

4. ექსპერტიზის დასკვნები და ექსპერტთა ჩვენებები:

4.1

4.2

4.3

4.4

4.5

5. სხვა წერილობითი მტკიცებულებები და საპროცესო დოკუმენტაცია:

5.1

5.2

5.3

5.4

5.5

6. საქმეზე დართული საგნები და ნივთები:

1.

2.

3.

4.

5.

მონაწილე პირ(ებ)ის ხელმოწერა:

ნუსხის შემდგენი პირის ხელმოწერა:

დასვის ორდერის ნიმუში

ორ დერი N _____

_____ „___“ „_____“ 20__ წელი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრ

ადვოკატ(ებ)ს _____
(სახელი, გვარი და სიითი ნომერი)

ევალება(თ) _____
(დასაცავი პირის სახელი, გვარი ან სახელწოდება)

(დავალების შინაარსი)

სად _____
(ორგანოს დასახელება)

ორდერის გაცემის თარიღი _____

ორდერის მოქმედების ვადა _____

ბიუროს ხელმძღვანელი/ადვოკატი: _____
(ხელმოწერა)

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავებულია ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის მხარდაჭერით და წარმოადგენს სამაგიდო წიგნს ადვოკატებისთვის. მასში თავმოყრილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც თავს იჩენს სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატთა ყოველდღიურ საქმიანობაში.

სახელმძღვანელო მკითხველს მარტივი ენით აწვდის საჭიროებებზე მორგებულ, ამომწურავ ინფორმაციას. სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებს, როგორც ბრალდებულის, ისე დაზარალებულის უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით და აერთიანებს სამართლებრივ ტიპიურ დოკუმენტებს.

ადვოკატთა ასოციაცია მადლობას უხდის მხარდაჭერისთვის ევროპის საბჭოს ოფისს საქართველოში და იმედოვნებს, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო უზრუნველყოფს ადვოკატებისთვის საჭირო ინფორმაციის მარტივად მოძიებას და ეფექტიან გამოყენებას პროფესიულ საქმიანობაში.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, დავით ასათიანის მხარდაჭერით, სახელმძღვანელოს შემუშავებაში ავტორებთან ერთად მონაწილეობდნენ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი - გიორგი ჭეხანი, საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი - თამთა დევდარიანი და სასწავლო ცენტრის დირექტორი - სალომე ტყემელაშვილი.

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მონინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int



KAT